



**როზა ბიძინაშვილი**

**ნაწილი I**

**ბრუნული და სუბროჯიული მინერალური წყაროების სამკურნალო მნიშვნელობა**

**ბრუნული და სუბროჯიული**

**მინერალის**

**სამკურნალო მნიშვნელობა**

**ნაწილი I**

ISBN 978-9941-0-5856 -1



9 789941 058561



# რთა ბიძინაშვილი

## ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების სამკურნალო მნიშვნელობა



წიგნი ორ ნაწილად

ნაწილი I

(ა – ლ)

თბილისი  
2013

*“უნებლიე შეცდომისთვის მკაცრი კიცხვა არ გვმართებს!”*

*სოფოკლე*

ცნობარი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის. მოიცავს მშრალი და ტენიანი კლიმატის ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების 272 მცენარეულ ობიექტს, რომლებიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა, ფართოდ გამოიყენება მეცნიერულ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში და ბევრი მათგანი საერთაშორისო ფარმაცოპეაშია შესული.

შესაბამისი ინფორმაცია მოიპოვა და დაამუშავა საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის კავკასიის იშვიათი და სამკურნალო მცენარეების განყოფილების უფროსმა მეცნიერ თანამშრომელმა, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა როზა ბიძინაშვილმა.

**რედაქტორი:** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნონა ანთაძე**

**რეცენზენტი:** საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ტროპიკული ორანჟერეის გამგე **ნანა ყუბანიშვილი**

**ISBN 978-9941-0-5855-4 (ორივე ნაწილის)**

**ISBN 978-9941-0-5856 -1 (პირველი ნაწილის)**

*“ბუნება მბრძანებელია, იგივე მონაა თავისა,  
ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს, ზოგჯერ  
მქმნელია ავისა...  
ზოგჯერ პირიმზეს ახარებს, იქვე მოხრელია  
ზვავისა...  
მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიტურფით  
ჰყვავისა!”*

*ვაჟა*

## წინათქმა

მსოფლიოში გამოყენებული წამლების ნახევრს ბუნებრივი წყაროებიდან მიღებული ნივთიერებები წარმოადგენს. აშშ-ის მხლოდ ერთმა - კიბოს ეროვნულმა ინსტიტუტმა 2000-მდე ტროპიკული მცენარე გამოავლინა, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კიბოსთან საბრძოლველად. მაგრამ რამდენია ჯერ შეუსწავლელი და გამოსავლენი! ტყის მასალა, კაუჩუკი, ფისი, გუმფისი, პესტიციდები, კაკალი და ხილი, საღებავი და საკვები დანამატები, სტეროიდები, ლატექსი, ეთერზეთები და ცხიმზეთები, მთელი რიგი სამკურნალო პრეპარატები - ყველაფერი ეს მცირე ჩამონათვალი იმასთან შედარებით, რასაც ტროპიკული ტყე იძლევა.

აღსანიშნავია, რომ ოდესღაც ტროპიკულ მარადმწვანე წვიმიან ტყეებს (ჯუნგლებს) - დედამიწის ტერიტორიის 1,6 მილიარდი ჰა ეკავა, სადღეისოდ კი მათი ფართობი თითქმის ნახევრამდეა შემცირებული; ყოველწლიურად ჩვენს თვალწინ ამ უძვირფასესი ტყეების 135 ათასი კვ კმ ნადგურდება, რაც შეესაბამება 11 ათას კვ კმ-ს ყოველთვიურად, 367 კვ კმ-ს ყოველდღიურად, ხოლო 15 კვ კმ-ს ყოველ საათში. მეცნიერების ვარაუდით, განადგურების ეს ტემპი თუ შენარჩუნდა, XXI ს-ის შუა წლებში შესაძლებელია მათი სრულად განადგურება, რაც დედამიწის კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ბიოლოგები მიიჩნევენ, რომ ტროპიკულ ტყეებში ბინადრობს დედამიწაზე არსებული მცენარეებისა და ცხოველების სახეობების

დაახლოებით ნახევარი, ხოლო მილიონობით სახეობა ჯერ აულწერავი და შეუსწავლელია.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა დაინტერესებულ პირთათვის, უმთავრესად კი ახალგაზრდებისათვის, გაგვეცნო რიგი იმ ეგზოტური მცენარეებისა, რომლებიც ოდითგანვე იპყრობდა ადამიანის ყურადღებას; კერძოდ, ცნობარი მოიცავს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში, ამ უაღრესად სპეციფიურ და მრავალფეროვნებით გამორჩეულ მცენარეულ ფორმაციებში მოზარდ მცენარეების იმ მცირე ნაწილს (272 სახეობა), რომელიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა, ამავედროულად გამოიყენება ოფიცინალურ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ფარმაცოპეაშია შესული.

მცენარეების აღწერას წინ უძღვის ტრადიციული სამედიცინო სისტემის ფარმაცოგნოზიის მოკლე მიმოხილვა და ცნობები აღნიშნული ჯგუფის მცენარეების ძირითად ადგილსამყოფლებზე. წიგნის დასასრულს - საუბარია სამკურნალო მცენარეების კულტივირების აუცილებლობასა და მათ პერსპექტივებზე.

ცალკეული მცენარის დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებზე, ბუნებრივი გავრცელებისა და კულტივირების ადგილებზე, მათ სასარგებლო მნიშვნელობაზე, სამკურნალო თვისებებზე, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებაზე.

მცენარეები განლაგებულია ქართული ანბანის მიხედვით.

წიგნი ორ ნაწილს მოიცავს. პირველ ნაწილში შესულია მცენარეები “ანი - დან ელ - მღე” (127 სახეობა), ხოლო მეორე ნაწილში განხილულია “ელ - იდან ჰაე - მღე” (145 სახეობა) დასახელების მცენარეები.

ტექსტში გამოყენებული მასალები ეფუძნება ფარმაცოგნოზიის სახელმძღვანელოებს, განკუთვნილს ფარმაცევტული ინსტიტუტებისა და ფარმაცევტული ფაკულტეტების სტუდენტებისათვის, ასევე სხვა შესაბამის ლიტერატურულ მონაცემებს.

## ძვირფასო მკითხველო!

მცენარეული ნედლეულის საფუძველზე დამზადებული პრეპარატების მიზანდასახულ გამოყენებას განსაზღვრავს მხოლოდ ექიმი!

ჩვენს მიერ შეგროვილი ინფორმაცია ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების შესახებ, ამ მეტად განსხვავებული, მსოფლიო ფარმაკოპეისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი, ორიგინალური და ეგზოტური მცენარეების გაცნობის მიზნითაა შედგენილი და არა მათი გამოყენების გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით.

კარგად უნდა გვასსოვდეს, რომ მცენარეების არადროულმა შეგროვებამ, სახლის პირობებში არასწორმა დამზადებამ და რა თქმა უნდა არასწორმა გამოყენებამ, შესაძლებელია მკურნალობის ნაცვლად ბევრად ძლიერი უკუქმედება გამოიწვიოს!

გაუფრთხილდით ჯანმრთელობას!!!





## ფარმაკოგნოზის ისტორიის მოკლე მიმოხილვა

ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) 2010 წლის მდგომარეობით მსოფლიოში აღწერილია მცენარეთა 320 ათასი სახეობა, მათ შორის მედიცინაში გამოიყენება მხოლოდ 21 ათასი.

თანამედროვე მეცნიერული ევროპული და საერთაშორისო მედიცინის მიერ გამოყენებული სამკურნალო მცენარეების ასორტიმენტი თანდათანობით ყალიბდებოდა. მათ დიდ ნაწილს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უძველესი დროიდანაა ცნობილი. სამკურნალო საშუალებებით ადამიანები სარგებლობდნენ ათასწლეულების მანძილზე და თვით ცხოვრებამ აჩვენა მათი მეტ-ნაკლები ეფექტურობა.

ხალხური სიბრძნე და გამოცდილება საფუძვლად დაედო ფარმაკოგნოზიას. ხალხთა კულტურის განვითარებასთან ერთად იზრდებოდა სამკურნალოდ გამოყენებულ მცენარეთა რიცხვიც. თავდაპირველად ძველთაძველი ხალხები იოლად გადიოდნენ ადგილობრივი ფლორით, შემდგომ საზოგადოების განვითარებასთან ერთად ქვეყნები ამყარებდნენ საერთაშორისო და სავაჭრო ურთიერთობებს, ახდენდნენ სამედიცინო მონაცემების გაცვლას, ზოგიერთი სამკურნალო და სანელებელი მცენარეებისა და სხვა ნივთიერებების იმპორტს; დამწერლობის წარმოქმნის შემდგომ ხდებოდა დაგროვილი სამედიცინო ცოდნის ჩაწერა. სხვადასხვა ხალხის კულტურის განვითარებასთან ერთად წარმოიქმნა განსხვავებული ფილოსოფიური სამედიცინო თეორიები, რომელიც ჯანმრთელი ადამიანის ორგანიზმსა და ავადმყოფობის წარმოქმნას ეხებოდა.

ეთნოგრაფიული მასალებით მტკიცდება, რომ უძველესი წამალთმკეთებლები ამზადებდნენ ნაირსახოვან ნაყენს, მალამოს, ფხვნილსა და სხვ. მატრიარქატის დროს პირველი მკურნალნი ქალები იყვნენ. ხალხურ გადმოცემებში უხვად გვხვდება ცნობები მკურნალი ქალების შესახებ, მაგ., ჰომეროსის „ილიადაში“ იხსენიება „ოქროსკულულებიანი“ აგამედა, რომელმაც „იცოდა თვისებები უსაზღვრო დედამიწაზე არსებული ყველა ბალახისა“. ამავე თხზულებაში მოხსენიებულია ეგვიპტელი მკურნალი ქალი პოლიდამნა, რომელიც მშვენიერ ელენეს ასწავლიდა სამკურნალოდ ან ადამიანის გონების დასახშობად ბალახთა გამოყენების წესებს.

ჩვენამდე მოღწეულ სამედიცინო ტრაქტატებიდან უძველესია მესოპოტამიის ხალხის მონაცემები. არქეოლოგიური გამოკვლევებით ვლინდება სულ ახალ-ახალი ცნობები შუმერების და მსოფლიოს სხვა უძველესი ხალხის მიერ მცენარეების სამკურნალოდ გამოყენების შესახებ. შუამდინარისპირეთში შუმერების ქალაქ ნიპურის (III ათასწლეული ახალ ერამდე) არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ფირფიტაზე - 145 სტრიქონზე შუმერულ ენაზე მოცემულია 15 რეცეპტი, საიდანაც ვგებულობთ, რომ სამკურნალო იყენებდნენ სხვადასხვა მცენარეულ საშუალებებს; ფესვებიდან და სხვა ნაწილებიდან ამზადებდნენ ფხვნილებსა და ნაყენებს. მაგ., მათ მიაჩნდათ, რომ მსხალი და ლელვი, ტირიფისა და ქლიავის ნორჩი ყლორტები, ფიჭვის და სოჭის წიწვები სამკურნალო თვისებებითაც გამოირჩევა, მათ იყენებდნენ მშრალი და დასრესილი სახით, კომპრესებისა და სალბუნების შემადგენელ კომპონენტებად; გამხსნელად წყლის გარდა ღვინოსა და ლუდსაც ხმარობდნენ, ფხვნილს უმატებდნენ ცხოველური და მინერალური წარმოშობის მინარევეს. ამდენად უკვე 80 საუკუნის წინ ადამიანები იყენებდნენ მცენარეულ სამკურნალო პრეპარატებს სხვადასხვა სახით.

ძველი შუმერების კულტურისა და ცოდნის მემკვიდრეები ბაბილონელები (XI ს ახ.წ.აღ-მდე), შემდგომ კი ასირიელები ასეულობით მცენარეს ხმარობდნენ სამკურნალო მიზნით, მათ შორის ძირტკბილას ფესვებს, ლემას, ლენცოფას, სელის თესლს, სხვადასხვა მცენარის კვირტებს. გაჰქონდათ მცენარეები სხვა ქვეყნებშიც, მათ მიერ იყო შენიშნული მზის სხივების უარყოფითი მოქმედება ზოგიერთი მცენარის სამკურნალო თვისებებზე, რის გამოც ჩრდილში აშრობდნენ და ზოგიერთს ღამით აგროვებდნენ. შუმერები უკვე იცნობდნენ შირბასტის (*Sesamum indicum* L.) ზეთს, და თვით მცენარის ლათინური სახელწოდება *Sesamum* წარმოსდგება ბაბილონურიდან “შემ-შემი” (ან სემ-სემი).

ძველი ნინევის გათხრებისას მიკვლეულ იქნა ასირიელების მეფე აშურბანიპალას (სანდანაპალი, ახ.წ.აღ.-მდე 668 წ.) დროინდელი უძველესი “ბიბლიოთეკის” ლურსმული დამწერლობის თვალსაჩინო ნიმუშები 33 თიხის ფირფიტის სახით, რომელიც სხვა მნიშვნელოვან ცნობებთან ერთად, შეიცავს მონაცემებს სამკურნალო საშუალებებზე; ირკვევა, რომ იმ დროისათვის ასირიელებს სამკურნალო მცენარეების ბაღიც ჰქონიათ გაშენებული.

მჭიდრო ურთიერთკავშირში ვითარდებოდა შუამდინარეთის ხალხებისა და უძველესი ეგვიპტური მედიცინა. მცენარეთა მრავალრიცხოვანი გამოსახულებები და ჩანაწერები აღმოჩენილია ეგვიპტურ ტაძრებზე, პირამიდებსა და აკლდამების კედლებზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მონაცემები სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ წარმოდგენილია დამწერლობის უძველეს ძეგლებში – ეგვიპტურ პაპირუსებში. ყველაზე დიდი ძველი ეგვიპტური პაპირუსი, რომელიც მიეკუთვნება ახ.წ.აღ.-მდე 1570 წ. და ცნობილია ებერსის პაპირუსის სახელით (გეორგ ებერსმა 1872 წელს აღმოაჩინა და შეისწავლა) წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს სამედიცინო ტრაქტატს, შეიცავს ადრინდელი თხზულებების 40-მდე ამონაწერს. მას ეწოდება “წამლების მოსამზადებელი წიგნი სხეულის ყველა ნაწილისათვის”. აქ მოცემულია სხვადასხვაგვარი ფორმის 800-მდე რეცეპტი, აბები, ნაყენები, მალამოები, წვენები, მოსაწევი საშუალებები; ისინი კლასიფიცირებულია ფარმაკოლოგიური მოქმედებით: სასაქმებელი, შარდმდენი, ოფლმდენი და სხვ. ეგვიპტელები იცნობდნენ ალოეს, ანისულის, შმაგას, პიტნის, აბუსალათინის, მრავალმარღვას სამკურნალო თვისებებს. წამალთა მომზადების უფლება კი ქურუმთა უმაღლესი წოდების ადამიანებს ჰქონდათ მინიჭებული. ეგვიპტელების აზრით სამკურნალო საქმიანობის მფარველი იყო ღმერთი ტოტა, რომელსაც “ფარმაცის” უწოდებდნენ, აქედანაა წამალთმცოდნეობასთან დაკავშირებული თანამედროვე სახელწოდებები – ფარმაცია, ფარმაკოპეა, ფარმაკოგნოზია.

ეგვიპტურმა მედიცინამ დიდი გავლენა მოახდინა უძველესი საბერძნეთისა და რომის მედიცინის განვითარებაში. თანახმად ბერძნული მითოლოგიისა ექიმებისა და სამკურნალო ხელოვნების ღმერთი იყო აპოლონის შვილი – ასკლეპიოსი. ჰომეროსის მიხედვით ის ფესალიის მეფეა (1250 წ. ახ.წ.აღ.-მდე). მან ბავშვობა და ახალგაზრდობა პელიონის მთებში გაატარა, რომელიც ცნობილია მდიდარი მინერალური წყაროებითა და სამკურნალო ბალახების სიუხვით. მისი აღმზრდელი იყო ბრძენი კენტავრი ქირონი, დღემდე მოაღწია მისმა გამოსახულებამ ჩირაღდნით ხელში. ქირონი სამკურნალო მცენარეების გამორჩეულ ცოდნასთან ერთად იყო ბრწყინვალე მასწავლებელი და აღმზრდელი. ასკლეპიოსმა გადააჭარბა თავის მასწავლებელს მკურნალობის ხელოვნებაში.

თანახმად მითებისა, ის არა მხოლოდ კურნავდა ყველა დაავადებას, არამედ მკვდრებსაც უბრუნებდა სიცოცხლეს, რითიც დაარღვია დედამიწაზე დამყარებული წესები და კანონები; რამაც განარისხა მიცვალებულთა სამეფოს მბრძანებელი აიდა და ზევსი, რომელმაც მეხის დამიზნებით მოკლა იგი. ხალხმა კი გააღმერთა ასკლეპიოსი, დაუდგა მრავალი სალოცავი, რომელთა შორის გამორჩეულია ეპიდავრეს სალოცავი. ტაძრებთან არსებულ სამკურნალო დაწესებულებებს კი ასკლეპიონებს უწოდებდნენ. მისი ქალიშვილები ჰიგეა და პანაკეა ითვლებოდნენ მედიცინის ცალკეული დარგების მფარველებად. ჰიგეამ სახელი გაითქვა გონიერი პროფილაქტიკური რჩევებით და ითვლებოდა ჯანმრთელობის ქალღმერთად, მას გამოსახავენ ნორჩი ქალწულის სახით ხელში გველიანი ფიალით. პანაკეა კი მკურნალობის მფარველი იყო და დაავადებებს კურნავდა. რის გამოც ყველა დაავადების სამკურნალო საშუალებას პანაცეას უწოდებენ.

ძველთაძველი ბერძნული ლიტერატურა მდიდარ მონაცემებს იძლევა იმ დროინდელ ევროპულ მედიცინაში სამკურნალო მცენარეების გამოყენების შესახებ. ძველი საბერძნეთის მრავალი ექიმი თავს ასკლეპიოსის შთამომავლებად მიიჩნევდა, მათ შორის ჰიპოკრატეს (460-377 წ. ახ.წ.აღ.-მდე). მისი სამშობლო იყო კუნძული კოსი, ცნობილი თავის სამედიცინო სკოლით. გვარი ჰიპოკრატეს 18 თაობა მედიცინით იყო დაკავებული და მამიდან შვილს გადასცემდა თავის ხელოვნებას. მან შექმნა სამედიცინო თხზულება “Corpus Hippocraticum”, რომელიც მრავალ ევროპულ ენაზეა თარგმნილი. წიგნში 236 სამკურნალო მცენარეა აღწერილი; სამწუხაროდ ამ ადამიანზე, ძველი სამყაროს სახელგანთქმულ ექიმზე, რომელსაც მედიცინის მამას და ბერძნულ სასწაულს ეძახდნენ, ძალზე ცოტაა ცნობილი. ჰიპოკრატეს ოქროს წესი შემდეგი იყო: “თითოეული ადამიანი ინდივიდუალურია და განსაკუთრებულ მკურნალობას მოითხოვს”. მან უძველეს დროში გამოიგონა ხელსაწყოები მოტეხილობისა და ამოვარდნილობების სამკურნალოდ, რომლებიც დღემდე გამოიყენება. ჰიპოკრატეს ფიცი კი საუკუნეების განმავლობაში ექიმის მორალურ კოდექსს წარმოადგენდა. ჰიპოკრატე თვლიდა, რომ სამკურნალო მცენარეები იმ სახით უნდა იყვნენ გამოყენებულნი, როგორითაც ბუნებამ შექმნა, ანუ ნატურალური ან წვენების სახით. “მედიცინა არის ხელოვნება ბუნების სამკურნალო

მოქმედების მიზანმიმართულადაა. (აღსანიშნავია, რომ ჰიპოკრატემ საქართველოშიც იმოგზაურა და გაეცნო ადგილობრივ სამკურნალო ფლორას).

საბერძნეთში წარმოიშვა ჰიპოკრატეს თეორია, რომელიც შემდგომ გალენის მიერ იქნა დაზუსტებული. ამ თეორიის თანახმად, ორგანიზმი ოთხ ელემენტთანაა (ცეცხლი, მიწა, წყალი და ჰაერი) კავშირში, შესაბამისად ადამიანის სიცოცხლის წარმართველი ოთხი მდგომარეობა – ცივი, თბილი, მშრალი და სველი შეესაბამება ოთხნაირ სითხეს – სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნაღველი, რომელთა თანაზომიერების მიხედვით წყდება ჯანმრთელობის მდგომარეობაც და ოთხი ტემპერამენტიც – სანგვინიკური, ქოლერიკული, ფლეგმატური და მელანქოლიური. ნორმალურ, ჯანმრთელ ორგანიზმში ეს ფაქტორები გაწონასწორებულია, დარღვევისას – წარმოიქმნება ესა თუ ის დაავადება.

წინა საუკუნეებში დაგროვილი ცოდნა თავის შრომებში განავრცო დიდი ბერძენი ფილოსოფოსის არისტოტელეს მოწაფემ თეოფრასტემ (372-287 წ. ახ.წ. აღ.-მდე), რომელიც ითვლება „ბოტანიკის მამად“.

მისი კაპიტალური შრომა – „გამოკვლევები მცენარეებზე“ ცხრა წიგნისგან შედგება, დღემდე ითარგმნება სხვადასხვა ენაზე. შრომებში ძირითადად აღწერილია ის მცენარეები, რომლებიც საბერძნეთის ტერიტორიაზე იზრდებოდა, ხოლო ნაწილი დათმობილი აქვს ალექსანდრე მაკედონელის მიერ დალაშქრული ადგილების მცენარეებს. მაგ., მან აღწერა სპარსეთის ყურეში მანგროს ტიპის ტყეები თავიანთი საჭაერო ფესვებით, ინდოეთის ლელვთა სახეობები და მთელი რიგი სხვა მცენარეები, გაგვაცნო მცენარეთა თესვების გავრცელების დღეისათვის ცნობილი თითქმის ყველა საშუალება, ეკოლოგიური ფაქტორები და მრავალი სხვ. „მცენარეთა ისტორიაში“ მხოლოდ მცენარეთა პრაქტიკულ გამოყენებაზეა ლაპარაკი. მაგ., როგორ ხდება მცენარეული ნახშირის გამოწვა, როგორ იღებენ კუპრს, სურნელოვან და სანელებელ საშუალებებს, სად რომელი სახეობის მცენარე ხარობს კულტურაში. ავტორი არც დაავადებებს ივიწყებს; მცენარეები კლასიფიცირებულია სამკურნალო, შხამიან და სხვა სასარგებლო ნიშნების მიხედვით.

ევროპული ფარმაკოგნოზის „მამად“ ითვლება დიოსკორიდი (I ს. ახ.წ.-აღ.), წარმოშობით ბერძენი, მსახურობდა ძველ რომში იმპერატორ ნერონის არმიამი სამხედრო ექიმად; მონაწილეობდა რა

რომის არმიასთან ერთად ლაშქრობებში, სხვადასხვა ქვეყანაში ახდენდა მცენარეების კოლექციის შეგროვებას, არკვევდა მათ. მისი ძირითადი შრომა “სამკურნალო საშუალებებზე” (“De material medica”) მოიცავს 1000-ზე მეტი სხვადასხვა სამედიცინო პრეპარატისა და 600-მდე სახეობის მცენარის აღწერას, რომლებიც 4 - ჯგუფადაა დაყოფილი: სურნელოვანი, საკვები, სამედიცინო და საღებო მცენარეები. აღწერას მან დაურთო სურათები, მოახდინა მათი დაჯგუფება მორფოლოგიური ნიშნებით, ბევრს მიუთითა გავრცელება, სინონიმები სხვადასხვა ენაზე, ჩამოაყალიბა სამკურნალო საშუალებების მიღებისა და დამზადების ხერხები, მონაცემები ქიმიურ პროცესებზე. ავტორია პირველი ნაშრომის, რომელიც ეძღვნება მედიცინისათვის მნიშვნელოვანი მცენარეების განსაზღვრას. მან ზუსტად მიუთითა მათი ბოტანიკური ნიშნები, განავრცო სამკურნალოდ გამოყენების გამოცდილებები, რომელიც დაგროვილი იყო ახალ ერამდე რამდენიმე ათასწლეულის მანძილზე. მისი წიგნი “De Material medica” არაერთგზის ითარგმნა ევროპულ ენებზე და პოპულარობით სარგებლობდა შუა საუკუნეებამდე.

პლინიუს უფროსი (24-79 წ. ახ.წ.აღ.) – რომაელი მეცნიერი, რომელიც დაიღუპა ვეზუვის ამოფრქვევისას, ავტორია ბუნებრივი მეცნიერების მრავალტომიანი ენციკლოპედიისა “Historia naturalis”. სამედიცინო საკითხებს, მათ შორის სამკურნალო მცენარეებს 12 ტომი ეძღვნება, სადაც მოიხსენიებს ათასზე მეტ სასარგებლო მცენარეს.

კლავდიუს გალენმა (130-200 წ.წ.), წარმოშობით ბერძენმა, რომაელმა ექიმმა მეცნიერულად დაასაბუთა სამკურნალო მცენარეებიდან იმ ბალასტური ნივთიერებების გამოყოფა, რომლებსაც არ გააჩნია ღირებულება. გამოჰყოფდა რა მომქმედ ნივთიერებებს სუფთა სახით, სწავლულმა შეიმუშავა მცენარეული წამლების დამზადების ხერხები ნახარშების, მალამოებისა და ნაყენების სახით ღვინოზე, ზეთზე, ძმარზე; იმ დროიდან დღემდე მყარად დამკვიდრდა სამკურნალო ფორმების აღმნიშვნელი სახელწოდება “გალენური პრეპარატები”, რომლებსაც ღებულობენ სპეციალური დამუშავებით (ეთერი, სპირტი, წყლითა და სხვა საშუალებებით) სხვადასხვა კონცენტრაციის აქტიური ნივთიერებებით. გალენის შრომებმა, რომლებიც 500 გრაგნილს მოიცავს, რაც შეესაბამება დაახლოებით თანამედროვე 80 ტომს, ღრმა კვალი დატოვა მედიცინაში. ძველი

დროის სახელგანთქმული მედიკოსი მეცნიერულად მიუდგა მცენარეების სამკურნალო ძალის განსაზღვრას. მან შემოიღო ფარმაციისა და მედიცინის სწავლება რომში. მისი პრინციპები პრეპარატების მომზადებისა და შემადგენლობის შესახებ ფართოდ გავრცელდა დასავლეთში და 1500 წლის განმავლობაში წარმატებით გამოიყენებოდა ევროპაში და ბოლო დრომდე არაბულ-ირანული მედიცინის მიერ იყო აღიარებული.

თვითმყოფადი და განსხვავებულია აზიის ქვეყნების ნაციონალური ტრადიციული სისტემები, რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ინდოეთსა და ჩინეთში არსებობდა საკუთარი, განსაკუთრებული ფილოსოფიური სამედიცინო თეორიები, მათ შორის უძველესია ჩინური მედიცინა, რომლის “მაძად” ითვლება ლეგენდარული თავადი შენ-ნუნი (ცხოვრობდა ძვ.წ.აღ.-ით 3000 წლის წინათ), გადმოცემის თანახმად ის სწავლობდა და იყენებდა სამკურნალო მცენარეებს. მისთვის ცნობილი იყო 230 სახეობის სამკურნალო და შხამიანი მცენარე, 65 – ცხოველური წარმოშობის სამკურნალო ნივთიერება და 48 – სამკურნალო მინერალი. დამწერლობის გამოგონების შემდეგ დაგროვილი მონაცემებით შეიქმნა ცნობარი “წიგნი ბალახებზე” (“ბენ-ცაო”). ყველა შემდგომ ჩინურ თხზულებებში ეს წიგნი გამოიყენებოდა როგორც საფუძველი და პირველი წყარო. ჩინური მედიცინა თვითმყოფადია, როგორც ფილოსოფიური წარმოდგენებით, ასევე წამლების ასორტიმენტით, რომელიც აღებულია ჩინეთის უმდიდრესი ფლორიდან. ყველაზე ფართო და ცნობილი ბალახების ცნობარი შედგენილი იყო XVI ს-ში ლი ში-ჩჟენის მიერ. აღნიშნული ცნობარი, სადაც განხილულია 1892 ობიექტი, დღევანდელ დღესაც უბადლო ნიმუშად ითვლება. გარკვეულია 900 სახეობის ბოტანიკური ლათინური სახელწოდება. პეკინში არსებობს ჩინური ხალხური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, სადაც ძველი სამედიცინო საშუალებები ისწავლება თანამედროვე მეცნიერული მეთოდებით. მრავალი სამკურნალო მცენარე ჩინური ფიტოთერაპიიდან ნასესხები იყო სხვა ქვეყნების მიერ. მაგ.: ჟენშენი, რომელიც ჩინეთში 4000 წლის წინათ იყო ცნობილი, ჩინური ლიმონურა, ევედრა, ძირტკბილას ფესვი, შაგბალახა, დეზურა, რეგანდი, ხაზვი, ნიორი, სატაცური, ქაფური, დარიჩინი, ჯავზი და სხვა მრავალი. ჩინურ მედიცინაში გამოყენებული რიგი მცენარეები

საერთოა ევროპულთან: ვირისტერფა, მრავალძარღვა, სალბი, ოროვანდი, ასკილი და სხვ.

ჩინურ მედიცინასთან ახლოა ვიეტნამური ტრადიციული მედიცინა. მის ფუძემდებლად ითვლება ტიუე ტიანზი, რომელიც ცხოვრობდა ახ.წ. აღ-ის XIV-XV სს-ის მიჯნაზე; პირველი ბეჭდვითი წიგნი მის მიერაა გამოცემული 1429 წ., სადაც განხილულია 630 –მდე სამკურნალო მცენარე. ყველაზე ვრცელი თხზულების (რომელიც 6 ნ ტომს მოიცავს და გამოიცა 1772 წ.) ავტორად ითვლება ლან ონგა. 1957 წ. ჰანოიში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთ მედიცინის ინსტიტუტი, სადაც ავადმყოფებს მკურნალობენ დიპლომირებული ექიმები ტრადიციული მედიცინის საშუალებებით. სამკურნალო პრაქტიკით აპრობირებული საშუალებები მზადდება ქიმიურ-ფარმაცევტულ ქარხანაში, საიდანაც ვრცელდება სააფთიაქო ქსელსა და სამედიცინო დაწესებულებებში. ჰანოიში 1965 წ. გამოქვეყნდა ვიეტნამური ფარმაცოგნოზის 6 - ტომეული.

მეტად გამორჩეულია ინდური მედიცინა. მას გააჩნია ორიგინალური ფილოსოფიური წარმოდგენები და სამედიცინო თეორიები; წამლების ასორტიმენტი ბაზირებულია სამამულო ფლორაზე. ინდოეთის უძველესი სანსკრიბტული სამედიცინო წიგნი, რომელიც ახ.წ.აღ.-მდეა შედგენილი ითვლება “იადჯურ-ვედა” (აიურ-ვედა), ანუ “მეცნიერება სიცოცხლეზე”. წიგნი რამდენჯერმე იყო გადაშუშავებული და შევსებული. ყველაზე ცნობილად ითვლება ინდოელი ექიმის ჩარაკის (I ს ახ.წ-აღ.) შრომა, სადაც 500-მდე სამკურნალო მცენარეა მითითებული და ექიმი სუშრუტასი, რომელიც 700 სამკურნალო მცენარეს აღწერს. სამკურნალო საშუალებებიდან ინდოელებს მეზობლებისაგან არაფერი არა აქვთ ნასესხები (თუ არ ჩავთვლით ერთეულ საშუალებებს, მაგ. ირანიდან *Asa foetida*-ს ფისს, რომელიც მთელ მსოფლიოშია ცნობილი); პირიქით, იქიდან წარმოებდა სამკურნალო საშუალებების ექსპორტი; ჯერ კიდევ უძველეს წარსულში გაჰქონდათ წიწაკა და სხვა სანელებლები. აიურ - ვედას სამკურნალო მცენარეები დღემდე გამოიყენება ინდოეთის ტრადიციულ მედიცინაში, წარმოებს მათი აქტიური გამოკვლევები, თუმცა ჯერ კიდევ ფართოდ არაა დანერგილი საერთაშორისო მედიცინაში. მაგ.: ინდურ მედიცინაში რაუვოლფია თითქმის 2000 წელია გამოიყენება,



ევროპელებმა კი მისი მაღალი მნიშვნელობა მხოლოდ XX ს-ის შუა პერიოდში აღმოაჩინეს.

სტროფანტის თესლები, რომელიც აფრიკელების მიერ იხმარებოდა მშვილდისრების შხამის დასამზადებლად და უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო როგორც საგულე საშუალება, ევროპულ ფარმაკოპეიაში მხოლოდ XIX ს-ის დასასრულს იქნა შეტანილი; ის დღესაც გულის მოქმედების რეგულირების შეუცვლელ საშუალებად ითვლება. იგივე შეიძლება ითქვას იაპონურ ქაფურზე, ჩინურ ყენშენზე და სხვებზე, რის გამოც აუცილებელია უძველესი კულტურული ხალხის სამკურნალო მცენარეების საფუძვლიანი შესწავლა.

ტიბეტური მედიცინა წარმოიშვა ინდურ ბაზაზე, რომელიც ტიბეტში შეტანილი იყო ბუდიზმთან ერთად (V-VI ს ახ.წ-ად.). მრავალი სანსკრიტული სამედიცინო წიგნი თარგმნილია ტიბეტურ ენაზე, რომლითაც დღემდე სარგებლობენ. ყველაზე მეტად ცნობილია წიგნი “ჯუდ-ში” (“მკურნალობის არსი”), შედგენილია აიურ-ვედას საფუძველზე. ინდური ყველა სამედიცინო თეორიები სრულადაა შენარჩუნებული ტიბეტურ მედიცინაში, მაგრამ განსხვავებულია სამკურნალო საშუალებების ასორტიმენტი. უძველესმა ტიბეტურმა მედიცინამ დეტალურად დაამუშავა სწავლება ყველა ცნობილი დაავადების მიზეზებსა და ურთიერთკავშირზე, რაც წარმოდგენილი იყო “მედიცინის ხის”- სახით. ტიბეტურ მედიცინაში შესულია ჩინური მცენარეების 25% (თუმცა არც ოპიუმს, არც ყენ-შენს ტიბეტური მედიცინა არ იყენებს).

ბუდიზმმა და მასთან ერთად ტიბეტურმა მედიცინამ შემდგომი ექსპანსიის შედეგად მიიღო საერთაშორისო ხასიათი და არ არის დაკავშირებული რომელიმე ეროვნებასთან, რომელიც შეიჭრა ჩინეთისა და იაპონიის სხვადასხვა რაიონებში, ჩრდილოეთით მონღოლეთში (XIII ს), მოგვიანებით - ბურიატსა და ყალმუხეთში.

პარალელურად სწრაფად ვითარდებოდა არაბული მედიცინა. ახლო აღმოსავლეთის დაპყრობის შემდეგ არაბებმა შექმნეს ვრცელი და ძლიერი არაბული სახელმწიფო. ისინი უფრო ხილდებოდნენ მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნების კულტურულ მემკვიდრეობას, მათ შორის მედიცინასაც. ახ.წ.ად. VI-VII ს-ში განსაკუთრებით დიდი წარმატება მოიპოვა ბერძნულმა სამედიცინო სკოლამ ირანში ჯუნდიშაპურში.

ალექსანდრიასა და სხვა ქალაქებში იფურჩქნებოდა სამედიცინო სკოლები; მრავალი ბერძნული სამედიცინო წიგნი ითარგმნა არაბულ ენაზე, ამასთან ნშირად სარგებლობდნენ პირველი წყაროებით, სირიული თარგმანებით. მალე ბერძნულზე დაფუძნებულმა არაბულმა მედიციანამ მაღალ დონეს მიაღწია. ცნობილია მთელი პლეადა არაბი ექიმებისა, რომლებმაც მდიდარი მემკვიდრეობა დატოვეს ფართო მოცულობის ორიგინალური თხზულებების სახით, სადაც ტრადიციულ ბერძნულ მონაცემებთან ერთად თავმოყრილია საკუთარი დაკვირვებებისა და კვლევის შედეგები. მათ შორის ყველაზე ცნობილია X-XI ს-ში მოღვაწე არ-რაზი (რაზეს) ბაღდადიდან და ტაჯიკი აბუ-ალი იბნ-სინა ბუხარადან (980 – 1037 წ.წ.), რომელიც ევროპაში ცნობილია ავიცენას სახელით; ფილოსოფოსი, ექიმი და პოეტი მოღვაწეობდა ბუხარაში, ხვარაზმსა და სპარსეთში. მისი მთავარი შრომაა ფილოსოფიური ენციკლოპედია, რომელიც მოიცავს ლოგიკას, ფიზიკას, მათემატიკასა და მეტაფიზიკას, ხოლო უმნიშვნელოვანესი სამედიცინო თხზულებაა “სამკურნალო მეცნიერების კანონი,” რომელიც ლათინურ ენაზე XII ს-ში ითარგმნა და პირველად 1473 წელს გამოქვეყნდა მილანში; არაბულ ენაზე შედგენილი ორიგინალი კი 1593 წელს დაიბეჭდა რომში. არსებობს ამ ნაშრომის 30 გამოცემა. მასში ავტორი ეხება მედიცინის ზოგად თეორიას, ანატომიას, ფიზიოლოგიას, ქირურგიას, დიაგნოსტიკას, მწვავე და ქრონიკული დაავადებების განვითარებასა და მათ მკურნალობას, პროფილაქტიკას, სამკურნალო მცენარეების მოშენებასა და ფიზიოლოგიას. დაავადებების განვითარებაში განსაკუთრებულ როლს ანიჭებდა გარემო პირობებს. მან წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ გადაძებ სნეულებებს რალაც უჩინარი ორგანიზმები იწვევენ და დაავადებები ჰაერისა და წყლის საშუალებებით ვრცელდება; ზუსტად აღწერა მრავალი დაავადება; დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჰიგიენას და კვების რეჟიმს. შექმნა ახალი ფარმაცია. მის ფარმაცოპიაში შეტანილია ხალხური, განსაკუთრებით ჩინური მედიცინის მრავალი საშუალება. მან აღწერა წამლის ისეთი ფორმები, როგორიცაა ნახარში, აბი, მაღამო და პირველმა მოითხოვა გამოეცადათ წამლის მოქმედება ავადმყოფ ცხოველებზე. ამ კანონების ორი ტომი (მე-2 და მე-5) მთლიანად ეძღვნება ფარმაციას. მისი წიგნი “სამკურნალო მეცნიერების კანონი”, რომელიც ევროპაში ისეთივე პოპულარობით სარგებლობდა როგორც დიოსკორიდისა და გალენის თხზულებები,

თარგმნილია ლათინურსა და მრავალ სხვა ენებზე.

არაბებმა დააფუძნეს საავადმყოფოები ინდური ნიბუშების მიხედვით და გახსნეს პირველი დამოუკიდებელი აფთიაქები. არაბებს ფართო საერთაშორისო კავშირები ჰქონდათ. მათ ქარავნებსა და ხომალდებს ბალდაში სხვა მრავალ საქონელთან ერთად ჩამოჰქონდათ სამკურნალო მცენარეებიც. მაგ.; შუა აზიის დაშორებული რაიონებიდან ლებულობდნენ აბზინდას, ხოლო ირანის უდაბნოებიდან საკპინაჯის (*Ferula asafetida* L.) ფისს. ინდოეთში ხდებოდა ექიმების სპეციალური მივლინება ინდური საშუალებების გაცნობის მიზნით. მათ შორის უფრო მეტად ცნობილია აბუ-მანზურ-მუჟაფაკი, რომელმაც 977 წელს გამოსცა წიგნი ფარმაკოგნოზიაზე, სადაც მითითებულია 466 მცენარე და 44 ცხოველური წარმოშობის საშუალება. ინდოეთიდან არაბების მიერ იმპორტირებულ იქნა *Semen Strychni, Fructus Cubebae* და სხვ.

იმ დროს, როდესაც არაბებს მჭიდრო კავშირი ჰქონდათ დამყარებული ინდოეთთან, სიშორის გამო ჩინეთთან სავაჭრო ურთიერთობები გართულებული იყო. ჯერ კიდევ რომაელების ბატონობის დროს სირიაში ჩინური აბრეშუმის გარდა ჩამოჰქონდათ მიხაკ-ღარიჩინი, რეკანდი, სანდალოზი და სხვა მნიშვნელოვანი საშუალებები. არაბი ვაჭრები იშვიათად, მაგრამ მაინც აღწევდნენ ჩინეთს; ურთიერთობა გაუმჯობესდა XIII ს-ში ჩინგიზ-ხანის მონგოლი მემკვიდრეების დროს, რამაც სხვებთან ერთად საშუალება მისცა იტალიელ მოგზაურს მარკო პოლოს მოენახულებინა ჩინეთი და გაეცნო ევროპისათვის იქ წარმოებული უმთავრესი საქონელი, მათ შორის მნიშვნელოვანი წამლებიც. თუმცა, როგორც ევროპული, ასევე შუა საუკუნეების არაბული მედიცინა ჩინური საშუალებებიდან მცირედით იყო წარმოდგენილი.

მცენარეული, ცხოველური თუ მინერალური წარმოშობის მნიშვნელოვანი რაოდენობის (1000-ზე მეტი) სამკურნალო საშუალებებზე მიუთითებს თავის თხზულებაში უდიდესი არაბი ფარმაკოგნოსტი იბნ-ულ-ბათარი (XIII ს.), ანდალუზიის მკვიდრი. სამკურნალო საშუალებებზე ცნობების შეგროვების მიზნით მან მრავალწლიანი მოგზაურობები ჩაატარა ესპანეთიდან აფრიკის ჩრდ. საზღვარზე, ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში. მისი თხზულებები თარგმნილია გერმანულ ენაზე.

არაბული ფარმაკოგნოზია სახელწოდებით “კარაბადინი” გამოცემულ

იქნა XIII ს-ში. დღემდე “კარაბადინის” მრავალრიცხოვან ხელნაწერებს ნახულობენ მიმდებარე მთელ რიგ ქვეყნებში. უფრო გვიანი წარმოშობისაა ფარმაკოპეა “ტოფატ-ულ-მოვშინი”, გამოცემულია 1669 წელს და მოქმედებს ირანსა და მეზობელ ქვეყნებში. არაბულ ქვეყნებში მკურნალობა არაბული მედიცინის საშუალებებით დღესაც მიმდინარეობს. არაბულ მედიცინაზე არსებული ლიტერატურა მდიდარია და მრავალ ენაზეა თარგმნილი.

XII ს-დან არაბული მედიცინა იჭრება დას. ევროპაში ესპანეთისა და სიცილიის გზით. ევროპაში საავადმყოფოებისა და აფთიაქების ორგანიზება არაბული ნიმუშების მსგავსად წარმოებდა. ლათინურ ენაზე ითარგმნებოდა არაბული სამედიცინო წიგნები, მათ შორის ძველი ბერძნული თხზულებების არაბული თარგმანები. არაბ ვაჭრებს ევროპაში შეჰქონდათ აღმ. არაბეთის ასორტიმენტის სამკურნალო ნედლეული. ამავდროულად ევროპელი ექიმები იყენებდნენ ადგილობრივი ჩრდილოეთის ფლორის მრავალ სამკურნალო მცენარეს. ბუკდვის ხელოვნების წარმოქმნასთან ერთად ევროპაში იბეჭდება სამკურნალო ცნობარები ლათინურ ენაზე – Hortus Sanitatis, Hortus Amoenus და სხვ.

მედიცინისა და ფარმაციის ისტორიაში დიდი როლი მიუძღვის სალერნოს სამედიცინო სკოლას, რომის იმპერიის ამ სააგარაკო ქალაქში IX ს-ში ჩამოყალიბდა ექიმთა კორპორაცია, მთელს ევროპაში ერთადერთი სამკურნალო ცენტრი, რომელსაც ფრიდრიხ ბარბაროსის ჟამს უფლება ჰქონდა გაეცა ექიმის დიპლომი. XII ს-ის შუა პერიოდში სალერნოს სკოლაში შეიქმნა პირველი ევროპული ფარმაკოპეა. აქ დაწერილ შრომებს შორის ყველაზე ცნობილია არნოლდ ვილანოველის “სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი” - (“აფორიზმები”), რომელიც პირველად 1480 წელს დაიბეჭდა, 1504 წელს კი გამოიცა მისი თხზულებების სრული კრებული (Opera omnia), სადაც შესულია 65 ტრაქტატი, რომელიც შემდგომ წლებში 300-ჯერ იქნა გამოცემული.

მნიშვნელოვანია ლ. ფუქსის მიერ (1542) შედგენილი გერმანული ბალახების ცნობარი, სადაც აღწერილია და ილუსტრირებული მშვენიერი ნახატებით (გრავიურები ხეზე) ადგილობრივი სამკურნალო მცენარეები.

ევროპაში სამკურნალო საშუალებების ასორტიმენტის შევსება წარმოებს ამერიკის აღმოჩენის შემდეგ. ამ ქვეყნიდან, რომელიც ხასიათდება სრულიად განსხვავებული და უმდიდრესი ფლორით, დაიწყო ახალი მცენარეული ობიექტების შემოზიდვა, მაგ.: ქინაქინის ქერქის, კაუჩუკის, კოკას, კაკაოს, თამბაქოს, სარსაპარილისა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი საშუალებების, რომლებიც წარმატებით გამოიყენებოდა აბორიგენი მოსახლეობის – ინდიელების მიერ.

XIX ს-ში ახალი სატრანსპორტო საშუალებების (რკინიგზა, გემები) გამოგონების შემდეგ აღინიშნება საერთაშორისო ვაჭრობის დიდი გაქანება, რაც სამკურნალო საშუალებებსაც შეეხო. ევროპაში სხვადასხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ იქნა ნაირგვაროვანი და მრავალრიცხოვანი ობიექტები, ევროპულ ფარმაცოპეაში შექპონდათ უფრო და უფრო მეტი უცხოური ნედლეული. ამ ეპოქისათვის მნიშვნელოვანია 1898 წელს გ. დრაგენდორფის (რუსეთში ტარტუს უნივერსიტეტის ფარმაციის პროფესორი) მიერ გამოქვეყნებული წიგნი, რომელიც მოიცავს “სხვადასხვა ეპოქის ყველა ქვეყნისა და ხალხის სამკურნალო მცენარეებს”, რომელთა რიცხვი 12000 სახეობას აღემატება. თუმცა მეცნიერული მედიცინის მიერ შესწავლილია და ათვისებული მცენარეთა მცირე რაოდენობა და ევროპული ქვეყნებისა და აშშ –ის მედიცინის ასორტიმენტი შეადგენს არა უმეტეს 900 ობიექტს. დანარჩენი მცენარეები მიეკუთვნება სხვადასხვა ხალხის ხალხურ და ტრადიციულ ეროვნულ მედიცინას. ევროპელები ტროპიკული აფრიკისა და ავსტრალიის ფლორის სამკურნალო მცენარეებს მოგვიანებით გაეცვნენ (XIX ს.). ევროპულ ფარმაცოგნოზიაში ავსტრალიიდან აღებულია მაგ., ევკალიპტები, კაიანუსის ზეთი, ძაღლყურძენა, ტროპიკული და სამხრეთ აფრიკიდან – სტროფანტი, ხე კოლას ნაყოფები, არწივის ხის მარცვალი, სხვადასხვა ფისები.

რუსეთში ხალხი ბალახებით ოდიოგანვე მკურნალობდა. ამ მხრივ დიდი გამოცდილება იყო დაგროვილი ექიმბაშების მიერ, მაგრამ მონაცემების ჩაწერა არ ხდებოდა. IX-X საუკუნეებში მყარდება ურთიერთობები კიევის რუსეთთან და ბიზანტიასთან, საიდანაც იწვევდნენ ბერძენ ექიმებს; მედიცინაში ყალიბდება ბერძნულ – სლავური მიმართულება, რომელიც XVI ს-მდე არსებობდა. თუმცა თათრების შემოსევამ კარგა ხნით შეაჩერა ქვეყნის კულტურული

განვითარება. XVI ს-ში თათრების უღლის გადაადების შემდეგ რუსეთმა დაიწყო ურთიერთობები დასავლეთ ევროპულ ქვეყნებთან, დაიწყო ევროპელი ექიმების მოწვევა. მოსკოვში მეფე ივანე IV-ის დროს (XV ს.) გაიხსნა პირველი აფთიაქი, რომელიც მოწვობილი იყო დას. ევროპული ნიმუშების მსგავსად. დას. ევროპიდან შემოჰქონდათ სამკურნალო ნედლეული, რომელიც ამავდროულად არაბული მედიცინის მრავალ საშუალებას მოიცავდა. რიგი ლათინური და ევროპული წიგნები სამკურნალო მცენარეებზე ითარგმნებოდა რუსულად. შემდგომში რუსული და დასავლეთ ევროპული სამეცნიერო მედიცინა ერთობლივად ვითარდებოდა (Машковский, 1967; Муравьева, Гаммерман, 1974; Муравьева, 1978; Ладынина, Морозова, 1987; [ru.wikipedia.org/wiki/ Фармакогнозия](http://ru.wikipedia.org/wiki/Фармакогнозия); [www.medicflower.ru /history.htm](http://www.medicflower.ru/history.htm); [pharmakognoz.ru /Obschaya-farmakognozya/](http://pharmakognoz.ru /Obschaya-farmakognozya/)).

საქართველო სამკურნალო მცენარეთა შესწავლისა და წამალთმცოდნეობის თვალსაზრისით უძველესი ქვეყანაა. ხალხური ფარმაკოლოგიისა და წამალთმცოდნეობის მდიდარი ტრადიციები ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. ეს ტრადიციები თაობიდან თაობაში გადადიოდა, საუკუნეებით გრძელდებოდა და დღესაც მრავალი სამკურნალო საშუალება და მისი გამოყენების ხერხი მიღებულია და ცნობილი.

საქართველოში თემური და ანტიკური პერიოდის მედიცინის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა ბერძენ და რომაელ ავტორთა ცნობები, ქართული მითოლოგიური ეპოსი, არქეოლოგიური გათხრები და ეთნოგრაფიული კვლევის მასალები, ძველი ქართული სამედიცინო წყაროები.

საქართველოს სამკურნალო მცენარეების გამოყენების ისტორიისათვის მნიშვნელოვანია თქმულება არგონავტების შესახებ, დიდი ლიტერატურულ-მეცნიერული ძეგლი ალექსანდრიელი მგოსნის აპოლონიოს როდოსელის პოემა “არგონავტიკა”, რომლის სრული პოეტური თარგმანი მისი დაწერიდან დაახლოებით 2300 წლის შემდეგ გამოქვეყნდა. ნაწარმოების სქოლიოებში დაცული მითითებებით ირკვევა, რომ ავტორმა მუშაობისას მრავალი წყარო გამოიყენა. დამოწმებულია ელინური და ელინისტური პერიოდები, აპოლონიოსის

წინამორბედი და თანამედროვე ავტორები, კერძოდ: ჰომეროსი, ჰესიოდე, პინდარე, ესქილე, სოფოკლე, პელანიკე, ჰეროდორე, ჰეროდოტე, ფერეკლი, ანტიმაქე, ასკლეპიადე, ევრიპიდე და მრავალი სხვა. არგონავტების ექსპედიციის ხანად ახ.წ. აღ.-მდე 1263-1257 ან 1189-1180 წლებს მოიაზრებენ (Эристави, Гелбахиანი и др., 1964). თქმულება მიუთითებს ძველ კოლხეთში სამკურნალო მცენარეების ხელოვნურად გაშენების ფაქტზეც და საერთოდ ჩვენში უხსოვარი დროიდან მცენარის სამკურნალოწამლად გამოყენებაზე. აპოლონიოსის თანახმად, კოლხეთში – არესის ველზე, არესის ქალაქში არსებობდა ჰეკატეს სამკურნალო მცენარეთა ბაღი, სადაც გაშენებული უნდა ყოფილიყო 40-მდე სახეობის მცენარე. მიიჩნევენ, რომ ეს იყო იმ დროისათვის ყველაზე მრავალფეროვანი და ფლორისტულად მდიდარი, ფაქტიურად პირველი ბოტანიკური ბაღი მსოფლიოში (არგონავტიკა, 1975).

ბაღში არსებულ მცენარეთა შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის “ორფიკული არგონავტიკის” უცნობი ავტორიც (ახ.წ. III-IV სს-ის მიჯნაზე შეთხზული ნაწარმოები, 1976). სწორედ ამ ნაწარმოებზე დაყრდნობით, XVIII საუკუნის გამოჩენილი მოღვაწე, მსოფლიო მედიცინის ისტორიის მკვლევარი და სისტემატიკოსი კურტ შპრენგელი თავის 5 ტომიან შრომაში, რომელშიც იგი მსოფლიოს მედიცინის ისტორიას “უძველესი კოლხური მედიცინის” გადმოცემით იწყებს, ასახელებს მედეას სამკურნალო მცენარეთა ბაღში მოზარდ 40 სახეობის მცენარეს. ამავე ავტორის მიერ მედეას ბაღში მითითებულ მცენარეებს იმის განმარტებაც ახლავს, თუ რისთვის იყენებდა მედეა მათ (მ. შენგელია, 1973; სალუქვაძე, 1987; სურმანიძე, 1991). იმ პერიოდში უკვე ცნობილი იყო სამკურნალო მცენარეთა ისეთი ფარმაკოლოგიური თვისებები, როგორცაა კოაგულაცია და ანტიკოაგულაცია; ნარკოტიკული, სედატური, ანალგეტიკური, მომაკვდინებელი და შხამსაწინააღმდეგო საშუალებათა მომზადების ხელოვნება, რომელსაც იყენებდა პონტოს მეფე მითრიდატე VI ევპატორიელი; წარმატებით გამოიყენებოდა წნევისა და სიცხის დამწევი, ოფლმდენი, ხველების საწინააღმდეგო და სხვადასხვა კარდიოლოგიური საშუალებები (წუწუნავა, 1959; 1966; ჯიჯეიშვილი, 1974; სალუქვაძე, 1987).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ ანტიკური ხანის მოღვაწე დიოსკორიდე შხამიან მცენარეებს “კოლხიკონს” უწოდებს, რაც გვაფიქრებინებს,

რომ ძველ ბერძნებს ამ მცენარეთა სამშობლოდ კოლხეთი მიჩნდათ (წუწუნავა, 1966).

საქართველოში ფეოდალიზმის ჩასახვის პერიოდის (IV-V სს.) ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში მოიპოვება ცნობები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელი ხდება იმ დროინდელი მედიცინის დონის განსაზღვრა. ხანძთის სავანეში (VIII-IX სს.) დიდ სამედიცინო – საექიმო პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდა გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფე ეპიფანე. სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებით ისინი მკურნალობდნენ ავზნეს, დამბლას და სხვ.

ათონის ივერთა მონასტერში, შემდგომ ვარძიაში, გელათსა და იყალთოს აკადემიაში, რომლებიც უძაღლესი სამედიცინო განათლების კერებს წარმოადგენდა, ფართოდ მისდევდნენ სამკურნალო მცენარეთა მოშენება-გამრავლებას (ფიცხელაური, 1982).

ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებზე ხშირად გვხვდება სამკურნალო მცენარეების მოხატულობა. ასე მაგ., V-VI სს. კლდეებში ნაკვეთ ქალაქ დავით გარეჯის კომპლექსში კლდეებზე გამოსახულია სხვადასხვა მცენარე, კერძოდ: ბროწეული, მრავალძარღვა, ნიახური და სხვ.; დაფნა, ზეთისხილი, ტიტა, ყაყაჩო და სხვა მცენარეებია მოხატული სვეტიცხოვლის (XI ს.) დასავლეთ კედელზე.

ქართული ხუროთმოძღვრული საეკლესიო ძეგლების (ყინწვისი, ტიმოთესუბანი, გელათი და სხვ.) კედლებზე გამოსახულია ისეთი მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეები, როგორებიცაა: შმაგა, ავშანი, აბზინდა, უცუნა, მუსა, ია, ვაზის მტევანი და სხვ. (სალუქვაძე, 1981; შენგელია, 1983).

ქართველი ხალხის მიერ მცენარეთა სამკურნალოდ გამოყენება ასახულია ძველ ქართულ სამედიცინო წყაროებში. ამ მხრივ საინტერესოა ის ძველი ქართული სამედიცინო წერილობითი ძეგლები, რომლებიც ჩვენს დროში უკვე რამდენჯერმე გამოიცა. საქართველოში უძველესი ხელნაწერი – ქანანელის „უსწორო კარაბადინი“ XI საუკუნეს მიეკუთვნება, XII ს-ის დასაწყისითაა დათარიღებული უნიკალური „წიგნი სააქიმოი“, რომელიც სასულიერო პიროვნების ანტონ ჭყონდიდელის დავალებითა და ინიციატივით გადმოუქართულებია ზოჯა-ყოფილს. XV ს. მიეკუთვნება ზაზა ფანასკერტელ – ციციშვილის „სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“, რომელშიც მოცემულია ცნობები დიაგნოსტიკის შინაგან სნეულებათა



და სხვადასხვა დაავადების ეთიოლოგიის, პედიატრიის, ემბრიოლოგიის, უროლოგიის, პროქტეოლოგიის, ოტოლარინგოლოგიის, ნევროპათოლოგიის, დერმატოლოგიის, ინფექციურ დაავადებათა პროფილაქტიკის, თერაპიის, ქირურგიის, ონკოლოგიის, ფარმაკოგნოზის, ფარმაკევტული ქიმიის, კოსმეტოლოგიის შესახებ. წიგნში მოცემულია „კაცთა ყველა ჭირის“ და „თავით თმითგან“ ვიდრე ფეხისა ფრჩხილამდი სამკურნალო რეკომენდაციები. აღნიშნული წიგნი ძველი სამედიცინო ხელნაწერებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია. იგი გახლავთ შუა საუკუნეების ორიგინალური კონსტრუქციის უნიკალური ფარმაკოპეა (სალუქვაძე, 1987).

ხოლო დავით ლუარსაბის ძე ბაგრატიონის წიგნი „იადიგარ დაუდი“ XVI ს-ში სამკურნალო წიგნის, კარაბადინისა და ფარმაკოპეის შერწყმის უნიკალური ნიმუშია. ძველ საქართველოში ხმარებულ სამკურნალო მცენარეთა სახელების დასადგენად ფასდაუდებელ წყაროს წარმოადგენს სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონა“, რ. ერისთავის „მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი მცენარეთა და ცხოველთა და ლითონთა სამეფოებიდან“. მეტად საინტერესოა იოანე და თეიმურაზ ბაგრატიონების მიერ შედგენილი ხელნაწერი ლექსიკონები, სადაც მრავალი მცენარის ძველი ქართული და ლათინური, ზოგჯერ რუსული და სხვა სახელწოდებებია მოცემული. იოანე ბაგრატიონი მკურნალი ექიმი და ბუნებისმეტყველი იყო. ცხადია, იგი დაინტერესებული უნდა ყოფილიყო და კარგადაც იცნობდა როგორც ქართულ, ისე სხვა ქვეყნებიდან შემოტანილ სამკურნალო მცენარეებს.

მრავალი სამედიცინო ხასიათის ხელნაწერია დაცული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერების ინსტიტუტის სხვადასხვა ფონდში, რომლებიც სათანადო შესწავლასა და დამუშავებას საჭიროებს.

ქართული მედიცინის ზემოთ ჩამოთვლილი კლასიკური ნაწარმოებები უკვე გასცდა ეროვნულ ჩარჩოებს და მსოფლიო სამედიცინო ლიტერატურის საგანძურში შევიდა როგორც შუა საუკუნეების მედიცინის უძვირფასესი ნიმუშები.

სამედიცინო ლიტერატურის მასიური ბეჭდვის დაწყებამდე ასეთი ვრცელი წერილობითი ძეგლების რიცხვი უკიდურესად შეზღუდული და მკურნალისათვის თითქმის მიუწვდომელი იყო. ამიტომ დიდი

მასშტაბი მიიღო გადამწერლობითმა საქმიანობამ. საქართველოს ყველა კუთხე-კუნჭულში გამოჩნდა სამკურნალო ხელნაწერების ვარიანტები, “მცირე კარაბადინები”, რომლებიც დროთა განმავლობაში ივსებოდა მკურნალთა და ავტორ-გადამწერთა საკუთარი ცოდნით, ცალკეული ეთნიკური ჯგუფის მოსახლეობაში საუკუნეების მანძილზე დაგროვილი ემპირიული გამოცდილებით. ქართული კარაბადინების გაცნობით ირკვევა, რომ ძველ საქართველოში 1000-ზე მეტი სახეობის, მრავალი ბოტანიკური ოჯახის მცენარე გამოიყენებოდა სამკურნალოდ, უფრო მეტად კი გვხვდება რთულყვავილოვნების, ჯვაროსნების, პარკოსნების, ქოლგოსნების, მარცვლოვნების, ვარდისებრთა, შროშანივებრთა ოჯახების წარმომადგენლები (Яшвили, 1904; Ролловъ, 1908; წუწუნავა, 1959; 1966; მ.შენგელია, 1970; ზ.შენგელია, 1983).

ფარმაკოგნოზიის ისტორიის შეწავლა აჩვენებს, რამდენად დიდი როლდენობის სამკურნალო მცენარე აქვთ გამოვლენილი სხვადასხვა ხალხებს და რამდენად მცირეს იყენებს თანამედროვე მეცნიერული ევროპული საერთაშორისო მედიცინა. მათი წარმომადგენლები ჩვეულებრივ ნაკლებ ინტერესს იჩენენ ნაციონალური სამკურნალო საშუალებების მიმართ იმის გამო, რომ ისინი ნაკლებადაა შესწავლილი.

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სამკურნალო მცენარეები, როგორც ნედლეული და უპირველესად მათგან გამოყოფილი აქტიური ნივთიერებები, იყვენენ, არიან და მუდამ იქნებიან ექიმების მნიშვნელოვანი დამხმარეები, რის გარანტიასაც წარმოადგენს მედიცინისა და ბიოლოგიური მეცნიერების შემდგომი განვითარება.

## ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ძირითადი ადგილსამყოფლები

წინამდებარე ცნობარში განხილული სახეობების უმრავლესობა ტროპიკული ტენიანი ტყეების ბინადარია.

ამ ტყეებს ზოგჯერ უწოდებენ “დედამიწის ძვირფასეულობას” და “მსოფლიოს ყველაზე დიდ აფთიაქს”, ვინაიდან სწორედ აქ იქნა აღმოჩენილი დიდი რაოდენობის ბუნებრივი სამედიცინო საშუალებები. მათ “დედამიწის ფილტვების” სახელითაც მოიხსენიებენ.

ტენიანი ტროპიკული ტყეები, გავრცელებულია ეკვატორულ, სუბეკვატორულ და ტროპიკულ სარტყლებში ჩ. გ. 25<sup>0</sup> და ს. გ. 30<sup>0</sup> -ზე. ამერიკაში წარმოდგენილია – მექსიკაში, მექსიკის ყურის სანაპიროზე, ფლორიდის სამხრეთით, იუკატანის ნახევარკუნძულზე, ცენტრალური ამერიკის დიდ ნაწილზე, ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე, სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილში, მდ. ამაზონის აუზში, ბრაზილიის ატლანტისპირა რაიონებში; აფრიკაში იზრდება უმთავრესად მდ. კონგოს აუზში და მადაგასკარის კუნძულზე; აზიაში მეტწილად ინდოეთის სამხრეთით, კუნძულ ცეილონზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მრავალ რაიონში, მიანმასა და სამხრეთ ჩინეთში, მიემართება აღმოსავლეთამდე შტატ კვისლენდში – ავსტრალია, მოიცავს ინდონეზიის კუნძულებსა და ახალ გვინეას; იზრდება წყნარი ოკეანის კუნძულებზე.

ტენიანი ტროპიკული ტყეები დიდი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა, აქ წარმოდგენილი მერქნოვანი ხეები 4-5 იარუსისგან შედგება, თითოეული მათგანი ხასიათდება საკუთარი თავისებურებებით, გააჩნია განსხვავებული ფლორა და ფაუნა.



### *ტროპიკული ტყეები – სამხრეთ ამერიკა*

ყველაზე ზედა იარუსი შედგება არც თუ დიდი რაოდენობის ძალიან მაღალი ხეებისგან, რომლებიც ტყის ღონეზე მაღალია, აღწევს 45-55 მ სიმაღლეს (იშვიათად 60-70 მ). უფრო სშირად მარადმწვანეა, მაგრამ ზოგიერთ მათგანს წლის მშრალ პერიოდში ფოთლები ცვივა, ასეთი ხეები უძლებს მკაცრ ტემპერატურასა და ძლიერ ქარებს, ფორმით გუმბათისებრ-ქოლგისებრია, ღებულობს მზის სინათლის მაქსიმალურ რაოდენობას და აღწევს ტროპიკული ტყეების უმაღლეს ღონეს; აქ ბინადრობს სხვადასხვა სახის ფრინველები და ცხოველები – არწივები, მაიმუნები, ღამურები, პეპლები და სხვ.

მეორე იარუსს, ტყის ღონეს (ვარჯის ღონე) წარმოქმნის ჩვეულებრივ 35-45 მ სიმაღლის ხეების დიდი რაოდენობა. ესაა ყველაზე მკვრივი ფენა, რომელიც მთელ მსოფლიოში ცნობილია ბიომრავალფეროვნებით. ხეები ერთმანეთთან მჭიდროდაა

განწყობილი, ღეროების ზედა ნაწილი დატოტვილია, ყვავილები მეტწილად დიდი ზომისა და მუქი ფერისაა, ფრიად დეკორატიული, ახასიათებთ გართხმული საყრდენი ფცრისებრი – ფესვები, რომლებიც ხელს უწყობს მათ მდგრადობას; დიდი ზომის ფოთლების ფირფიტები (მეგაფილია) ტყავისებრია, ხეშეში, შიშველი და პრიალა. ამ ფორმაციისთვის დამახასიათებელია უამრავი სახეობის ლიანები, რომელთა შორის აღსანიშნავია პალმა როტანგია, 300 მ-მდე სიგრძის ღეროებით; ღეროებზე, ტოტებზე და ფოთლებზე მრავლადაა დასახლებული ეპიფიტები და ეპიფილები, მათ შორის გამორჩეულია ვადვარისებრთა და ბრომელიასებრთა ოჯახის წარმომადგენლები. ზოგიერთი აღრიცხვით ამ იარუსის მცენარეები შეადგენს მთელი პლანეტის სახეობების ორ მესამედზე მეტს, მათ შორის მცენარეთა უმრავლესობა ენდემურია; ამავე დროს მკვლევარები მიიჩნევენ, რომ აქ მცხოვრებ მცენარეებისა თუ ცხოველების მილიონამდე სახეობა ჯერ კიდევ აუღწერავია.



*კახურანგის ტროპიკული ეროვნული პარკი (ახალი ზელანდია)*



*ბრაზილიის ტროპიკული ტყეები*



ტყის ამ იარუსის ნამდვილი მეცნიერული გამოკვლევები დაიწყო მხოლოდ გასული საუკუნის 80-იან წლებში, სპეციალურად შემუშავებული მეთოდებით, რაც გულისხმობს კვლევაში სასროლი ბაგირების, საჰაერო ბურთების, საჰაერო ხომალდებისა და სხვა ატრიბუტების გამოყენებას. ახალი მეცნიერება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ხის წვერებთან მისასვლელი გზების შესაძლებლობა და შესაბამისად აქ მოზარდი ცოცხალი სამყაროს აღრიცხვა ცნობილია დენდრონავტიკის (ინგლ. Dendronautics) სახელით.

ტროპიკული ტყის საშუალო დონე ქვეტყის სახელითაა ცნობილი, ეს არის დაბურული, გაუვალი რთული ფენა, იმყოფება ზედა იარუსის ქვეშ, შედგება 20 მ-მდე სიმაღლისა და დაბალმოზარდი, უხვად დატოტვილი და უხვფოთლიანი მცენარეების რაყებისაგან. აღინიშნება ბუჩქები, მერქნოვანი ლიანები, გვიძრები, სხვადასხვა სახის ბალახები. მზის სხივების შეუღწევადობის გამო ეს ფენა მუდმივად დაჩრდილულია, ნაკლებია ჰაერის მოძრაობა და მუდმივად მაღალია ტენიანობა.

რაც შეეხება ტყის ქვედა მიწისპირა დაფენილ ფენას, ის თავისუფალია მცენარეებისაგან, მაგრამ მეტად მდიდარია მიკროორგანიზმებით, მწერებითა და ცხოველებით. აქ ბინადრობს - გიგანტური ჭიანჭველები, ხოჭოები, ბაყაყები, გველ-ხოკერები და სხვა უამრავი მწერები; აღინიშნება დაცვენილი, ლპობადი მცენარეებისა და ცხოველების ზრწნადი ნაშთები, რომლებიც სწრაფად ქრება თბილი, ნოტიო კლიმატიდან გამომდინარე, რაც ხელს უწყობს მათ დაშლას.

ტენიანი ტროპიკული ტყეების რელიეფისათვის დამახასიათებელია ბრტყელი დაბლობებისა და შედარებით უმნიშვნელო შემაღლებების მორიგეობა; ნიადაგი ყოველთვის ნოტიო და სველია, არც თუ ნოყიერი, ჭარბობს წითელმიწა და ყვითელმიწა ნიადაგები, მდიდარია ალუმინით, რკინის ჟანგებით, ჰიდროქსიდებით, კაოლინიტითა და სხვა მინერალებით.



ტენიან ტროპიკებში იზრდება ხილ-კენკროვანი და სამკურნალო თვალსაზრისით გამორჩეული ისეთი მცენარეები, როგორცაა: კარდამონი, მიხაკის ხე, დარიჩინის ხე, მანგუსტანი, ღურიო, შაქრის ლერწამი, კურკუმა, ვანილი, კაკაოს ან შოკოლადის ხე, მანგო, პაპაია, არაქისი, ბანანი, ჯავზი, ფინიკის პალმა, კოკოსის პალმა, ზეთის პალმა, პურის ხე, რძის ხე, პამიდვრის ხე, პირშუშხას ხე, ქაფურის ხე, ქინაქინის ხე, საპნის ხე, აბუსალათინი, ყავის ხე, საგო, ვარდის ხე, კაუჩუკის ხე, ბანიანი, ოთახის ფიკუსი და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შეუძლებელია.

ტენიანი ტროპიკული ტყეებია სამშობლო იმ უამრავი საოთახო მცენარეებისა, რომლებიც მთელ სოფლიოში ქოთნის კულტურის სახითაა გავრცელებული და მილიონობით ადამიანს სილამაზეს, სიმშვიდესა და სიყვარულს სთავაზობს, კერძოდ: მონსტერა, სპატიფილუმი, სტრომანტა, გვიმრები, ჯადვარები, ანთურიუმი, აკალიფა, ალოკაზია, სელაგინელა, ჟაკარანდა, ფილოდენდრონი, ზებრინა, კალატეა, კალადიუმი, კრინი, ბრომელია, ფრეზია, ჰელიკონია, მარანტა, გლორიოზა, დიფენბახია, სანსევიერა,



გუსმანია, დიპლადენია, ბეკონიები, კოდიეუმი, ეპისცია, კოლერია, კოლუმბეა, ნეპენტესი, ვნების ყვავილი, პახისტახისი, პლექტრანტუსი, სინინგია, კროსანდრა, ნეორეგელია და სხვა მრავალი.

ტენიანი ან “წვიმის ტყეების” ნაირსახეობას წარმოადგენს აგრეთვე მუსონური ტყეები, რომლისთვისაც ნიშანდობლივია ხანგრძლივი მშრალი სეზონი თავსხმა წვიმების მონაცვლეობით; შედგება ფოთლოვანი მცენარეულობისაგან.

ტროპიკულ ლამიან სანაპიროებზე მდინარეთა შესართავებსა და დელტებზე გაბატონებულია მანგროს ტყეები. მას უკავია აზიისა და ავსტრალიის საკმაო ნაწილი, ასევე აფრიკის აღმოსავლეთი ნაპირები; მეტწილად შედგება მარადმწვანე ბუჩქებისაგან და დაბალტანიან ხეებისაგან. მანგრული მცენარეულობა ძირითადად შექმნილია ჰალოფიტებისაგან, მის შემადგენლობაში წამყვან როლს რიზოფორასებრთა ოჯახის წარმომადგენლები ასრულებს.

ზომიერი ტროპიკული ტყეები გავრცელებულია წყნარი ოკეანის ნაპირებზე (ჩრდ. ამერიკაში - ფლორიდაში, სამხრეთ ამერიკაში - ჩილესა და პატაგონიაში), პორტუგალიაში, ახალ ზელანდიაში, კუნძულ მადეირაზე და კანარის კუნძულებზე; მისთვის დამახასიათებელია დიდი რაოდენობის ატმოსფერული ნალექები, შედგება წიწვოვანი და ფართოფოთლოვანი მცენარეულობისაგან. ამ ტყის შემადგენლობაში ნაკლებად მონაწილეობენ ეპიფიტური, ეპიფილური და ლიანასებრი მცენარეები. ფოთლოვნებიდან ტყის შემქმნელი სახეობებია: კეთილშობილი დაფნა, კანარის დაფნა, პერსეა, ქაფურის ხე და სხვ.; წიწვოვნებიდან - ჭაობის კვიპაროზი, მარადმწვანე სექვოია, ტუია, ცუგა და სხვ.

ამჟამად ბუნების ეს საოცარი ქმნილება - ტროპიკული ტყეები - დიდი საფრთხის წინაშე დგას. ადამიანის არაგონივრული, დამლუპველი ქმედება მასაც შეეხო; სხვადასხვა მიზნით (სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის ახალი ფართობების ათვისება, მადარობის მშენებლობა, კომერციული - სამკურნალო, საკვები, საამშენებლო თვალსაზრისით და ა.შ.) წარმოებს ბუნების ამ საოცარი ქმნილების - კატასტროფული განადგურება. სტატისტიკური მონაცემებით ყოველ წელს ტროპიკული ტყის

ფართობის 100000 კმ ნადგურდება (სხვადასხვა მონაცემებით 1945 წლის შემდეგ ამ ტყეების ნახევარია განადგურებული), იმ დროს, როდესაც დედამიწაზე ჟანგბადის 40% -ს ეს ტყეები გამოიმუშავებს და დიდი რაოდენობის ნახშირორჟანგს შთანთქავს; ასევე მნიშვნელოვან როლს ასრულებს ჰაერის ცხელი ფენების გაგრილებაში.

ტენიანი ტროპიკული ტყეები პლანეტის უმთავრესი ეკოსისტემაა, მათი განადგურება იწვევს ნიადაგების ეროზიას, ფლორისა და ფაუნის სახეობების შემცირებას, ეკოლოგიური და სითბური ბალანსების რღვევას დიდ ტერიტორიებსა და შესაბამისად მთელ პლანეტაზე. აქედან გამომდინარე მეცნიერები შიშობენ, რომ ამას შეიძლება მოჰყვეს ჟანგბადისა და ნახშირორჟანგის ბალანსის დარღვევა, რაც დედამიწაზე კლიმატის შეცვლას გამოიწვევს. ([ru.wikipedia.org/wiki/тропический лес](http://ru.wikipedia.org/wiki/тропический_лес); [www.junior.ru](http://www.junior.ru); [www.geo-site.ru/pastения](http://www.geo-site.ru/pastения); [zhuravlev.molo.ru /geography/](http://zhuravlev.molo.ru/geography/)).

ცნობარში ტროპიკულ მცენარეებთან ერთად განხილულია აგრეთვე მთელი რიგი სუბტროპიკული მცენარეები. სუბტროპიკები – დედამიწის კლიმატური სარტყელია, განლაგებულია ეკვატორის ტროპიკულ და ზომიერ სარტყლებს შორის, დაახლოებით 30<sup>0</sup> - სა და 45<sup>0</sup> - სს შორის ჩრდილოეთსა და სამხრეთ განედებზე. ამ რეგიონებში, როგორც წესი შეიმჩნევა ტროპიკული ზაფხული და არატროპიკული ზამთარი. აქ მზის რადიაცია ტროპიკულის - 0,8 –ს შეადგენს. თუ ტროპიკულ სარტყელში კლიმატური პირობები იმის საშუალებას იძლევა, რომ მცენარემ მთელი წლის განმავლობაში თითქმის ერთნაირად აწარმოოს კვებულება, სუბტროპიკულში უკვე ერთიმეორისაგან განსხვავებული სავივებულებით პერიოდი – ზაფხულის საშუალო თვიური ტემპერატურა 23<sup>0</sup> C - ზე მაღალია, ზამთრის 3<sup>0</sup> C – დან დაწყებული და უფრო მაღალი, პოლარული ჰაერის შეჭრის შედეგად შესაძლებელია ყინვები -1 დან -5<sup>0</sup> C – მდე და უფრო მეტიც. სუბტროპიკული ხმელეთის საზღვრებში ატმოსფერული ნალექების რაოდენობა და მათი რეჟიმი მნიშვნელოვნად განსხვავებულია ოკეანისპირა და მატერიკის შიდა რაიონებში, რაც

განსაზღვრავს ლანდშაფტურ ნაირგვარობას ბუნებრივი ზონების ფორმირებაში.

სუბტროპიკებში ცალკეულ მატერიკებზე მკვეთრად განასხვავებენ სამ ძირითად სექტორს: კონტინენტის დასავლეთ სანაპიროების სუბტროპიკულს ან ხმელთაშუაზღვისპირეთის კლიმატს, ზამთრის ტენიანობით; კონტინენტალურ კლიმატს, მცირე ტენიანობით წლის განმავლობაში და კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროების ან მუსონურ კლიმატს, ზაფხულის უხვი ტენიანობით.



*ტენიანი სუბტროპიკები – ბათუმის ბოტანიკური ბაღი*

დასავლეთ ოკეანისპირა სექტორში – ნახევრადმშრალი სუბტროპიკები – წარმოდგენილია ხმელთაშუაზღვისპირეთის ხეშეშფოთლიანი ტყეებისა და ბუჩქნარების სარტყლით; ჩრდილოეთ ნახევარსფეროში ეს სარტყელი სამხრეთ-აღმოსავლეთით იცვლება სუბტროპიკული სტეპებით, რომელიც თავის მხრივ გადადის აღმოსავლეთში სუბტროპიკულ ნახევრადუდაბნოს ზოლში და კონტინენტალური სექტორის უდაბნოებში – მშრალი

სუბტროპიკები. სამხრეთ ნახევარსფეროში – კონტინენტალურ სექტორში სუბტროპიკებისათვის დამახასიათებელია სუბტროპიკული სტეპები, ხოლო აღმოსავლეთ სექტორში – ტენიანი სუბტროპიკები მარადმწვანე მცენარეების სიჭარბით, უფრო მაღალ განედზე ზაფხულმწვანე ფართოფოთლოვანი ტყის ფორმაციები მარადმწვანე სახეობების მონაწილეობით. საქართველოში ტენიან სუბტროპიკებს უკავია დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ცენტრალური და სამხრეთ ნაწილი, კოლხეთის დაბლობი; მშრალი სუბტროპიკები აღმ. საქართველოში - ალაზნის ველზეა წარმოდგენილი (ხარებავა, 1951).

ტენიან სუბტროპიკებში მოზარდი მცენარეებიდან მნიშვნელოვანია: ავოკადო, ევკალიპტი, ლიმონი, ფორთოხალი, გრეიფრუტი, ბერგამოტი, მანდარინი, ციტრონი, კინკანი, ფეიხოა, კამელია, იაპონური ხურმა, იაპონური ზღმარტლი, იაპონური აუკუბა, იაპონური ჭანჭყატი, იაპონური კამელია, იაპონური ცხრატყავა, მაგნოლია, ჩინური ჩაის ბუჩქი, ასპიდისტრა, კლივია, ნანდინა, ფორჩუნის პალმა, ქაფფურის ხე, თირკმლის ჩაი, ნაოჭფოთოლა ძახველი, პახისანდრა, ოფიოპოგონი, ვნების ყვავილი და მრავალი სხვ.

მშრალი სუბტროპიკების მცენარეებიდან აღსანიშნავია: ოლეანდრე, ლელვი, ბროწეული, ნუში, ნაირფოთოლა არაუკარია, ღურანტა, მირტისებრი ევგენია, ზღვის ხახვი, კალისტემონი, ცვილის სურო, ფუქსია, ზეფირანტესი, ნარინჯისფერი კლივია, ევგენოლის რეჰანი, ზეთის ხე, საკმლის ხე, სურნელოვანი ზეთის ხე, სინამაქის ხე, ჩვეულებრივი ხურმა, შპრენგერის სატაცური, პტერიისი და სხვა მრავალი.

## ცნობები ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეებზე

ცნობარი მოიცავს ტროპიკულ და სუბტროპიკულ ტყეებში, ამ უაღრესად სპეციფიურ და მრავალფეროვნებით გამორჩეულ მცენარეულ ფორმაციებში მოზარდ მცენარეების იმ მცირე ნაწილს (274 სახეობა), რომელიც მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა, ამავდროულად გამოიყენება ოფიცინალურ, ტრადიციულ, ხალხურ მედიცინაში, ხოლო ზოგიერთი მათგანი მსოფლიო ფარმაკოპეიაშია შესული.

ცალკეული მცენარის დახასიათებისას ყურადღება გამახვილებულია მორფოლოგიურ ნიშან-თვისებებზე, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის პერიოდებზე, ბუნებრივი გავრცელებისა და კულტივირების ადგილებზე, მათ სასარგებლო მნიშვნელობაზე, სამკურნალო თვისებებზე, ხალხურ და ოფიცინალურ მედიცინაში გამოყენებაზე.

### აბუსალათინი - *Ricinus communis* L. ოჯ. რბიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მერქნოვანი მომწვანო-იისფერი შეფერილობის, 10-13 მ სიმაღლისა და 30-50 სმ სისქის მცენარეა; სამხრეთ ევროპაში წარმოადგენს 2-3 წლოვან 3-5 მ სიმაღლის ბუჩქს; ზომიერ ქვეყნებში მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი, 2 მ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარე. ღერო დამუხლულია, ღრუ,

დატოვებული. ფოთოლგანლაგება მორიგეობითია, ფოთოლი გრძელეყუნწაა, თათისებრდანაკეთული, 7-9 ნაკეთულებად. ერთბინიანი მცენარეა, ყვავილები ერთსქესიანია, ტოტების ბოლოებსა და ფოთლების უბებში კუმს მტევნებად შეკრებილი; მამრობითი ყვავილები მტევნის ქვედა ნაწილშია თავმოყრილი, მდედრობითი კი ზედა ნაწილში. ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, სფეროსებრი ან წაგრძელებული, ხშირად ხორკლიანი, თითოეულ ბუდეში თითო თესლია, 8-20 მმ სიგრძის, ოვალური, პრიალა, მონაცრისფრო, მოწითალო-მურა ლაქებით, ზოლებითა და წერტილებით, ფორმით და მოხატულობით ტკიპს მოგვაგონებს; აქედანაა მცენარის რუსული სახელწოდება “клевщина”. 1000 თესლის წონა 700- 1000 გ-ია. ყვ. VII –VIII; ნყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ტროპიკული და სუბტროპიკული ქვეყნების კულტურაა. სამშობლოდ მიიჩნევენ ტროპიკულ აფრიკას. ბუნებრივად იზრდება ინდოეთში, ცეილონსა და იავას კუნძულებზე, აფრიკის ტროპიკულ სამხრეთ ნაწილში, მცირე და შუა აზიაში, ავღანეთში. კულტურაში პირველად აფრიკაში იქნა შეტანილი, შემდეგ ინდოეთში, ჩინეთში, კუნძულ ცეილონზე, საიდანაც გავრცელდა ევრაზიასა და სხვა კონტინენტებზე. თესლების წარმოების მსოფლიო ცენტრს ინდოეთი წარმოადგენს. საქართველოში კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი კულტურა დეკორატიულ მებაღეობაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** უძველესი სამკურნალო მცენარეა; სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება თესლები (Semen Ricini), მიგან მიიღება სასაქმებელი ზეთი, რომლის სამკურნალო თვისებებს იცნობდნენ ჯერ კიდევ ძველ ეგვიპტეში, ანტიკურ საბერძნეთსა და რომში. შეიცავს ცილებს, გუმფისს, ფისებს, ეთერზეთებს, ალკალოიდ რიცინს, რიცინინომს, ლიპაზას და სხვ. აბუსალათინის ზეთის ძირითადი კომპონენტია რიცინის მჟავის გლიცერინი, აგრეთვე ოლეინის, ლინოლინისა და სხვა ცხიმოვანი მჟავები.

აღმოსავლეთის ხალხური მედიცინა ზეთს იყენებდა როგორც კონტრაცეპტივის და ანტიდოტს მოწამლვის სხვადასხვა შემთხვევების დროს; ზოგიერთი ექიმბაში კი მიიჩნევდა, რომ

თესლების ნაყენი სიმსივნის საწინააღმდეგო მოქმედებით გამოირჩევა.

აბუსალათინის ზეთი უსაფრთხო სასაქმებელი საშუალებაა; იხმარება ოფთალმოლოგიურ და გინეკოლოგიურ პრაქტიკაშიც; რეკომენდებულია წყლულების, დამწვრობების სამკურნალოდ, კანის დასარბილებლად საცხებისა და ბალზამების სახით. ხელს უწყობს თმის ზრდას.

გამოიყენება საფეიქრო მრეწველობაში საღებავების მისაღებად, ავიაციაში ძრავის გასაპოხად, ტყავების დასარბილებლად, საპნის, პარფიუმერიის, ლაქებისა და მეტალის გადამამუშავებელ წარმოებებში; ღეროსაგან მიიღება უხეში ბოჭკო ბავირების დასამზადებლად.

ზეთი ემულსიის სახით გამოიციმა კაპსულებსა და ფლაკონებში; შედის ვიშნევსკის ბალზამის ლინიმენტის შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება ნაწოლების, წყლულების, დამწვრობის, კანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს; აეროზოლი “კამფომენი” თავის შემადგენლობაში შეიცავს აბუსალათინის ზეთს. უროლოგიაში ხშირად უნიშნავენ ამ ზეთის შემცველ კომპლექსურ პრეპარატს “უროლესანს”.

**უკურგენება:** მცენარის ყველა ნაწილი, განსაკუთრებით თესლი მხამიანია. აბუსალათინის ზეთი უკუმარგენებელია მუცლის აპკისა და მუცლის ღრუს მწვავე ანთებითი დაავადებებისა და ორსულობის პერიოდში.

აბრეშუმის, ტროპიკული ბამბის ან მატყლის ხე –  
**Bombax ceiba L.**  
ოჯ. ბალბისებრნი - Fam. Malvaceae



**მორფოლოგია:** 30 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა. ყვავილობს ფოთლების წარმოქმნამდე. გამოირჩევა საოცრად ლამაზი დიდი ზომის 14-20 სმ დიამეტრის ყვავილებით, კაშკაშა ყვითელი ფერიდან დაწყებული ნარინჯისფერ-წითელ შეფერილობამდე. ყვავილის სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ ერთი ღამეა, რის შემდეგაც ცვივა და მიწაზე წარმოქმნის ნამდვილ ხალიჩას; ყვავილობის დამთავრებისთანავე წარმოიქმნება ფოთლები, შემდეგ ნაყოფები. ნაყოფი ხსნადი კოლოფია, 15 სმ-მდე სიგრძის, მრავალრიცხოვანი თესლითა და თეთრი, რბილი, ფუმფულა ”ბამბით” – აბრეშუმისებრი, პრაქტიკულად წყალში უხსნადი ბოჭკოთი. ყავისფერი თესლი 4-5 მმ სიგრძისაა, გარშემორტყმულია წვრილი აბრეშუმისებრი ბეწვების ბუმბულით, რომელიც ნამდვილი ბამბის ბუჩქიდან განსხვავებით თესლიდან კი არ ვითარდება, არამედ ნაყოფელის კედლებიდან. კოლოფის განსნისას ბეწვები სცილდება მის კედლებს და გამოყოფილი ლორწოს დახმარებით ეწებება თესლებს, რითიც ზრდის მათ ლეტალურ უნარს. თესლი ვრცელდება ქარის საშუალებით. ასაკოვან მცენარეებზე ვითარდება რამდენიმე ასეული ნაყოფი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთის ტროპიკული ტენიანი ტყეებია, ბუნებრივი არეალი ვრცელდება



ინდოეთიდან ჰიმალაიმიდე. დეკორატიული თვისებებიდან გამომდინარე კულტივირებულია სახეობის ბუნებრივი არეალის გარეთ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის მთელი ტერიტორიის სუბტროპიკულ ზონაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბოჭკო მსუბუქია, აბრეშუმისებრი, წყალში მოტივტივე, ელასტიური, ადვილად აალებადი. ხმარობენ ბალიშების დასატენად, რბილი ავეჯის, მაშველი ჟილეტების, რგოლების, რბილი სათამაშოების, ხმისა და სითბოს საიზოლაციო მასალის დასამზადებლად. თესლიდან მიღებულ ცხიმზეთებს იყენებენ საპნის წარმოებაში და სასუქის იდენტურად.

ხასიათდება შემკვრელი და გამაგრილებელი, სისხლშემაჩერებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. ფოთლები და ყვავილები გამოიყენება სახის კრემის დასამზადებლად, ეფექტურია ფერიმჟამელებისა და კანის სხვა გამონაყარების დროს.

**უკუქმედება:** დაუდგენელია.

**აგავა - *Agave americana* L.**  
**ოჯ. აგავასებრნი – Fam. Agavaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მარადმწვანე ბუჩქია 2-3 მ-მდე სიგრძის მძლავრი ფესვთა სისტემით და ფოთლისეული როზეტით. ფოთლების სიგრძე ზოგჯერ 2 მ აღემატება, მრავალრიცხოვანია, ზორცოვანი, ღია ან მუქი მწვანე ფერის, ლანცეტა ან უკუკვერცხისებრი, ბოლო წაწვეტებულია, მთავრდება მახვილი,

მუქი ყავისფერი ეკლით. სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ინვითარებს 2-10 მ - მდე სიგრძის საყვავილე ისარს, პირამიდული ფორმის საგველა ან მჭიდრო თავთავისებრი ყვავილედით, რომელშიც მრავალი მოყვითალო – მწვანე ფერის ყვავილება შეკრებილი. ნაყოფი მომრგვალო წახნაგოვანი კოლოფია, რამდენიმე პრიალა, შავი ფერის თესლით. მცენარეთა სიცოცხლის ხანგრძლივობა 15-20 წელს აღწევს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აგავას წარმოშობის ცენტრად ცენტრალური მექსიკა ითვლება, საიდანაც შემდგომ გავრცელდა სამხრეთ, ცენტრალურ და ჩრდილოეთ ამერიკაში, ვესტინდოეთსა და ბაგამის კუნძულებზე, აფრიკაში, იავაზე, მადაგასკარზე, ფილიპინებზე. აგავა კულტივირებულია ევროპის მთელ რიგ ქვეყნებშიც, სადაც მხოლოდ დეკორატიული მიზნებისათვის გამოიყენება.

საქართველოში აგავას რამდენიმე სახეობა XIX ს-ის მიწურულს იქნა შემოტანილი, შემდეგ მეორედ უფრო ფართო მასშტაბით 1925-27 წლებში ინტროდუცირებული იყო 26 მდე სახეობის მცენარე. ჩვენს პირობებს უკეთ შეეგუა მექსიკის მთიანი რაიონებიდან შემოტანილი ამერიკული აგავა (*Agava americana*), ჭრელფოთოლა (*A. striata*), ბოჭკოვანი (*A. filifera*), *A. atravirens*, *A. applanta*, *A. salviana* და სხვა აგავები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მსოფლიო მნიშვნელობის სართავ კულტურათა შორის მეხუთე ადგილი აგავას ეკუთვნის. იგი ფოთოლ-ბოჭკოვანი ჯგუფის წარმომადგენელია და მსოფლიოში ცნობილ ბოჭკოს “სიზალსა” და “გენეკენს” იძლევა. მის ძირითად მწარმოებლად მექსიკა ითვლება, სახელდობრ: იუკატანის ნახევარკუნძულის შტატები, იუკატანი და კამპეჩე, სადაც 125000 ტ ბოჭკო მზადდება, რაც მსოფლიო წარმოების 54%-ია, შემდეგი ადგილი ეკუთვნის აღმ. აფრიკასა და კუნძულ იავას.

აგავას სამშობლოში ცოცხალ ღობედ იყენებენ, ხოლო მისი როზეტი ყვავილობისას წვენს იძლევა, რომლიდანაც მექსიკაში ამზადებენ შაქარს, ბადაგსა და ალკოჰოლურ სასმელებს (ტეკილა, მესკალი).

ფოთლები შეიცავს ფისებს, ეთერზეთებს, ვიტამინებს (E, K, A, B, D), მინერალურ მარილებს (Fe, Mg, Ca, K, P, Na, Zn, Cu, Se), ნივთიერება ალოინს (ანტივლუკოზიდების ნარევის), რომელიც გასლენჯვისას გარდაიქმნება შაქრად (არაბნოზი), ელუდინს (ტრიოქსიმეტილანტრაქიონს), აგრეთვე ნივთიერებებს – დინორდრინს, ანორდრინს.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება არაუმცირეს სამი წლის ასაკის მცენარის ფოთლები და ახალი წვენი - გარეგანი (ჭრილობების, ჩირქვროვების, ჩირქოვანი მუწუკებისა და სხვ.) და შინაგანი (კუჭის, ღვიძლის, ფილტვებისა და სხვ.) მკურნალობისას. განსაკუთრებით კარგ ეფექტს იძლევა ჩირქვროვების, ფურუნკულების, იშიაზის, რადიკულიტის, რევმატიზმის, დაჟეჟილობის, დაჭიმვის, სარძევე ჯირკვლის დაავადებებისას. შინაგანად (დისპეპსია, რომლის თანმდევიც კუჭის წვა, ძმარვა, ბოყინი და მუცლის გაბერვა) იხმარება ნელლი, დაქუცმაცებული ფოთლების წყლის ნაყენი; ღვიძლის დაავადებებისა და სიყვითლის დროს კი ფხვნილის სახით მიიღება. აგავას ფესვების ნახარშს იყენებენ ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ. ამერიკული აგავას ნელლი ფოთლების წვენი თაფლთან ერთად იხმარება ფილტვების ტუბერკულოზისა და გაჭიანურებული ბრონქიტის დროს.

აგავას პრეპარატები ხასიათდება გაუსნებოვნების, ანთების საწინააღმდეგო, ანტისეპტიკური, ტკივილგამაყუჩებელი, დამამშვიდებელი, სიცხისდამწვევი და ამოსახველებელი მოქმედებით, რის გამოც აქტიურად გამოიყენება რესპირატორული დაავადებებისას; დამამშვიდებელი მოქმედებიდან გამომდინარე იხმარება სხვადასხვა სახის ნევრალგიების დროს; ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის პროცესების გაუმჯობესებას, ნორმალიზდება საკვებმომწოდებელი სისტემის მოქმედება, ახდენს კანის ქსოვილების სწრაფ რეგენერაციას და აუმჯობესებს მეტუქურ ქალებში ლაქტაციას.

აგავას ერთ-ერთი თვისებაა ჩასახვის საწინააღმდეგო მოქმედება. ანორდრინისა და დინორდრინის მაღალი შემცველობა ხელს უწყობს საკვერცხეების აქტიურობის შენელებას, რის გამოც

პრაქტიკულად ჩასახვა შეუძლებელი ხდება.

**უკუჩვენება:** უკუმაჩვენებელია ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის ფუნქციადარღვეულ ავადმყოფთათვის; არ არის რეკომენდებული ფეხმძიმობისას და ჰორმონების დეფიციტით დაავადებულთათვის.

**ავოკადო - *Persea americana* Mill.**  
**ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, 20 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები ოვალურია, წაწვეტებული, მუქი მწვანე, დაფნის სურნელის. ყვავილი თეთრია ან მოყვითალო, მრავალყვავილა საგველა ყვავილედად შეკრებილი, განწყობილია ტოტების ბოლოებზე. ნაყოფი – მსხლისებრი ფორმის მწვანე, მოყვითალო, იისფერი ან თითქმის შავი კურკაა, 2 კგ-მდე წონის. რბილობი მომწვანოა, ქერქი სქელია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკაა. ადგილობრივ კულტურაში ამერიკის აღმონჩენამდე დიდი ხნით ადრეა შეტანილი. სადღეისოდ მრავალ ტროპიკულ ქვეყანაშია კულტივირებული. თუმცა, როგორც სამრეწველო კულტურა გავრცელებულია მხოლოდ აშშ-ში, ცენტრალურ, სამხრეთ ამერიკასა და ავსტრალიაში. საქართველოში კულტივირებულია შავი ზღვის სანაპირო ზოლში, გაგრიდან ბათუმამდე 1904 წლიდან.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ადამიანის ორგანიზმისათვის ყველაზე სასარგებლო ხილია. საკვებად გამოიყენება ნაყოფის რბილობი, რომელიც ნაზი და რბილია, მსუბუქი ნივთიერების გემოთი, ამავე დროს საკმაოდ ნეიტრალური, რის გამოც შესაძლებელია სხვადასხვაგვარი კერძების დამზადება: პასტების, წვნიანების, ჟელეების, სუფლეს, სალათებისა და დესერტების სახით.

შეიცავს (ნელი წონა) 8-30 მგ% ცხიმებს, ცილებსა და ნახშირწყლებს, მრავალ ვიტამინს: კაროტინს - 60-70 მგ%, B<sub>1</sub> - 100 მგ%, B<sub>2</sub> - 170 მგ % , C- 8 მგ % , PP - 1 მგ % , E. მისგან ღებულობენ საკვებ ცხიმს, რომელიც კალორიულობით არ ჩამოუვარდება ძროხისას. კოსმეტიკაში გამოიყენება მკვებავი მალამოების დასამზადებლად.

რბილობის პერიოდულად გამოყენებით შესაძლებელია მეხსიერების გაუმჯობესება და ყურადღების კონცენტრაცია, სისხლში ქოლესტერინის დონის დაწვევა, სისხლძარღვების გამაგრება და რაღაც ხარისხით გულ-სისხლძარღვთა სისტემის მუშაობის სტაბილიზირება; გარდა ამისა დადებითად მოქმედებს მამაკაცის პოტენციაზე, რის გამოც ამ ხილის სალათები რეკომენდებულია იმ პირთათვის, ვისაც უჩნდება პრობლემები სქესობრივი ლტოლვის ნიადაგზე. E ვიტამინის მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, რომელიც ბუნებრივი ანტიოქსიდანტია, ხელს უწყობს უჯრედებში იმ აუცილებელი ფანგბადის დაგროვებას, რომლის წყალობითაც ორგანიზმი სიბერეს მნიშვნელოვნად უძკლავდება. ხილი ასევე წარმატებით გამოიყენება წყლულების, გასტრიტისა და სხვა დაავადებებისას, რომლებიც დაკავშირებულია კუჭ-ნაწლავის ტრაქტთან, ხელს უწყობს ღვიძლისა და ნაღვლის სადინარების ფუნქციების გაძლიერებას, აწესრიგებს არტერიალურ წნევას, რის გამოც განსაკუთრებით სასარგებლოა ჰიპერტონიით და შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

აშშ-ში ექიმების რეკომენდაციით გამოიყენება ჩვილ ბავშვებში პირველი დამატებითი კვების სახით.

**უკუჩვენება:** სიფრთხილე მართებთ ალერგიისადმი მიდრეკილ ადამიანებს.

**აზიმინა, ბანანის ხე – *Asimina triloba* (L.) Dunal.**  
**ოჯ. ანონასებრნი - Fam. Annonaceae**



**მორფოლოგია:** 4-5 მ სიმაღლის ხეა, ფართო პირამიდალური ვარჯით, ხელსაყრელ პირობებში 10-12 მ აღწევს, ხის ტანი და ტოტები დაფარულია ნაცრისფერი გლუვი ქერქით, ნორჩი ყლორტები უხვადაა შებუსული. ფოთლები მსხვილია, 12-33 სმ სიგრძისა და 4,5-12 სმ სიგანის, ყუნწიანი, ტყავისებრი, მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, ბოლოებში წაწვეტებული, ყუნწთან შევიწროებული, წარმოიქმნება გაზაფხულის ბოლოს ყვავილების გაშლის შემდეგ, ნორჩი ფოთლების ქვედა მხარე შებუსულია, მოწითალო-ყავისფერი, ზედა – გლუვი, პრიალა, კაშკაშა მწვანე, შემდგომში - ბაცი ან მონაცრისფრო-მწვანე. ყვავილობა აპრილში იწყება და 3 კვირას გრძელდება; ორსქესიანი ყვავილები პროტოგენულია, მარტოული, ზარისებრი, მოყავისფრო-მეწაბული ან ღვინისფერი შეფერილობის, 6 სმ დიამეტრის, შებუსული დაკიდებული ყუნწებით, წარმოიქმნება გასული წლის ფოთლების უბებში, მცენარეს ანიჭებს მაღალდეკორატიულობას. ნაყოფი წვნიანი კენკრაა მოგრძო-ცილინდრული ფორმის, განსხვავებულია მასით და ზომებით, მათი სიგრძე მერყეობს 5-16 სმ-მდე, სიგანე 3-7 სმ, წონა 60 -200 გ აღწევს. ნაყოფი შეკრებილია 2-3, ზოგჯერ 9 ნაყოფედად, აქვს თხელი ნახევრადგამჭვირვალე კანი, რომელიც ადვილად სცილდება; რბილობი ნარიინჯისფერია ან მოთეთრო-ყვითელი, სიმწიფისას რბილი, კონსისტენციით კარაქის მსგავსი, ტკბილია, გემოთი ბანანისა და მანგოს მსგავსი, მარწყვ-ანანასის მკვეთრი სუნით; ნაყოფის ქერქი დასაწყისში მუქი

მწვანეა, შემდეგ თანდათანობით ბაცდება და ლიმონისფერ-ყვითელ ფერს იძენს, პირველი წაყინვების შემდეგ კი შავდება. თესლი მსხვილია, 2-2,5 სმ სიგრძის, გვერდებზე ოდნავ შებრტყელებული, მუქი-ყავისფერი, ხურძის თესლის მსგავსი, ნაყოფში 10-12 თესლი ორ რიგადაა განლაგებული.

ნაყოფი ფორმითა და გარეგანი ნიშნებით ბანანს მოგვაგონებს, აქედან მისი გავრცელებული სახელი – “ბანანის ხე.”

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მცირედ გავრცელებული ხეხილოვანი კულტურაა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტ პოპულარობას იძენს.

სამშობლო აშშ-ის სამხრეთი და აღმოსავლეთი რაიონებია, ჩრდილოეთით გავრცელებულია კანადის ონტარიოს სამხრეთ ნაწილიდან ფლორიდამდე, დასავლეთით ნებრასკისა და ტეხასის სამხრეთ-აღმოსავლეთამდე. ბუნებაში იზრდება მდინარეების ნაპირებზე, წარმოქმნის მსხვილ რაყებს. პირველად 1736 წელს იქნა ინტროდუცირებული; აღინიშნება აშშ-ში, კანადაში, იაპონიაში, ესპანეთში, საფრანგეთში, იაპონიაში, იტალიასა და სხვ. კულტივირებულია შავზღვისპირეთშიც. აზიმიინის კომერციული გამრავლების ცენტრად ითვლება აშშ-ის ოგაიოს შტატის სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონები. გამოყვანილია ახალი ჯიშები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები ქიმიური შემადგენლობით ბანანის მსგავსია, შეიცავს დიდი რაოდენობის შაქრებს (25%-მდე), C ვიტამინს (ცალკეულ ჯიშებში 62 მგ 100 მგ-ზე), ვიტამინ A - ს, მიკროელემენტებს – კალიუმს, კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, აცეტოგენინებს (აზიმიინს, აზიმიცინს, აზიმიინაცინს, აზიმიინეცინს, ბულატაცინს). საკმაოდ მაღალი კალორიულობის (359 კკალ.) გამო გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებით. იხმარება ნედლი სახით, აკონსერვებენ შაქართან ერთად, გამოიყენება ნაყინების, ნამცხვრების, ტორტების წარმოებაში.

მცენარე სამკურნალო თვისებებითაც ხასიათდება. თესლები, რომელიც შეიცავს ალკალოიდ აზიმიინის, უძველესი დროიდან იხმარება როგორც პირსასაქმებელი საშუალება; ფოთლების

ნასარში შარდმდენი მოქმედებისაა; ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დადგინდა, რომ აზიმინის პრეპარატები ხასიათდება ანტიმიკრობული და სიმსივნის საწინააღმდეგო თვისებებით, ანელეს უჯრედების დაყოფას, არ აძლევს საშუალებას სიმსივნისა და მის მიდამოებში ახალი სისხლძარღვების ზრდას, სპობს კიბოს იმ უჯრედებსაც, რომლებიც მდგრადია ქიმიოთერაპიული აგენტების მიმართ, ანელეს და აჩერებს ენერჯის გამომუშავებას ატფ-ის სინთეზის მახლოკირებელ უჯრედებში, აძლიერებს საკვები პროდუქტების სასარგებლო და კვებით თვისებებს.

**უკუჩვენება:** არ გააჩნია.

**აუგონი ან ინდური კვლიავი - *Carum ajowan Benth. et Hook.*  
(=*Trachyspermum ammi (L.) Sprangue*)  
ოჯ. ქოლგოსანნი (ნიაზურისებრი) –  
Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა; ფესვი მთავარღერძაა, თითისტარისებრი. ღერო სწორმდგომია, ცილინდრული, გლუვი, დატოტვილი, 40-80 სმ სიმაღლის. ფოთლები მორიგეობითია, სამმაგ-ფრთისებრგანკვეთილი წვრილ ხაზურ ნაკეთულებად. ყვავილები წვრილია, შეკრებილია რთულ ექვს-რვასხივიან ქოლგებად, ვარირებს თეთრიდან იისფრამდე. ნაყოფი – მოგრძო წახნაგოვანი ორთესლურაა, არომატული სუნით და მწვავე გემოთი. 1000 თესლის წონა 0,30-0,35 გ. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.



**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად არ გვხვდება. სამშობლო სამხრეთ ინდოეთია (ცნობილია, რომ ინდოეთის მთიან რაიონებში არსებობს ბევრი მსგავსი სახეობები). კულტივირებულია ჩრდილო და აღმოსავლეთ აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ჩინეთში, ავღანეთსა და ირანში. წამყვანი ადგილი ინდოეთს ეკუთვნის.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აფრიკასა და ინდოეთში აჟგონის ნაყოფებსა და მწვანილს მწვავე გემოსა და სასიამოვნო არომატიდან გამომდინარე, იყენებენ კულინარიაში როგორც სანელებელს. უმატებენ თევზის, ხორცის, წვნიანების კერძებს, სალათებსა და ცივ საუზმეს, ასევე ძეხვეულისა და ცომეულს.

თესლები შეიცავს 2-11% ეთერზეთებს, რომლის ძირითადი კომპონენტია თიმოლი, მისი შემცველობა 30-40%-ს აღწევს; ეთერზეთების შემადგენლობა იმაზეა დამოკიდებული, თუ მცენარის სიმწიფის რომელ სტადიაშია მიღებული. ყვავილობის პერიოდში შეიცავს დიდი რაოდენობის n-ციმოლს, 7-ტერპინენსა და პარაფინს; მოუშფიფებელ ნაყოფებში აღინიშნება - თიმოლი, კარვაკროლი, n-ციმოლი, 7-ტერპინენი და დიპენტენი; მწიფე ნაყოფებიდან გამოყოფილი ზეთი არ შეიცავს პარაფინსა და n-ტერპინენს, თუმცა აღინიშნება დიდი რაოდენობის თიმოლი, n-ციმოლი, დიპენტენი, კარვაკროლი, a - ტერინენი, p-პინენი, p - ფელანდრენი და სხვ. ეთერზეთების გარდა აჟგონის ნაყოფები შეიცავს ცხიმოვან ზეთებს (20-30%), რომელშიც შედის პეტროზელინის მჟავა.

აჟგონი ხასიათდება მატონიზირებელი, ანტიესპტიკური, ანტისპაზმური, ანთებისა და სოკოების საწინააღმდეგო, ანალგეტიკური, ამოსახველებელი, ჭიისმდენი, შარდმდენი, გამაცხელებელი მოქმედებით.

ნაყოფები და ეთერზეთები იხმარება კოსმეტოლოგიაში კანის დაავადებების (გამონაყარი, ფერისმჭამელები, მუწუკები, ლეიკოდერმია, ვიტილიგო) სამკურნალოდ, სტომატოლოგიაში - პარადონტოზის დროს; გამოიყენება კუჭ-ნაწლავის დაავადებების, სპაზებისა და ნაწლავების სტიმულირებისათვის; დიარეისა და მუცლის გაბერვისას ხელს უწყობს საკვების მონელებას; არის

ჭიისმდენი, შარდმდენი, ანალგეტიკი - ასტმისა და ხველების დროს; აფროდიზიაკი - აუმჯობესებს პოტენციას სიმწიფის ასაკში; გამოიყენება ართრიტის, რადიკულიტის, რევმატიზმის, სახსრების ტკივილებისას. პარფიუმერიაში იხმარება კბილის პასტებისა და ელექსირების დასამზადებლად, ხოლო თიმიენს იყენებენ საპნის წარმოებაში. აფგონის ნარჩენებიდან (თივა) გამოიშუშავენ სხვადასხვა ხარისხის ქალაღს.

შედის ბალზამ “სტრონგ ვედა ვედიკას” შემადგენლობაში.

**უკუჩვენება:** არ არის დადგენილი.

**ალექსანდრიული დაფნა, ტამანუ – *Calophyllum inophyllum* L.  
ოჯ. კალოფილასებრნი - Fam. Calophyllaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, 8-დან 20 მ-მდე სიმაღლის ხეა გაშლილი ვარჯით. ფოთლები მოგრძო ოვალურია, კიდეძლიანი, მუქი მწვანე, ტყავისებრი. ნაყოფი გრძელყუნწიანია, მრგვალი, 2-4 სმ დიამეტრის თხელნაჭუჭიანი კაკალია, სიმწიფისას - მოყვითალო ან ყავისფერი შეფერილობის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აღმოსავლეთ აფრიკა, სამხრეთ ინდოეთი და ავსტრალია. ამჟამად კულტივირებულია მსოფლიოს ყველა ტროპიკულ რეგიონში, მათ შორის წყნარი ოკეანის რიგ კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა;

ნაკლებმომთხოვნია ზრდის პირობებისადმი, ფრიად დეკორატიულია, ჩრდილის მომცემი, ხასიათდება მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით, რის გამოც წყნარი ოკეანის მოსახლეობა მას “წმინდა ხეღ” მიიჩნევს.

კაკლიდან ღებულობენ ბლანტ, მწებავ, მუქ-მწვანე ზეთს, კაკლის სასიამოვნო არომატით, ოკეანიის ზოგიერთ კუნძულზე ცნობილია “ტამანუს ზეთის” სახელით, რომელსაც საწვავადაც იყენებენ. ზეთი მიიღება ნაყოფების 1-2 თვის მანძილზე მზეზე გაშრობის შემდეგ. შეიცავს ცხიმმჟავებს (ლაურინის, მირიტინის, პალმიტინის, პალმიტოლეინის, სტეარინის, ოლეინის, ლინოლინის, არახინის, ბეგენონის), სტეროლებს, ტერაპენოიდებს, სტეროიდებს, ლაქტონებს, ლიპიდებს (ტრიაცილგლიცერინები, გლიკოლიპიდები, ფოსფოლიპიდები), კალოფილოიდებსა და კალიფილინის მჟავას. ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და კოსმეტოლოგიაში.

ხასიათდება ანტიიხეპტიკური, ანტივირუსული, ანტიბაქტერიული, ანტიბიოტური, შემკვრელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, აღმდგენი და მატონიზირებელი მოქმედებით. სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება კანის ქრონიკული ანთებითი პროცესების დროს; უძველესი დროიდან მიიჩნევენ ყველაზე ცნობილ და ეფექტურ საშუალებად კეთრის, ეგ ზემის, ფსორიაზის სამკურნალოდ; გამოიყენება სხვადასხვა ტიპის ჭრილობების შესახორცებლად, სისხლძარღვების გასამაგრებლად, სახსრების ანთების, რევმატიზმის სამკურნალოდ; მეტად სასარგებლოა პნევმონიის, კონიუნქტივიტის, შარდის ბუშტის ინფექციების შემთხვევაში.

სხვადასხვა დანიშნულების კოსმეტიკური პროდუქტების (კრემები, საპონი, ლოსიონი, პომადა, თმის საშუალებები) იდეალური ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტია. კოსმეტოლოგიაში მისი მატონიზირებელი და გამაახალგაზრდავებელი თვისებებიდან გამომდინარე, ახდენს ქსოვილების უჯრედების რეგენერაციას, აუძღობს მის მიკროცირკულაციას, ხელს უწყობს ძველი უჯრედების ახლით შეცვლას, აქტიურად იცავს გარე ფაქტორებისაგან, აძლიერებს სისხლისმოდრობას; გამოიყენება ანტიასაკობრივ კოსმეტიკაში; აშუშებს ჭრილობებს, ნაკერებს, მწერების ნაკბენის კვალს, მიკროტრავმებსა და მიკრონახეთქებს,

წყლოლებს, დამწვრობებს, ჩირქროვებს; ხელს უწყობს დარღვეული სისხლძარღვებისა და ტექსტურის აღდგენას დაზიანებულ კანზე. ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ბუნებრივი დამატენიანებელია; მშვენიერი საშუალებაა თმის მოსავლელად, აჯანმრთელებს თავის კანს, ხსნის ქავილს, სიმშრალეს, ქერტლს, კვებავს და ატენიანებს თმებს, აღადგენს მის სტრუქტურას, ამაგრებს ფესვებს, ასტიმულირებს ზრდას, აძლევს ბრწყინვალეებას და ახშირებს თმას. ეფექტურია მკბენარების საწინააღმდეგოდ.

**უკუჩვენება:** არ არის დადგენილი.

**ალოე - Aloe arborescens Mill.**  
**ოჯ. შროშანიებრნი (ასფოდელოსებრნი) –**  
**Fam. Liliaceae (Asphodelaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, სუკულენტური ხემაგვარი მცენარეა, 4 მ-მდე სიმაღლის სწორმდგომი, დატოტვილი, სშირფოთლიანი ღეროთი; ფოთლები მორიგეობითია, ხორცოვანი, წვნიანი, მოგრძო-შუბისებრი, ღერომხვევი, მომწვანო-ლუგა, კიდედაკბილული; საყვავილე ისარი ბოლოვდება გრძელი, ხშირი, ცილინდრული მტევნით, რომელიც ნარინჯისფერი ან წითელი ყვავილებისაგან შედგება; ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, მილისებრი, ექვსნაკვითიანი. ხაზური, 2 წრედ განლაგებული, გარეთა - უფრო სქელია, შიგნითა – აკკისებრი; ნაყოფი ცილინდრული კოლოფია მრავალი თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია სამხრეთ და ტროპიკულ აფრიკაში (უმთავრესად ეთიოპიასა და სომალში), კუნძულ მადაგასკარზე, არაბეთის ნახევარკუნძულზე, სოკოტრასა და მაკარონეზიაში. მთელ მსოფლიოში გავრცელებულია ოთახის კულტურის სახით, ამ შემთხვევაში ყვავილობს იშვიათად და თესვებს არ იძლევა.

XX ს-ის 40-იანი წლებიდან მოჰყავთ საქართველოს შავზღვისპირეთში, სამკურნალო მცენარეების მეურნეობებში ერთწლოვანი კულტურის სახით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული ფოთლებია (*Folium Aloes arborescens rescens*). იყენებენ მშრალი წვენი – საბურის, ნედლი წვენი და ბიოგენური სტიმულატორების მისაღებად. საბურს ტროპიკებში ღებულობენ მსხვილი და სქელ ფოთლიანი სახეობებიდან; ფოთლებს სერავენ ძირებთან და მათში ათავსებენ დიდი მოცულობის ძაბრებს, წვენი თავისით გადმოედინება ჯამბში, რომლებსაც შემდეგ აწყობენ მზეზე, ტენი ორთქლდება და რჩება მაგარი მასა – საბური.

ჩვენთან წვენს ღებულობენ ფოთლების გამოწურვით, საბურს კი წვენის გაცხელებით, აორთქლების გზით. საბური მოშავო-მურა, მყიფე მასაა, აქვს დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი და ძლიერ მწარე გემო. წყალში არ იხსნება, იშლება  $60^{\circ}$  – იან სპირტში.

ფოთლები უძველესი დროიდან ხალხურ მედიცინაში გამოიყენება აბსცესების, ტროფიკული წყლულის, ძირმაგარებისა და ჩირქოვანი ჭრილობების შესახორცებლად, ფილტვების ტუბერკულოზის, წყლულოვანი დაავადებების (გასტრიტის, კოლიტი) სამკურნალოდ. ალოეს ეშუსია ეფექტური აღმოჩნდა ეგზემის, დერმატიტის და ნეიროდერმატიტის მიმართ.

მრავალი ქვეყნის მეცნიერულ მედიცინაში ალოეს ფოთლების მშრალი წვენი (საბური) იხმარება როგორც სასაქმებელი საშუალება. მიღებულია ეფექტური სამკურნალო პრეპარატები: ბიოგენური სტიმულატორები, რომლებიც აძლიერებენ ორგანიზმის დამცველ ფუნქციებს, უნიშნავენ თვალებისა და სხვადასხვა მძიმე დაავადებებისას.

ალოეს წვენი ბაქტერიოციდული და ბაქტერიოსტატიკური მოქმედებისაა სხვადასხვა ჯგუფის მიკრობების, კერძოდ: სტაფილოკოკების, სტრეფტოკოკების, ნაწლავთა ჩხირების, დიფტერიის, დიზენტერიისა და მუცლის ტიფის ჩხირების მიმართ. ალოეს პრეპარატების სამკურნალო ეფექტი განისაზღვრება ანტრაგლიკოზიდების, ფერმენტებისა და ვიტამინების შემცველობით.

ალოეს ერთ-ერთი სახეობა - ჩვეულებრივი ანუ ბარბადული ალოე (*Aloe barbadensis*) უძველესი დროიდან იყო კულტივირებული როგორც სამკურნალო მცენარე მთელ ხმელთაშუაზღვეთში და მრავალ რაიონშია ნატურალიზებული. არსებობს აზრი, რომ სახეობა მოიხსენიება აკადურ ტექსტებში (2000 ძვ.წ.აღ.). ძველ ასირიასა და ბაბილონში მას იყენებდნენ კარების მოსართავად, რაც განპირობებული იყო მისი მაგიური თვისებებით; მიაჩნდათ, რომ ხელს უწყობს სახლის მაცხოვრებლების ხანგრძლივ სიცოცხლეს და სახლის აყვავებას. ეს წესი ეგვიპტეში XIX ს-მდე შემორჩა. აკადურ ენაზე (ყველა ცნობილ სემიტურ ენებზე უძველესი) ალოეს სახელწოდება იყო "si-bu-ru", აქედან წარმოიშვა არაბული *sabr* ანუ *saber*, რაც ნიშნავს "მოთმინებას, გამძლეობას". პირველ ცნობებს მისი მშრალი წვენის შესახებ ვხვდებით დიოსკორიდთან (ძვ.წ-აღ. 78 წ.). მაგრამ უფრო ადრე ბერძნებისათვის ცნობილი კუნძულ სოკოტრიდან გახდა. არის მონაცემები იმის შესახებ, რომ ეს კუნძული ალექსანდრე მაკედონელმა დაიპყრო იმის გამო, რომ აქ აწარმოებდნენ *Aloe socotrina* L. - დან მშრალი წვენის გამოხდას.

**უკუზგენება:** საკმაოდ მრავალრიცხოვანია, განსაკუთრებით შინაგანი მოხმარებისას. ალოეს პრეპარატები მოითხოვს სიფრთხილის დაცვას. არ არის სასურველი მათი მიღება ორმოცი წლის მერე და ბავშვებისათვის, მას შეუძლია ზიანი მიაყენოს იმუნურ სისტემას თავისი მძლავრი ბიოლოგიურად აქტიური კომპონენტებით. ალოეს პრეპარატები შეიცავს ცხიმების დამშლელ ვიტამინებს (A, E, O, K), რომლებისთვისაც დამახასიათებელია ორგანიზმში დაგროვება, ხოლო დოზის გადამეტებამ შეიძლება ჰიპერვიტამინოზი გამოიწვიოს. პრეპარატებში B ჯგუფისა და P, C,

PP ვიტამინების სიჭარბე იწვევს ალერგიულ რეაქციებს, თირკმელების დისფუნქციას, მეტაბოლიზმის დარღვევასა და კუჭის ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას.

უკუმჩვენებელია შინაგანი მიღება ფეხმძიმობისას პერიოდში, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას, მუცლის ღრუს ორგანოებისა და კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებითი პროცესების, თირკმელებისა და ღვიძლის, ჰეპატიტის, ქოლეცისტიტის, ცისტიტის, ნაღვლის ბუშტის, პროსტატიტის, ბუასილის, მენსტრუაციის, საშვილოსნოდან სისხლდენის, ტუბერკულოზის სისხლიანი ნახველის და გაურკვეველი დიაგნოზის დაავადებებისას.

საკამათო საკითხია ონკოლოგიური დაავადებები. ფიტოთერაპევტთა ერთი ჯგუფი ურჩევს ალოეს პრეპარატების მიღებას სწორი ნაწლავის, საშვილოსნოს, სარძევე ჯირკვლების, კუჭის, თირკმელების და სხვა ორგანოების სიმსივნით დაავადებულებს. სხვები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ამას, ზევით აღნიშნული უკუჩვენებებიდან გამომდინარე. ალოე ძლიერი ბიოსტიმულატორია და არ არის გამორიცხული მოახდინოს სისმსივნური უჯრედების ზრდის დაჩქარების პროვოცირება, რის გამოც აუცილებელია ალოეს პრეპარატების მიღება მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით.

**ალოკაზია, ტარო – *Alocasia odora* (Roxb) C.L. Koch**  
**ოჯ. ნიუკასებრნი - Fam. Araceae**



**მორფოლოგია:** ტროპიკული გიგანტური მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა 2,5 მ სიმაღლის, ნიადაგის ზედაპირულად

განლაგებული სქელი, მაგარი, მოკლე, თითქმის ტუბერისებრი ფესურით. ყლორტები 1 მ-მდე სიმაღლისაა, სქელი. ფოთლები 1 მ სიგრძისა და 60-80 სმ სიგანისაა, ტყავისებრი, ზორცოვანი; ნორჩი ფოთლები ფარისებრია, გრძელყუნწიანი. ყვავილელი ტაროა, განწყობილია ფოთლის უბებში; საყვავილე ისარი მძლავრია, 35 სმ სიგრძის, საბურველი 13-25 სმ სიგრძისაა, ძირში შემჭიდროებული; საბურველის მილი კვერცხისებრია, მწვანე, ფართო-მოგრძო-ლანცეტა ფორმის, მოცისფრო-მწვანე, 10-30 სმ სიგრძისა და 4-8 სმ სიგანის, ტარო საბურველზე მოკლეა, მის ქვედა ნაწილში განლაგებული მდედრობითი ყვავილების ზონა ცილინდრულია, 1-2 სმ სიგრძისა და 1,5 სმ დიამეტრის, მწვანე; შუალედური ნაწილი სპილოსძვლის ფერის სტერილურ ყვავილებს უკავია, მათ ზემოთ მამრობითი ყვავილების ზონაა, ფორმით ცილინდრულია, 3-5 სმ სიგრძის და 2 სმ დიამეტრის, ყვავილები მჯდომარეა, სასიამოვნო სუნის. ტაროს ნაყოფმსხმოიარე ნაწილი 6 სმ სიგრძისაა, ნაყოფი სფერული კენკრაა, 1 სმ დიამეტრის, ალისფერი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აზიაში (ჩინეთი, იაპონია (რიუკო), ტაივანი, ინდოეთი (ჩრდილო-აღმოსავლეთი), ბანგლადეში, შრი-ლანკა, კამბოჯა, მიანმა, ტაილანდი, ვიეტნამი, ბორნეო). იზრდება პირველად და მეორად წვიმიან ტროპიკულ ტყებში, ბამბუკების რაყებში, მდინარეების ნაპირებზე, ჭაობებში, კირქვიანებზე ზღ.დ. 1700 მ სიმაღლემდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება ფოთლები, ღერო და ტუბერი. ღეროსგან მიღებულ პრეპარატებს იყენებენ კუჭ-ნაწლავისა და კბილის ტკივილებისას, ქოლერის სამკურნალოდ. დაქუცმაცებულ ტუბერს საფენების სახით სხვადასხვა სახის სიმსივნეების დროს ხმარობენ, ხოლო ფოთლებისა და მთლიანი მცენარის პრეპარატები რეკომენდებულია პნევმონიისა და ტუბერკულოზის სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** შხამიანი მცენარეა!



ალპინია, ნამდვილი გალანგა, კალგანი  
– *Alpinia galanga* (L.) Willd.  
ოჯ. ჯანჯაფილისებრნი - Fam. Zingiberaceae



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 2 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, წარმოქმნის თირკმლისებრ, მოყვითალო-თეთრი შეფერილობის, ხორცოვან რიზომებს (ფესურებს). ფოთლები ხაზურ--ლანცეტაა, მრავალრიცხოვანი. ყვავილი თეთრია, მოწითალო წვერით შეკრებილია მკვრივ მტვენებად ღეროს წვერობზე, გამოირჩევა სასიამოვნო რბილი არომატით. ნაყოფი კოლოფია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ინდონეზიაში. კულტივირებულია ტაილანდში, ლაოსსა და მალაიზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდურ და ინდონეზიის სამხარეულოში ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული სასიამოვნო სანელებელია; ფესურა იხმარება ხორცის, თევზის, თბილი ბოსტნეულისა და ბრინჯის კერძებში; ჩინეთში – ცხელ წვნიანებსა და ლიქიორის წარმოებაში. ფოთლები კუჭის სამკურნალო ჩაის შემადგენლობაში უმთავრესი კომპონენტია, საუკეთესო საშუალებაა კუჭის წვენის მოსამატებლად, მადის დაკარგვის, ნაწლავებში ფერმენტების უკმარისობისა და ნაღვლის წვენის გასაძლიერებლად. თესლი იხმარება კუჭის აშლილობის, ძმარვის, კბილის ტკივილის, მალარიისა და ქოლერის დროს. ფესურა შველის უმადობას, თავბრუსხვევას, იპოხონდრიას, მენსტრუალური ციკლის დარღვევას, ზღვის ავადმყოფობას.

ფხვნის სახით გამოიყენება კანზე ალერგიული გამონაყრების სამკურნალოდ.

**უკუქმედება:** პრეპარატის მიღებამდე მოეთათბირეთ ექიმს.

**ამერიკული კატალპა – *Catalpa bignonioides* Valt.**  
**ოჯ. ბიგნონიასებრნი - Fam. Bignoniaceae**



**მორფოლოგია:** ლამაზი 10-15 მ სიმაღლის ხეა, გადაშლილი ტოტებით, ქმნის ფართო-მომრგვალო ვარჯს. ფოთლები მსხვილია, გულისებრი ან სუსტად-დანაკეთული, განივ განაკვეთში 20-25 სმ; ნორჩი ფოთლები მურა შეფერილობისაა, ზრდასრული- ბაცი მწვანე. ყვავილელი ვერტიკალურად მდგომი პირამიდული საგველაა, ცხენისწაბლის ყვავილელის მსგავსი, მაგრამ უფრო განიერი. ცალკეული ყვავილი თეთრია, ძაბრისებრი, გადაშლილი, 7 სმ სიგრძისა და 5 სმ დიამეტრის, შიგნიდან მოფენილია ყვისფერი წერტილებითა და ყვითელი ლაქებით, სურნელოვანია. ნაყოფები თავისებურია, ესაა გრძელი 30 (ზოგჯერ 40) სმ სიგრძის ვიწრო კოლოფები, წააგავს პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების ნაყოფს – ჭოტს; დასაწყისში მომწვანო-მურაა, შემდეგ - მუქი ყვისფერი და სრული სიმწიფისას - შავი. თესლი წვრილია, მრავალრიცხოვანი, ბუსუსებიანი დანამატებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩრდილოეთ ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ

რეგიონებში. ფართოდაა კულტივირებული ზომიერ-თბილ ზონებში.  
**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საბაღო დიზაინში შეაქვს სამხრეთის გამორჩეული კოლორიტი; მაღალ დეკორატიულობასა და ბრწყინვალეობას ინარჩუნებს მთელი სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში.

ჩინურ ხალხურ მედიცინაში ქერქი კუჭის სამკურნალო საშუალებად ითვლება; ხასიათდება ჭიისმდენი მოქმედებით. როგორც მნიშვნელოვანი ინგრედიენტი შედის ჭრილობების, წყლულების, ფისტულების შემახორცებელ და კიბოს სიმსივნის შესამცირებელ ხსნარებში; ფოთლებიც მეტად ეფექტურ საშუალებად ითვლება კარბუნკულების, სიმსივნეების, აბსცესების სამკურნალოდ, იხმარება ბრონქიტისა და ფილტვების ემფიზემის დროს. ფოთლების ნახარშს იყენებენ ღორების კანის დაავადებების საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** დაუდგენელია.

**ამორფოფალუსი – *Amorphophallus konjak* K.Koch**  
(syn.: *A.rivieri*)

**ოჯ. ნიუკასებრნი – Fam. Araceae**



**მორფოლოგია:** ტუბეროვანი მრავალწლოვანი ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა ერთადერთი მსხვილი ფოთლით. ტუბერი 7,5

- 25 სმ დიამეტრისაა. ფოთოლი გრძელყუნწიანია 40-80 სმ (1,5 მ-მდე) სიგრძის, თეთრი ან მურა ფერის ლაქებით მოხატული; ფოთლის ფირფიტა მსხვილია 60-100 სმ დიამეტრის, სამმაგვანკვეთილი; ცალკეული სეგმენტი თავის მხრივ ფრთისებრდაყოფილია, მეორე რიგის სეგმენტები მოგრძო-ელიფსურია, მახვილი წვერით, მწვანე ძარღვები ამობურცულია. ყვავილები წვრილია, შეკრებილია ტაროსებრ ყვავილეებად; საყვავილე ისარი 1 მ-მდე სიმაღლისაა, საბურველი 30 სმ-მდე სიგრძის, პრიალა, შიგნიდან მუქი-მეწაპული, გარედან ბაცი მწვანე, ტარო საბურველზე ორჯერ გრძელია. ნაყოფი სფერული კენკრაა. კულტურაში ჩვეულებრივ ყვავილობს, მაგრამ არ ნაყოფმსხმოიარობს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, ვიეტნამის სამხრეთით, ფილიპინებზე, მინამესა და ინდოეთის ტროპიკებში. ფართოდ გავრცელებული საოთახო კულტურაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტუბერი აშშ-ში რეკომენდებულია დიეტური კვების კომპონენტად; შეიცავს წყალს, პროტეინს, საერთო ნახშირწყლებს, უჯვრედისს, მიკრო და მაკროელემენტებს; მომქმედი ნივთიერებებიდან აღმოჩენილია ლევიდულინი, ლევიდულინაზი, მანნოზა.

ტრადიციულ აღმოსავლურ მედიცინაში მცენარის ყველა ნაწილს იყენებენ. ყვავილედს ღებულობენ სიცხის დამწვევად, სახსრების ტკივილის, თვალების ანთებისას. ტუბერი ჩინურ მედიცინაში რეკომენდებულია განსაზღვრულ დოზებში კუჭის წყლულის, აგრეთვე თავგებისა და გველების ნაკბენების საწინააღმდეგოდ. გარდა აღნიშნულისა ამორფოფალუსი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კიბოს საწინააღმდეგო საშუალებად.

**უაუქმედება:** ტუბერი შხამიანია, ტოქსინების (ამიაკი, კონინი, ჰისტამინი, მეთილამინი, ეთილამინი, ტრიმეთილამინი) შემცველობიდან გამომდინარე, ექიმის რჩევის გარეშე მისი გამოყენება დაუშვებელია.

ანაკარდიუმი, კეშიუ ან ინდური კაკალი –  
**Anacardium occidentale (L.) Gaertn.**  
ოჯ. თუთუბოსებრნი - Fam. Anacardiaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-12 მ სიმაღლის ხეა, მოკლე, ხშირად არასწორად დატოტვილი ტანით; ვარჯი ფართოდაა გადაშლილი, მისი დიამეტრი თითქმის ხის სიმაღლისაა - 8-10 მ. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, ელიფსური ან კვერცხისებრი, კიდემთლიანი, 4-22 სმ სიგრძისა და 2-15 სმ სიგანის. ყვავილები ბაცი მწვანეა, წითელში გარდამავალი, 5 თხელი მახვილწვეტიანი გვირგვინის ფურცლით, შეკრებილია საგველა ან ფარისებრ ყვავილელებად. ის, რასაც კეშიუს ნაყოფს ან “კეშიუს ვაშლს” უწოდებენ, წარმოადგენს გადაშლილი წვნიანი ნაყოფის ფეხს, ან უფრო სწორად ყვავილსაჯდომს, ყვითელია ან წითელი, 5-11 სმ სიგრძის, მსხლისებრი ან მოგრძო რომბული ფორმის; ნაყოფის კანის ქვეშ ყვითელი, ბოჭკოვანი, მეტად წვნიანი, ოდნავ მთრიმლავი, მომჟავო გემოს რბილობია; ასეთი წარმონაქმნი “ცრუნაყოფის” სახელითაა ცნობილი. ნამდვილი ნაყოფი ვითარდება ნაყოფის ფეხის ბოლოებზე, კაკალია, დაფარულია ორმაგი გარსით, გარეთა - მწვანეა და გლუვი, შეიცავს მწვავე ფენოლურ ფისს; შიგნითა ფენა მკვრივი ნაჭუჭის მსგავსია, რომლის შიგნით კაკლის საკვები გულია, ადამიანის თირკმლის მსგავსი ფორმის. ერთი კაკლის საშუალო წონაა 1,5 გ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივი არეალი შედარებით მცირეა, ძირითადად ბრაზილიის აღმოსავლეთ

ნაწილშია გავრცელებული, აქვეა კულტივირებული. ხელოვნური არეალი მოიცავს მთელ ინდოეთს, დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკას, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას (უძრავრესად ვიეტნამი), აგრეთვე ირანსა და სამხრეთ აზერბაიჯანს. ამჟამად მოჰყავთ თბილი და ტენიანი კლიმატის 32 ქვეყანაში, სადაც პლანტაციების საერთო რაოდენობა 35,1 ათასი კმ<sup>2</sup>-ია, FAO – ს მონაცემებით ყოველწლიური მოსავალი 2,7 მილიონ ტონას შეადგენს. ძირითადი მიმწოდებლები მსოფლიო ბაზარზე ვიეტნამი, ნიგერია, ინდოეთი, ბრაზილია და ინდონეზიაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მსოფლიოში მცენარის ნაყოფები “კემიუს” სახელითაა ცნობილი; ცრუნაყოფის წვნიან მომჟავო რბილობს იყენებენ საკვებად, ამზადებენ ჯემებს, ყელეს, კომპოტებს, წვენებს, კოქტილებს, სპირტიან სასმელებს. ნედლი ნაყოფი შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს – დისახარიდებს, ვიტამინებს (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C), კალციუმს, რკინას, მაგნიუმს, ფოსფორს, კალიუმს, ნატრიუმსა და თუთიას, მთრიმლავ ნივთიერებებს.

ხასიათდება სამკურნალო თვისებებითაც, გამოირჩევა ანტისეპტიკური, მატონიზირებელი, ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედებით; ხელს უწყობს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის რეგულირებას, სისხლში ქოლესტერინის დონის დაწევას, აძლიერებს იმუნურ სისტემას, უზრუნველყოფს გულ-სისხლძარღვთა სისტემის ნორმალურ მოქმედებას; დამატებითი საშუალების სახით იხმარება კბილის ტკივილის, ფსორიაზის, დისტროფიის, ანემიისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევისას.

კემიუს კაკალი აზიური სამზარეულოს ჩვეულებრივი ინგრედიენტია. მისგან ღებულობენ მაღალი ხარისხის ზეთს (არაზისის ზეთის მაგარი). ნაყოფის გარსიდან გამოხდის გზით მიიღება ორი ფრაქცია: მაგარი და თხევადი; მაგარს იყენებენ საავტომობილო წარმოებაში; თხევადი ფრაქცია შეიცავს 90% ანაკარდინის მჟავას და 10% კარლოლს. არსებობს მისი გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციული მედიკამენტების, ანტიოქსიდანტების, ფუნგიციდებისა და სხვათა დასამზადებლად.

კერძოდ, გამოიყენება ფენილამინის წარმოებაში, რომელიც რეზინის წარმოებაში წარმოადგენს მის გამამყარებელსა და მოდიფიკატორს, ღებულობენ ლაქსა და ოლიფას. ტროპიკული ქვეყნების ხალხურ მედიცინაში მას იყენებენ მერქნის დამზიანებელი თერმიტების საწინააღმდეგოდ.

კეშიუს სხვადასხვა ქვეყნის მოსახლეობა განსხვავებულად იყენებს. მაგალითად, აფრიკაში ანტიოქსიდანტის მნიშვნელობით იზმარება, ბრაზილიაში ითვლება აფროდიზიაკად, ასთმის, ბრონქიტის, გრიპის, კუჭის აშლილობის, დიაბეტის სამკურნალო საშუალებად, ჰაიტის კუნძულებზე – კბილის ტკივილებისა და მეჭვჭების სამკურნალოდ იყენებენ, მექსიკაში – ჭორფლს იფერმკრთალებენ, პანამაში – ჰიპერტონიას მკურნალობენ, პერუში- ანტისეპტიკური საშუალებაა, ვენესუელაში ყელის ანთებას არჩენენ და ა.შ.

**უკუქმდება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

### **ანანასი - *Ananas sativus* Schult.**

**ოჯ. ბრომელიასებრნი - Fam. Bromeliaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი ტროპიკული მცენარეა; ფოთლები ხორცოვანია, ფართოხაზური, კიდებზე ეკლისებრდაკბილული, 80 სმ-მდე სიგრძის. ნაყოფედი ოქროსფერ-ყვითელია, შედგება მრავალრიცხოვანი ნასკვისაგან, რომლებიც შეზრდილია თანაყვავილებთან და ყვავილედის ღერძთან,

წარმოქმნის მძლავრ გირჩის მსგავს ნაყოფედს; მომჟავო-  
არომატული ნაყოფედი 2 – 15 კგ აღწევს, თესლი არ გააჩნია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ  
ბრაზილია ითვლება, სადაც დღემდე ბუნებრივად იზრდება; მისი  
კულტურა დიდი ხნის წინათ იყო ათვისებული ცენტრალური  
ამერიკის მოსახლეობის მიერ. იქვე, კუნძულ გვადალუპაზე (1493  
წ.) ამ ხილმა ალაფრთოვანა ამერიკის აღმომჩენი, ესპანელი  
მოგზაური ქრისტეფორე კოლუმბი; სწორედ მოგზაურთა  
წყალობით გავრცელდა სხვა კონტინენტებზეც. სადღეისოდ მისი  
სამრეწველო პლანტაციები წარმოდგენილია ტროპიკული და  
სუბტროპიკული კლიმატის მრავალ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ანანასს  
ტროპიკული ხილის მეფეს უწოდებენ. საკვებად გამოიყენება  
ნედლი და დაკონსერვებული სახით, ამზადებენ მურაბებს,  
ტკბილეულს; ფოთლებიდან ღებულობენ სართავ ბოჭკოს  
(უმთავრესად ფილიპინების კუნძულებსა და ტაივანზე).

რბილობი შეიცავს 86,1 მგ% წყალს, ნახშირწყლებს (6,9 მგ%  
სახაროზას), 0,42 მგ% ნაცარს, 0,7 მგ% ორგანულ მჟავებს  
(უმთავრესად ლიმონის), 50 მგ% ასკორბინის მჟავას, ვიტამინებს  
(პროვიტამინი A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>12</sub>, PP), მინერალურ მარილებს (Fe,  
Cu, Zn, Ca, Mg, Mn, I - ის), ბრომელაინს (ფერმენტების ნარევი,  
რომელიც ახდენს რთული ცილებისა და ცხიმების გახლეჩას).

მრავალმხრივი სასარგებლო თვისებებით გამოირჩევა: ამცირებს  
სისხლის სიბლანტეს, აქვეითებს სისხლის წნევას, აფერხებს  
ათეროსკლეროზის, ტრომბოზისა და ტრომბოფლებიტის  
განვითარებას; ხელს უწყობს ჭარბი წონის დაკლებას, კუჭის  
წვენის ფერმენტაციული აქტივობის ამაღლებას (ჭამის დროს  
რეკომენდებულია 1 ჭიქა წვენის ან ნაყოფის ერთი ნაჭრის  
მიღება), ჭრილობების შეხორცებას, ახდენს იმუნური სისტემის  
სტიმულირებას, ნივთიერებათა ცვლის ნორმალიზებას, ხსნის  
კუნთებსა და სახსრებში ტკივილებს.

გამოიყენება საკვებმომხლელებელი სისტემის დარღვევების, კანის  
დაავადებების, ჰიპერტონიის, გულის დაავადებების, განსაკუთრებით  
არითმიის, ანგინის, პნევმონიის, სინუსიტებისა და ართრიტების



დროს. ბოლო მონაცემებით წარმოადგენს ონკოლოგიური დაავადებების პროფილაქტიკურ საშუალებას.

ყველა ამ თვისებას ანანასი ამჟღავნებს უზმოზე გამოყენებისას.

**უკუქმდება:** დიდი რაოდენობით გამოყენება უკუმაჩვენებელია წყლულოვანი დაავადებებისა და მაღალი მჟავიანობის გასტრიტის დროს; მეტად მგრძობიარეა კბილის ემალის მიმართაც, იწვევს მის დაშლას, ამიტომ მიღების შემდეგ აუცილებელია პირის გამოვლება.

**ანისული - *Anisum vulgare Gaertn. (Pimpinella anisum L.)***

**ოჯ. ქოლგოსანნი (ნიაზურისებრნი) –  
Fam. Umbelliferae (Apiaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა ფუძიდან ძლიერ დატოტვილი ღეროთი; ქვედა ფოთლები მომრგვალო-თირკმლისებრია, სამმაგდანაკვთული, მომრგვალო ფოთოლაკებით; ზედა – ორმაგ ან სამმაგ ფრთისებრგანკვეთილი, საზურ-ლანცეტა სეგმენტებით. ყვავილელი - 7-15 სხივიანი ქოლგაა საბურველის გარეშე. გვირგვინი თეთრია, ფოთოლაკები კიდეებზე წაშწამებიანია. ნაყოფი ფართოა, სუსტად გამოხატული წახნაგებით, 3-5 მმ სიგრძის, მომწვანო-ნაცრისფერი. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება, იზრდება მხოლოდ კულტურაში ან გავლურებული სახით. სამშობლოდ ხმელთაშუაზღვეთისა და ახლო აღმოსავლეთის

რეგიონები ითვლება. კულტურაში შეტანილია დიდი ხნით ადრე ჩვენს ერამდე ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, ინდოეთსა და ძველ რომში. შუა საუკუნეებში ვრცელდება მთელ ევროპაში, რუსეთში - XIX ს-ის დასაწყისში. სადღეისოდ როგორც სანელებელი მცენარე მთელ მსოფლიოში მოჰყავთ, განსაკუთრებით პოპულარულია სამხრეთ ევროპაში, ეგვიპტეში, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ნაყოფების მოსავლიანობა შეადგენს 10 ც/ჰა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფებს იყენებენ სანელებლად კულინარიაში, პურფუნთუშეულის, საკონდიტრო, საკონსერვო, პარფიუმერიულ მრეწველობაში. იხმარება საპნისა და ლაქ-საღებავების წარმოებაში, აგრეთვე იმპორტული კაკაოს ზეთის სანაცვლოდ; მისგან ამზადებენ სხვადასხვა სამკურნალო საშუალებებს. დარჩენილი კობტონი გამოსადეგია შინაური ცხოველების საკვებად.

მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი კულტურაა, ამრავლებენ ძირითადად ნაყოფების გამო, შეიცავს ეთერზეთებს 6 მგ%-მდე, რომლის ძირითადი შემადგენელი ნაწილია - ანეთოლი (80-90 %), ანისულის ალდეჰიდი, კეტონი და ანისულის მჟავა, ასევე აღინიშნება 15,9 მგ% ცხიმოვანი ზეთები, 17,6 მგ% ცილები, 35,4 მგ% ნახშირწყლები, 14,6 მგ% უჯრედისი, ვიტამინები (B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C), მაკროელემენტებისა (K, Ca, Mg, Na, P) და მიკროელემენტების (Fe, Mn, Cu, Se, Zn) მინერალური მარილები, ცვილისებრი ნივთიერებები, ანისულის სპირტი. ანისულის ნაყოფებიდან ეთერზეთების გარდა გამოყოფენ ცხიმზეთებსაც, რომელთა რაოდენობა ხშირად 28 მგ% აღწევს.

სამკურნალო მიზნებისათვის ანისულის ნაყოფებს უძველესი დროიდან იყენებდნენ; თავიანთ თხზულებებში მას მოიხსენიებენ თეოფრასტე, დიოსკორიდი, კოლუმელა, პლინიუსი. დიოსკორიდის მიხედვით - ამცირებს მუცლის ტკივილებს, არის აღმზნები, შარდმდენი და ლაქტაციის გამამძლიერებელი საშუალება; პლინიუსი მიიჩნევდა მორიელის ნაკბენისაგან დამცავად; არაბები წყურვილის მოსაკლავად და ქოშინის შესამცირებლად ხმარობდნენ. ძველ სომხეთში ანისული კვერცხის ცილასთან ერთად ითვლებოდა

დამწვრობის, ფაღარათისა და ნაწლავებიდან სისხლდენის უებარ საშუალებად. კავკასიაში იყენებდნენ მალარიის საწინააღმდეგოდ.

უბველესი დროისა და შუა საუკუნეების ექიმების ემპირიული დაკვირვებები მოგვიანებით დადასტურდა მეცნიერული გამოკვლევებით და ჩვენს დროშიც მრავალმხრივი მნიშვნელობით გამოირჩევა. ხასიათდება სპაზმოლიტური, ტკივილგამაყუჩებელი, ქარმდენი, ოფლმდენი, შარდმდენი, მადეზინფიცირებელი, სეკრეტოლიტური, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება: სასუნთქი გზების კატარის, ხველების, ხმის დაკარგვის, ბრონქიტისა და ასთმის, თირკმელების, შარდის ბუშტისა და საჭმლის მომნელებელი ორგანოების დაავადებებისას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას; ეთერზეთები ხასიათდება რა ანტიბაქტერიული მოქმედებით, ხელს უშლის ჩირქწარმოქმნელი ბაქტერიების გამრავლებას, განსაკუთრებით შედეგიანია ყივანახველის დროს.

შედის სასაქმებელი, კუჭისა და შარდმდენი ნაკრებების შემადგენლობაში.

**უკუქმედება:** უკუმარჩვენებელია კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობა, კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, კოლიტი, ფეხმძიმობა.

### ანისულის ხე - *Sassafras officinale* Lees et Eberm.

ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae



**მორფოლოგია:** ორსახლიანი 15-35 მ სიმაღლის ხეა, ვარჯვის

დიამეტრი 70-150 სმ-ია, დატოტვა სიმპოდიალურია; ფოთლები სამი ფორმისაა: დაუნაკეთავი, ორმაგ და სამმაგდანაკეთული. ყვავილი წვრილია, მოყვითალო-მწვანე, ხუთწვერიანი, უბისეულ ნახევარქოლგებად შეკრებილი. ნაყოფი მოშავო-ლურჯი, კვერცხისებრი კურკაა 1 სმ-მდე სიგრძის, წარმოიქმნება ზაფხულის ბოლოს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია უმთავრესად ჩრდილოეთ ამერიკის ატლანტისპირა შტატებში, ჩინეთის კონტინენტალურ რაიონებში და კუნძულ ტაივანზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი არომატულია. ფესვები შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებას - საფროლს, რომელიც სხვა მცენარეებზე დამაკნინებლად მოქმედებს. საფროლი ძლიერი სტიმულიატორია, ჰალუციგენი, ამგზნები, დიდ დოზებში – აფროდიზიაკი, მცირე დოზით – ეიფორიანტი, ოფლმდენი.

ანისულის ხის მთავარ კომპონენტს ეთერზეთები წარმოადგენს, რომელსაც ღებულობენ მერქნიდან, ქერქიდან და ნაყოფებიდან. ხანგრძლივი დროის მანძილზე მას იყენებდნენ საკვები პროდუქტების არომატიზაციის, კოსმეტიკურ პარფიუმერიასა და საპნის წარმოებაში. ტრადიციულ მედიცინაში ამერიკელი მოსახლეობის მიერ გამოიყენებოდა როგორც არომატული, გაციების საწინააღმდეგო და მადეზინფიცირებელი საშუალება. სადღეისოდ მისი ეთერზეთები შედის ზოგიერთი წამლის შემადგენლობაში, მაგ.: “სტროპანინი” (ჰექსეტიდინი).

ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მცენარის ქერქი და ფესვები გამოიყენება ჩაის დასამზადებლად, ხოლო ფოთლები სანელებლების სახით იხმარება.

აშშ-ში ანისულის ხის ეთერზეთების გაყიდვა კონტროლს ექვემდებარება, ვინაიდან არალეგალურ ლაბორატორიებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს MDMA საწარმოებლად.

**უკუჩვენება:** საფროლის პრეპარატები ტოქსიკურია ღვიძლისთვის (განმეორებითი მიღება საფროსხილოა). გადაჭარბებული დოზები იწვევს პირღებინებას, შოკს, სასუნთქი გზების დამბლას.

ანონა, არაჟანის ვაშლი – *Annona muricata* L.  
ოჯ. ანონასებრი - Fam. Annonaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 7,5-9 მ სიმაღლის ხეა. ნორჩი ყლორტები შებუსულია. ფოთლები ფართოკვერცხისებრია, არომატული, გლუვი, პრიალა, ზედა მხარეს მუქი მწვანეა, ქვედაზე –ბაცი მწვანე. ყვავილები მარტოულია, მოკლე საყვავილე ყუნწებით, იზრდება ხის ტანზე ან ტოტებზე, კონუსური ფორმისაა, შედგება ორ წრედ განლაგებული მოყვითალო-კრემისფერი გვირგვინის ფურცლებისაგან. ნაყოფი წვნიანი მრავალფოთლოურაა, სკიპიდარის სუნით. არაჟანის ვაშლის ნაყოფები ყველაზე მსხვილია ანონასებრთა ოჯახში, თითოეული მათგანის წონა 4,5-7 კგ აღწევს, ზომით – 10-35 სმ სიგრძისა და 15 სმ სიგანისაა. მოუმწიფებელი ნაყოფის კანი მუქი მწვანეა, სიმწიფესთან ერთად ყვითლდება, დაფარულია სქელი ეკლებით; რბილობი კრემისფერ-თეთრია, მკვრივი, გარეგანად ბამბის მსგავსი. რბილობი შეიცავს შხამიან, შავი ფერის თესლებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ბერმუდისა და ბაჰამის კუნძულებზე, კარობის აუზის ქვეყნებში, სამხრეთ მექსიკიდან პერუსა და არგენტინამდე, ზღ.დ. 1150 მ სიმაღლემდე. ფართოდაა კულტივირებული ამავე ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფის რბილობი ნელლი სახით იზმარება საკვებად, მისგან ამზადებენ ჩაროზს

შაქრისა და ნაღების დამატებით. ნაყოფის ექსტრაქტი ფართოდ გამოიყენება ჩაის არომატიზაციისათვის. ტროპიკულ ქვეყნებში გავრცელებულია მისგან გამოწურვის გზით მიღებული გამაგრილებელი სასმელები, რომლებსაც შაქარსა და რძეს უმატებენ; ასევე ამზადებენ სუსტ ალკოჰოლურ სასმელებს, კოქტეილებს, ბრენდებს, ტკბილეულს. რბილობს იყენებენ ნაყინის, სიროფების, ტორტების, ყელესა და მურაბების მოსამზადებლად.

მწიფე ნაყოფის წვენი ხასიათდება შარდმდენი მოქმედებით, გამოიყენება თირკმელების დაავადებებისას. დაქუცმაცებული მოუწიფებელი ნაყოფები დიზენტერიის სამკურნალოდ იხმარება. დაქუცმაცებულ ფოთლებს კანის დაავადებისას იყენებენ, დანაყილი თესლების ნაყენი პირღებინების ძლიერი საშუალებაა. თესლის ზეთს იყენებენ მკბენარების მოსაშორებლად.

**უკუქმედება:** არ არის მითითებული.

### არალია მანჯურის

*Aralia elata* (Miq.) Seem. (= *A. mandshurica* Rupr. et Maxim.)

ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae



**მორფოლოგია:** სწრაფმოზარდი, საშუალო (6 მ-მდე სიმაღლის) ზომის ხე-მცენარეა. ფესვთა სისტემა ზედაპირულია, რადიალური, კორიზონტალური; ქერქი დანაოჭებულია, მსხვილი ქაცვებით მოფენილი, განსაკუთრებით ძლიერ განვითარებული აქვთ ახალგაზრდა ინდივიდებს; ხე როგორც წესი დაუტოტავია, მაგრამ

წვეროსეული კვირტის დაზიანებისას წარმოიქმნება დატოტვილი ეგზემპლარები. ფოთლები მორიგეობითია, მსხვილი (1 მ-მდე სიგრძის) ორმაგი, ძალიან იშვიათად სამმაგფრთისებრგანკვეთილი, ყლორტის წვერთან დაახლოებული, რის გამოც ხე პალმას ემსგავსება; ფოთოლაკები ოვალურია, ან კვერცხისებრი, წაწვეტილი წვერითა და მომრგვალებული ფუძით, მეტ-ნაკლებად ხერხებილა კიდეებით, შიშველი ან ბეწვიანი. ყვავილი წვრილია, თეთრი ან კრემისფერი, შეკრებილია ქოლგებად, რომლებიც წარმოქმნის რთულ მრავალყვავილიან (70000-მდე ყვავილი) ყვავილედს, შემდგარს 6-8 წვეროსეული საგველასაგან; ყვავილები ხუთწვერიანია, ორსქესიანია და მამრობითი, გვირგვინის ფურცლები მოყვითალო-თეთრია, ოვალურ-სამკუთხა. ნაყოფი სინკარპული, ხუთბუდიანი კურკაა, სფერული, მოლურჯო-შავი; თესლი მოგრძოა, ბაცი ყავისფერი ან ლევა. ყვ. VII-VIII; ნაყ. X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** არაღია მანჯურის ფლორისტული ელემენტია; იზრდება აშურის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ხაბაროვსკის მხარის სამხრეთ ნაწილში და თითქმის მთელ ზღვისპირა მხარეს. მნიშვნელოვანი რაოდენობით აღინიშნება ფართოფოთლოვან-კედრნარი ტყეების მეორად ფიტოცენოზებში და მის დერივატებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კვირტები და ფოთლები საკვებად გამოიყენება; არის თაფლოვანი და ფრიად დეკორატიული მცენარე.

სამკურნალო ნედლეულს ოფიცინალურ მედიცინაში ფესურა ფესვებითურთ წარმოადგენს; ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება ფოთლები და ყვავილებიც. მისი მარაგის შესწავლამ გამოავლინა, რომ არაღიას დაჯგუფების საერთო ფართობი 1560 ათას ჰა-ს შეადგენს, ხოლო ბიოლოგიური მარაგი მშრალი ფესვებისა 11580 ტონას.

ფესურები შეიცავს ნახშირწყლებსა და მონათესავე შენაერთებს: სახამებელს, გუმფისს, ეთერზეთებს, ტრიტერპენოიდებს, კარდენოლიდებს, ალკალიდებს, კუმარინებს, ფლავონოიდებსა და სხვა შენაერთებს. ფესვების ნაყენი ნერვული სისტემის მასტიმულირებელი საშუალებაა, იხმარება ჰიპოტენზიისა და

ასთენიისას; კლინიკაში რეკომენდებულია ათეროსკლეროზის საწყის სტადიებზე, ფიზიკური და გონებრივი გადაღლილობის, იმპოტენციის, თავის ქალის ტრავმით გამოწვეული ასთენოდებრესიული მდგომარეობის, შიზოფრენიის შემთხვევაში. ჯანმრთელი ადამიანის მიერ ერთჯერადი მიღება აძლიერებს ფიზიკურ შრომისუნარიანობას, იწვევს მასტიმულირებელ მოქმედებას ჰიპოფიზურ-ადრენალურ სისტემაზე.

ხასიათდება ანტინარკოტიკული, ანტიტოქსიკური, ჰიპოტენზური და კარდიოტონური მოქმედებით. შედის სხვადასხვა მატონიზირებელი სასმელების (“სახალისის გამახალისებელი”, “საფარალი”, “არალმანის” და სხვ.) შემადგენლობაში.

**უაუქმედება:** პრეპარატების დიდი რაოდენობით მიღება იწვევს აქტიურობის გაზრდას, წნევის ამაღლებას, ალგზნებას, ძილის დარღვევას.

### **არაქისი ან მიწის თხილი - *Arachis hypogaea* L.**

**ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი მცენარეა კარგად განვითარებული ფესვთა სისტემით, შედგება დატოტვილი მთავარღერძა ფესვისაგან, დიდი რაოდენობის გვერდითი ფესვებით. ცალკეული ფესვი ნიადაგში 1,5 მ სიღრმით იჭრება. თითოეული ინდივიდი ინვითარებს მრავალ მიწისზედა ყლორტს, რომელიც ფუძიდანვე ძლიერ იტოტება. ჩვენთან კულტივირებულია ბუჩქოვანი ფორმა



25-40 (70) სმ სიმაღლის სწორმდგომი ყლორტებით. ფოთლები მორიგეობითაა, გრძელი ღარისებრი ყუნწებით, ფრთისებრი, შედეგაა ორი წყვილი მომრგვალო ფოთოლაკისაგან შესაძინევი შებუსვით, განსაკუთრებით ქვედა მხარეს. ყვავილები ასიმეტრიულია, განწყობილია 1-3 ფოთოლაკების უბებში. ყვავილის აგებულება ისეთივეა, როგორც პარკოსანთა ოჯახის წარმომადგენლების; ყვავილსაფარი ორმაგია, ხუთწევრიანი. ჯაბი მწვანეა, ორტუნა, გრძელი წვრილი მილით; გვირგვინი ყვითელია, იშვიათად ნარინჯისფერი, სხვადასხვა ელფერით. მტვრიანა - 10, მათ შორის 9 - შეზრდილია. ნაყოფი ცილინდრული პარკია 1-6 სმ სიგრძის მონაცრისფრო-ყვითელი ან კრემისფერი, დამახასიათებელი ბადისებრი სტრუქტურის. თითოეულ პარკში ბატი ვარდისფერი, წითელი ან მუქი ყავისფერი გარსით დაფარული 2-4 წაგრძელებული თესლია. არაქისის ფოთლების შეყვითლებისთანავე პლანტაციებში იწყება მათი ნაყოფების შეგროვება, რაც მიმდინარეობს კარტოფილის ტუბერების ამოთხრის მსგავსად; მცენარეებს თხრიან და აცლიან ჭოტებს და აშრობენ. ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო - სამხრეთ ამერიკა; ინდიელებს მოჰყავდათ ევროპელების მიერ ამერიკის კონტინენტის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე. არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა არაქისის ნაშთები, რომელიც მიეკუთვნება პირველ ათასწლეულს ჩვენს ერამდე. XVI ს-ში არაქისი ამერიკიდან ევროპასა და ჩინეთში მოხვდა. ევროპელებმა დაიწყეს ამ შესანიშნავი მცენარის კულტივირება ტროპიკული კლიმატის კოლონიებში, კერძოდ ფილიპინების კუნძულებზე; მალევე იწყება მისი მოყვანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. დასავლეთ აფრიკაში არაქისი მოხვდა აქტიური მონათავაჯრობის პერიოდში (XVI ს), რუსეთში ვრცელდება XVIII ს-დან. ვინაიდან უშუალოდ ევროპაში ეს კულტურა არ მოჰყავდათ და ჩამოჰქონდათ სხვადასხვა ადგილებიდან, მათ შორის ჩინეთიდან, მას დიდი ხნის მანძილზე “ჩინურ კაკალს” უწოდებდნენ. მსოფლიო მიწათმოქმედებაში მიწის თხილს უკავია 18,9 მილიონი ჰა. ძირითადი ფართობები თავმოყრილია ინდოეთში (6,5 მილ.ჰა),

ჩინეთში (2,1 მილ.ჰა), აფრიკისა და ლათინური ამერიკის მრავალ ქვეყანაში; მცირე ფართობები აქვს დათმობილი შუა აზიის რესპუბლიკებში, უკრაინასა და სამხრეთ კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძვირფასი ზეთოვანი კულტურაა. თესლიდან მიიღება საკვები ზეთი კაკლის სასიამოვნო გემოთი, ხარისხით ახლოა ყველაზე საუკეთესო მცენარეულ ცნიმთან - ზეთისხილის ზეთთან. იყენებენ მარგარინის, საკონსერვო და საკონდიტრო მრეწველობაში. დაბალი ხარისხის ზეთი კი იხმარება საპნის წარმოებაში.

არაქისის თესლები შეიცავს 40-60 მგ% ზეთებსა და 20-37 მგ% ცილებს (მათი შემცველობით მას უსწრებს მხოლოდ სოია), აგრეთვე ნახშირწყლებს, მრავალრიცხოვან მჟავებს (მათ შორის სტეარინის, პალმიტინის, ლინოლევის და ა.შ.), გლობულინებს, B და E ვიტამინებს. აღსანიშნავია, რომ გაცხელებისას ყველა მომქმედი ნივთიერება იშლება, რის გამოც სასარგებლოა ნედლი სახით მისი გამოყენება.

არაქისის ზეთმა გამოყენება ჰპოვა სააფთიაქო პრაქტიკაში მალამოებისა და სუპპოზიტორიების დასამზადებლად. რაფინირებული ზეთი გამოიყენება ქაფურისა და სხვა სამკურნალო ნივთიერებების გამსხნელად, რომელიც ორგანიზმში შეჭყავთ კანქვეშ ან კუნთებში ინექციის სახით. თესლების ემულსია შინაგანად მიიღება კუჭ-ნაწლავის ტკივილებისას.

მიიჩნევა, რომ თესლი სასარგებლოა სისხლძარღვების სკლეროტული დარღვევების, კიბოსა და გულის დაავადებების პროფილაქტიკისათვის, ჰემორაგიული დიათეზით დაავადებული ბავშვებისათვის, რომლის დროსაც აღინიშნება სისხლის შედედების შემცირება და მრავალრიცხოვანი სისხლის ჩაქცევები. დამამშვიდებლად მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხსნის უძილობის სინდრომს, დაღლილობას, აუმჯობესებს მეხსიერებას, სმენას, აძლიერებს სქესობრივ პოტენციას.

**უაუქმედება:** უკუმაჩვენებელია ართრიტის შემთხვევაში; არსებობს ინდივიდუალური შეუთავსებლობა და სხვადასხვა სახის ალერგიული რეაქციები, რაც ვლინდება ქავილში, კანის წვასა და ხანის სიმსივნეში.

**ასპიდისტრა - *Aspidistra elatior* Blume**  
**ოჯ. სატაცურისებრნი – Fam. Asparagaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მიწისზედა სწორმდგომი ღეროს გარეშე. ფესურა წვრილია ან სქელი, მოკლე, დანაწევრებული, მიწის პირზე გართხმული; ფოთლები საკმაოდ გრძელყუნწიანია, მუქი მწვანე, პრიალა; ფოთლისეული ფირფიტა ლანცეტაა, მოგრძო ან ხაზური ფორმის, 50 სმ-მდე სიგრძისა და 15 სმ-მდე სიგანის. ყვავილები უსახურია, მიწის პირას ფოთლების უბებშია განწყობილი, მოკლე საყვავილე ყუნწებით, ყვავილსაფარი მოყვითალო-მურაა, შიგნიდან წერტილებით მოფენილი, ფართო ზარისებრი, 8 ნაკვთიანი. ნაყოფი კენკრისებრია, ერთთესლიანი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ჩინეთში, იაპონიაში, აღმოსავლეთ ჰიმალაიზე, კუნძულ ტაივანზე ტენიან ტყეებში. კულტურაში ფართოდაა დანერგილი საოთახო დეკორატიულ-ფოთლოვანი მცენარის სახით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ქიმიურად შეუსწავლელია. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ფესვებისა და ფოთლების ნახარში პარადონტოზის, კრუნჩხვების, კუჭ-ნაწლავის ინფექციური დაავადებების, ანგიინის, გაციების, ტუბერკულოზის, ამენორეის, დიარეის (ფალარათი), ცისტითის, მიალგიისა (კუნთების ტკივილი) და შარდსადინარ სისტემაში ქვების შემთხვევაში.

**უკუქმედება:** მცენარე სუსტად შხამიანია, შეიცავს ციკაზინს, რომელიც იწვევს მუტაციას.

**არღავანი, იუდას ხე - *Cercis siliquastrum* L.  
ოჯ. პარკოსანნი- Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** 7-15 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა; ხის კანი დაფარულია მოშავო-მურა დახეთქილი ქერქით; მრავალწლოვანი ტოტების ქერქი მოყავისფრო-ნაცრისფერია, ერთწლოვანების - მოწითალო, გლუვი. ფოთოლი მარტივია, მომრგვალო ან კვერცხისებრი, კიდემთლიანი, თათისებრი დაბარღვით, ძირში ღრმად გულისებრი, ყუნწიანი, განლაგებულია სპირალურად; თანაფოთლები წვრილია, ხაზურია, მალე ცვივა. ყვავილი ორსქესიანია, გვირგვინი ფარვანასებრია, ხუთწევრიანი, კაშკაშა ვარდისფერი, იისფერი, იშვიათად თეთრი, ვითარდება ხის ტანზე, ძველ ტოტებზე, ფოთლების უბებში კონებად (3-6). ნაყოფი ბრტყელი მრავალთესლიანი პარკია, 10 სმ-მდე სიგრძის. ყვავილობს გაზაფხულზე ფოთლების წარმოქმნამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩრდილოეთ ამერიკაში, ხმელთაშუაზღვეთში, სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ აზიაში ქვიან ფერდობებსა და კირქვიან კლდეებზე.

არღავანის ერთ-ერთი სახელი “იუდას ხე” დაკავშირებულია ლეგენდასთან, რომ სწორედ ამ ხეზე ჩამოიხრჩიო თავი იუდამ,

რის შემდეგაც თეთრი ყვავილები ვარდისფრად შეიღება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** უმთავრესად დეკორატიული მიზნებისათვის გამოიყენება; მერქნიდან მიიღება საღებავები, ფოთლებიდან - მთრიმლაკი ნივთიერებები. ფოთლები გამოყოფს ფიტონციდებს, რითაც ხელს უწყობს ჰაერის სამკურნალო თვისებების ფორმირებას.

**არწივის ან აგარის ხე – *Aquilaria malaccensis* Lamk.**

**ოჯ. თიმელასებრნი - Fam. Thymelaeaceae**



**მორფოლოგია:** 40 მ-მდე სიმაღლისა და 80 სმ-მდე დიამეტრის ფოთოლმცვენი ხეა; ფოთლები წაგრძელებულია, ბოლოში წაწვეტებული, 5-11 სმ სიგრძისა და 2-4 სმ სიგანის. ყვავილები მოყვითალო-მომწვანო შეფერილობისაა, შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილელებად. ნაყოფი კოლოფია, 2,5-3 სმ სიგრძის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია მალაიზიაში, ინდონეზიაში, ტაილანდასა და ინდოეთში. ასეული წლების მანძილზე მსოფლიოში ამ მცენარეიდან გამოყოფილი ფისის – აგარის მწარმოებლად ითვლებოდა ინდოეთი, მაგრამ XX ს-ის შუა პერიოდიდან მაღალი მოთხოვნილებიდან გამომდინარე და ხეების კატასტროფულად შემცირების გამო, აგარის მოპოვების აქტიურობა აღინიშნება ინდონეზიაში, ინდონეზიასა და მალაიზიაში. სადღეისოდ მისი

პლანტაციები გაშენებულია რიგ ქვეყნებში: ბანგლადეშში, ბუტანში, ინდოეთში, მიანმურში, პაკუა-ახალ გვინეაში, ტაილანდსა და ვიეტნამში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მსოფლიოში ყველაზე ძვირფას ხელ ითვლება. ხის არომატული ფისოვანი გულგულისაგან მოპოვებული ზეთი მრავალი სახელწოდებითაა ცნობილი, უმთავრესად: აგარის, უდის (არაბული სიტყვიდან Oudh ან Oud), არწივის ხის ფისის სახელით. გამოირჩევა საოცარი ჯადოქრული სურნელით, არის ჰაეროვანი, მერქნისა და ბალზამის შერწყმის თბილი აურა მომჟავო-ტკბილი ნიუანსებით.

საუკუნეების მანძილზე გამოიყენებოდა მაღალხარისხიანი კეთილსურნელოვანი ზეთების მისაღებად. ჩინელები მის არომატს აღწერენ როგორც “ტკბილსა და ღრმას, მაგრამ ჰარმონიულს” და იყენებდნენ რელიგიური წეს-ჩვეულებების და ღღესასწაულების დროს. არანაკლებ პოპულარულია ფისის სურნელება ინდოეთში, იაპონიასა და არაბულ ქვეყნებში. ამავე ქვეყნებში ცნობილია ფისის სამკურნალო თვისებები.

აგარის ზეთი ტრადიციულ მედიცინაში შუა საუკუნეების დროიდან იხმარება. ჩინელი მკურნალები დღემდე იყენებენ გაციების, ასთმისა და კანის პრობლემებისას. არაბულ სამყაროში, გარდა ამისა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ინგრედიენტს პარფიუმერიაში. არომატის განმსაზღვრელი მთავარი ქიმიური კომპონენტებია სესკვიტერპენები.

აგარის ფისი ფაქტიურად ხის დაავადების შედეგია, ფორმირდება როგორც დამცავი რეაქცია სოკოვანი და ბაქტერიული დაზიანებებისას. არწივის ხეები იწყებენ დამცავი ფისის გამოყოფას, რომელიც გროვდება დაზიანებულ ნაწილებში (ფესვები, ტოტები, ხის ტანი), თანდათანობით ჟღინთავს მერქანს, მყარდება და ღებულობს მუქ ყავისფერს, ზოგჯერ შავ ფერსაც. ამასთან ხის გულგული ყველაზე დაუცველია ინფექციებისადმი, რის გამოც ზეთის მისაღებად ზოგჯერ მთელი ხის მოჭრაც ხდება საჭირო.

დაღვენილია აგარის ზეთის ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, მატონიზირებელი, ორგანიზმის

გამაახალგაზრდავებელი, ჭრილობების შემახორცებელი მოქმედება; იძლევა სიმშვიდისა და ჰარმონიის შეგრძნებას, აძლიერებს გონებრივ მოქმედებას, ხსნის სტრესს, მენტალური და ფიზიკური ხასიათის დაღლილობას, ასუფთავებს ლიმფურ და ვენოზურ სისტემას. ფართოდ გამოიყენება აიურ-ვედას მედიცინაში კანის სხვადასხვა დაავადებებისას, წყლულების, გამონაყრების, ძნელად შეხორცებადი ჭრილობების, კანის ანთების, კეთრის სამკურნალოდ. არის კარდიოტონიკი, იზმარება ხველების, ბრონქიტის, ასთმის, ართრიტებისა და რევმატიზმის, ვენოზური უკმარისობის, სლოკინის, ლიმფური სისტემის გასაწმენდად; ძლიერი აფროდიზიაკია, აძლიერებს სურვილსა და პოტენციას. ფართოდ გამოიყენება კოსმეტიკაში.

ტრადიციულად ითვლება წყლის ძლიერ გამწმენდად, რგავენ მდგარ წყალსაცავებთან, მიიღება კრისტალურად სუფთა “წმინდა” წყალი.

მსოფლიოში ყველაზე ძვირად ღირებული ზეთია, ბაზარზე ერთი კგ-ის ფასი 18000 ევროა. ნედლეული უმთავრესად გამოიყენება ნატურალურ პარფიუმერიაში - სუნამოების სიმძლავრისა და ინტენსიურობისათვის. აგარის მაღალი ფასი იმითაცაა გამოწვეული, რომ გვარი *Aguilaria* –ს სახეობები გადაშენების საფრთხის წინაშეა. ფისების მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახეობები: *A.agollocha*, *A.rassna*; ხოლო *A.malaccensis* ითვლება ინდონეზიური აგარის გამორჩეულ ნედლეულად.

*Agarwood*-ის ექსპორტირება ხდება სხვადასხვა ფორმით (მერქნის ბურბუმელა, ფხვნილი, ზეთი), აგრეთვე მზა პროდუქტების სახით, როგორიცაა სუნამოები, არომატული და სამკურნალო საშუალებები. აგარის ზეთის იმპორტირებად ითვლება: ახლო და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნები, კერძოდ: არაბეთის ემირატები და საუდის არაბეთი, აგრეთვე –ჰონკონგი, ტაივანი და იაპონია.

**უკუქმედება:** აფროდიზიაკული თვისებებიდან გამომდინარე მისი გამოყენებისას ნორმების დაცვა აუცილებელია.

**აფრიკული აბანოზი ან აფრიკული შავი ხე – *Dalbergia melanoxylon* Guill. ex Perr.**  
**ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის ფოთოლმცვენი ხეა ნაცრისფერი ქერქით და ეკლებით დაფარული ტოტებით, აღწევს 4-15 მ სიმაღლეს. ფოთლები მორიგეობითაა, ფრთისებრი 6-22 სმ სიგრძის, 6-9 კენტფრთართული ფოთოლაკებით. ყვავილი თეთრია, შეკრებილია მკვრივ ყვავილედად. ნაყოფი 3-7 სმ სიგრძის ჭოტია, შეიცავს ერთ ან ორ თესლს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება შრი-ლანკასა და ინდოეთში, დასავლეთ აფრიკაში, მადაგასკარზე, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძველი ეგვიპტიდან დაწყებული ოქროსა და სპილენძის ძვლის თანაბარ ძვირფასეულად ითვლებოდა. ჩვენს დროშიც მიჩნეულია ყველაზე ძვირფას და იშვიათ მცენარედ მსოფლიოში. გამოიყენება მაღალმხატვრული ნაკეთობების, ხის ინკრუსტაციისა და მოზაიკის, მუსიკალური ინსტრუმენტების დეტალების, საფეიქრო ნაკეთობების, დანის ტარების, საჭმელი ჩხირების დასამზადებლად.

მითებში, მაგიასა და ეზოთერიკაში მიაწერენ გამაახალგაზრდავებელ ეფექტს, აგრეთვე მაგიურ, მისტიკურ და ჯადოქრულ თვისებებს. მიიჩნევენ, რომ ხისგან დამზადებულ სამკაულებიან საცხოვრებელ სახლებში ვერ აღწევს ავი სული, ხოლო ამ ხის ტარიანი თოფი დემონების დაჭრას იწვევს.



აღინიშნება შავი ხის “კეთილი სულიც”. კანში მოხვედრილი მისი ეკალი არ იწვევს დაჩირქებას, არ ხასიათდება ალერგიით. ხეზე მომუშავე ოსტატები მთელი სიცოცხლის განმავლობაში იშვიათად ავადდებიან, დიდხანს ცოცხლობენ და სიცოცხლის ბოლომდე ინარჩუნებენ შრომისუნარიანობასა და ნათელ გონებას.

ფოთლები, ყვავილები და ნაყოფები ხასიათდება მაღალკალორიულობით, საკვებად გამოიყენება.

ყველგან, სადაც კი იზრდება აფრიკული აბანოზი, ადგილობრივი მოსახლეობა მას სამკურნალო თვისებებითაც აფასებს. მაგ.: მოზამბიკაში ტრადიციული მეთოდებით მკურნალობენ გაციებებს, ციებ-ცხელებასა და თავის ტკივილებს. გამოირჩევა ბაქტერიციდული და მადეზინფიცირებელი თვისებებით. უძველესი დროიდანვე ხისგან დამზადებული ნაყენები ახალგაზრდობის ელექსირად მიიჩნეოდა, ხოლო მამაკაცებში სქესობრივი დარღვევების სამკურნალოდ იხმარებოდა. აღმოსავლეთ აფრიკის (მოზამბიკა, ტანზანია) ექიმბაშები დღესაც ხის გულის, ქერქისა და ყვავილებიდან დამზადებულ საშუალებებს იყენებს კაცის პოტენციის ასამაღლებლად.

შუა საუკუნეებში ევროპელებს მიაჩნდათ, რომ ამ ხის ჭურჭელში შხამი კარგავს ძალას.

**უკუქმედება:** უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

**აღმოსავლური ბიოტა – *Platycladus orientalis* (L.) Franco  
(=*Biota orientalis* (L.) Endl.)**

**ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae**



**მორფოლოგია:** მონოტიპური სახეობაა, მარადმწვანე, ერთსახლიანი, წიწვოვანი 5-10 მ-მდე სიმაღლის ხე. ფესვთა სისტემა ზედაპირულია; ხის ტანი ჩვეულებრივ სწორმდგომია, ძირიდან იყოფა რამდენიმე ვერტიკალურ ღეროდ. ქერქი თხელია, ბაცი მოწითალო-ყავისფერი ელფერით. ტოტები ერთმანეთთან მჭიდროდაა განწყობილი, წარმოქმნის ფართო კონუსურ ვარჯს. წიწვები ქერქლისებრია, მახვილი წვერით, ბაცი მწვანე, ზამთარში - მურა შეფერილობისაა, ტუიას წიწვებისაგან განსხვავებით, მათზე ფისის ჯირკვლები არ აღინიშნება. მამრობითი ყვავილები (მიკროსტრობილები) მოყვითალო-მწვანეა, წაგრძელებული, განლაგებულია ყლორტების ბოლოებზე. მდედრობითი გირჩები (მეგასტრობილები) თითქმის უფერულია, დამახასიათებელი წამონაზარდებით, მომწიფებამდე რბილია, დაფარულია მოცისფრო-მწვანე ნაფიფქით; მწიფდება დამტვერიანებიდან მეორე წელს, ღებულობს მოწითალო-ყავისფერს და იშლება, გირჩები შედგება 6-8 შეზრდილი ქერქლისაგან. თესლი კვერცხისებრია, სქელი მურა ფერის ნაჭუჭით, უფროთა, მწიფდება შემოდგომით –ოქტომბრიდან ნოემბრამდე.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, კორეასა და რუსეთის სამხრეთ ნაწილში. ჩინეთში ტრადიციულად ფართოდაა კულტივირებული,

საიდანაც გავრცელდა მეზობელ რეგიონებში. ამჟამად ნატურალიზებულია მთელ მსოფლოში.

ჩინური ბუდისტური ფილოსოფია ბიოტას აკავშირებს დღეგრძელ სიცოცხლესა და ენერგიასთან. მიიჩნევენ, რომ ბუდისტურ ტაძრებთან მოზარდი ზოგიერთი მსხვილი ნიმუშები დარგულ იყო 1000-ზე მეტი წლის წინათ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მცენარე ყურადღებას არა მარტო დეკორატიულობით იპყრობს, გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობითაც. ფოთლები და მერქანი შეიცავს ეთერზეთებს პინენს (55-60%), სესკვიტერპენოიდებს (ვიდლენი, კარიოფილენი, ცედროლი, არომადენდრენი), პინიპიკრინს, პილენს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს. გარდა ამისა მერქანში აღინიშნება არომადენდრინი, ტოკსიფოლინი, თესლებში - ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები. ეთერზეთების ერთ-ერთი კომპონენტი ხინიკიტიოლი ანტისოკოვანი მოქმედებით გამოირჩევა.

ბიოტასაგან მიღებული სამკურნალო პრეპარატები ოფიცინალურად გამოიყენება ჩინურ მედიცინაში, დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში, ჰომეოპათიაში. თესლის გული მატონიზირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებიდან გამომდინარე იხმარება ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის სამკურნალოდ; ქერქლოვანი ფოთლები როგორც შემკვრელი და სისხლისშემაჩერებელი საშუალება - სისხლიანი ხველების, ცხვირიდან, ნაწლავებიდან, ელენთიდან და საშვილოსნოდან სისხლდენების, დიზენტერიისა და ბრონქიალური ასთმის შემთხვევაში. მცენარის ყველა ნაწილის 10%-იანი ნაყენი გარეგანად იხმარება წითელი ქარის დროს, ნორჩი ყლორტების ნაყენი კი გამოიყენება თირკმელების, ღვიძლის, ყვიანახველის, კუჭის აშლილობის, რევმატიზმის, ნიკრისის ქარისა და ოსტეოზონდროზის სამკურნალოდ; ფოთლების სპირტიანი ექსტრაქტი თრგუნავს ტუბერკულოზის ჩხირების ზრდას კონცენტრაციით 1:80000, წყლიანი ექსტრაქტი 1:100 კონცენტრაციით.

**უკუშმედება:** აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მცენარე სუსტად შხამიანია, გამოყენებისას გაითვალსწინეთ ექიმის რჩევები. უკუშმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისათვის.

**ბადიანი ან ვარსკვლავისებრი ანისი**  
**Illicium verum Hook.**  
**ოჯ. ლიმონურასებრნი - Fam. Schisandraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე მცირე ზომის (6-10 მ-მდე სიმაღლის) ხეა; ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი, შიშველი, პრიალა, მოგრძო-ელიფსური, მახვილი წვერით, კიდეძლიანი, მოფენილია წერტილოვანი, ეთერზეთების შემცველი ჯირკვლებით. ყვავილები მარტოულია, მოყვითალო-თეთრი, თავისუფალი გვირგვინის ფურცლებით, განწყობილია რამდენიმე რიგად. მშრალი ნაყოფი ვარსკვლავისებრი ფორმისაა, მუქი მურა, კრებადი, ჩვეულებრივ შედგება 8 ერთთესლიანი ფოთლურისაგან, განწყობილია მოკლე ღერძზე რადიალურად; სიმწიფისას ფოთლურები იხსნება, რომლებშიც თითო პრიალა მურა-ყვითელი თესლი ზის. ხასიათდება ანისულის მსგავსი არომატითა და სასიამოვნო გემოთი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა; ბუნებრივად იზრდება მხოლოდ ჩინეთსა და იაპონიაში. კულტივირებულია ვიეტნამში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში, კამბოჯაში, ინდოეთში, სამხრეთ კორეაში, იამაიკასა და ფილიპინებზე. ევროპულ ქვეყნებში მის შესახებ შეიტყვეს XVI ს-ში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სუნელ-სანელებელი მცენარეა. სამკურნალო მიზნებისათვის გამოიყენება თესლები და ფესვი. აგროვებენ მოუმწიფებელ ნაყოფებს და აშრობენ მზეზე, რის შემდეგაც მოწითალო-ყავისფერ

შეფერილობას იღებს. თესლები შეიცავს ეთერზეთებს, ცხიმზეთებს, შაქარს, მთრიმლავ ნივთიერებებს, მინერალურ მარილებს, ექსტრაქტულ ნივთიერებებს, ფისებს, გუმფისს, ტანინებს, ტერპენებს, ვაშლისა და სხვა ორგანულ მჟავებს.

ხასიათდება ანტისპაზმური მოქმედებით, აუმჯობესებს კუჭის მოქმედებას და ხელს უწყობს გაზების გამოყოფას.

უცხოურ ფარმაცოპეებში ბადიანის ანუ ვარსკვლავისებრი ანისულის ზეთი მინიშნებულია ჩვეულებრივი ანისულის (*Anisum vulgare* Gaertn.) ზეთის თანაბრად. უფრო მეტად შედის ნაკრებების შემადგენლობაში. ხასიათდება ამოსახველებელი და შარდმდენი მოქმედებით, აუმჯობესებს საჭმლის მონელებას.

ხალხურ მედიცინაში თესლების ნახარში (1:10 მოცულობით) მიიღება მუცლის ტკივილების, ციების, კრუნჩხვების, ეპილეპსიის, შავი ჭირის, მალარიის საწინააღმდეგოდ და როგორც ჭიისმდენი საშუალება.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ამალღებული ნერვული აღზნებადობის, ორსულებისა და მეძუძური ქალებისათვის.

**ბაის ხე ან მიხაკის წიწაკა,  
მტევნისებრი პიმენტო, ამერიკული დაფნა  
*Pimenta racemosa* (Mill.) I. W. Moore  
ოჯ. მირტიცებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 11-12 მ სიმაღლის ხეა, წვრილი

ტანითა და მოთეთრო ქერქით. ყვავილობს პატარა თეთრი ყვავილებით (1 სმ-მდე); ნაყოფი შავია, ოვალური 7-12 მმ ზომის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო კარიბის ზღვის კუნძულებია; იზრდება ცენტრალურ ამერიკაში, კამერუნზე, აღმოსავლეთ აფრიკაში, ოკეანეთში, ინდოეთსა და სხვა ტროპიკულ ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლებიდან მიიღება ეთერზეთები, რომელიც ფარმაცევტიაში ცნობილია Oleum Bay ან Oleum Myrciae სახელით. მის ძირითად კომპონენტს ევგენოლი წარმოადგენს. სურნელოვანი არომატისაა, მიხაკის სურნელის.

ხასიათდება გამაუმტკივნეობელი, ანტიკონვულსიური, რევმატიზმის საწინააღმდეგო, ანთისეპტიკური, შემკვრელი, არტერიალური წნევის ამწევი, ამოსახველებელი და მასტიმულირებელი მოქმედებით.

ფართოდ გამოიყენება გადაღლილობისა და დეპრესიების დროს. სასიკეთოდ მოქმედებს თმებზე, აცილებს თმის ცვენას, გამელოტებას, ხელს უწყობს კანის რეგენერაციას, თმის ზრდის ზონის ქსოვილების მეტაბოლიზმს, აღადგენს თმის ფოლიკულს, ამაგრებს, ასქელებს თმას; ეფექტურია კანის ღრმა დაზიანებებისას, როგორცაა სოკოვანი და ბაქტერიული; შველის სასუნთქი ორგანოების ანთებას, რის გამოც გამოიყენება გაციებისა და გრიპის დროს. ართრიტებისა და რევმატიზმისას იწვევს გამაუმტკივნეობელ, სახსრების ქსოვილებზე ანთების საწინააღმდეგო მოქმედებას. ეფექტურია ჰერპესისა და ანემიის შემთხვევაში; ასტიმულირებს საკვების მონელების პროცესს, აცილებს მეტეორიზმს.

დასავლეთ ინდოეთში ნაყოფები უძველესი დროიდან გამოიყენებოდა როგორც საწინააღმდეგო, ხოლო ფოთლებისაგან ამზადებდნენ თმის ბალზამს.

**უაშუაშუალება:** ეთერზეთების გამოყენებისას სიფრთხილე მართებთ ჰიპერტონიკებს, ამაღლებს წნევას. ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის აბსოლუტურად უკუმაჩვენებელია.

**ბამბის ბუჩქი ამერიკული - *Gossypium hirsutum* L**  
**ოჯ. ბალბისებრნი - Fam. Malvaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მცენარეა, კულტურაში მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. ღერო 70-120 სმ სიმაღლისაა, სწორმდგომი, ძლიერი, 1-3 პირდაპირი ტოტებით ფუძესთან და ღეროს მთელ სიგრძეზე მრავალრიცხოვანი მოხრილი ტოტებით; ფოთოლი მსხვილია, სამმაგ-ხუთმაგ დანაკეთილი, ნაკეთები ფართოსამკუთხაა, წაწვეტებული. ღერო და ფოთლები შებუსულია, ანთოციანებით სხვადასხვა ფრად შეღებილი, განსაკუთრებით მზის მხარეს. ყვავილი მსხვილია, გვირგვინის ფურცლები კრემისფერია, დაჭკნობისას მოწითალო. ნაყოფი კვერცხისებრი ან სფერული, სამ-ხუთ ბუდიანი ხსნადი კოლოფია. თესლი დაფარულია გრძელი (ბოჭკო) და მოკლე ბეწვებით. ბოჭკო თეთრია, 25-36 მმ სიგრძის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ძველ და ახალ სამყაროში უძველესი ხალხის მიერ ბამბა კულტურაში შეტანილ იქნა ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. მეზამბეობა, მრეწველობის ეს დარგი განსაკუთრებით უძველესია ინდოეთში, სადაც 5000 წლის წინათ მოჰყავდათ. პერუში კულტურა 4000 წლის წინათ იყო ცნობილი, მოგვიანებით განვითარდა აფრიკაში. შუა აზიაში მის კულტურას მისდევდნენ რამდენიმე ხნით ადრე ახ.წ.ა.-მდე.

ამერიკული ბამბის სამშობლო მექსიკაა. კოლუმბის მოგზაურობის შემდეგ მოხვდა ძველ სამყაროში და შემდგომ ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში, გამოდევნა რა ადგილობრივი კულტურული სახეობები. ბამბის კულტურას მსოფლიოში 32

მილიონი ჰა უკავია. ბამბის მსოფლიო წარმოებით გამოირჩევა ინდოეთი, აშშ, ჩინეთი, ბრაზილია, შუა აზია. მნიშვნელოვანი ფართობები აქვთ დათმობილი ასევე შემდეგ ქვეყნებში: უგანდა, თურქეთი, მექსიკა, არგენტინა, ნიგერია, ირანი, მოზამბიკი, კოლუმბია, სირია, ნიკარაგუა, ბირმა, ზაირი, პერუ, საბერძნეთი და ესპანეთი. მსოფლიოში ბამბის ნელლეულის მოსავლიანობა 12 ც/ჰა შეადგენს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მოჰყავთ როგორც ბოჭკოს მიღების, ასევე სამკურნალო მიზნით. ბამბის ნელლეულიდან ღებულობენ 30-40% ბოჭკოსა და 60-70% თესლს. ბოჭკო მიდის თეთრეულის, ტანსაცმლის (სატინა, ჩითი, მუსლინი, ნარმა), ტექნიკური ქსოვილების, ბამბის, ძაფის, კანაფის, თოკის დასამუშავებლად.

ბამბა შეიცავს ფისებს, ეთერზეთებს, ორგანულ მჟავებს, ვიტამინებს.

ხასიათდება ანტივირუსული მოქმედებით, ხელს უწყობს სისხლიდან ქოლესტერინის გამოდევნას. მცენარისაგან მიღებულ პრეპარატებს იყენებენ ათეროსკლეროზის და მისი მკურნალობის პროფილაქტიკისათვის, უშვილობის, მენსტრუალური ციკლის დარღვევების, ფეხმძიმე ქალების ტოქსიკოზის, კანის დაავადებების, სირსველის, ჰერპესისა და სხვა ვირუსული ავადმყოფობის დროს, ხელს უწყობს სისხლის წნევის დაქვეითებას; რეკომენდებულია სისხლძარღვების გასამაგრებლად და სისხლდენების შესაჩერებლად. ბამბის ნაყოფის ნახარში სასარგებლოა კუჭის კიბოსა და ოპერაციის შემდგომ რეაბილიტაციის პერიოდში.

თესლი შეიცავს 24-26% ზეთსა და 20% ცილებს. ზეთს იყენებენ საკვებად და მარგარინის, საპნის, გლიცერინის, სტეარინის, ტექნიკური ზეთების დასამზადებლად. თესლებიდან ტოქსიკური ფენოლური შენაერთების (გოსიპოლი) გამოდევნის შემდგომ, რომელთა რაოდენობა მათში 0,6-1 % შეადგენს, ღებულობენ პროტეინს საკვებად გამოყენების მიზნით; კოპტონს იყენებენ ორგანულ სასუქად.

**სხვა სახეობები:** *Gossypium barbadense* L.- ეგვიპტური ბამბის ბუჩქი, იძლევა ბამბის ნელლეულის 10%-ს. პირველად



აკლიმატიზირებული იყო ეგვიპტეში, შემდგომ პერუში, სუდანში, ბრაზილიაში, შუა აზიის ქვეყნებში. მისი ბოჭკო მაღალი ხარისხით გამოირჩევა, ამზადებენ ლამაზ, თხელ ქსოვილებსა და ტრიკოტაჟის ნაწარმს.

**უკუქმედება:** უკუჩვენებები არ არის დადგენილი.

**ბამბის ან მატყლის ხეები - *Ceiba pentandra* (L.) Gaertn.  
ოჯ. ბაობაბისებრნი – Fam. Bombacaceae**



**მორფოლოგია:** 30-40 (70) მ სიმაღლის წარმოსადეგი ფოთოლმცვენი ხეა ფართო ვარჯით და საყრდენებით; მისი გლუვი, მწვანე ქერქი ასაკთან ერთად ნაცრისფერი ხდება და იფარება მძლავრი, კონუსური მჩხვლეტავი ეკლებით, რომლებიც მცენარის დამცავი საშუალებაა. შედის ყველაზე მაღალ ტროპიკულ ხეთა რიცხვში. მისი მძლავრი ტოტები იზრდება ჰორიზონტალურად; მსხვილი, მორიგეობით განწყობილი ფოთლები თათისებრ – რთულია, შედგება 20 სმ-მდე სიგრძის, 5-9 კიდხეზსკილა ფოთოლაკისაგან, რომლებიც პალმის ფოთლების მსგავსია. ყვავილობს ფოთოლმცვენის შემდეგ, მსხვილი ყვავილელები ტოტების ბოლოებშია განლაგებული, შედგება ხუთწევრიანი ჯამის ფოთოლაკებისა და გვირგვინის ფურცლებისაგან, კრემისფერი, ბაცი ყვითელი ან ვარდისფერი შეფერილობისაა. ყვავილობს არარეგულარულად რამდენიმე წლის შუალედებით; ყვავილობიდან

რამდენიმე თვის შემდეგ ფორმირდება ნაყოფები - 15-20 სმ სიგრძის ვიწრო, ორივე ბოლოდან მახვილწვერიანი, მერქნოვანი, ბაცი ყავისფერი, ხსნადი კოლოფი; თესლები გრძელ, ფუშფულა, მრავალრიცხოვანი რბილი, მოყვითალო ფერის, პრიალა ბეწვებისაგან შევსებულ ბუდეებშია განლაგებული და ბამბას მოგვაგონებს, წარმოადგენს ლიგნინისა და ცელულოზის ნარევს. ასაკოვანი მცენარეები ინვითარებენ რამდენიმე ასეულ მსხვილ ნაყოფს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ცენტრალური და სამხრეთ ამერიკაა. ფიქრობენ, რომ წარმოიქმნა მესამეულ პერიოდში, 60 მილიონი წლის წინათ, როდესაც განვითარდნენ ფარულთესლოვანი მცენარეები. ამერიკიდან ბამბის ხე თანდათან ბუნებრივად ვრცელდება აზიის, აფრიკის, ავსტრალიის ტროპიკულ ტყეებში, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების აუზებში.

მას უწოდებენ შეყვარებულების, ბამბის, აბრეშუმის ხეს; გვინეაში, გვადალუბაში, მარტინიკსა და აფრიკაში ყველის ხეს უწოდებენ, ვინაიდან მისი რბილი მერქანი ყველის მსგავსად ადვილად იჭრება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამრეწველო მიზნებისათვის გამოიყენება წვრილი და აბრეშუმისებრი, 2-3 სმ სიგრძის ბოჭკო, რომელსაც ხმარობენ რბილი ავეჯის, ბალიშების, ლეიბების დასატენად. თესლები ბამბის ბუჩქის თესლის მსგავსად ზეთოვანია, მისგან დაწნეხვით მიიღება საკვებად გამოსადეგი ზეთი, რომელიც ნიგვზის ზეთის მსგავსია, იყენებენ საპნის წარმოებაში და გასანათებლადაც.

ბამბის ხე გვალვის პერიოდში მოსახლეობის მნიშვნელოვანი საკვებია; წლის ამ დროს ინვითარებს ყლორტებს, ნორჩი ფოთლებიდან ამზადებენ წვნიანებსა და სალათებს. განაში ჩატარებული გამოკვლევებით, ნედლი ფოთლები მდიდარია კალიუმისა და ნატრიუმის მინერალური მარილებით, შეიცავს პროტეინებსა და ბოჭკოს, მნიშვნელოვანი რაოდენობის ვიტამინებსა და რკინას. ამაზონკაში ინდიელები წვიმის სეზონის დამთავრების შემდეგ აგროვებენ და ხალავენ მის თესლებს.

ბამბის ხე მრავალ დაავადებას კურნავს. კაცობრიობის ორი

მესამედი ტრადიციული საშუალებებით მკურნალობს, ეყრდნობა რა ძირითადად ფიტოთერაპიას, რაც ადგილობრივი მცენარეების სამკურნალო თვისებებზეა დაფუძნებული, მათ შორისაა ეს ხეცმის ქერქსა და ღეროებს მკურნალები იყენებენ ციებ-ცხელების სამკურნალოდ და კბილის ელექსირის დასამზადებლად; ხორკლიანი ფესვებს - წყლულების, ფოთლებსა და ქერქს – ბუასილის დროს. ტრადიციულ მედიცინაში გამოიყენება როგორც შარდმდენი, დამარბილებელი და დიარეის საწინააღმდეგო საშუალება.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ბანანი - *Musa x paradisiaca***  
**ოჯ. ბანანისებრნი - Fam. Musaceae**



**მორფოლოგია:** გვარის წარმომადგენლები – მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეებია მძლავრი ფესვთა სისტემით, მოკლე ღეროთი და 6-20 ფოთლით, რომელთა ვაგინა ერთობლიობაში ღეროს მსგავსია. მცენარეთა სიმაღლე მერყეობს 2-დან 9 მ-მდე, ფაქტიურად ყველაზე მაღალი ბალახებია (ბამბუკებთან ერთად) მსოფლიოში, რის გამოც ბევრი მათ ხეებად მიიჩნევენ, ხოლო გამორჩეულად მაღალია სახეობა – *Musa itinerans*, რომლის სიმაღლე 12 მ აღწევს. ძირითადი ღეროს ირგვლივ წარმოიქმნება მრავალი გვერდითი ყლორტი, მათ შორის ერთ-ერთი შემდგომში წინას ცვლის - რითიც ხდება მათი გამრავლება. ფოთლები დიდი

ზომისაა, რბილი, გლუვი, მოგრძო ან ოვალური, პარალელური დაძარღვით; განლაგებულია სპირალურად. მცენარის ზრდასთან ერთად კონებში ნორჩი ფოთლები წარმოიქმნება, გარეთა ფოთლები კი თანდათანობით ხმება და ცვივა. კულტივირებული ბანანის ფოთლების სიგრძე აღწევს 275 სმ, სიგანე 60 სმ, მწვანე ან მომწვანო - მუქი ბორდოსფერი ლაქებით. ძლიერი ქარის დროს ფოთლები ძარღვების გასწვრივ ადვილად იფლითება - მსგავსი ადაპტაცია ხელს უწყობს ტროპიკულ კლიმატში მათ გადარჩენას. ყვავილობა იწყება აქტიური ზრდიდან 8-10 თვის შემდეგ; მოკლე ღეროს ზრდის წერტილში ვითარდება გრძელი საყვავილე ღერო. ყვავილელი - მტევანია, იისფერი ან მწვანე შეფერილობის, რომლის ძირში განლაგებულია მსხვილი - მდედრობითი, შემდეგ - უფრო მცირე ზომის ორსქესიანი, ხოლო ბოლოში - წვრილი მამრობითი ყვავილები; ყველა ყვავილი მილისებრია, შედგება გვირგვინის 3 ფურცლისგან და ჯამის 3 ფოთოლაკისაგან, მტვრიანა 6, გინეკეუმი სინკარპულია, 3 ნაყოფისფოთლით და 3 ბუდიანი ნასკვით. ნაყოფი ვითარდება მხოლოდ მდედრობითი ყვავილებიდან (ორსქესიანი ყვავილები უნაყოფოა); ნაყოფის სიგრძე მერყეობს 3 სმ-დან 40 სმ-მდე, სისქე 2-8 სმ, ქერქი ყვითელია, მწვანე, წითელი ან ვერცხლისფერი; ნაყოფის რბილობი თეთრია, კრემისფერი, ყვითელი ან ნარინჯისფერი; უმწიფარი - მაგარი და წებოვანია, სიმწიფისას - რბილი და წვნიანი; კულტურულ ფორმებში ნაყოფი უთესლოა და მათი გამრავლება მხოლოდ კვეტატიურად ხდება, ველურად მოზარდ მცენარეებში კი ნაყოფი შევსებულია დიდი რაოდენობის მომრგვალო ან წაწვეტილი თესლით. თითოეულ ღერძზე შეიძლება განლაგებული იყოს 300 ნაყოფი, საერთო მასით 50 - 60 კგ. ნაყოფმსხმოიარობის დასრულების შემდეგ მიწისზედა ნაწილი ხმება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გვარი ბანანი (*Musa*) აერთიანებს 40-ზე მეტ სახეობას, გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ჩრდილოეთის სახეობაა იაპონური ბანანი (*Musa basioo*), წარმოშობით იაპონიის რიუკოს კუნძულებიდან, რომელიც დეკორატიული მნიშვნელობით მოჰყავთ კავკასიის შავზღვისპირეთში, ყირიმსა და საქართველოში.

ბანანი ყველაზე უძველესი კულტივირებული მცენარეა. მის სამშობლოდ ითვლება მაღაის არქიპელაგის კუნძულები, სადაც როგორც მეცნიერები მიიჩნევენ, ძველ მაცხოვრებლებს მოჰყავდათ ისინი და იყენებდნენ თევზის დიეტისას, როგორც დამატებით საკვებს. მოგზაურობდნენ რა წყნარი ოკეანის კუნძულებზე, ისინი მარაგდებოდნენ ამ ხილით და ასე უწყობდნენ ხელს ბანანების გავრცელებას.

პირველი წერილობითი ცნობები ბანანის შესახებ მოიპოვება ინდურ ხელნაწერებში “მახაბხარათი”. ახალ ერამდე VI-V საუკუნეებში უკვე ინტროდუცირებული იყო ინდოეთში. ბანანები აღწერილი აქვს ძველბერძენ ფილოსოფოსსა და ბოტანიკის დამაარსებელს თეოფრასტეს შრომაში “მცენარეთა ბუნებრივი ისტორია”. რომაელი მწერალი პლინიუს დიდი “ბუნებრივ ისტორიაში” (77 წ.) აღნიშნავს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა ინდოეთში ლაშქრობისას (ძვ.წ.ა. 327 წ.) გასინჯა ეს ხილი და ევროპაში თან წამოიღო.

მიუხედავად იმისა, რომ ტროპიკებში ბანანებმა მეტად სწრაფად მოიპოვეს პოპულარობა, ევროპულ და ამერიკულ ზომიერი კლიმატის ქვეყნებში დიდხანს რჩებოდა იშვიათ ეგზოტურ პროდუქტად, ვინაიდან ძირითადი მოთხოვნა მისი ტრანსპორტირებისა და შენახვის დროს არის მუდმივი ტემპერატურის, არა უმეტეს  $14^{\circ}\text{C}$  შენარჩუნება. მხოლოდ XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, პირველი მაცივრების გამოგონებისა და რკინიგზის მშენებლობის შემდეგ, შესაძლებელი გახდა ამ ხილის ჩრდილოეთ ბაზრებზე გატანა, ჯერ აშშ-ში, შემდეგ ევროპაში. XX ს-დან ბანანების ბიზნესი სწრაფად ვითარდება, მხოლოდ 1961 - 2001 წლებში საქონლის წარმოება 3,5-ჯერ გაიზარდა.

ამჟამად მოჰყავთ პრაქტიკულად ზომიერი ტროპიკული კლიმატის ყველა ქვეყანაში. ჩვენი საუკუნის დასაწყისში კულტივირებული ბანანების საერთო მოცულობა დაახლოებით 99 მილიონ ტონას შეადგენდა. პროდუქციის მოცულობით წამყვანი პოზიციები უკავიათ ინდოეთს, ჩინეთსა და ფილიპინებს. ექსპორტის 80% მოდის ლათინური ამერიკის ქვეყნებზე, უმთავრესად ეკვადორზე, კოსტა-რიკაზე, კოლუმბიასა და გვატემალაზე. ძირითადი იმპორტიორებია - ევროკავშირი, აშშ, იაპონია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კულტივირებული ბანანები წარმოადგენენ ერთი კულტივენის (აღამიანის მიერ გამოყვანილი ბუნებრივი სახეობის) **Musa x paradisiaca** - ს ვარიაციებს (ან ჯიშებს), რომელიც წარმოადგენს წაწვეტებული ბანანის (**M. acuminata**), ბალბისის ბანანისა (**M. balbisiana**) და იშვიათად მაკლას ბანანის (**M. usa maklayi**) ჰიბრიდს.

ბანანის ჯიშები პირობითად ორ ჯგუფად იყოფა: დესერტული, გამოიყენება ძირითადად ნედლი და მშრალი სახით და პლანტაინები (ან პლატანო), რომლებიც გამოყენების წინ საჭიროებენ თერმულ დამუშავებას.

პლატანოს (ესპანური plantar - დარგვა) - ნაყოფები, როგორც წესი, მწვანე ან წითელი შეფერილობისაა სახამებლიანი კანით, უხეში და უტკბილო რბილობით; საკვებად გამოყენების წინ მას წვავენ, ხარშავენ ან ამუშავებენ ორთქლით.

ბანანებიდან მზადდება ბავშვთა კვების პროდუქტები, ჯემი, კექსები, სუროგატული ყავა, ნაყინი, ჩიპსები, ფქვილიდან - საკონდიტრო ნაწარმი, სხვადასხვა სახის სასმელები, მათ შორის ალკოჰოლური - ლუდი, ღვინო.

რბილობი ტკბილია, შეიცავს დიდი რაოდენობის 25 მგ%-მდე ნახშირწყლებს (უმთავრესად საქაროზას), 7-20 მგ% სახამებელს, რომელიც ნაყოფების მომწიფების შემდეგ შაქრად გარდაიქმნება, 1,3 მგ% ცილებს, ვაშლის მჟავას, მთრიმლავ და არომატულ ნივთიერებებს, უჯრედისს, ფერმენტებს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>6</sub>, PP, პროვიტამინ A -ს), კატექოლამინებს; C ვიტამინის შემცველობით არ ჩამოუვარდება ციტრუსებს, მწიფე ნაყოფების 100 გ რბილობში მისი შემადგენლობა 8-12 მგ% შეადგენს. შეიცავს აგრეთვე ორგანიზმის ნორმალური ცხოველმქმედებისათვის აუცილებელ მინერალურ ნივთიერებებს - ფოსფორს, რკინას, კალციუმს, მაგნიუმს, ნატრიუმს, რკინასა და დიდი რაოდენობით კალიუმს. ნაყოფების არომატი განპირობებულია მათში არსებული რთული ეთერებით.

მცენარის ყველა ნაწილი გამოიყენება მედიცინაში. ყვავილები - დიზენტერიის, კუჭის წყლულის, ბრონქიტის, დიაბეტის დროს. მცენარის წვენი შველის ნერვიულ აღგზნებადობას, ეპილეპსიას,

კეთრს, კუჭის აშლილობას, სისხლდენას; კლინიკური დაკვირვებებით დადგენილია მისი სამკურნალო მოქმედება კუჭსა და თორმეტგოჯა ნაწლავში სისხლჩაქცევებისას. ბანანის რბილობი, მასში არსებული ფიზიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (კატექოლამინები) შემცველობის გამო, გამოიყენება დიეტური პროდუქტის სახით გულის იშემიის, ათეროსკლეროზის, ანემიის, მაღალი წნევის (კალიუმი ხელს უწყობს მის დაწევას), დეპრესიის, გულ-ძმარვის, მენსტრუაციის წინა სინდრომის, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულის და სხვა ნაწლავური დაავადებების, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის დაზიანების, დიათეზური სისხლდენების შემთხვევაში. კოსმეტოლოგიაში ბანანის ქერქი იხმარება როგორც ნატურალური საშუალება მეჭვჭების მოსაშორებლად.

ფესვებს იყენებენ კვების მონელების დარღვევების და დიზენტერიის შემთხვევაში.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია დიაბეტით დაავადებულთათვის, ტრომბოფილიტის, კენების ვარიკოზული გაფართოების, ინფარქტისა და ინსულტის შემდგომ; არ არის რეკომენდებული კუჭის წვენის მაღალი მჟავიანობისას.

**ბანანი, ბენგალიური ფიკუსი - *Ficus benghalensis* L.  
ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae**



**მორფოლოგია:** სახელწოდება “banyan” ევროპელებმა შემოიღეს. მოგზაურობდნენ რა ინდოეთში, მათ შენიშნეს, რომ ინდოელი

ვაჭრები (banias) ხშირად იკრიბებოდნენ უზარმაზარი ხეების ჩრდილქვეშ. წარმოიშვა სახელწოდება “banias tre”, ხოლო შემდეგ უკვე თვით ხეს მოიხსენიებენ ამ სახელწოდებით. მისი სასიცოცხლო ფორმა გასაოცარია. ზრდასრული მცენარეების ვარჯიდან და ტოტებიდან წარმოიქმნება გრძელი საჰაერო ფესვები, რომლებიც მიწას სწვლებიან და ფესვიანდებიან, რითიც უზრუნველყოფენ ფიკუსს წყლითა და საკვები ნივთიერებებით. ღრთა განმავლობაში ფესვები სქელდება და გადაიქცევა დამატებით ვარჯად, რომლებიც ერთიანი ხშირი ვარჯის საყრდენს წარმოადგენს. ამგვარად მცენარე სივანეში იზრდება, თანდათანობით წარმოიქმნება რაყები ან ტყეები. მათ რამდენიმე ჰა ფართობის დაკავება შეუძლიათ. არის ცნობები, რომ ზოგიერთი ხნიერი ბანიანი, რომლებიც ასეული (ათასეულიც კი) წლისაა, აღწევს 30 მ სიმაღლესა და 400 მ-მდე გარშემოწირულობას, ფორმირდება 1300-მდე გვერდითი ვარჯი და 3000-მდე საჰაერო ფესვი. სხვადასხვა შეფასებით ერთი ასეთი მცენარის ვარჯის ქვეშ შეიძლება 10000-მდე ადამიანის მოთავსება.

ერთ-ერთი უდიდესი ბანიანი აღწერილი იყო ჯერ კიდევ ალექსანდრე მაკედონელის ადმირალის მიერ; მაშინ ამ ხის ჩრდილქვეშ 7000 - მდე კაცი თავსდებოდა. ფილიპინებზე იზრდება ბანიანი, რომელიც 1328 წლისაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ტროპიკული კლიმატის მცენარეა; განსაკუთრებით აღინიშნება ინდოეთში (კალკუტა, ბანგალორი, ადიარი, აუროვილი), აშშ-ში (ფლორიდა), ფილიპინებსა და ჰავაის კუნძულებზე. ბანიანს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ორ რელიგიაში – ბუდიზმსა და ინდუიზმში აკუთვნებენ საკრალური ხეების რიცხვს; როგორც ცნობილია ბუდამ უმაღლესი სიბრძნე შეიმეცნა და გასხვივოსნდა, სწორედ ამ ხის ქვეშ მედიტაციისას. ინდუიზმში ბანიანი მსოფლიო ხის სიმბოლოა, აგრეთვე დაკავშირებულია ბრახმანთან (ატმანთან). მიიჩნევენ მუდმივი სიცოცხლის, უკვდავების, მდგრადობისა და შეუდრეკელობის სიმბოლოდ. მრავალფეხიანი ხე არა მხოლოდ ინდუსი ბრძენების პატივისცემით სარგებლობს, ის ქალების საყვარელ ხედაც ითვლება, ვინაიდან ნაყოფიერების სიმბოლოცაა;



აქედანაა მის მიმართ მზრუნველი დამოკიდებულებაც. ითვლება, რომ თუ მას ზიანს მიაყენებენ (ჭრა, გასხვლა და ა.შ.), გამოიწვევს ღმერთების რისხვას, მათ გამოსასყიდლად კი მსხვერპლის შეწირვა იქნება საჭირო.

უძველეს ტექსტებში ბანიანი მსოფლიო ხის სიმბოლოა (Arbor mundi, კოსმიური ხე). უძველესი, არქეტიპური მცენარეა, კაცობრიობის შემეცნების გამოხატულება და სიმბოლო, მონაწილეობს უძველესი ცივილიზაციის ყველა კულტურაში. ყველა ხალხს აქვს მსოფლიო ხის გამოსახულებები (სიცოცხლის ხე, შემეცნების ხე, შამანური ხე, ამომავალი ხე, ციური ხე) ან მისი ვარიანტები (მსოფლიოს ღერძი, მსოფლიო ვერტიკალი, ჯვარი, ციური კიბე, მსოფლიოს მთა). ფაქტიურად მსოფლიოს ხე წარმოადგენს სამყაროსა და ადამიანს შორის დამაკავშირებელ რგოლს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბანიანის მერქანი გამოიყენება ავეჯისა და ქალაღის წარმოებაში, ფოთლები, რომლებიც პროტეინს შეიცავს საქონლის საკვებად იხმარება. ნაყოფებისაგან ამზადებენ ხილის შარბათს.

აიურ-ვედაში ბანიანი გამოიყენება სამეურნალო მიზნებითაც. იხმარება ქერქი, ქერქის ბოჭკო, ფოთლები, თესლები და ლატექსი – ხის რძისებრი წვენი. ხასიათდება ანტისეპტიკური, ანტიბაქტერიული, შემკვრელი, ჭრილობების შემახორცებელი, ანთების საწინააღმდეგო, სიცხისდამწვევი თვისებებით. სამეურნალოდ გამოიყენება კანის დაავადებების, კეთრის, წყლულების ჭრილობების, ჩირქგროვების შესახორცებლად, სასქესო ორგანოების ინფექციური დაავადებების (ათამანგი, ვაგინალური ინფექციები, გონორეა), გულისრევისა და პირღებინების, ლვიძლის, ნაღვლის ბუშისა და სასუნთქი გზების დაავადებების, გაციების, ციებ-ცხელების, გრიპის, ანგინის დროს; როგორც აფროდიზიაკი – ალაგზნებს სქესობრივ ლტოლვას, აძლიერებს პოტენციას.

ბანიანის ექსტრაქტებსა და წვენს უმატებენ სხვადასხვა კოსმეტიკურ პროდუქტებს – კრემებს, ტონიკებს, თმის საშუალებებს, ნიღბებს. იცავს კანს ინფექციებისაგან, კურნავს

კანის დაავადებებს, ხელს უწყობს წყლულების შეხორცებას, ჭრილობების დაჭიმვას; არის ბუნებრივი ტონიკი, კანი ხდება მკვრივი, დაჭიმული, ნაზი და მომხიბლავი.

შედის ნატურალური, დამატენიანებელი კრემის “ველა ვედიკას”, შემახორცებელი ზეთის “ველა ვედიკას”, ფეხის მშრალი კანის კრემის “ველა ვედიკას”, სილამაზის ფორმულის “ველა ვედიკას” შემადგენლობაში.

**უკუქმედება:** არ გააჩნია.

### **ბალზამის სოჭი – *Abies balsamea* Mill.**

**ოჯ. ფიჭვისებრნი - Fam. Pinaceae**



**მორფოლოგია:** 15-25 მ სიმაღლის მარადმწვანე წიწვოვანი მცენარეა ვიწრო ვარჯით; ხის ქერქი მონაცრისფრო-ყავისფერია და გლუვი; სახეობის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ქერქი დაფარულია დაბერილი გამჭვირვალე წებოვანი ფისის ბუმბუტუკებით, რომლებიც ძვირფას თვისებებთან ერთად მცენარის დამცველიცაა, იცავს სოკოვანი დაავადებებისა და მავნებლებისაგან. 2 სმ სიგრძის წიწვები ბლაგვია, ზედა მხარეს მუქი მწვანე შეფერილობის, ქვედა მხრიდან – მოვერცხლისფრო-ცისფერი. მწვანე ფისოვანი გირჩები ტოტებზე ვერტიკალურადაა განწყობილი, 5-8 სმ-მდე ზომისაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** დიდი ფართობები უკავია ჩრდილოეთ ამერიკაში - ცენტრალურ და აღმოსავლეთ

კანადაში (აქედანაა მისი მეორე სახელიც -კანადური სოჭი), სამხრეთით აღწევს მინესოტის, მენის შტატებამდე და დასავლეთ ვირჯინიაში აპალაჩის მთებამდე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მიეკუთვნება სასარგებლო მცენარეთა რიცხვს. წარმოადგენს ფისების მიღების წყაროს, რომელიც ცნობილია “კანადური ბალზამის” სახელით; სოჭის ტოტიდან მიღებული ეთერზეთები უფერული ან მოყვითალო სითხეა სასიამოვნო ბალზამის სუნით, გამოიყენება მედიცინაში და მიკროსკოპულ ტექნიკაში. შეიცავს მონოტერპენებს, პინენს, ფილანდრენს, ეთერებსა და სპირტებს.

მკვიდრი ამერიკელები მის ფისს იყენებდნენ რიტუალური მიზნებისათვის, აგრეთვე როგორც ტკივილგამაყუჩებელს და ანალგეტიკს, გარეგანად - დამწვრობების, წყლულების, ჭრილობების შესახორცებლად.

კანადური ბალზამი ძლიერი მატონიზირებელი და ძალის სწრაფად აღმდგენი, საუკეთესო ანტისეპტიკური (შარდსასაქესო და სასუნთქი სისტემის ინფექციები), ხველების საწინააღმდეგო, შემკვრელი, შემახორცებელი, შარდმდენი, ამოსახველებელი, სასაქმებელი მოქმედებით გამოირჩევა. იხმარება ჭრილობების, დამწვრობის, ნაკაწრების, წყლულებისა და კანის დამსკდარი მონაკვეთების შესახორცებლად, ფისი წარმოქმნის მფარავ შრეს, რაც ხელს უწყობს მათ მოშუშებას და კლავს მიკროორგანიზმებს.

თბილი ნაყენი წყალთან ნარევში შინაგანად გამოიყენება: ბრონქიტის, ხველების, ტუბერკულოზის და ყელის კიბოს ტკივილებისას, ლორწოვანი გარსის ანთების, გაციებისა და გრიპის, დიზენტერიის, ყურის ტკივილის, გულისა და უროლოგიური დაავადებების, როგორიცაა გონორეა და ვაგინალური ინფექციები, რევმატიზმის, სახსრების ტკივილის, ცინგისა და წყლულის სამკურნალოდ.

გარდა აღნიშნულისა მისი სასიამოვნო სუნი ქმნის საახალწლო განწყობილებას და შინაურ სიმყუდროვეს, ხელს უწყობს აზრის მოკრებას და დამშვიდებას, რაც უდავოდ წარმოადგენს მნიშვნელოვან ფსიქოლოგიურ რესურსს ექსტრემალურ სიტუაციებში.

**უკუქმედება:** არ არის ტოქსიკური, არ აღიზიანებს კანს, მაგრამ დიდი რაოდენობა იწვევს სასაქმებელ მოქმედებას და გულის რევას.

**ბაობაბი – *Adansonia digitata* L.**  
**ოჯ. ბაობაბისებრნი – Fam. Bombacaceae**



**მორფოლოგია:** 5-30 მ-მდე სიმაღლის ხეა, ტანის დიამეტრი 7-11 მ-ს აღწევს. ფოთლები 5-7 თათისებრია დანაკეთული; ყვავილი მსხვილია (20 სმ-მდე განივ განაჭერში), თეთრი, 5 გვირგვინის ფურცლითა და მეწამული მტვრიანებით, ჩამოკიდებული საყვავილე ყუნწებით; იშლება საღამოს და ცოცხლობს მხოლოდ ერთ ღამეს, მისი არომატი იზიდავს ყვავილის დამამტვერიანებელ პატარა ღამურებს, დილით ყვავილები ჭკნება, იძენს უსიამოვნო დამპლის სუნს და მალევე ცვივა. ნაყოფები კიტრს ან ნესვს მოგვაგონებს, დაფარულია სქელი, ხაოიანი ქერქით; ნაყოფის შიგთავსი საკვებად ვარგისია. შედგება მომჟავო სახამებლიანი რბილობისაგან შავი თესლებით. მაიმუნების საყვარელ ხეს წარმოადგენს და მას “მაიმუნის პურის ხესაც” უწოდებენ. ზამთარში, მშრალ პერიოდში ფოთლები ცვივა. ოქტომბრიდან დეკემბრამდე ყვავილობს. რბილი, წყლით გაჯერებული მერქანი ადვილად ავადდება სოკოვანი დაავადებებით, რის გამოც ასაკოვანი მცენარეების ტანი ჩვეულებრივ ღრუა ან ფულუროვანი, შიგნიდან დამპალი. ბაობაბი თავისებურად კვდება, ის თითქოს იშლება და მიწაზე თანდათანობით იკვდება, რის შემდეგაც სტოვებს ბოჭკოს ბორცვს; ამავე ღროს მეტად სიცოცხლისუნარიანია, სწრაფად აღიდგენს

შემოცლილ ქერქს, აგრძელებს ყვავილობასა და ნაყოფმსხმოიარობას ფულურო გულით. გადაჭრილ ან წაქცეულ ხეს შესწევს ახალი ფესვების განვითარების უნარი.

ამ საკმაოდ უცნაურ მცენარეს გადაბრუნებულ ხესაც უწოდებენ, ვინაიდან უფოთლო მდგომარეობაში რჩება შთაბეჭდილება, რომ ხე ჩარჭობილია მიწაში ფეხებით ზევით, ხოლო ჰაერში მათი ფესვები მოჩანს.

ბაობაბის სიცოცხლის ხანგრძლივობა საკამათო საგანია, მას არა აქვს წლიური რგოლები, რომელთა საშუალებით ზუსტადაა შესაძლებელი ასაკის დადგენა. რადიონახშირბადის ანალიზის მეთოდის საფუძველზე ჩატარებულმა გამოანგარიშებამ აჩვენა, რომ 4,5 მ დიამეტრის ხე 5500 წლისაა, უფრო ფრთხილი გამოთვლებით კი “მხოლოდ” 1000 წლის. ყველაზე დიდ ხედ ითვლება სამხრეთ აფრიკაში ლიმპოპოს ეგზემპლარი, მისი სიმაღლე 47 მ შეადგენს, გარშემოწირულობის დიამეტრი 16 მ. ასევე მიიჩნევენ, რომ ბაობაბი დედამიწის უძველესი მცენარეა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** იზრდება აფრიკის დაბლობებსა და ავსტრალიაში. ბაობაბი ითვლება მადაგასკარის მცხოვრებთა ნაციონალურ ხედ; ეს მცენარეა გამოსახული აგრეთვე სენეგალის, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის გერბზე.

ხანგრძლივი სიცოცხლისა და ძალის სიმბოლოა. ხე რომელიც ფესვებით ზევით იზრდება, დედამიწაზე ყველაზე დიდხანს ცოცხლობს; ხე - პირამიდების, ხამურალისა და ახალი აღქმის თანამედროვე; ხე, რომლის სიცოცხლის დროს წარმოიქმნენ, მიაღწიეს აღორძინებას და შემდგომ უსასრულობაში გადავიდნენ სხვადასხვა ცივილიზაციები და ხალხები. ხე, რომელსაც შეუძლია უპასუხოს ადამიანის მუდმივ კითხვას სიცოცხლის მუდმივობის ელექსირზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ადგილობრივი მოსახლეობა პრაქტიკულად იყენებს ბაობაბის ყველა ნაწილს. მერქანს საწვავად ხმარობენ; ქერქისაგან ამზადებენ უხემ, გამძლე ბოჭკოს, რომლისგანაც ქსოვენ მეთევზის ბადეებს, თოკებს, ქსოვილებს. ახალგაზრდა ფოთლებს სასალათოდ იყენებენ, მშრალს – სანელებლად; ნიგერიაში მისგან წვნიანს ამზადებენ; ნორჩ

ყლორტებს სატაცურის მსგავსად ხარშავენ. ყვაილის მტვერი წებოს დასამზადებლად ვარგისი. ნელლი რბილობი გემოვნებით დარიჩინის მსგავსია და მდიდარია C და B ვიტამინებით, ხოლო კვებითი ღირებულებით ხბოს ხორცის ექვივალენტურია. მას სწრაფად ითვისებს ადამიანი და ხსნის დალილობის სინდრომს. რბილობს აშრობენ და ფქვავენ, წყალში გახსნილი ფხვნილი იძლევა გამაგრებელ სასმელს, რომელიც ლიმონათს მოგვაგონებს, აქედან ბაობაბის კიდევ ერთი სახელი “ლიმონათის ხე”. თესლი ნელად იჭმევა, ხოლო მოხალული და დაქუცმაცებული ყვის შემცველია. მშრალ მაგარ ნაყოფს ჭიქის მაგივრად ხმარობენ. ნაყოფის მშრალი შიგთავსის დაწვისას გამოყოფილი ბოლი აფრთხობს კრაზანებსა და სხვადასხვა მწერებს, ნაცრისაგან კი ამზადებენ საპონს, და რაც მთავარია ზეთს, რომელსაც საკვებად იყენებენ. ბაობაბის ნაყოფისაგან მიღებული ფხვნილით აღმოსავლეთ აფრიკის ქალები თავს იბანენ, ხოლო წითელი წვენი, რომელსაც ფესვები შეიცავს, სახეს იფერადებენ. ამზადებენ საღებავ რეზინას, სამკაულებს და სხვადასხვაგვარ ნივთებს.

ქერქის ნაცრიდან მიიღება საკმაოდ ეფექტური საშუალებები გაციების, ციებ-ცხელების, დიზენტერიის, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, ასთმის, კბილის ტკივილის, მწერების ნაკენების საწინააღმდეგოდ.

მიღებულია პრეპარატი ბაობაბLife, რომელიც მდიდარია მცენარეული ბოჭკოთი, პრებიოტიკებითა და ანტიოქსიდანტებით. პრეპარატის საფუძველს ბაობაბის ნაყოფის რბილობი წარმოადგენს, მდიდარია ნატურალური ბოჭკოთი, რომელიც აუცილებელია ნაწლავების ნორმალური მოქმედებისათვის, პრებიოტიკ ინჟინინის მაღალი შემცველობა ხელსაყრელია ნაწლავების სასარგებლო ფლორისათვის, ადადგენს აუცილებელ ბალანსს და არეულირებს საკვებმომწოდებელი ტრაქტის მუშაობას. ბაობაბLife მადის რეგულიატორია, მასში შემავალი გლუკომანანები თრგუნავს შიმშილის გრძნობას, იწვევს მადრობის სინდრომს. ამადლებს ორგანიზმის საერთო ტონუსს; ანტიოქსიდანტების, C ვიტამინისა და Ca-ის მაღალი

შემცველობიდან გამომდინარე აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ორგანიზმიდან შლაკების გამოდევნას, იწვევს ანტიოქსიდანტურ მოქმედებას. რეგულარული გამოყენების შედეგად მნიშვნელოვნად უმჯობესდება გუნება-განწყობილება, წესრიგდება საკვებმომწოდებელი ტრაქტის მუშაობა, წარმოებს ნაწლავების ფლორის აღდგენა, ძლიერდება ტონუსი და იმუნიტეტი.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ბაროსმა – *Agathosma betulina* (Berg.) Pillans  
 (= *Barosma betulina* Bartl. et Wendl.)  
 ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის ძლიერ დატოტვილი მარადმწვანე ბუჩქია, უკუკვერცხისებრი 2 სმ-მდე სიგრძის, ბაცი მწვანე, წვრილხერხებილა კიდეებიანი ფოთლებით, რომლებიც მოფენილია მრავალრიცხოვანი, წვრილი წერტილოვანი, ეთერზეთების შემცველი ჯირკვლებით. ყვავილები 12 მმ-მდე დიამეტრისაა, ვარდისფერი ან თეთრი გვირგვინით; ნაყოფი კვერცხისებრი კოლოფია ხუთი პრიალა შავი თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ აფრიკის მთიანეთია, ოცნების კონცხის მახლობლად. ევროპაში XVIII ს-ის დასაწყისში იქნა შეტანილი, ხოლო 1821 წელს დარეგისტრირდა ბრიტანეთის სამედიცინო ფარმაცოპეაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბაროსმა ხასიათდება საოცარი სუნით, რომელიც ერთდროულად მოგვაგონებს ბალის პიტნისა და როზმარინის სურნელს. სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს, აგროვებენ მარტ-აპრილში, წვიმის სეზონის დამთავრების შემდეგ. სტანდარტული დოზირებული პაკეტებიდან ამზადებენ ნაყენს, ფხვნილს, მშრალ ექსტრაქტებს (ჟელატინის კაფსულებში), სხვადასხვაგვარ ხსნარებს.

ფოთოლი შეიცავს 2% ეთერზეთებს, რომელიც მეტად მდიდარია პულეგონითა და დიოსფენოლით, აგრეთვე ფლავონოიდებს, მუკოპოლისახარიდებს: პოლისახარიდების შენაერთებს, რომელიც სუფთა წყალთან ნარევი წარმოქმნის გელს.

ფოთლები ხასიათდება შარდმდენი და ანტისეპტიკური მოქმედებით. გამოიყენება შარდსადინარი გზების ანთებითი დაავადებების (ცისტიტი, პროსტატიტი, ურეთრიტი, პიელონეფრიტი, შარდის ბუშტის კედლების გაღიზიანება), კუჭ-ნაწლავის ტრაქტის (ქოლანგიტები, ჰეპატოქოლეცისტიტი, კუჭის ჰიპოსეკრეცია), მარილების ცვლის დარღვევების (ართრიტები, ოსტეოხონდროზი, მარილიანი დიათეზი) დროს. როგორც ანტისეპტიკი ფოთლები იხმარება სამკურნალო საშუალებების მოსამზადებლად ქრონიკული ბრონქიტის, კანისა და ლორწოვანი გარსის დაავადებებისას.

**უკუქმედება:** დაავადებებისას გამოყენებული სტანდარტული დოზების დროს გვერდითი მოვლენები არ არის დადგენილი. თუმცა ეთერზეთებში პულეგონის მაღალმა შემცველობამ შეიძლება გამოიწვიოს ლორწოვანი გარსის გაღიზიანება, რის გამოც არ არის რეკომენდებული არომათერაპიაში. ფოთლების შარდმდენ საშუალებად გამოყენებისას, შესაძლებელია ორგანიზმში კალიუმის დაკარგვა, ამიტომ მკურნალობის პერიოდში აუცილებელია კალიუმით მდიდარი ხილისა და ბოსტნეულის (გარგარი, გოგრა, სატაცური, არტიშოკი და სხვ.) მიღება.



**ბაემის ხე, შავი სანდალოზი - *Haematoxylon campechianum* L.  
ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** 12 -16 მ-მდე სიმაღლის ხეა, მუქი წითელი, მაგარი, მძიმე მერქნით, გლუვი ქერქით და ფრთისებრი ფოთლებით; ხშირად ფოთოლაკების ქვედა წვეთილი განკვეთილია ფრთისებრ ნაკვთულებად, მაშინ ასეთი ფოთლები წვევტილ-ორმაგფრთისებრია; ფოთოლაკები უკუკვერცხისებრია, წვერზე სუსტად ამოკვეთილი, მალე ცვივა; თანაფოთოლაკები ნაირგვარია – სადგისისებრი, ეკლიანი, წვრილი. ყვითელი წვრილი ყვავილები შეკრებილია მოკლე მტევნებად ფოთლების უბეებში. ნაყოფი პარკია 1-2 თესლით, გაბრტყელებული, აპკისებრი, მომწიფებისას საგულეებს შუა სკდება ორ ნავისმაგვარ ნაკვთულებად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ცნობილია “სისხლიანი ხის” სახელწოდებითაც, იქიდან გამომდინარე, რომ დასერვისას სისხლისებრ-წითელი შეფერილობისაა, თუმცა ჰაერზე დაჟანგვისას სწრაფად იცვლის ფერს, ჯერ ღებულობს იისფერს, შემდეგ ლურჯს და ბოლოს მთლიანად შავდება.

ბუნებრივად იზრდება ცენტრალურ ამერიკაში, უმთავრესად მექსიკაში იუკატანის ნახევარკუნძულზე, ვესტ-ინდოეთში, კონკრეტულად იამაიკის კუნძულებზე. კულტივირებულია იქვე და ტროპიკული აზიის ზოგიერთ ქვეყანაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მერქანი შეიცავს: ჰემატოქსილინს, მთრიმლაჟ ნივთიერებებს, ფისებს.

დაქუცმაცებული მერქანი წარმოადგენს საღებავი ნივთიერების - კამპეშის წარმოების წყაროს; ამ შენაერთების ერთადერთი ბუნებრივი საღებავია, რომელიც დღესაც გამოიყენება. ცნობილია კამპეშის მელანიც.

მერქანი ადრე გამოიყენებოდა პედიატრიაში ფალარათის საწინააღმდეგოდ, ტრადიციულ აიურ-ვედას მედიცინაში იყენებენ ბუასილისა და შარდის ბუშტის დაავადებებისას. ზეთს - მშრალი ხველებისას სასუნთქი სისტემის ინფექციების სამკურნალოდ; მისით მკურნალობენ ბრონქიტს, ანგინას, ფარინგიტს, ლებულობენ საინგალაციოდ. ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით.

**უკუქმდება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა, თირკმელების მწვავე ანთება.

### **ბაჰარი - *Pimenta dioica* (L.) Merr. (= *P. officinalis* Lindl.)**

**ოჯ. მირტიხებრნი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** 10 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა; ფოთლები ტყავისებრია, სასიამოვნო არომატის. თეთრი ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი. მშრალი ნაყოფები ბურთისებრია, მურა, ნაოჭა ზედაპირით, ორი მუქი ყავისფერი თესლით. ნაყოფის რბილობი შედგება მრავალრიცხოვანი მსხვილი, ეთერზეთების შემცველი სათავსებისაგან. გემო წიწაკის მსგავსია, მწვავე, არომატით კი მიხაკს მოგვაგონებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება დასავლეთ ინდოეთსა და სამხრეთ აფრიკაში. ფართოდაა კულტივირებული ცენტრალურ ამერიკაში, იამაიკაზე, კუბაში.

მას პიმენტოსაც უწოდებენ, ხოლო ნაყოფებს ხშირად მოიხსენიებენ სურნელოვანი პილპილის სახელით. არსებობს კიდევ იამაიკის – ლიმონის სურნელოვანი პილპილი (*Pimenta racemosa*), რომლითაც ხდება ლიქიორების, ყინულკარამელების, პარფიუმერიისა და კოსმეტიკური საშუალებების არომატიზაცია.

იამაიკა დღესაც წარმოადგენს ამ სანელებლის მთავარ ექსპორტიორს. ბაჰარს ევროპულ ქვეყნებში ღებულობენ ცენტრალური ამერიკის (მექსიკა, გონდურასი და სხვ.) ქვეყნიდანაც, მაგრამ მისი ხარისხი უფრო დაბალია. იმპორტირებული ნაყოფები ევროპასა და ამერიკაში დისტილაციას განიცდის.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ნაყოფები წარმოადგენს, რომლებსაც მოუძწიფებლებს აგროვებენ და ჩრდილში ამრობენ. შეიცავს 2-5% არომატულ ზეთებს, რომლის ძირითადი კომპონენტი - ევგენოლი ნაყოფებში 60-80 % შეადგენს, ფოთლებში - 96%; აღინიშნება აგრეთვე ცინეოლი, ფელანდრენი, კარიოფილინი. ფოთლებიდან მიღებული ზეთი ნაყოფებისგან განსხვავებით უფრო იაფია, არ არის ისეთი არომატული, უფრო უხეშია და შეიცავს დიდი რაოდენობის ევგენოლს. ზეთის ხარისხი დამოკიდებულია ფოთლების ტიპზე, რომელსაც იყენებენ გამოსახდელად (მამრობითი და მდედრობითი). მდედრობითი ინდივიდების ფოთლებში - 95 % ევგენოლია, მამრობითში - კი მხოლოდ 30-40 %.

ბაჰარი მაიას ტომის ინდიელების მიერ გამოიყენებოდა რიტუალური სასმელის – შოკოლადის ბალზამირებისა და არომატიზაციისათვის.

იამაიკის პილპილი აღმოჩენილ იქნა კოლუმბის ექსპედიციის დროს და შეტანილ იქნა ევროპაში, სადაც პოპულარული სანელებელი გახდა. რა თქმა უნდა სურნელოვანი პილპილი – ხომ უნიკალურია საოცარი სუნითა და მწვავე გემოთი. მასში გაერთიანებულია დარიჩინის, მუსკატის, პილპილის, მიხაკის და ღვიის ნაყოფების

სურნელიც კი. რის გამოც საუკეთესო სანელებელია თევზის, ღორის, ცხვრისა და ძროხის ხორცის კერძებში, შედის მრავალი მარინადის, კექჩუპების, სოუზების, ზოგიერთი სამრეწველო ძეხვის, სკანდინავიის კონსერვირებული თევზის შემადგენლობაში. ფართოდ გამოიყენება კარიბიის სამზარეულოში, განსაკუთრებით ხორციან მარინადებში. საკვებს არა მარტო არომატს აძლევს, ცვლის მის გემოსაც.

ტრადიციულად ბაჭარი გამოიყენება სამკურნალო მიზნებისთვისაც, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში სადაც იზრდება, ასევე ინგლისში. ხასიათდება მასტიმულირებელი, მატონიზირებელი, ქარმდენი, ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური და ადგილობრივ გამაღიზიანებელი მოქმედებით. უფრო ხშირად გამოიყენება პილპილის ზეთი და წყალი.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

### **ბერგამოტი - *Citrus bergamia* Risso.**

**ოჯ. ტეგანისებრნი – Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ხეა, სიმაღლე მერყეობს 2-დან 10 მ-მდე. ინვიტარებს გრძელ ტოტებს, რომლებიც წვეტიანი ეკლებითაა დაფარული, აღწევს 10 სმ. ფოთლები ტყავისებრია, ყუნწიანი, მორიგეობითი, ელიფსური ან მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, წაწვეტებული და პრიალა; ფოთლის ზედა მხარე მწვანეა, ქვედა – ბაცი მწვანე. ყვავილი ორსქესიანია. მსხვილი,

თეთრი ან მეწამული ფერის, სასიამოვნო სურნელოვანი არომატის, მარტოული ან შეკრებილია უბისეულ რამდენიმე ყვავილიან კონებად. ნაყოფი მსხლისებრი ან სფერული ფორმისაა, სქელი სამშრიანი გარსით, რბილობი იშლება რიგ სეგმენტებად, შეიცავს მცირე რაოდენობის თესლს, აქვს მომჟავო-მწარე გემო. ყვ. III-IV; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაა, ჩინეთში ხელოვნური გზით მიღებული ჰიბრიდული სახეობაა. მოგზაურმა-ვაჭრებმა ევროპაში შეიტანეს. მცენარე ყველაზე უკეთ იტალიის კლიმატს მოერგო, სადაც გაშენდა მისი პირველი ნარგავები. ამჟამად, ყველაზე მსხვილი, მრავალრიცხოვანი ხარისხობრივი შემადგენლობის პლანტაციებია გაშენებული იტალიის სამხრეთით. წარმატებით მოჰყავთ ბრაზილიაში, აშშ-ში (ჯორჯიის შტატი), არგენტინაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბერგამოტის ყვავილებიდან და ნაყოფებიდან მზადდება მოქმედებით მეტად მნიშვნელოვანი ეთერზეთები, რომლის შემადგენლობაშია L-ლინალილაცეტატი, (50%), ნეროლი, L-ლინალოლი, ციტრალი, ტერპინეოლი, D-ლიმონენი, კამფენი, ბერგაპტოლი, α-პინენი, კარიოფილენი, ბერგაპტენი, n-ციმოლი, D-α-ტერპინეოლი, სესკვიტრეპენული სპირტები, გერანიოლი, მეთილანტრანილატი, ფუროკუმარინები და სხვ. (სულ 300-მდე ქიმიური კომპონენტი). ხასიათდება მაღალი ანტისეპტიკური თვისებებით, რაც იძლევა საშუალებას გამოყენებულ იქნეს კანის ინფექციური დაზიანებებისას. იხმარება როგორც ანტისოკოვანი, ანტივირუსული, ბაქტერიციდული, ანთების საწინააღმდეგო საშუალება, ხასიათდება სელატური და ანტისპაზმური მოქმედებითაც. ზეთის არომატი ამაღლებს განწყობილებას, შემოქმედებით აქტივობას, აწესრიგებს ძილს, ხსნის სტრესის სიმპტომებს, ამაგრებს იმუნურ სისტემას ჰერპესის დროს; მიიღება ბრონქებისა და ფილტვების ანთებითი პროცესების და შარდსასქესო სისტემის დაავადებებისას; ბერგამოტის ზეთი აწესრიგებს არტერიალურ წნევას და სისხლში ქოლესტერინის დონეს. მას წარმატებით იყენებენ თმის

ბუღობრივი ცვენისა და ვიტლიგოს დროს.

**უკუქმედება:** ზეთებისადმი მგრძობიარე კანის დამუშავებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი პიგმენტაცია.

**ბილვა (ბაელი) – *Aegle marmelos* (L.) Corr. ex Serr.**  
**ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** ლამაზი მარადმწვანე 10-15 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები სამმაგდანაკეთულია (4-10 სმ), მწვანე, კიდედაკბილული, გრძელყუნწიანები. ტოტები ეკლიანია. ყვავილები მომწვანო-ყვითელია, არომატული, განწყობილია უბისულ ან წვეროსეულ მტევნებად. ნაყოფი ფორმით მრგვალი ლიმონის მსგავსია, 5-15 სმ დიამეტრის; მოუმწიფებელი, მკვასე ნაყოფები მონაცრისფრო-ყვითელია, სრული სიმწიფისას კაშკაშა – ნარინჯისფერი; რბილობი არომატულია, ჟელესებრი, ტკბილი გემოთი. თითოეული ნაყოფი 10-15 თესლს შეიცავს, ნაყოფი მწიფდება დაახლოებით 10-11 თვეში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთია. ბუნებრივად გავრცელებულია მთელ სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ ინდოეთში, ნეპალში, ბირმაში, ვიეტნამში, ლაოსში, კამბოჯაში, ბანგლადეშსა და პაკისტანში, იავაზე, შრი-ლანკაში, ფილიპინებზე, ტაილანდზე, ფიჯისა და მალაიზის ნახევარკუნძულებზე.

ბილვა ინდუიზმში ყველაზე წმინდა ხედაა მიჩნეული. მას ”შივას წმინდა ხესაც” უწოდებენ, მისი ფოთლები შივას საპატივცემულოდ გამოიყენება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები გამოიყენება ნედლი სახით, ამზადებენ სასმელებს (ინდოეთში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სასმელია “შერბეთი”) და მარმელადს. ნორჩი ფოთლები და თესვები ტაილანდში სალათებში გამოიყენება.

ნაყოფი ერთ-ერთი იმ სამთაგანია, რომელსაც “აიურ-ვედა” სამკურნალოდ მკვახე სახით იყენებს.

ბილვას სამკურნალო თვისებები უძველესი დროიდანაა ცნობილი და წარმატებით გამოიყენება ხალხურ და ტრადიციულ მედიცინაში. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს ალკალიდებს, კუმარინებს, სტეროიდებს; ნაყოფები – წყალს, ცხიმებს, ეთერზეთებს, გუმფისს, ცილებს, ნახშირწყლებს, კაროტინს, თიამინს, რიბოფლავინს, ნიაცინს, ნიკოტინის, ასკორბინისა და ტარტარიკის მჟავებს, ფარმაკოლოგიურად მეტად აქტიურ კომპონენტს – მარმელოზინს, ანტიოქსიდანტებს.


ხასიათდება ანტიოქსიდანტური, ანტისეპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, ანტივირუსული, სიცხისდამწვევი, ჭიისმდენი, სასაქმებელი, ქარდმდენი, ანტისპაზმური, შემკვრელი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება სიცხის დამწვევად, ციებ-ცხელებისა და სიყრუის სამკურნალოდ, საკვებმომწელებელი სისტემის სტიმულირებისათვის, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, დიაბეტის, ჭვლებისა და მეტეორიზმის, დიზენტერიის, ნაწლავებში ლორწოსა და ტოქსინების დაგროვების, ბუასილის, ლეიკოდერმიტის, დიარეის და ყაბზობის, გულის რევმისა და პირღებინების, უძილობის, ავიტამინოზის დროს.

ფართოდ იყენებენ კოსმეტოლოგიაში; ანტიოქსიდანტური მოქმედებიდან გამომდინარე არის მატონიზირებელი, ამცირებს ჟანგვით პროცესებს, სპობს თავისუფალ რადიკალებს, ამცირებს ნაოჭების რიცხვს; ანტისეპტიკური და ანთების საწინააღმდეგო თვისებებიდან გამომდინარე ხსნის კანის ანთებას, ამშვიდებს მას; კანს იცავს ლეიკოდერმიისაგან და ულტრაიისფერი სხივებისაგან,

ხელს უწყობს სახის ბუნებრივი ფერის შენარჩუნებას; გამოიყენება თმის მოვლისა და სამკურნალოდ; შედის იმ ტონიკების შემადგენლობაში, რომელიც იცავს თმას ცვენისაგან, იწვევს ჯანმრთელი თმის გამაგრებას, ასტიმულირებს მათ ზრდას. შედის “Vedica” – ს სახისა და ტანის, თმის დასაბანი და დამატენინებელი ბალახოვანი ფხვნილების შემადგენლობაში.  
**უკუქმედება:** არ აღინიშნება.

**ბრაზილიური ყურძნის ხე, ჯაბუტიკაბა –  
*Plinia cauliflora* (Mart.) Kausel  
 (syn. *Myrciaria cauliflora* (Mart.) O. Berg.)  
 ოჯ. მირტისებრნი – Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, ნელა მზარდი 5-12 მ-მდე სიმაღლის ხეა კომპაქტური ვარჯით, ხის ქერქი გლუვია, მკრთალი ვარდისფერი ელფერით და ნაცრისფერი ლაქებით. მცენარე შემოსილია წვრილი ლანცეტისებრი მუქი მწვანე ფოთლებით, გამოირჩევა სასიამოვნო ნაზი არომატით. ზამთარში ფოთლების ნაწილი ცვივა, გაზაფხულზე ახლად წარმოქმნილი ფოთლები ვარდისფერი შეფერილობისაა, შემდგომ თანდათანობით მწვანდება. ყვავილები, ისევე როგორც შემდგომ ნაყოფები, ხის ტანზე იზრდება (კაულიფლორის საინტერესო მაგალითი), მრავალრიცხოვანია, პატარები, თეთრი ფერის. გამოირჩევა მრგვალი ან ოვალური ფორმის ნაყოფებით, 0,6-4 სმ



დიამეტრისაა, მუქი მეწამული ან იისფერი, პრიალა, შავი ყურძნის მარცვლის მსგავსი; ნაყოფმსხმოიარობს წელიწადში რამდენჯერმე, ნაყოფი 3-4 კვირის განმავლობაში მწიფდება; ნაყოფის რბილობი თეთრია ან ვარდისფერი, ნახევრადგამჭვირვალე, წვნიანი, ჟელესმაგვარი. მცენარის თავისებურებაა, რომ ნაყოფები იზრდება არა ჩამოკიდებულ ტოტებზე, არამედ პირდაპირ ხის ტანზე და ძირითად ტოტებზე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ბრაზილია, პარაგვაი, ბოლივია და ჩრდილოეთ არგენტინაა. კულტივირებულია ბუნებრივ არეალში, აგრეთვე კოლუმბიაში, პერუში, ურუგვაიში, პანამაში, კუბაში, ფილიპინებსა და პორტუგალიაში. იზრდება მხოლოდ ტროპიკულ, იშვიათად სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში. მცენარემ კულტურაში ფართო გავრცელება ვერ ჰპოვა, ვინაიდან ვერ უძლებს სულ უმნიშვნელო წაყინვებსაც.

ბოლო პერიოდში ამრავლებენ საოთახო მცენარის სახით; ნელი ზრდიდან გამომდინარე იყენებენ ბონსაის სახითაც.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები ძალიან გემრიელია და ნელლი სახით იჭმევა. მისგან ამზადებენ მარმელადს, ჟელეს, მურაბას, წურავენ წვენს, რომელსაც ღებულობენ ნატურალური სახით, უმატებენ ალკოჰოლურ სასმელებსაც, ამზადებენ მაღალი ხარისხის ღვინოს.

ადგილობრივი მოსახლეობა სამკურნალოდ იყენებს ნაყოფის კანს, რომელსაც აშრობენ და ხარშავენ, მთრიმლავი ნივთიერებების დიდი რაოდენობიდან გამომდინარე საუკეთესო საშუალებაა ასტმის, დიზენტერიისა და დიარეის (ფაღარათი) სამკურნალოდ.

**უპოქმედება:** ნაყოფის ქერქი ტოქსინებს შეიცავს, რის გამოც ჭარბად გამოყენება არ არის რეკომენდებული.

**ბრაზილიური ჰევეა, კაუჩუკის ხე**  
**Hevea brasiliensis Mull. Arg.**  
**ოჯ. რძიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 20-30 მ სიმაღლის ტანადი ხეა, 30-50 სმ სისქის მოყავისფრო - მოთეთრო ქერქით; ფოთოლი სამნაკვთიანია, ტყავისებრი, ოვალური ფორმის, მახვილი წვერით, სიგრძით 15 სმ-მდე, შეკრებილია კონებად ტოტების ბოლოებზე; ფოთლების ცვლა ყოველწლიურად წარმოებს. ერთბინიანი მცენარეა ცალსქესიანი ყვავილებით. ყვავილი წვრილია, მოთეთრო-ყვითელი, ფაშარ მტკვნებად შეკრებილი. ნაყოფი სამსაგდულიანი კოლოფია, 3 კვერცხისებრი, 2,5-3 მმ სიგრძის მკვრივკანიანი თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკებია, მდინარე ამაზონი და მისი შენაკადები. მიიჩნევა, რომ ბრაზილიური ჰევეა წარმოიშვა ამფიდიპლოიდიზაციის შედეგად ორი უცნობი დიპლოიდური სახეობისაგან.

1876 წელს ინგლისელებმა კიუს ბოტანიკურ ბაღში დიდი რაოდენობის თესლები ჩაიტანეს, იქიდან კი გაავრცელეს ცეილონში, ინდოეთსა და კუნძულ იავაზე, რითიც საფუძველი ჩაეყარა მის კულტივირებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. სადღეისოდ ჰევეა ფართოდაა კულტივირებული ტროპიკულ აზიაში (კუნძული შრი-ლანკა, მალაკას ნახევარკუნძული, მალაის არქიპელაგი); არსებობს დიდი პლანტაციები აფრიკის ზოგიერთ

ქვეყანაშიც, მაგ.: ნიგერიაში. კულტივირებულია სხვა ტროპიკულ ქვეყნებშიც, განსაკუთრებით ინდონეზიაში, რომელიც კაუჩუკის მსოფლიო პროდუქციის 90 % იძლევა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** როდესაც ქრისტოფორ კოლუმბმა XV ს-ის დასასრულს კოლუმბიიდან სამშობლოში ჩამოიტანა უცნობი ნივთიერების რამდენიმე ნაჭერი, მან თანამემამულეების ყურადღება ვერ მიიპყრო, მათი გონება ახლად აღმოჩენილი მიწების სხვა სიმდიდრეებით იყო შეპყრობილი – ოქრო-ვერცხლით, სანელებლებით, მოკლედ ყველაფერ იმით, რაც იმ დროისათვის ითვლებოდა ნამდვილ ფასეულად, მით უმეტეს, რომ კურიოზული სუვენირის წარმომავალზე არავინ არაფერი იცოდა; თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც ამტკიცებდა, რომ ეს არის ფანტასტიკური ცხოველის ექსკრემენტები. ის, რომ ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ხის ქერქის განასერიდან გამოყოფილი ფისია, რომელიც ჰაერზე მაგრდება და რომელსაც უწოდებენ “კაუჩუკს”, გამოირკვა საკმაოდ მოგვიანებით. კოლუმბის თანამედროვეებმა ფაქტიურად უარყვეს კაუჩუკი, რომელიც ევროპაში პირველად მოხვდა. გავიდა 250 წელი, პარიზის მეცნიერებათა აკადემიის სხდომაზე ისმენდნენ შარლ მარი დე ლა კონდამინის მოხსენებას სამხრეთ ამერიკაში მოგზაურობის შესახებ, სწავლული - აკადემიის წევრებს საოცარი აღტკინებით უჩვენებდა უცნობ წარმონაქმნს - უსახურ ბურთულას შემდეგი კომენტარებით: “შეხედეთ ბატონებო ამ პატარა ბურთულას, რომელიც უფრო ძვირფასია, ვიდრე მსოფლიოს ალქიმიკოსების ერთად აღებული ქვები, მას შეუძლია ათასგვარი სახისა და ფორმის მიღება, ადამიანების ცრემლების შემრობაც კი, მას მოაქვს ნამდვილი ბედნიერება კაცობრიობისათვის”. აკადემიის საპატიო წევრების აზრი კი ერთგვაროვანი იყო - “ფანტაზიორი”. ამგვარად, ევროპაში XVIII ს-ის 50-იან წლებში უკვე მეორედ უარყვეს კაუჩუკი. მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს მიიპყრო ევროპელების ყურადღება ამ საოცარმა შენაერთმა. 1821 წელს ვენაში გაიხსნა კაუჩუკის ნაწარმის პირველი ფაბრიკა, ხოლო ინგლისში დაიწყო სხვადასხვა სახის ნაწარმის გამოშვება, მათ შორის ე.წ. მაკენტოფების.

ბრაზილიური ჰევეა კაუჩუკის მიღების ძირითად წყაროს წარმოადგენს. სამრეწველო წარმოებაში ფასდება ჰევეას წვენი – თეთრი სითხე, რომელიც ლატექსის სახელითაა ცნობილი. მას შეიცავს ქერქში განლაგებული მრავალრიცხოვანი ჭურჭლები; ადგილობრივი გლეხები მიღებულ წვენს “რეზინის რძეს” უწოდებენ. ბრაზილიაში კაუჩუკის მოპოვება აგვისტოდან თებერვლამდე წარმოებს. ამ პერიოდში ხდება ხეების დასერვა, გამოყოფილ რძისებრ წვენს აგროვებენ სპეციალურ ჭურჭლებში, შემდეგ აშრობენ მზეზე ან ცეცხლის ალზე და ღებულობენ საბოლოო პროდუქტს – კაუჩუკს. რძის წვენში კაუჩუკის შემცველობა 40-50 % -ია. კონკრეტულად ამ სახეობიდან მიღებული ნატურალური კაუჩუკი მსოფლიო წარმოების 90-92 % შეადგენს. კაუჩუკის გამოყოფის შემდეგ დარჩენილი შრავი შეიცავს 0,6% პროტეინს, რომელსაც უმატებენ ცხოველების საკვებს. თესვებში არსებული 35-37 % ზეთებისა გამოსადეგია ოლიფის წარმოებაში.

სამრეწველო პირობებში ლატექსიდან გადამუშავების გზით მიიღება სხვადასხვა სასარგებლო ნივთები: რეზინები, მანქანის სალტები, ბორბლები, ფენსაცმლის ძირები, სხვადასხვაგვარი რეზინის ხალიჩები, სათბურები, ფარფლები, საშუალო ხელთათმანები, სათამაშოები, სკაფანდრები, გასაბერი ნავეები და მრავალი სხვა, ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია. გამოიყენება სამრეწველო მედიცინაშიც სხვადასხვა დანიშნულებისამებრ.

**ბრინჯი - *Oryza sativa* L.**  
**ოჯ. მარცვლოვანი - Fam. Gramineae (Poaceae)**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 50-150 (300) სმ სიმაღლის მცენარეა. ღერო ფუძიდან დატოტვილია, ფოთლები 50 სმ-მდე სიგრძისაა და 1 სმ სიგანის, მწვანე, იისფერი ან მოწითალო. ყვავილელი – მრავალთავთავიანი საგველა 10 - 40 სმ სიგრძის. თავთავები სწორმდგომა, ერთყვავილიანი, მოკლე ყუნწებზე. ყვავილის ქერქლები მაგარკანიანია, მოგრძო წახნაგოვანი, ქვედა – ხშირად ფხიანი. მარცვალი აპიანია, 4,5-10 მმ სიგრძისა და 1,5-3,5 მმ სიგანის, გვერდებმიტკეცილი, იშვიათად მომრგვალო, მჭიდროდ შემოხვეული ყვავილის ქერქლებით, რომლებიც ლეწვის შემდეგ რჩება. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ერთ-ერთი უძველესი კულტურული მცენარეა. ბრინჯის სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტროპიკული ქვეყნებია. ითვლება, რომ მის საწყის სახეობას წარმოადგენს ველური მრავალწლოვანი ბრინჯი (*O. perennis* Moench), რომელიც დღესაც იზრდება აზიის ტროპიკულ რაიონებში, აფრიკასა და ამერიკაში. მეტად სარწმუნოა, რომ მიწათმოქმედების განთიადზე ბრინჯის კულტურა თითქმის ერთდროულად წარმოიქმნა ინდოეთში, ჩინეთსა და ინდოჩინეთში. არქეოლოგიური გათხრების მონაცემები მოწმობს, რომ ამ ადგილებში მოჰყავდათ 4-5 ათასი წლის წინათ, შემდეგ მისი კულტურა გავრცელდა აზიის სხვა ქვეყნებში. 2,5 ათასი

წლის წინათ მისი მოშენება დაიწყო შუა აზიაში. ახალი დროის VII ს-ის დასაწყისში ეგვიპტესა და ესპანეთში ბრინჯის კულტურა არაბებმა შეიტანეს; იტალიაში, საფრანგეთსა და სხვა ევროპულ ქვეყნებში XV ს-ში, ხოლო ამერიკაში ბრინჯის თესვა XVII ს-დან იწყება. სადღეისოდ მსოფლიოში ბრინჯის კულტურას 140,5 მილიონი ჰა უკავია, მათ შორის 90 % -ზე მეტი მოდის აზიის ტროპიკულ და სუბტროპიკულ რაიონებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბრინჯი ხორბლის შემდეგ მნიშვნელობით და გავრცელებით მეორე კულტურაა. ბრინჯის ბურღულიდან ამზადებენ სხვადასხვა კერძებს: ფაფებს, ფლავებს, წვნიანებსა და სხვ.

ბრინჯის მარცალი შეიცავს 70-80 მგ% ნახშირწყლებს, 12 მგ% ცილებს, 4 მგ% ცხიმებს, მინერალურ მარილებს (Ca, Mg, Na, K, Mn, Zn, F, Fe, CO, Al, Cu), ვიტამინებს (უმთავრესად B ჯგუფის, PP), ნახშირწყლებს, ფოლიოსა და პანთოთენის მჟავებს. 100 გ ბრინჯი ორგანიზმში გამოჰყოფს 360 კალორიას, ბევრად მეტს, ვიდრე სხვა მარცვლეული. ბრინჯის ცილები გამოირჩევა მაღალი კვებითი ღირებულებებით, ორგანიზმში მას კარგად ითვისებს; შეიცავს შეუცვლელ ამინომჟავებს (ვალინს, ლიზინს, მეთიონინს), ამ ნიშნებით უახლოვდება ცხოველურ პროტეინს. ბრინჯის სახამებელს იყენებენ საფეიქრო წარმოებაში, ქსოვილების შესაღებად. ბრაზილიაში ბრინჯის მარცვლებიდან ამზადებენ კარგი ხარისხის ლუდს, ხოლო იაპონიაში ძველი დროიდან ფართო პოპულარობით სარგებლობს ბრინჯის არაყი – საკე. ბრინჯის ჩალისაგან ამზადებენ სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს, ასევე კარდონს, ნაირგვარ ჩანთებს, ქუდებს, მსუბუქ ფეხსაცმელს; ქსოვენ თოკებს. ბრინჯის მარცვლებიდან ღებულობენ ცხიმებს, რომელიც გამოიყენება საპნისა და სანთლის წარმოებაში.

ძველ დროში მედიკოსები ბრინჯს რეკომენდაციას უწევდნენ როგორც დიეტურ პროდუქტს. ცნობილი იყო, რომ ბრინჯი ამარტებს კუჭს, სასარგებლოა ნაწლავების შეხორცების პროცესებში, აცილებს პირიდან უსიამოვნო სუნს, იწვევს კარგ ძილს, კურნავს ფაღარათს, სასარგებლოა თირკმელებისა და შარდის ბუშტის დაავადებებისას, აუმჯობესებს სახის ფერს.

ბრინჯის კვებითი უნარი უმჯობესდება თუ მას ამზადებენ შაქართან და რძესთან ერთად.

ქართულ ხალხურ მედიცინაში უმთავრესად შემკვრელად იხმარებოდა.

ხასიათდება შემომგარსავი, შემკვრელი და ადამიანის ორგანიზმზე დამამშვიდებელი მოქმედებით.

მედიცინაში ბრინჯის ნახარში პარკოსნებთან ერთად გამოიყენება ბრონქიტისა და ბრონქიალური ასთმის განსაკურნავად, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დარღვევის, ფალარათის, დიზენტერიის, ენტეროკოლიტის დროს.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული სიმსუქნის, სხვადასხვაგვარი ჭვლების დროს; ბრინჯის ყველა სახის დიეტა იწვევს თირკმელების დაავადებების გართულებას.

### ბროწეული - *Punica granatum L.*

ოჯ. ბროწეულისებრნი - *Fam. Punicaceae*



**მორფოლოგია:** ეკლიანი ბუჩქია, იშვიათად 1-4 მ სიმაღლის ხე, სპირალურად დახვეული ღეროთი და დახეთქილი ქერქით. ფოთლები მარტივია, მოგრძო, კიდეშთლიანი, დაგრძელებულ ტოტებზე მოპირისპირედ, ხოლო დამოკლებულზე – ჯგუფ-ჯგუფადაა განლაგებული. ყვავილები აქტინომორფულია, ორსქესიანი; ჯამი ზარისებრ-მილისებრია, ხორცოვანი სამკუთხა ნაკვითი, მეწამული; გვირგვინის ფურცლები კაშკაშა წითელია, უკუკვერცხისებრი. ნაყოფი მრავალბუდიანია, მსხვილი, სფერული

კენკრა; თესლი დაკუთხულია, თეთრიდან მუქ წითლამდე, წვნიან საფარში ჩამჯდარი. ყვ. V-VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ავღანეთში, ირანში, მცირე აზიაში, თურქმენეთსა და ამიერკავკასიაში. კულტურაში არეალის დიდ ნაწილშია შეტანილი; კულტურა ფართოდ გავრცელდა ახ.წ.აღ.-მდე რამდენიმე საუკუნით ადრე. ძველბერძნულ აკლდამებზე გამოსახულია ბროწეულის ნაყოფები. კულტივირებულია ტროპიკული და სუბტროპიკული სარტყლის მრავალ ქვეყანაში, განსაკუთრებით ფართოდ ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, ირანსა და ავღანეთში. ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან – შუა აზიაში, ყირიმში, ამიერკავკასიასა და დაღესტანში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ბროწეულის ნაყოფების წვენი შეიცავს ნახშირწყლებს: შაქრებს, ლიმონის, ვაშლისა და ურზოლის მჟავებს, ვიტამინ C-ს, მთრიმლაგ ნივთიერებებს. ქერქში აღინიშნება ნახშირწყლები და სხვა მონათესავე შენაერთები: სახამებელი, მანიტი, სორბიტი, ტრიტერპენოიდები: ურზოლის, ბეტულინის მჟავები, სტეროიდები, ფენოლკარბონული მჟავები და მათი წარმოებულები, მთრიმლაგი ნივთიერებები. არის ანტიჰელმინტური, გამამაგრებელი, ანთების საწინააღმდეგო, ნივთიერებათა ცვლის მომწესრიგებელი საშუალება. მედიცინაში სხვადასხვაგვარად გამოიყენება: ნაყოფების წვენი – ყელის ტკივილებისას, ყვავილების ნახარში – პირის ღრუს დაავადებებისა და კუჭის აშლილობისას; ტოტებისა და ვარჯის ქერქი – შესანიშნავი ჭრისმდენი საშუალებაა; ნაყოფების ქერქის ნახარში იხმარება დამწვრობის, ანთებითი პროცესების, კუჭის აშლილობის, ღრძილებიდან სისხლდენის, პარადონტოზის დროს.

**უკუქმედება:** მაღალი არტერიული წნევა, წყლულოვანი დაავადებები, კუჭის წვენის მომატებული სიმჟავით მიმდინარე გასტრიტები, ქრონიკული შეკრულობა, ბუასილი, ჰეპატიტი, მწვავე ნეფრიტი. ფესვების ნახარში უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიით დაავადებულთათვის, გადაჭარბებული მიღება იწვევს თავბრუსხვევას, საერთო სისუსტეს, გულისრევას, კრუნჩხვებს.



**ბუჩქისებრი გომფოკარპუსი - *Gomphocarpus fruticosus* L.**  
**ოჯ. ღვედკეცისებრნი - Fam. Asclepiadaceae**



**მორფოლოგია:** 40-60 სმ სიმაღლის ნახევრადბუჩქია, მოპირისპირედ განწყობილი 7-10 სმ სიგრძის ლანცეტა ფოთლებით. ყვავილები მოკლე საყვავილე ყუნწებით შეგროვილია ქოლგისებრ ყვავილედად. ნაყოფი - ორფოთლურაა, თესლი მრავალრიცხოვანია, 6 მმ სიგრძისა და 1 მმ სიგანის. ყვ. VI-VII; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გვარი ითვლის 110-მდე სახეობას; აფრიკული მცენარეა; საქართველოში კოლხეთის დაბლობზე (ფოთის რაიონი) გაველურებული სახით გვხვდება ბუჩქისებრი გომფოკარპუსი, იზრდება ქვიშნარ-თიხნარებზე, მდინარეთა ნაპირებზე, ზღვის სანაპირო ზოლში, ნასვენ მიწებსა და ღელეებში; მიღებულია ზომები მცენარის კულტივირებისა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს მიწისზედა ნაწილები და თესლები წარმოადგენს. თესლები შეიცავს გულის გლიკოზიდებს - გოფრუზიდს, რომელიც ჰიდროლიზით იხლიჩება d-შაქარ ალომეთილოზად და კოროგლაუციგენინად, ფრუგოზიდს, რომელიც იხლიჩება a-ალომეთილოზად და კოპოგლაუენინად. ფოთლებში აღმოჩენილია გლიკოზიდები გომფოზიდი, აფროზიდი, გომფოკარპინი და ა.შ. მცენარისაგან მიღებული ექსტრაქტები ხასიათდება კარდიოტონური მოქმედებით. დადგენილია, რომ 2-ჯერ უფრო აქტიურია სტროფანტინთან შედარებით; გლიკოზიდ გომფოკარპინის

კარდიოტონური მოქმედება გამოვლინდა ძაღლებში ექსპერიმენტალური დალლილობის სინდრომის შემდეგ, თუმცა მედიცინისათვის პრაქტიკულ ინტერესს არ წარმოადგენს.

ფოთლებიდან მიღებული გლიკოზიდი გომფოტინი ბიოლოგიური აქტივობით ასევე ახლოა სტროფანტინთან, მაგრამ შინაგანი მიღებისას არ იშლება და კარგად შეიწოვება, იწვევს გულზე სპეციფიურ მოქმედებას, ხასიათდება კუმულატორული თვისებებით. გომფოკარპუსის ყველა გლიკოზიდიდან მედიცინაში გამოიყენება მხოლოდ გომფოტინი. მას უნიშნავენ მწვავე და ქრონიკული სისხლისმოდრაობის I, II A და II B ხარისხის დროს, გულის უკმარისობისას, რომელიც მიმდინარეობს არტერიალური წნევის დაქვეითებითა და შეშუპებებით.

სამხრეთ აფრიკის ხალხურ მედიცინაში ფესვები რეკომენდებულია ღიზენტერიის, საშვილოსნოს დაავადებების სამკურნალოდ და როგორც გულ-სისხლძარღვთა მოქმედების მატონიზირებელი საშუალება.

**ზაუქმედება:** როგორც წესი გომფოტინის მიღებისას გვერდითი მოვლენები არ აღინიშნება, თუმცა გადაჭარბებული დოზები იწვევს პირღებინებას და გულის ტკივილებს.

## გელზეზია – *Gelsemium sempervirens* (L.) J.St. - Hil.

ოჯ. გელზეზიასებრნი - Fam. Gelsemiaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე საშუალო ზომის ხეიარა, უხვად

დატოტვილი, ადრე გაზაფხულზე მოყვავილე ბუჩქია; ფოთლები ტყავისებრია, მუქი მწვანე, ჟასმინის სურნელისებრი. ყვავილი მრავალია, მარტოული ან 2-3 ერთად შეკრებილი, გვირგვინი ხუთ ფურცლიანია, ყვითელი შეფერილობის, დამატორობელი არომატით. მწიფე ნაყოფი კაშკაშა წითელია, სფეროსებრი, რამდენიმე თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აშშ-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, კულტივირებულია ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში, სადაც ძმობისა და სიყვარულის სიმბოლოდ მიიჩნევენ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს. ინდიელები გელზემიას “შუშის კუბოს” უწოდებენ, მისი ტოქსიკური მოქმედებიდან გამომდინარე. ფესვები უძლიერეს შხამს შეიცავს, მცირედი მიღებაც კი იწვევს საერთო პროსტრაციას, ნერვული სისტემისა და კუნთების პარალიზებას, სიკვდილს. ფესვების ძირითადი შემადგენელი ნაწილი ალკალიოიდები გელზემინი და გელზემინინია. პირველი მათგანი ისეთივე მოქმედებით ხასიათდება, როგორც ცნობილი საწამლაკი “კურარე”.

აქედან გამომდინარე დიდი ხნის მანძილზე არ ეკარებოდნენ. მაგრამ XIX ს-ის შუა პერიოდში, ფარმაკოლოგიის განვითარებასთან დაკავშირებით დადგინდა, რომ საუკეთესო საშუალებაა სახის ნევრალგიის სამკურნალოდ; ხასიათდება დამამშვიდებელი და გამაუმტკივნელებელი მოქმედებით სხვა დაავადებებისას. დადებითი შედეგები იქნა მიღებული მალარიის, ტიფის, მენინგიტის, ბრონქიალური ასთმის – სპაზმური მოვლენების, შარდის ბუშტის, ნაწლავების, საშვილოსნოს ანთებისას.

გელზემია ჰომეოპათიური ფარმაკოპიის ერთ-ერთი ძლიერი საყრდენია. მის მნიშვნელობაზე ლაპარაკობს თუნდაც ის, რომ ყველაზე ხშირად გამოიყენება გაციებისა და გრიპის, აგრეთვე მათი გართულებების – თავის ტკივილების, თავბრუსხვევის, გულის ტკივილების, გულის რიტმის დარღვევებისას. ხშირად იძლევა საუკეთესო შედეგებს პარკინსონის დაავადებებისას, თუმცა მკურნალობის პროცესი ხანგრძლივია.

ყვავილები გამოიყენება საპარფიუმერო წარმოებაში.

**უკუქმედება:** უძლიერესი შხამიანი მცენარეა, მისი გამოყენება მხოლოდ ექიმის მეთვალყურეობით უნდა წარიმართოს.

**გინგო – Ginkgo biloba L.**  
**ოჯ. გინგოსებრნი - Fam. Ginkgoaceae**



**მორფოლოგია:** უძველესი რელიქტური, ფოთოლმცვენი 40 მ-მდე სიმაღლის ხეა პირამიდული ფორმის ვარჯით, ასაკთან ერთად იშლება. ფოთლები უნიკალური ფორმისაა, ორნაკვთიანი მარაოსებრი ფირფიტა 10 სმ სიგრძისა და 5-8 სმ სიგანისაა, დიქოტომიური დაძარღვით, ვითარდება მოკლე ყუნწებზე ჯგუფებად ან გრძელ ყუნწებზე მარტოულად. მცენარე ორბინიანია; მდედრობითი ყვავილები ინვიტარებს ორ თესლკვირტს, მამრობითი ეგზემპლარების სპორანგიუმები მჭადა ყვავილედადაა შეკრებილი. ყვავილობს სიცოცხლის ოცდამეათე წლის შემდეგ. თესლი მომრგვალოა, ყვითელი, ჭერმის ნაყოფების მსგავსი, ხასიათდება უსიამოვნო სუნით. დღევანდელ მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება, არსებობს 2500 წლის ასაკის მცენარეები.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** მცენარეს პირველად იაპონიაში მიაგნეს 1690 წელს, აღწერილ იქნა იყო 1712 წელს ე. კემპფერის მიერ.

ბუნებრივად იზრდება ჩინეთის აღმოსავლეთით, ცნობილია კორეასა და იაპონიაში. ამრავლებენ ევროპისა და ამერიკის სუბტროპიკული კლიმატის პარკებში და ბოტანიკურ ბაღებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გინკგოს ფოთლების შემადგენლობაშია: ფლავონოიდები (კვერცეტინი, კემპფეროლი, ბილობეტინი, გინკეტინი), ონაკოზანი, ამენტოფლავონი (ბიფლავონოისი), სტერინები, პინიტი, ჰექსაკოზანოლი, ქინაქინის, ჰიდროგიკოლისა და ლინოლენის მჟავები, ტერპენები, ლაქტონები, კატენინები, სახამებელი, ცვილი, პენტოზანი, ცხიმოვანი და ეთეროვანი ზეთები. თესლის გარსი შეიცავს ვალერიანის, გინკგონისა და პროპიონის მჟავებს, აგრეთვე ტოქსიკურ ნივთიერებებს. თესლში აღინიშნება სახამებელი, შაქრები, ცილები, ცხიმოვანი ზეთები, არგინინი, პენტოზანი, ასპარაგინი, სიტოსტერინი, ქსილანი, რაფინოზა, ფლავონოიდები (გინოლი, გინკეტინი, ბილობოლი), კაროტინი.

ჩინურ მედიცინაში ადრეული დროიდან თესლები იხმარება მოხარშული და მოხალული სახით. მისი სამკურნალო თვისებები აღწერილი იყო ჯერ კიდევ ახ.წ.აღ-მდე 2800 წლით ადრე. უკვე მაშინ წამყვან ადგილს იკავებდა და მისი გამოყენების მაჩვენებლები იყო: ბრონქიალური ასთმა, ფილტვის დაავადებები, ჭრილობები, მოყინვები.

გინკგოს უნიკალური სამკურნალო თვისებები გამოვლინდა XX ს-ის 60-იანი წლებიდან; დასავლეთში ჩატარებულმა სამედიცინო გამოკვლევებმა აჩვენა მისი პერსპექტიულობა ქრონიკული სისხლძარღვოვანი დაავადებებისას, რის შემდეგაც გამოკვლევებმა ამერიკაში, ევროპასა და იაპონიაში მასშტაბური სახე მიიღო, ხოლო რიგ დაავადებებზე მისმა მოქმედებამ გამოიწვია ნამდვილი ბუმი; ხშირ შემთხვევაში გინკგოს პრეპარატები საოცრებას ახდენდა, რის გამოც გახდა ყველაზე პოპულარული.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, ანტიოქსიდანტური მოქმედებით, სასიკეთოდ მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, ხასიათდება რა პროტექტორული ეფექტით ნეირონების მიმართ, ხელს უწყობს წვრილ სისხლძარღვებში - კაპილარებში სისხლის მიმოქცევას.

ფარმაკოთერაპიაში პრეპარატები, მიღებული გინკგოს ფოთლების შენაერთების საფუძველზე გამოიყენება ათეროსკლეროზის, ალცჰეიმერის, სისხლ-ძარღვოვანი დაავადებების, ყურადღების კონცენტრაციის გასაუმჯობესებლად, გაფანტული სკლეროზის დროს. ახდენს სისხლის მიკროცირკულაციის გაძლიერებას ორგანოებსა და ქსოვილებში, ასტიმულირებს გონებრივ მოქმედებას და მახსოვრობას, იწვევს სედატიურ ეფექტს, ხსნის თავის ტკივილს და თავბრუსხვევას, აუმჯობესებს ნივთიერებათა ცვლას. ფართოდ გამოიყენება კოსმეტოლოგიაში კანის დაბერების, თმის ცვენის საწინააღმდეგოდ და გასახდომად.

**უკუქმედება:** შესაძლებელია ალერგიული რეაქციები; ხანგრძლივი მოხმარებისას იზრდება ინსულტის წარმოქმნის რისკი.

**გლედინია - *Gleditschia triacanthos* L.**  
**ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მძლავრი 25-45 მ-მდე სიმაღლის ფოთოლმცვენი ხეა, ლამაზი გადაშლილი ვარჯით; ხის ტანი და ტოტები დაფარულია 10 სმ-მდე სიგრძის, პრიალა მუქი მურა ფერის, მარტივი ან დატოტვილი ეკლებით. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, წყვილფრთართული, 14-20 სმ სიგრძის, ფოთოლაკები ოვალურია, კიდეებზე დაკბილული. ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, სურნელოვანი, შეკრებილია ხშირ, უბისეულ, 8 სმ-მდე სიგრძის

მტევნისებრ ყვავილელებად. ნაყოფი ბრტყელი, მუქი ყავისფერი 40 სმ-მდე სიგრძის ჭოტია. თესლები მოგრძო ელიფსურია, ყავისფერი, 12-15 მმ სიგრძის. ყვ. V-VII; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკის აღმოსავლეთი რაიონებია. დეკორატიული მიზნით კულტივირებულია პრაქტიკულად მთელ ჩრდილოეთ ნახევარსფეროში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლები შეიცავს 1%-მდე ალკალოიდ ტრიაკანტინს; ყვავილებში ნაპოვანია 0,3% ალკალოიდები; ნაყოფებში აღინიშნება ლორწოვანი და მთრიმლაკი ნივთიერებები, ფლავონოიდები, ვიტამინები (C, K), ალკალოიდები, კერძოდ ტრიაკანტინი, ტრიტერპენული საპონინები.

სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება მწიფე ნაყოფები და ნორჩი ფოთლები. მიღებულია პრეპარატი, რომელიც იხმარება კუჭის სპაზმების სამკურნალოდ. ფოთლებისა და ნაყოფების ნახარშები მიიღება ნალვლის ბუშტის ქრონიკული ანთების, კოლიტისა და კუჭის წყლულის, ქრონიკული გასტრიტის შემთხვევაში; ნაყოფების ნახარში გამოიყენება ქრონიკული ყაბზობის, ქრონიკული პოლიარტრიტის, ტრომბოფლებიტის დროს.

**უკუქმედება:** მცენარე შხამიანია. ნაყოფებში არსებული საპონინების დიდი რაოდენობა მაღალ დოზებში იწვევს მოწამლვას, რაც გამოიხატება პირღებინებაში, თავბრუსხვევაში, ნერწყვის გაძლიერებულ გამოყოფასა და კანის სიმკრთალეში.

**გლიცინია, ცის ვაზი – *Wisteria chinensis* D.C.  
ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** ლამაზი, უხვად შეფოთლილი, ფოთოლმცვენი 15-20 მ სიმაღლის ლიანაა, შებუსული ყლორტებით. ფოთლები კენტფრთართულია, 30 სმ-მდე სიგრძის, ნორჩი ფოთლები შებუსულია, ზრდასრული - შიშველი, ფოთოლაკები (7-13) 4-8 სმ სიგრძისაა. ყვავილობს უხვად, ეფექტური ღია ლილისფერი ან იასამნისფერი, იშვიათად თეთრი ყვავილებით, რომლებიც შეკრებილია 30 სმ-მდე სიგრძის, მკვრივ დაკიდებულ მტევნებად, გამოირჩევა სასიამოვნო არომატით. ნაყოფი – უხვად შებუსული 15 სმ-მდე სიგრძის პარკია. ყვ. IV-VI; ნაყ. IX-X.


**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩინეთია, ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ მებაღეობაში მთელ მსოფლიოში, თუმცა უპირატესობას ანიჭებს ნოტიო სუბტროპიკებს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ქერქი შეიცავს გლიკოზიდებს, ვისტერინსა და ფისებს; ფოთლებში აღინიშნება სხვადასხვაგვარი ფლავონოიდური რეტეროზიდები, მათ შორის ლუთეოლინი, აპიგენოლი, აგრეთვე ალანთონინის მჟავა.; პერიკარპინი (ნაყოფის გარსი) შეიცავს პროციანიდინს, აპიაზელეხინს, ეპიკატეხინს, ეპიგალოკატეხინსა და გალოკატეხინს. ხასიათდება ანტიბიოტიკური თვისებებით. მისი მფრინავი ფიტონციდები ამუხრუჭებს ტუბერკულოზის ჩხირების განვითარებას.



**უკუქმედება:** ნელი ფოთლები და თესლები შხამიანია, იწვევს პირღებინებასა და კუჭის აშლილობას.

**გრეიფრუტი - *Citrus paradisi* Macf.**  
**ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ეკლიანი 6-7 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები ოვალურია, ბლაგვი ან მახვილწვერიანი, ფრთიანი ყუნწებით. ყვავილები მარტოულია ან 3-20 ყვავილიან მტკვენებადაა შეკრებილი ფოთლების უბეებში. ნაყოფი მარტოულია, მტკენისებრი, რამდენადმე შებრტყელებული, 15 სმ დიამეტრის, სქელი კანით (1 სმ სისქის), ყვითელი, უმთავრესად თესლიანი. რბილობი მონაცრისფრო-მწვანეა ან ვარდისფერი. თესლი მსხვილია, მრავალჩანასახიანი. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. სამშობლო – ცენტრალური ამერიკაა, სადაც რამდენიმე ასეული წლის წინათ გამოჩნდა როგორც ჰიბრიდი ან მუტანტი. ფართო გამოყენება ჰპოვა მხოლოდ XX საუკუნეში აშშ-ში. საქართველოს სუბტროპიკებში მისი მოშენება 1911 წელს დაიწყო, მოჰყავთ მცირე რაოდენობით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სუბტროპიკულ მებაღეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ციტრუსოვანი კულტურაა, მაღალეიტამინიანი, დიეტური პროდუქტი. მომჟავო-ტკბილი ნაყოფები, დამახასიათებელი მწარე გემოთი განსაკუთრებით

პოპულარულია აშშ-ში. ქერქი შეადგენს ნაყოფის წონის 30-40 %. ნაყოფი შეიცავს ნახშირწყლებს (გლუკოზა, ფრუქტოზა, სახაროზა), ორგანულ მჟავებს (ლიმონმჟავა), მწარე გლიკოზიდ ნარინგინს, მინერალურ, პექტინოვან და საღებავ ნივთიერებებს, ვიტამინებს (A, C - 40 მგ%, B<sub>1</sub>, D, PP, P), ეთერზეთებს, ფიტონციდებს.

ხასიათდება მატონიზირებელი, დამამშვიდებელი, მადისმომგვრელი, საჭმლის მომნელებელი ტრაქტის ფუნქციების მარეგულირებელი, ანტიკლეროზული მოქმედებით.

ხელს უწყობს ათეროსკლეროზის პროფილაქტიკას, საჭმლის მონელებას, აფერხებს ღვიძლის ფუნქციების დარღვევას, ამაღლებს ორგანიზმის საერთო ტონუსს, ამცირებს დაღლილობის შეგრძნებას, აქვეითებს სისხლის წნევას და სისხლში ქოლესტერინის დონეს.

მედიცინაში გამოიყენება კუჭ-ნაწლავის, გულ-სისხლძარღვთა, მძიმე ინფექციური დაავადებებისა და ოპერაციების შემდგომი პერიოდის, ფიზიკური და გონებრივი გადაღლის, უძილობის, ჰიპოკინეზიის, ჰიპერტონიის დროს.

**უაუქმდება:** ჰიპერაციდური გასტრიტი, ენტერიტი, ქოლეცისტიტი, ჰეპატიტი, მწვავე ნეფრიტი, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები.

**გრძელნაყოფა ჯუთი - *Corchorus olitorius* L.**  
**ოჯ. ბალბისებრნი - Fam. Malvaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი 1-3,5 სმ სიმაღლის მცენარეა, ოვალურ-ლანცეტა, კიდეხერხკილა ფოთლებით. ყვავილები წვრილია, ყვითელი. ნაყოფი – წავრძელებული წახნაგოვანი კოლოფია მრავალრიცხოვანი, წვრილი, სამწახნაგოვანი, მუქი-მწვანე ან მუქი ყავისფერი თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ინდოეთია. გავრცელებულია აზიაში, ამერიკაში, აფრიკაში. უძველესი დროიდან კულტივირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში, შუა აზიაში და სამხრეთ კავკასიაში. ინდოეთში ამ კულტურას მსოფლიო ფართობის 95% უკავია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გამოიყენება როგორც ბოჭკოვანი და სამედიცინო დანიშნულების მცენარე. სამკურნალო ნედლეული თესლებია, აგროვებენ შემოდგომით. თესლები შეიცავს დიგიტალინ-სტროფანტის ჯგუფის გლიკოზიდებს, მნიშვნელოვანი რაოდენობის ცხიმზეთებს, მაგრამ შხამიანობიდან გამომდინარე არ გამოიყენება ხალხურ მედიცინაში. გლიკოზიდებს შორის გამოირჩევა ოლიტორიზიდი და კორხორიზიდი. ოლიტორიზიდი კარდიოტონური მოქმედებით ხასიათდება, აუმჯობესებს კორონარულ სისხლისმომძრაობას. მეორე გლიკოზიდი – კორხორიზიდი სტროფანტის მსგავსია, არამართო ქიმიური აგებულებით, ასევე გულზე მისი მოქმედებით, თუმცა

ნაკლებად ტოქსიკურია; იწვევს დამამშვიდებელ და შარდმდენ მოქმედებას, ხასიათდება სუსტი კუმულარული ეფექტით. ჯუთის გალენური პრეპარატები გულზე სხვა გლიკოზიდების მსგავსად მოქმედებს; უმთავრესად გამოიყენება სისხლის მოძრაობის უკმარისობის, განსაკუთრებით გულის მანკისა და კარდიოსკლეროზის, მიოკარდიის სუსტი ტონუსის, გულის რიტმის დარღვევის, ქრონიკული ბრონქიტის, სკლეროზის, ფილტვების ემფიზემის დროს; დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აძლიერებს დიურეზს.

ჯუთი ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა ფოლიატების (ფოლიოს მჟავის ბუნებრივი ფორმა), რომელიც ხელს უწყობს ახლად დაბადებულ ბავშვებში თანდაყოლილი სასიკვდილო ანომალიის - ხერხემლის დანაწევრების მკურნალობას, რის გამოც სასარგებლოა ფეხმძიმე ქალებისათვის.

**უკუქმედება:** ღოზის გადაჭარბება იწვევს თავბრუსხვევას, სისუსტეს, სედატურ მოქმედებას.

**გუაია – *Psidium guajava* L.**  
**ოჯ. მირტიცებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის მარადმწვანე 10-15 მ-მდე სიმაღლის ხეა; ხის ქერქი 2-4 მმ სისქისაა, გლუვი, გარედან ბაცი-ვარდისფერი, დალარული. ფოთლები მორიგეობითია, კიდემთლიანი, მოგრძო-კვერცხისებრი ფორმის, ქველა მხრიდან -

შებუსული, ზედა მხარეს – გლუვი, 10-15 სმ-მდე სიგრძის. ყვავილობს ერთი - ორჯერ წელიწადში. იძლევა ერთ ძირითად (ერთი ხიდან მიიღება საშუალოდ 100 კგ-მდე) და 2-4 დამატებით, მნიშვნელოვნად ნაკლებ მოსავალს. ნაყოფი მწიფდება 90-150 დღის შემდეგ. ნაყოფის ფორმა და ზომები მეტად განსხვავებულია, ხორკლიანი ვაშლის მსგავსი, მომრგვალო ან მსხლისებრი ფორმის, კაშკაშა-ყვითელი, მოწითალო ან მწვანე თხელი ქერქით, ხასიათდება სასიამოვნო და მეტად ძლიერი სუნით. კულტურული ჯიშების ნაყოფების წონა 70-160 გ-ია, ნაყოფი 4 - 6,5 სმ სიგრძისა და 4,8-7,2 სმ დიამეტრისაა; მოუძწიფებელი ნაყოფები ძლიერ მჟავაა, რაც სიმწიფისას ქრება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ამერიკაა, მექსიკის ტროპიკული რაიონებიდან დაწყებული სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთ ნაწილამდე.

კულტივირებულია აფრიკაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გუიავას ნაყოფები ფართოდ გამოიყენება საკვებად (სალათის სახით, ხილფაფა, ყელე, ჯემი, წვენები, სიროფები, პიურე, პასტა, კექჩუპი, სანელებლები) და ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად.

ნაყოფი შეიცავს ვიტამინებს, განსაკუთრებით A და B- ს, ხოლო C ვიტამინი 10-ჯერ მეტია ციტრუსოვნებთან შედარებით, რის გამოც რეკომენდებულია მისი გამოყენება ლიმფური სისტემის გასაძლიერებლად და ორგანიზმის საერთო ტონუსის ასამაღლებლად. ნაყოფები აგრეთვე მდიდარია უჯრედისით, ცილებითა და ცხიმებით, კალციუმით, ფოსფორითა და რკინით. ევროპელი დიეტოლოგების აზრით წარმოადგენს ბრწყინვალე, მნიშვნელოვან და აბსოლუტურად შეუცვლელ ელემენტს, ბავშვთა კვებისა და დედების რაციონის ძვირფას პროდუქტს, აძლიერებს იმუნიტეტს და ხელს უწყობს ძალების აღდგენას.

გუიავა ხასიათდება შემკვრელი, ბაქტერიციდული და სპაზმოლიტური მოქმედებით. მას კურკებთან ერთად იყენებენ ვაშლის მსგავსად, აძლიერებს საკვების მონელებას, ასტიმულირებს გულის მოქმედებას და აწესრიგებს წნევას.

ვესტ-ინდოეთის კუნძულებზე ნაყოფებს იყენებენ ეპილეპსიური შეტევებისა და კრუნჩხვების დროს; ბრაზილიაში - დიარეის, ფილიპინებზე - გულის დაავადებების, პანამაში - ბრონქიტისა, ასთმის, ყელისა და ფილტვების ანთებისას.

ფოთლების ჩაი სასარგებლოა კუჭ-ნაწლავის აშლილობის, დიზენტერიისა და თავბრუსხვევის დროს, არეგულირებს მენსტრუალურ ციკლს. დაქუცმაცებულ ფოთლებს იყენებენ ჩირქოვანი ჭრილობების მოსაშუშებლად; ფოთლების ნახარშს ხმარობენ ხველების, ყელის ტკივილების, პირის ღრუსა და კანის დაავადებების სამკურნალოდ და სიცხის დამწვევ საშუალებად.

**უკუქმედება:** სადღეისოდ არ არის დადგენილი.

**გუარანა – *Paulinia cupana* Kunth**  
**ოჯ. საპინდასებრნი - Fam. Sapindaceae**



**მორფოლოგია:** ხვიარა ლიანაა, გამოირჩევა დიდი ფოთლებითა და ყვავილებით. ცნობილია უმთავრესად ნაყოფებით, რომლებიც ყავის მარცვლის მსგავსია, თხილის ზომის, დაფარულია მუქი ყვითლიდან ნაცრისფერამდე შეფერილობის ქერქლით. მომწიფებისას ქერქი სკდება და ჩნდება ერთი ლილისფერ-მოყავისფრო ან შავი თესლი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ამერიკაში: ბრაზილიაში, პარაგვაიში, პერუში, ვენესუელასა და კოლუმბიაში. კულტივირებულია ბრაზილის შტატებში: ამაზონსა და ბაიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გუარანას ნაყოფები განაჭერში გვაგონებს თვალის ვაშლს. როგორც საკვები დანამატი – ეფექტური სტიმულატორია, შეიცავს ორჯერ მეტ კოფეინს, ვიდრე ყავის მარცვლები. კოფეინის მაღალი კონცენტრაცია წარმოადგენს მცენარის მფარავ ტოქსინს, რომელიც კენკრას და თესლებს იცავს დაავადებების გამომწვევი მიკროორგანიზმებისაგან. თესლები შეიცავს ცილებს, ცხიმებს, ნასშირწყლებს – სახამებელს, ნაცარს, ტანინებს, ალკალოიდებს - თეოფილინს, თეობრომინს, 6% კოფეინს, პოლიფენოლებს, რომლიდანაც უმთავრესია კატეხინები და ეპიკატეხინები, ფისებს, ვიტამინებს (B, A, E). მისგან აწარმოებენ პასტას, რომელსაც ცალკეულ ქვეყნებში სამედიცინო მიზნებისათვის იყენებენ. პასტიდან მოიპოვება კოფეინი, მას უმატებენ შოკოლადს და იხმარება ყავის ანალოგიური სასმელების დასამზადებლად.

ძველი დროიდანვე თესლების ფხვნილი სამხრეთ ამერიკის აბორიგენი მოსახლეობის - ტუპისა და გუარანის ინდიელების მიერ ტრადიციულად გამოიყენებოდა როგორც სტიმულატორი, აფროდიზიაკი, მატონიზირებელი და გამამაგრებელი საშუალება; იხმარებოდა თავის ტკივილების, სიცხის, ციებ-ცხელების, სპაზმების დროს; იყენებდნენ ბაქტერიული ინფექციების პროფილაქტიკისათვისაც. ლათინური ამერიკის ინდიელები თვლიან, რომ გუარანა შიმშილთან ერთად შველის დაღლილობას, ართრიტებს, დიარეის; ხმარობენ ნაბახუსევის დროს.

ამჟამად მიმდინარეობს სამედიცინო ექსპერიმენტები ამ მცენარის გამოყენების შესაძლებლობებზე სხვადასხვა დაავადებებისას.

შედის სამხრეთ ამერიკის რიგ ქვეყნებში დამზადებული მრავალი ენერგეტიკული სასმელის შემადგენლობაში (წარმოებს მათი ექსპორტიც), უმატებენ ჩაის, შაქარყინულებსა და კანფეტებს. ბრაზილიაში ფართოდაა გავრცელებული გუარანას პროდუქტები, უაღკოპოლო სასმელებიდან დაწყებული, სხვადასხვაგვარი გემოვნების ბრენდებით დამთავრებული.

**უკუქმედება:** მიუხედავად იმისა, რომ გვერდითი ეფექტები არ აღინიშნება, ექიმები ურჩევენ გადაჭარბებულად არ იქნეს გამოყენებული.

**გუტაფერჩის ხე – *Palaquium gutta* Burck.**  
**ოჯ. საპოტასებრნი - Fam. Sapotaceae**



**მორფოლოგია:** 5-30 მ-მდე სიმაღლისა და 1 მ-მდე დიამეტრის ტროპიკული მარადმწვანე ხეა. ფოთოლი მარტივია, მთლიანი, 8-25 სმ სიგრძის, მწვანე, პრიალა, ხშირად მოყვითალო ან ქვედა მხრიდან ლევა, განლაგებულია მორიგეობით ან სპირალურად. ყვავილი წვრილია, თეთრი 4-7 (უმთავრესად 6) მახვილი ნაკეთულებით, ტოტებზე კონებადაა განწყობილი. ნაყოფი კვერცხისებრი 3-7 სმ სიგრძის კენკრაა, 1-4 თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და ჩრდილოეთ ავსტრალიაში, სამხრეთით ტაივანიდან აღმოსავლეთით სოლომონის კუნძულებამდე. ამჟამად ბუნებაში იშვიათადაა წარმოდგენილი. ფართოდაა კულტივირებული ბუნებრივ ადგილსამყოფლებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღნიშნული სახეობა გუტაპერჩის შემცველ სხვა მცენარეებისაგან განსხვავებით იძლევა ყველაზე დიდი რაოდენობისა და უმაღლესი ხარისხის რეზინის ფისს. ტერმინი “გუტაპერჩი” (კაუჩუკი) გამოიყენება ბუნებრივი ლატექსის აღსანიშნავად, რომელიც მიიღება ხის წვენიდან; განსხვავებით ქიმიური გზით მიღებული გუტაპერჩისაგან, კაუჩუკის ლატექსი მოლეკულიარული სტრუქტურის ბიოლოგიურად ინერტული, დრეკადი ამორფული მასაა, ადვილად კრისტალიზირდება, რაც მყარი მასალის მიღების საწინდარია.



გუტაპერჩის ლატექსის თვისებები დასავლეთის მკვლევართა მიერ 1842 წელს დადგინდა; 1845 წელს პირველად დიდ ბრიტანეთში იქნა გამოყენებული ტელეგრაფის საკაბელო გამტარების სადენების საიზოლაციოდ და სხვადასხვა სახის წარმოებაში (ავეჯი, სათამაშოები, იარაღი, საიუველირო ნაწარმი და ა.შ.).

ლატექსი იხმარება რიგი ქირურგიული მოწყობილობების დასამზადებლად. ფართოდ გამოიყენება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში, კბილის არხის თერაპიისას.

მალაკის კუნძულის ადგილობრივი მოსახლეობა ხალხურ მედიცინაში ხის რძის წვენს სხვადასხვა დანიშნულებისამებრ უძველესი დროიდან იყენებდა.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**დანამასტაკი – Pistacia lentiscus L.**  
**ოჯ. თუთუბოსებრნი - Fam. Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 5 მ-მდე სიმაღლის ხე, მუქი ფისოვანი ქერქითა და გუმბათისებრი ვარჯით. ფოთლები მორიგეობითია, ტყავისებრი; ყვავილები საკმაოდ წვრილია, წითელი ფერის, შეკრებილია მტევნისებრ ან საგველასებრ ყვავილელებად. ნაყოფი კურკაა წაწვეტებული წვერით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** იზრდება ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, თუმცა მხოლოდ ევროპული რეგიონით არ შემოიფარგლება, გადაჭიმულია დასავლეთით -

კანარის კუნძულებზე, მაროკოში, ესპანეთამდე, აღმოსავლეთით - თურქეთში, იზრაელში, პალესტინასა და სირიაში. ფართოდაა კულტივირებული ამავე ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მამრობითი ეგზემპლარებიდან ლებულობენ ფისს – მასტიქს (მასტიკას). წარმოადგენს მცენარის ვარჯისა და ტოტებიდან სხიზოლიზიგენური არხებიდან ბალზამების გამოყოფის პროდუქტს. მის მისაღებად იენის-ივლისში სერავენ სქელ ტოტებსა და ხის ტანს, საიდანაც წვეთ-წვეთობით გამოიყოფა ფისი, რომელიც ჩქარა შრება. აგროვებენ 14-20 დღის შემდეგ. ასეთი მასტიკა ბაცი ყვითელი “ცრემლების” სახითაა წარმოდგენილი, უმაღლესი ხარისხისაა და დასაშვებია სამედიცინო გამოყენებისათვის. ხეების უფრო ღრმად დასერვის შემთხვევაში, ფისები უფრო ინტენსიურად გამოედინება და იწვეთება მიწაზე, ქვებზე – ასეთ მასტიკას აკუთვნებენ გაჭუჭყიანებულ ან ტექნიკურ ხარისხს, რის შემდეგაც ასეთი ხეები იფიტება და მალე იღუპება.

მასტიკა შეიცავს 90 % ფისებს, 1-3%-მდე ეთერზეთებს. ფისები მდიდარია რეზინებითა და ფისოვანი მჟავებით (მაგალითად, მასტიკოდიენონმჟავა), რომლებიც მიეკუთვნება ტრიტერპენულ შენაერთებს. ფისებში ასევე აღინიშნება ოლეინის მჟავა. ეთერზეთები მდიდარია პინენით, რომელიც მასტიკას აძლევს გამოკვეთილ სკიპიდარის სუნს. გარდა ამისა დანამასტიკი შეიცავს სხვადასხვა მწარე და სპირტში ხსნად სუბსტანციებს.

ელემენტები, რომლებიც ფიგურირებს ამ მცენარის შემადგენლობაში, ანიჭებს მას ანთების საწინააღმდეგო, ჭრილობების შემახორცებელ და უმნიშვნელო გამაუმტკივნეულ მოქმედებას. ხის ფისისაგან ამზადებენ სამკურნალო ნაყენებს, რომელსაც იყენებენ როგორც ჭრილობების შემახორცებელ ეფექტურ საშუალებას – უმთავრესად ისმევენ ღრძილებზე და ივლებენ პირის ღრუს. მაღალი ხარისხის მასტიკა სტომატოლოგიაში იხმარება როგორც დამატებითი მასალა კბილების პლომბირებისას; გარდა ამისა, გადამუშავებული მასტიკიდან ამზადებენ სხვადასხვაგვარ წებოვან საშუალებებს, კერძოდ პლასტიკების სახით.

**უკუქმედება:** არ არის რეკომენდებული მაღალი მგრძობელობის მქონე ადამიანებისათვის, შეიძლება გახდეს ალერგიული რეაქციის გამოწვევის მიზეზი.

**დარიჩინის ხე ჩინური – Cinnamomum cassia Blume**  
**ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** 15 მ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ხეა. ფოთლები ფართო ოვალურია, კიდეშთლიანი, ტყავისებრი, ზედა მხრიდან პრიალა მწვანე, ქვედა – მოლურჯო-მწვანე, დაფარულია მოკლე რბილი ბეწვებით. ქვედა ფოთლები მორიგეობითია, ზედა – მოპირისპირე, ჩაქინდრული, მოკლეყუნწიანი; ყვავილები წვრილია, მოყვითალო-მურა ფერის, მარტივი ყვავილსაფარი სამწვერიანია, ორ წრედ განლაგებული, საგველა ყვავილედად შეკრებილი. ნაყოფი კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ჩინეთის სამხრეთით და ინდოჩინეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ქერქი წარმოადგენს, რომელიც 1-3 მმ სისქისაა, მუქი ყავისფერი, ადგილ-ადგილ დაფარულია საცობის ფენით, სუნი არომატულია, გემო მოტკბო, სურნელოვანი და ოდნავ შემკვრელი. შეიცავს ეთერზეთებს, რომელიც უმთავრესად შედგება დარიჩინის მჟავის ალდეჰიდებისაგან, მცირე რაოდენობით მთრიმლაკ ნივთიერებებს.

დარიჩინის ქერქის სპირტიანი ექსტრაქტი აქტიურია სხვადასხვა გრამდადებითი და გრამუარყოფითი ბაქტერიების მიმართ. ჩინური წყაროების თანახმად ტუბერკულოზის ჩხირებისა და სხვადასხვა ვირუსებისადმი ხასიათდება მომაკვინებელი მოქმედებით.

ინმარება საკვებმომწოდებელი ორგანოების მოქმედების აღმზნებ საშუალებად, წამლების სუნისა და გემოს გასაუმჯობესებლად და როგორც ანტისეპტიკი.

**უკუქმდება:** დარიჩინის ხის ეთერზეთები უკუმაჩვენებელია ორსულებისა და მეძუძური ქალებისათვის, კანზე და ლორწოვან გარსზე ალერგიული რეაქციებიდან გამომდინარე.

**დარიჩინის ხე ცეილონის - *Cinnamomum zeylanicum* Nees.  
ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 15 მ-მდე სიმაღლის ხეა სქელი ქერქით. ტოტები ცილინდრულია, წვეროსკენ სამწახნაგოვანი, მოპირისპირედ განლაგებული მოკლე ყუნწიანი ფოთლებით, ოვალური, გლუვი ან მოკლედ წაწვეტებული, ტყავისებრი, 3-7 მთავარი ძარღვით; ყვავილები აქტინომორფულია, წვრილი, შეკრებილია ციმოზურ ყვავილედად; ყვავილსაფრის ფოთოლაკები თავისუფალია, ორწრიანი, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის. ნაყოფი კენკრაა, მოთეთრო-ცისფერი შეფერილობის. მთელი მცენარე ხასიათდება სასიამოვნო, ძლიერი არომატით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ცეილონზე, შრი-ლანკასა და ინდოეთში. კულტივირებული შრი-ლანკაზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული ქერქია, ბაცი ყავისფერი შეფერილობის, ძალიან თხელი, ხშირად ქალაღის ფურცლის სისქის (0,2-0,5 მმ). ქერქის შეგროვება წარმოებს შეჭრილი ბუჩქებიდან, ყლორტების 1-2 მ სიგრძის მიღწევისას. ქერქს სპილენძის დანებით ჭრიან, მის გარეგან ნაწილებს აცილებენ, შემდეგ ახვევენ ორმაგ ან სამმაგ მიღებად და მზეზე აშრობენ. ქერქის გადანაჭრებისა და ნარჩენებისაგან ამზადებენ ეთეროვან ზეთებს. ეთერზეთები შედგება დარიჩინის მჟავის ალდეჰიდებისაგან. ქერქში აღინიშნება აგრეთვე მთრიმლავი ნივთიერებები, რის გამოც ქერქის შეგროვებისას ფოლადის დანების ხმარება არ შეიძლება.

ცეილონის დარიჩინის ქერქი ჩინურ დარიჩინთან შედარებით უფრო ძვირად ფასობს.

დარიჩინის ხის ქერქიდან მიღებული პრეპარატები ხასიათდება მატონიზირებელი, მიკრობების საწინააღმდეგო, ანტიბიოტური, ანტისეპტიკური, კარდიოტონური, შემახორცებელი, გამათბობელი, ხველების საწინააღმდეგო, მუკოლიტური, ბრონქოლიტური, იმუნომოდულირებული, ინსექტიციდური და სპაზმოლიტური თვისებებით. მოქმედებს პლაზმაზე, სისხლზე, კუნთებზე, ძვლის ტვინზე და ნერვულ ქსოვილებზე; ხელს უწყობს კუჭის სეკრეციის სტიმულირებას და ნერწყვის გამოყოფას. შესაბამისად, დარიჩინი აუმჯობესებს საკვების მონელებას, ხელს უწყობს მეტეორიზმის დროს გაზების გამოყოფას და ამსუბუქებს ავადმყოფის მდგომარეობას ნაწლავებისა და კუჭის სპაზმებისას. გარდა ამისა, ასტიმულირებს სასუნთქი, გულის სისტემისა და საშვილოსნოს მოქმედებას.

დარიჩინის ეთერზეთები შველის რევმატიზმს, ართრიტს, სახსრების ტრავმებს, მიოზიტს, კუნთოვან სპაზმებს, კრუნჩხვებს, ზედა სასუნთქი გზების დაავადებებს, გრიპს, ხველებას, ბრონქიტს, გაციებას; საკვების მონელების დარღვევებს (მუცლის გაბერვა, ბოყინი, გულისრევა), დისპეპსიას, გასტრიტს, საკვებით

მოწამლვას, დიარეის, მეტეორიზმს, ათონიას, კოლიტს, კუჭის სიმძიმეს, კუჭის წვენის მაღალ მჟავიანობას, კუჭისა და თორმეტკოჯა ნაწლავის წყლულებს, დაღლილობას და მადის დაკარგვას, ზედმეტ წონას, თავბრუსხვევებსა და გულის წასვლას, ვეგეტოსისხლძარღვების დისტონიას, დერმატოქსიკოზს, კერატოზს, მუნს, პედიკულოზს, კოჟრებს.

გარეგანი გამოყენებისას ამცირებს ნევრალგიას, სახსრების ტკივილებს (ართრიტები), ტრავმის შემდგომ კუნთების კონტრაქტურას.

**უკუქმდება:** დარჩინის ხის ეთერზეთები ალერგიული რეაქციებიდან გამომდინარე უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისათვის.

**დასავლური ტუია – *Tuja occidentalis* L.**  
**ოჯ. კვიპაროზისებრნი - Fam. Cupressaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 12-20 მ სიმაღლისა და 1 მ-მდე დიამეტრის მქონე ხეა, მერქანი მსუბუქი და ძნელად ლპობადია; ყლორტები ბრტყელი და მოპირისპირეა, ქერქლისებრი ფოთლებით დაფარული. მდედრობითი გირჩები შედგება 3-6-მდე ჯვარედინად განლაგებული ტყავისებრი ქერქლისაგან, რომლებიც შესამჩნევად არიან ერთიმეორეზე გადაფარებული, მწიფდება პირველსავე წლის შემოდგომაზე.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ხის სინონიმებია: “თეთრი კედარი”, “სიცოცხლის ხე”. სამშობლო აშშ-ის ადმოსავლეთის შტატებია, სადაც იზრდება წიწვოვანი ტყეების ზონაში და ხშირად ქმნის კორომებს. ფართოდაა კულტივირებული, ცნობილია ბალის მრავალი ფორმა. ტუიას ზეთის მწარმოებლებია აშშ და კანადა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ძველ დროში იყენებდნენ როგორც სურნელოვან მცენარეს რიტუალური მიზნებისათვის. ფოთლების ნაყენი გამოიყენებოდა ხველების, ციბ-ცხელების, ნაწლავების პარაზიტების, ცისტითისა და ვენერიული დაავადებებისას. მალამოებით მკურნალობდნენ რევმატიზმს, ვენების ვარიკოზულ გაფართოებას, მეჭვჭვებს, ფსორიაზს და სხვა დაავადებებს.

ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო, დამარბილებელი, ანტიესპტიკური, შემახორცებელი, შემკვრელი, ქარმდენი, ოფლმდენი, შარდმდენი, ამოსახველებელი, მატონიზირებელი და რევმატიზმის საწინააღმდეგო მოქმედებით; აწესრიგებს საკვების მონელებას და მენსტრუალურ ციკლს.

არომატულ ზეთს ღებულობენ გამოხდის გზით ფოთლებიდან, ყლორტებიდან და ქერქიდან, უფერული ან ბაცი ყვითელი ფერის სითხეა ქაფურის ძლიერი არომატით. შეიცავს ტუიონს (69%), ფენხონს, ქაფურს, საბინენს, პინენსა და სხვ. გამოიყენება ფარმაკოლოგიაში სადენინფექციო საშუალებების დასამზადებლად, დამარბილებელი მოქმედების მალამოების მისაღებად, პარფიუმერიაში და საკვები პროდუქტების არომატიზაციისათვის.

**უკუქმედება:** ტუიონი წარმოადგენს რა ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებას, იწვევს მუცლის მოწყვეტას. შინაურ პირობებში მისი როგორც შინაგანი, ასევე გარეგანი გამოყენება დაუშვებელია.

**დაფნა - *Laurus nobilis* L.**  
**ოჯ. დაფნისებნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, მაღალი ბუჩქია ან ხე, ხშირტოტებიანი ვარჯით. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო ლანცეტა, ტყავისებრი, მუქი მწვანე, მქრქალი, სურნელოვანი, შეიცავს ეთერზეთოვან სათავსებს. ყვავილი ორსახლიანია და ერთსქესიანი, იშვიათად ორსქესიანი. ყვავილელი – ოთხ-ექვსყვავილიანი ქოლგაა, წვრილი, ფოთლების უბებში კონებად შეკრებილი. ყვავილი წვრილია, თეთრი; ყვავილსაფარი ჯამისებრია, 4-ფოთოლაკიანი; მამრობითი ყვავილები მსხვილი, ყვითელი მტვრიანებით (8-14) ხასიათდება, მდედრობითში - 4 რუდიმენტალური მტვრიანაა. ნაყოფი ელიფსური, მოლურჯო - შავი ფერის ერთთესლიანი კურკიანაა. ყვ. III; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის მთის ტყეებში; კავკასიასა და ყირიმში ჯერ კიდევ ძველი ბერძნების მიერ იქნა შემოტანილი, სადაც მკვიდრად მოიკიდა ფეხი. საქართველოში გვხვდება ქვედა სარტყლის ტყეებში - აფხაზეთში, სამეგრელოში, იმერეთსა და გურიაში, სადაც აგრეთვე უძველესი დროიდანაა კულტურაში შეტანილი. ძველ საბერძნეთში დაფნის გვირგვინით ამკობდნენ ოლიმპიურ ჩემპიონებს, გმირებს, გამორჩეულ პოეტებს და ა.შ. (სიტყვა “ლაურეატი” წარმოსდგება მცენარის ლათინური სახელწოდებიდან – “*Laurus*”). ამჟამად კულტივირებულია ევროპის მრავალ



ქვეყანაში. დაფნის ფოთლის მთავარი მწარმოებლებია: იტალია, საბერძნეთი, თურქეთი, სირია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტექნიკური და ტრადიციული სურნელოვან-სანელებელი მცენარეა. ფოთოლი შეიცავს ცხიმოვან ზეთებს, ეთერზეთებს (შემადგენლობით ცინეოლი, ტერპინეოლი, ფელანდრენი, გერანიოლი, ლინალოლი, ევგენოლი, მეთილევგენოლი), ძმრის, ვალერიანის, კაპრონის, ლაურინის, პალმიტინისა და ლინოლინის მჟავებს, სექვიტერპენულ ნაერთებს; ნაყოფში აღინიშნება ეთერზეთები, ცხიმოვანი ზეთები, უმაღლესი ცხიმოვანი მჟავები.

ქართულ ხალხურ მედიცინაში დაფნის ნაყოფს იყენებდნენ სიმსივნის, ქავანას, გაძლიერებული მენსტრუაციის, რევმატიული ანთების, გაძნელებული ზველებისა და დამბლის დროს.

ხასიათდება მადისმომგვრელი, სისხლის მიმოქცევის და სუნთქვის მასტიმულირებელი, შარდმდენი, სისხლისშემაჩერებელი, სისხლში შაქრისდამწვევი, წნევისდამწვევი, ანთების საწინააღმდეგო, ანტიესპტიკური, ფუნგიციდური და ბაქტერიოციდული მოქმედებით.

სამედიცინო პრაქტიკაში დაფნის ნაყენი გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის, მწვავე რესპირატორული დაავადებების, სახის ნერვის დამბლის, ტუბერკულოზის, სახსრების ტკივილის, ართრიტის, ჰიპერტონიის, მალარიის, ნევრალგიის, ოსტეოხონდროზის, დერმატომიკოზების, თირკმელების უკმარისობის, ყურიდან გამონადენის, უხვი მენსტრუაციის, უნაყოფობის, საშვილოსნოს ტკივილის დროს. დაფნის ზეთი ხასიათდება ანტიესპტიკური, მადეზინფიცირებელი და დამამშვიდებელი მოქმედებით; სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება კანის დაავადებების, ალერგიული გამონაყრების, დიათეზის, აქერცლილი კანის, ფურუნკულებისა და გამონაყრებისას.

შედის ნერვების დამამშვიდებელი, რევმატიზმისა და მუნის საწინააღმდეგო მალამოების შემადგენლობაში, ფართოდ გამოიყენება პარფიუმერიაში.

ყურადღებას იპყრობს დეკორატიული თვალსაზრისითაც, კარგად იტანს კრეჭვას, წარმოქმნის მკვრივ ცოცხალ ღობებს, ბორდიურებს, ფიგურულად გაფორმებულ ჯგუფებს.

**უკუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა; დაფნის პრეპარატების ჭარბი დოზა იწვევს გულისრევას, ალერგიულ გამონაყრებს; უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისათვის.

**დელოფლის ყვავილი - *Tropaelum majus* L.**  
**ოჯ. დელოფლის ყვავილისებრნი - Fam. Tropaeolaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა. ღერო ხორცოვანია, ძლიერ დატოტვილი, მხოხავი ან წამოწეული, სუსტად ხვიარა, 2,5 მ სიმაღლის, გლუვი, წვნიანი. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, მომრგვალო, 10 - ძარღვიანი, კიდემთლიანი ან მომრგვალო-უთანაბროგვერდიანი, კაშკაშა და მუქი მწვანე. ყვავილები ორსქესიანია, გრძელი საყვავილე ყუნწებით, განლაგებულია ფოთლების უბებში, ხუთწევრიანია, მსხვილი, 2,5-4 სმ დიამეტრის; წინა 3 ფოთოლაკი ფუძესთან ფოჩისებრია, ნარინჯისფერი, ყვითელი ან წითელი, სისხლისებრ-წითელი ზოლებით. ნაყოფი – კოლოფია, იშლება სამ ნაკვთად; ნაყოფედი დასაწყისში ხორცოვანია, დანაოჭებული, შემდგომ მშრალი. თესლების მომწიფება თანდათანობით ხდება. ყვავილობს ივნისის შუა რიცხვებიდან გვიან შემოდგომამდე, პირველ ყინვებამდე.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკაა, პერუდან ახალ გრენლანდამდე. კულტივირებულია როგორც დეკორატიული მცენარე ცხელ და ზომიერ სარტყელში, ევროპაში, რუსეთის სამხრეთით, კაკასიაში, შუა აზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ბალახი (herba Tropaeoli), ნაყოფები (semen Tropaeoli). ნელი ფოთლები და ღეროები შეიცავს 0,46 – 0,16 %-მდე ასკორბინის მჟავას, კაროტინს, ალკალოიდებს – 0,11 %, იზოკვერცეტინს, კემპფეროლს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ლორწოს, კალიუმს, ტროპეოლინს; ფოთლები და ნაყოფები - ასკორბინის მჟავას, ანტისეპტიკურ ნივთიერებებს; ყვავილებში აღინიშნება კაროტინოიდები, ანთოციანური საღებავები (პელარგონიდინი); თესლებში – იზოთიოციანიტები (მლოგვის ზეთი). მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს: გლიკოზიდ გლიკოტროპეოლინს, რომელიც ფერმენტაციით იშლება ბენზილიზოთიოციანიტად, რომელიც წარმოადგენს ეთერზეთების ძირითად შემადგენელ ნივთიერებას.

ტროპეოლინი იწვევს დადებით მოქმედებას ქრონიკული კორონარული უკმარისობისას. ფოთლები და კვირტები ხასიათდება ცინგის საწინააღმდეგო მოქმედებით. ნაყოფები იხმარება ყაბზობის დროს. მცენარე ხასიათდება ორგანიზმიდან ჭარბი ქოლესტერინის გამოდევნის უნარით. გამოიყენება როგორც პროფილაქტიკული და სამკურნალო საშუალება სკლეროზის საწინააღმდეგოდ. ბალახის წყლიანი ნაყენი იხმარება ცინგის ანემიის, კანის გამონაყრების, შარდკენჭოვანი დაავადებების, სტომატიტის, თმის ცვენისას სამკურნალოდ.

ამერიკის ხალხურ მედიცინაში ფოთლების წვენი იყენებდნენ გარეგანად ქავილისა და მუნის სამკურნალოდ, თმის გასამაგრებლად; ყვავილების ნაყენს – გულისა და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების, ჰიპერტონიის შემთხვევაში.

გერმანიის ხალხურ მედიცინაში მცენარის წვენი გამოიყენება ბრონქების ქრონიკული ანთების დროს.

**უაუქმელება:** არ არის გარკვეული.

**ღვეის ხე, დრაკონის ხე - *Dracaena draco* (L.) L.  
(syn. *Asparagus draco* L.)  
ოჯ. სატაცურისებრნი - Fam. Asparagaceae**



**მორფოლოგია:** გარეგანად გიგანტურ კაქტუსს მოგვაგონებს. მის სქელ ტოტებზე განლაგებულია წაწვეტებული ფოთლების კონები. სქელი დატოტვილი ხის ტანი 20 მ-მდე სიმაღლისაა, ფუძესთან 4 მ დიამეტრის, ხასიათდება სისქეში მეორადი ზრდით. ყოველი ტოტი მთავრდება ფოთლების კონით, რომლებიც მონაცრისფრო-მწვანე, ტყავისებრია, საზური, 45-60 სმ სიგრძისა და მის შუა ნაწილში 2-4 სმ სიგანის, ფუძესთან შევიწროებული და მახვილწვეტიანი, გამოკვეთილი ძარღვებით. ყვავილი მსხვილია, ორსქესიანი, გვირგვინისებრი, გაყოფილ ფურცლიანი ყვავილსაფრით, კონებად (2-4) შეკრებილი. ზოგიერთი ხის სიცოცხლის ხანგრძლივობა 5-6 ათას წელს შეადგენს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება აფრიკის ტროპიკებსა და სუბტროპიკებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის კუნძულებზე. სამშობლო კანარის კუნძულებია. კანარის კუნძულების არქიპელაგის კუნძულ ტენერიფეს სიმბოლოა. **სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხის დასერვით გამოიყოფა წითელი ფისი, რომელსაც დრაკონის სისხლს (Dragon Blood resin) უწოდებენ.

უძველესი დროიდან დრაკონის ხეს წმინდა ხედ მიიჩნევდნენ, ხოლო დრაკონის სისხლს იყენებდნენ პრაქტიკულად ყველა ცნობილი დაავადების სამკურნალოდ, აგრეთვე მისტიკური მიზნებისათვის. დღევანდელ დღესაც კუნძულ სოკოტრას

მაცხოვრებლები მის ფისს იყენებენ პრაქტიკულად როგორც პანაცეას ნებისმიერი დაავადების საწინააღმდეგოდ.

აფრიკის აბორიგენ ტომებს სწამდათ, რომ წმინდა ხეა, ხოლო ფისს შეუძლია ყველა დაავადების განკურნება. პრეისტორიულ პერიოდში დრაკონის ფისს მიცვალებულების ბალზამირებისათვის იყენებდნენ.

თანამედროვე გამოკვლევებით დამტკიცებულია, რომ “დრაკონის სისხლი” შეიცავს ნივთიერებებს, რომელიც ეფექტურია წყლულების გამომწვევი ბაქტერიების საწინააღმდეგოდ.

მედიცინაში დრაკონის ფისით კურნავენ უშვილობასა და იმპოტენციას, მკურნალები მისით ასუფთავებენ ადამიანის აურას და შენობებს ნეგატიური მოქმედებებისაგან.

“დრაკონის სისხლს” ათასეული წლების მანძილზე ჩინელი მკურნალები იყენებდნენ კუჭის წყლულისა და ტრომბების სამკურნალოდ. ხელს უწყობს მძიმე დაავადებების (რომელიც დაკავშირებულია ნაწლავების და მუცლის ღრუსთან) შემდგომი გართულებების შემცირებას, აქვს უნარი ორგანიზმის ძვალ-კუნთოვანი სისტემის გამაგრების, მისი საშუალებით სწორდება ხერხემალი, რაც აძლევს ადამიანს დაიბრუნოს ტანადობა. ხალხურ მედიცინაში ყურძნის სპირტთან შერეულს იყენებენ კანის მრავალი დაავადების სამკურნალოდ, აგრეთვე ეფექტურად მკურნალობენ კუჭის წყლულს.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**დიდყვავილა მაგნოლია - *Magnolia grandiflora* L.**  
**ოჯ. მაგნოლიასებრნი – Fam. Magnoliaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე დეკორატიული 25-30 მ-მდე სიმაღლის მცენარეა, პირამიდული ხშირი ვარჯით. ფოთლები ყუნწიანია, მორიგეობითი, ტყავისებრი, ელიფსური ან უკუკვერცხისებრი, კიდემთლიანი, ზედა მხარეს შიშველი, პრიალა, ქვედა მხარეს – შებუსული. ყვავილები დიდი ზომისაა (20 სმ-მდე დიამეტრის), არომატული, მარტოული, წვეროსეული; ყვავილსაფრის გვირგვინის ფურცლები კრემისებრ თეთრია, განწყობილია წრიულად. ნაყოფი - გირჩისებრი მრავალი ფოთლურაა; თესლები დიდია, წითელი, ნაყოფედში ძაფებზეა ჩამოკიდებული. ყვავის მაისიდან სექტემბრამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში როგორც დეკორატიული მცენარე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს (*Folia Magnoliae grandiflorae*), რომელსაც ყვავილობის მთელ პერიოდში ამზადებენ. ფოთლები შეიცავს ალკალოიდებს (0,14 %-მდე), რუტინს, ფლავონურ გლიკოზიდებს (0,24 %), ეთერზეთებს (0,6 %-მდე), რომლის შემადგენლობაშია ეთერები, სპირტები, ფენოლები და სესკვიტერპენების ნარევი.

მაგნოლიის გალენური პრეპარატები ხასიათდება გამოკვეთილი

წნევის დამწვევი თვისებებით, რასაც ახლავს გულის რიტმის შენელება, გულის მიდამოებში ტკივილების მოხსნა და ავადმყოფების საერთო განწყობილების გაუმჯობესება. პრეპარატები ეფექტურია ჰიპერტონიული დაავადებების საწყის სტადიაში სამკურნალოდ. ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენი გამოიყენება როგორც გარეგანი საშუალება თმის ცვენის დროს.  
**უკუქმდება:** მცენარე შხამიანია, ღოზის გადაჭარბება სახიფათოა.

**ღიხროა - *Dichroa febrifuga* L.**  
**ოჯ. ფხიჯასებრი – Fam. Saxifragaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 100 სმ-მდე სიმაღლის ბუჩქია. ღეროები სწორმდგომია, მრავალჯერად მოპირისპირედ დატოტვილი; ახალგაზრდა ყლორტები დასაწყისში მწვანეა, ბაცი მწვანე წერტილებით მოფენილი, მოგვიანებით - ფერფლისებრ-ნაცრისფერი. ფოთლები მოპირისპირეა, მოკლეყუნწიანი, მოგრძო-კვერცხისებრი, ხერხებილა, მუქი მწვანე, 14-18 სმ სიგრძის, კარგად გამოხატული ფრთისებრი დამარღვით. ყვავილელი – წვეროსეული მოკლე, პირამიდული საგველაა. ყვავილები 0,9-1,2 სმ დიამეტრისაა. გვირგვინი 5-7 ფურცლიანია, ფართო ან მოგრძო კვერცხისებრი, ხორცოვანი; გარედან თეთრია, შიდა მხარეს – ვარდისფერი, მოგვიანებით – ბაცი იისფერი ან ლილისფერი, იშვიათად ორივე მხრიდან იისფერი. ნაყოფი – მრავალთესლიანი ლილისფერი კენკრაა 0,8-1,3 სმ-მდე სიგრძის. თესლი

კვერცხისებრია, უსწოროწახნაგოვანი, ყავისფერი, 1 მმ-მდე სიგრძის. ყვ. I-III; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ჩინეთში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ინდოჩინეთსა და ფილიპინებზე. იზრდება მთის ხეობების ტყეებში ზღ.დ. 800-2200 მ სიმაღლეზე, უპირატესობას ანიჭებს დაჩრდილულ ადგილებს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ნორჩი შეფოთილი ყლორტები (ბალახი) და ფესვები წარმოადგენს. შეიცავს ალკალოიდებს, რომლებიდანაც გამოყოფილია ფებრიფუგინი და იზოფებრიფუგინი, აგრეთვე ორი ფიზიოლოგიურად არააქტიური შენაერთი: დიზროიდინი და 4-ხინოზოლონი.

ჩინურ მედიცინაში უძველესი დროიდან გამოიყენება ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ. ფესვებისა და ფოთლების ექსტრაქტები და ალკალოიდები ხასიათდება ციების საწინააღმდეგო მაღალი აქტივობით. განსაკუთრებული გამოკვეთილი მოქმედება გამოავლინა ალკალოიდმა - ფებრიფუგინმა, რომელიც ქინინზე 16-18-ჯერ ეფექტური აღმოჩნდა. გარდა აღნიშნულისა, ფებრიფუგინი აძლიერებს ნაწლავების პერისტალტიკას, იხმარება ფალარათის, ჰიპერგლიკემიის, წყალმანკის, ლვიძლის დაზიანების დროს; იწვევს სიცხისდამწვევ მოქმედებას. ალკალოიდი იზოფებრიფუგინი აქტიურობით ჩამორჩება ფებრიფუგინს, მოქმედების სიძლიერით ახლოა ქინინთან. სამდღიანი ციებ-ცხელების ეფექტური მკურნალობა ფებრიფუგინით 100-ჯერ მაღალია, ვიდრე ქინინით.

**ზოგადი აღნიშვნა:** მისი ფასეულობა მცირდება იმით, რომ ქინინთან შედარებით 100-ჯერ ნაკლებ დოზებშიც კი მაღალტოქსიკურია, იწვევს ძლიერ მოწამლვას.



**ღურიო – *Durio ziberthinus* L.**  
**ოჯ. ბაობაბისებრნი - Fam. Bombacaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 40 მ-მდე სიმაღლის და 0,5 მ დიამეტრის ხეა, სწორმდგომი ვარჯითა და ნაირგვაროვანი ტოტებით, დაფარულია აქერცლილი ქერქით. ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო, ძირთან მომრგვალებული, მკვეთრად წაწვეტებული, ტყავისებრი, პრიალა, ზედა მხარეს-მუქი მწვანე, ქვედაზე – ვერცხლისფერი ან ბაცი ყვითელი. ყვავილობს დიდი ზომის (5-7,5 სმ) მოთეთრო ან ოქროსფერ-ყავისფერი შეფერილობის ყვავილებით, წარმოქმნის დაკიდულ მტევნებს 30-მდე ყვავილით, ვითარდება პირდაპირ ტოტებზე ან უშუალოდ ხის ტანზე. ყვავილები ხასიათდება ძლიერი მძიმე სუნით - იმლება შუადღის შემდეგ, სალამოს 5 საათიდან დილის 6 საათამდე მას აქტიურად ამტვერიანებენ ღამურები; მთელი ღამის განმავლობაში ყვავილის ყველა ნაწილი ცვივა, დილის 7 საათისთვის წარმოებს აქტიური დამტვერვა, ხოლო 11 საათისათვის ყვავილიდან რჩება მხოლოდ ბუტკო. ნაყოფი მწვანე, ყვითელი და ყავისფერია, მომრგვალებული ან ოდნავ ოვალური ფორმის, შემოსილია წვეტიანი ეკლებით, 8 კგ-მდე წონისაა; სიმწიფისას ნაყოფის გარსი სკდება ხუთ ნაწილად, თითოეულ მათგანში, სქელ, მკვრივ კრემისებრ რბილობში, საშუალოდ 13 ყავისფერ-წაბლისებრი თესლია მოთავსებული. თესლი მსხვილია, 4-7 სმ სიგრძისა და 2,5 სმ სიგანის; გამოყვანილია უთესლო, უსუნო, სხვადასხვა შეფერილობის - ყვითელი, თეთრი, ვარდისფერი და ნარინჯისფერ ნაყოფებიანი ჯიშები.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ბორნეოსა და სუმატრას კუნძულებია. ველურად და ნახევრად ოკულტივირებული სახით იზრდება აგრეთვე ბირმაში, მალაის ნახევარკუნძულზე, ინდოეთის სამხრეთ-აღმოსავლეთით, ცეილონზე, ახალ გვინეაში, ფილიპინებზე, მინდანაოსა და სულუს პროვინციებში. მსოფლიო ბაზარზე ღურიოს ძირითად მწარმოებლად ითვლება ტაილანდი, სამხრეთ ვიეტნამი და ბირმა. ტაილანდში გამოყვანილია 300-მდე ჯიში, კომერციულ მეხილეობაში მხოლოდ რამდენიმე მათგანი გამოიყენება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ღურიოს ნაყოფი ტკბილი და ზეთოვანია, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი სუნით. მას ადარებენ ყველის, ხახვის, სკიპიდარის, ნივრის, ფისის, ხახვის, სხვადასხვა სანელებლის, ბანანის გაერთიანებულ სუნთან. ქერქიდან რბილობის ამოცლის შემდეგ ხდება სასწაული - აფრქვევს განსაცვიფრებელ სურნელს - კრემის, ნუშის, ალუბლის, ღვინის, ხახვიანი სოუზის, ყველის ნაზავის და საერთოდ შეუცნობელ გასაოცარ არომატს. სწორედ ამ საოცარი სურნელების გამო მიიჩნევენ ხილის ხელმწიფედ.

მიიჩნევენ, რომ ღურიოს რბილობს გააჩნია სამმაგი თანმიმდევრული ეფექტი: დასაწყისში იგრძნობა ძლიერი და არომატული გემო, შემდგომ ნაზი და დელიკატურ-ტკბილი, რაც მთავრდება საოცარი ფისისებრ-ბალზამური დახვეწილი რომანტიული ელფერის გემოთი, რომელიც დიდხანს რჩება. ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, ამზადებენ ნაყენებს და რძის კოკტეილებს, ეგზოტურ სასმელებს სხვა მცენარეებთან ნარევი; მოუძწიფებელი ნაყოფები ბოსტნეულის მსგავსად იხმარება, წვავენ ან ამზადებენ ჩიპსებს.

ძვირფასი კვებითი ღირებულების გარდა ღურიო სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა სამკურნალოდ. მალაიზიაში ფოთლებისა და ფესვების ნახარში იხმარება სიცხის დამწვევად, რბილობი – ჭიისმდენად; ფოთლების სამკურნალო აბაზანებს იყენებენ ნალვლის მომატებისას, ფოთლებისა და ნაყოფების ნახარშს აფენენ კანის ანთებითი დაავადებებისას; დამწვარი ქერქის ნაცარი გამოიყენება მშობიარობის შემდეგ.

ფოთლები შეიცავს ჰიდროქსიტრიპტამინს და მდოგვის ზეთს; ნაყოფისათვის დამახასიათებელი უსიამოვნო სუნი კი გამოწვეულია მათში ინდოლის (უსიამოვნო სუნის ქიმიური ნაერთი) არსებობით, თუმცა მრავალჯერადი განზავებისას იძენს ნაზ, ჟასმინის სურნელს. ინდოლი ძლიერ ბაქტერიციდულია და მეტად სასარგებლო, რის გამოც ღურიოს საკვებად გამოყენება ხელს უწყობს ავადმყოფ ადამიანებსა და ცხოველებს ჯანმრთელობის დაბრუნებაში.

XX ს-ის 20-იან წლებში აფთიაქებში გაჩნდა ფარმაკოლოგიური პრეპარატი ტაბლეტების სახით სახელწოდებით “Dur-India”, მისი მიღება იწვევდა ორგანიზმში კონცენტრირებული სასიცოცხლო ენერჯის მიწოდებას, რაც უზრუნველყოფდა სხეულისათვის ძალისა და დაუღლელობის, სულისათვის კი - ნათელი და სულიერი ახალგაზრდობის მოტანას. ითვლება ძლიერ აფროდიზიაკად.

**უკუქმედება:** არ გააჩნია.

### ღურღუნი - *Anabasis aphylla* L.

ოჯ. ნაცარქათამასებრნი - **Fam.Chenopodiaceae**



**მორფოლოგია:** სუკულენტური ნახევრადუჩქია, 45-55 სმ-მდე სიმაღლის მრავალრიცხოვანი, ქვედა ნაწილში გამერქნებული, ფუძიდან დატოტვილი, გლუვი, მწვანე ღეროებით. ფოთლები

განუვითარებელია, ქერქლისებრი, ოდნავ შესამჩნევი, ბლაგვი, ფართოკუთხოვანი, უქლოროფილო, განლაგებულია ღეროს მუხლოშორისებში წყვილ-წყვილად. ასიმილაციის ფუნქციას ასრულებს ერთწლოვანი ღეროები. ყვავილები უსახურია, წვრილი, 5-ნაკეთიანი, ორსქესიანი, სხედან თითო-თითოდ ბლაგვი თანაყვავილების უბებში, წარმოქმნის ტოტების ბოლოებზე საკმაოდ ხშირ, თავთავისებრ ყვავილედს. ნაყოფი მომრგვალო, შებრტყელებული, ერთთესლიანი კოლოფია, ფრთიანი, ზორცოვანი, ვერტიკალურად განწყობილი თესლებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთური მცენარეა. იზრდება მონღოლეთის აღმოსავლეთ ნაწილში ალტაიმდე, ყაზახეთის დაბლობებში, შუა აზიის რესპუბლიკებში, რუსეთის ევროპული ნაწილის აღმოსავლეთ რაიონებში, გაფანტულად გვხვდება კასპიისპირა დაბლობში (ნახჩევანში), ასევე ყირიმში, აზოვის ზღვის ჩრდილოეთით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ერთწლოვანი მწვანე ღეროები წარმოადგენს, აგროვებენ ზაფხულის მეორე ნახევარსა და შემოდგომით. შეიცავს ნახშირწყლებს - სახამებელს, პექტინოვან ნივთიერებებს, ლიმონისა და მჟაუნის ორგანულ მჟავებს, საპონინებს, ალკალოიდებს: ანაბაზინს, ლუპინინს, აფილინს, ოქსიაფილინს, ოქსიაფილიდინს, აფილიდინს და სხვ., მათ შორის მთავარია ანაბაზინი.

ანაბაზინი ფარმაკოლოგიური თვისებებით ახლოა ნიკოტინთან და ლობელინთან. სამკურნალო საშუალების სახით გამოიყენება ანაბაზინის ჰიდროქლორიდი, როგორც ტაბლეტების, ასევე საღეჭი რეზინის სახით, შეიცავს გამიბაზინს, რეკომენდებულია მწვევლთათვის თამბაქოს წვევის გადასაჩვევად.

ბალახიდან მიიღება ნიკოტინის მჟავა, რომელიც მედიცინაში ფართოდ გამოიყენება ღვიძლის დაავადებების, სპაზმების, ძნელად შესახორცებელი ჭრილობებისა და წყლულების, ინფექციური პროცესების დროს.

ანაბაზინის გოგირდმჟავა მარილს (ანაბაზინის სულფატი) ფართოდ იყენებენ კონტაქტური მოქმედების ინსექტიციდად, ტექნიკური და

სასოფლო-სამეურნეო კულტურების (უპირველესად ბამბის, ჭარხლისა და ხეხილოვანი მცენარეების) მანებლებთან საბრძოლველად.

შუა აზიის ტრადიციულ მედიცინაში ღურღუნის ფესვების ნასარში გამოიყენებოდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგოდ; ღეროების ფხვნილი იხმარებოდა კანის დაავადებებისას, წყლულების, ფურუნკულების, ჭრილობების დროს მოსაფრქვევად.

ტყავის დასამუშავებლად, სოდისა და პოტაშის მისაღებად იყენებდნენ ნაცარს. საღებავი და თაფლოვანი მცენარეა.

**უკუქმედება:** შხამიანია, გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

**ვევენლის რეჰანი - *Ocimum gratissimum* L.  
ოჯ. ტუროსანნი - Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ნახევრადუჩქია 90-100 სმ-მდე სიმაღლისა და 100-110 სმ დიამეტრის; ფესვი მთავარღერძაა, დატოტვილი. ცენტრალური ღერო სწორმდგომაია, ოთხწახნაგოვანი, ძლიერდატოტვილი, მთავრდება თავთავისებრი ყვავილედით. კარგად განვითარებულ მცენარეს უნვითარდება 50-მდე გვერდითი ყლორტი, რომელთა პირველი რიგის ტოტები უფრო მოკლეა, ძლიერ შევითლილი, წვეროსეული ყვავილედებით. ფოთლები მსხვილია, ყუნწიანი, მუქი მწვანე, მოპირისპირედ განწყობილი,

კვერცხისებრ-ლანცეტა, კიდედაკბილული, ქვედა მხრიდან შებუსული. ყვავილები წვრილია, მოთეთრო-ნაცრისფერი. თესლი წვრილია, მრგვალი, გლუვი, მუქი ყავისფერი; 1000 თესლის წონა 0,6-0,8 გ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო კუნძული ზანზიბარი და მადაგასკარია. ბუნებრივად იზრდება ირანში, ინდოეთში, ინდოჩინეთში, შრი-ლანკასა და წყნარი ოკეანის კუნძულებზე. ფართოდაა კულტივირებული ამავე ქვეყნებში. საბჭოთა კავშირში შემავალ რესპუბლიკებიდან, გასული საუკუნის 30-იან წლებში პირველად ინტროდუცირებული იქნა უკრაინაში, ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში. შემდგომში მისი მოშენება როგორც ერთწლოვანი ეთერზეთოვანი კულტურისა დაიწყო საქართველოში, სომხეთსა და ტაჯიკეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარე შეიცავს ეთერზეთებს მიხაკის სურნელით, რომლის განმსაზღვრელია მისი ძირითადი კომპონენტი ევგენოლი. ეთერზეთები აღინიშნება ფოთლის ქვედა მხარეს განთავსებულ ეთერზეთოვან ჯირკვლებში და ყვავილების ჯაშში. ფოთლებში მისი შემცველობაა 0,25-0,30 მგ%, ყვავილელებში 0,17-0,20 მგ%, ღეროებში კვალის სახითაა. ეთერზეთების ძირითად კომპონენტს ევგენოლი (60-80 %), პინენი (1 %-მდე), ცის-ოციმენი (1-12 %), ლინალოლი (2-12 %), კადიმენი (15 %), კარიოფილენი (13 %-მდე), სანტალენი (7 %) წარმოადგენს.

ხასიათდება ანტისეპტიკური, შემკვრელი, ადგილობრივ-გამაღიზიანებელი, გამაუმტკივნეული, მანესტეზირებელი, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით.

არომათერაპიაში გამოიყენება: გასტრიტის, კბილის ტკივილის, ხველების, ქრონიკული კოლიტის, თირკმელებისა და შარდის ბუშტის ანთების დროს. ეთერზეთები სტომატოლოგიაში იხმარება როგორც გამაუმტკივნეული და მადეზინფიცერებელი საშუალება.


გამოყენების მეთოდებია: აბაზანები, ინგალიაცია, კომპრესები, პირის გამოვლება, შინაგანი მიღება.

**უაუქმელება:** არ გააჩნია.

ეკალიპტები – *Eucalyptus* L.  
ოჯ. მირტისებრნი - Fam. Myrtaceae



*Eucalyptus australiana*



*Eucalyptus cinerea*



*Eucalyptus maideni*



**Eucalyptus citriodora**



**Eucalyptus globulus**



**Eucalyptus pulverulenta**





### **Eucalyptus amygdalina**

**მორფოლოგია:** ხეები და ბუჩქებია, მრავალნაირ მცენარეულ ფორმაციაში იღებენ მონაწილეობას და ხშირად დიდ ფართობებზეა გაბატონებული. ასეთია მაგალითად ნუშფოთოლა ევკალიპტი (*Eucalyptus amygdalina*), რომელიც ტყეებს ქმნის აღმოსავლეთ ავსტრალიაში, აღწევს 155 მ სიმაღლესა და 10 მ-მდე დიამეტრს. ევკალიპტების უმრავლესობის ფოთლები ცვილისებრი ნაფიფქითაა დაფარული, ლევა შეფერილობისაა. ნორჩი მცენარეების ფოთლები ფართოა, მოპირისპირედ განწყობილი და ჰორიზონტალურ სიბრტყეში განლაგებული; ხნოვანი მცენარეების ფოთლები სხვა ფორმისაა (ჰეტეროფილიის კარგი მაგალითი), ხშირად საკმაოდ ვიწრო, ხმლისებრ მოხრილი და წვეროსკენ წაგრძელებული. ზედმეტი აორთქლებისგან თავდასაცავად ფირფიტები განლაგებულია ვერტიკალურ სიბრტყეში, რის გამოც მცენარეები ჩრდილს არ იძლევიან. ევკალიპტები სწრაფი ზრდის უნარით გამოირჩევა, მაგ.: *Eucalyptus globulus*, რომელსაც “ციების საწინააღმდეგო ხეს” უწოდებენ, ცხრა წლის ასაკში 20 მ სიმაღლეს აღწევს. ბევრი წყლის აორთქლების გამო ევკალიპტების ნარგავები შესამჩნევად ამცირებენ გრუნტის წყლის დონეს, რის გამოც ზოგიერთ სახეობას რგავენ ჭაობიან ადგილებში ნიადაგის ამოსაშრობად.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ევკალიპტები უმთავრესად ავსტრალიაში იზრდება და მხოლოდ ნაწილობრივ სცილდება მის ფარგლებს (კუნძული ტასმანია).

კულტივირებულია სამხრეთ ამერიკაში, აფრიკის ქვეყნებში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ახალ ზელანდიაში, ხმელთაშუაზღვისა და შავი ზღვის სანაპიროებზე, ყირიმში, კავკასიასა და მოლდოვაში. სამშობლოში 500-მდე (სხვა მონაცემებით 700-მდე) სახეობითაა წარმოდგენილი; ჩვენში, საქართველოს ნოტიო სუბტროპიკების ზონაში (უმთავრესად აფხაზეთსა და აჭარის შავი ზღვისპირა რაიონებში), კულტივირებულია 35-მდე სახეობა.

საქართველოში მოზარდი ეკალიპტის სახეობებიდან მედიცინაში სამკურნალოდ დაშვებულია შემდეგი სახეობების გამოყენება: ცისფერი ანუ სფერული ეკალიპტი (*Eucalyptus globulus*), ლიმონის ეკალიპტი (*Eucalyptus citriodora*), ტირიფისებრი ეკალიპტი (*Eucalyptus viminalis*), მაკარტურის ეკალიპტი (*Eucalyptus macarturi*), ლევა ეკალიპტი (*Eucalyptus cinerea*). აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოზარდი სფერული ეკალიპტის რექტიფიცირებული ზეთი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ეთერზეთოვანი მცენარეებია; სამკურნალო ნედლეულს ფოთლები წარმოადგენს; აგროვებენ წლის ყველა პერიოდში, თუმცა საუკეთესო ნედლეული შემოდგომით მიიღება, როდესაც ეთერზეთების შემცველობა მაღალია. ფოთლები შეიცავს ეკალიპტის ეთერზეთებს, დიდი რაოდენობით ფიტონციდებს, მთრიმლავ და ფისოვან ნივთიერებებს, რომლებიც ძლიერი მადეზინფიცირებული მოქმედებით ხასიათდება და გამოიყენება მედიცინაში სასუნთქი ორგანოების დაავადებებისას როგორც მიკრობების საწინააღმდეგო, ამოსახველებელი და გამაუმტკივნელებელი საშუალება. ეკალიპტიდან მიღებული პრეპარატებით კურნავენ ანგინის რთულ ფორმებს, ტონზილიტებს, პნევმონიას და ტუბერკულოზს. წარმატებით გამოიყენება პათოგენური მიკროორგანიზმების – სტაფილოკოკების, სტრეპტოკოკების და ა.შ. წინააღმდეგ. პრეპარატების ბაქტერიციდული, ანტისეპტიკური და მადეზინფიცირებელი მოქმედების საფუძველზე გამოიყენება გინეკოლოგიური დაავადებების (ანდექსიტები, ენდომეტრიოზა), აგრეთვე

ფლეგმონიის, წყლულების, აბსცესების, თირკმელებისა და შარდსადინარი გზების დაავადებებისას.

გარდა აღნიშნულისა ევკალიპტის ფოთლები ხასიათდება იმუნომოდულირებელი მოქმედებით, ამტკიცებს (ამაგრებს) ორგანიზმის ბუნებრივ დაცვას და ებრძვის ვირუსებს (ჰერპესი, ფურუნკულები, გრიპი და ა.შ.).

ხალხურ მედიცინაში ევკალიპტს იყენებენ ნაწლავების პარაზიტებისა და პედიკულოზის დროს.

ევკალიპტის მალამოები წარმოადგენს კარგ საშუალებას ართრიტების, ართროზების, ოსტეოქონდროზის, სახსრებისა და საბჯენი-მამოძრავებელი აპარატის სხვა დაავადებებისას. და რა თქმა უნდა ევკალიპტი შეუცვლელია იმ ინფექციების პროფილაქტიკისათვის, რომლებიც საჭაერო-წვეთოვანი გზით გადადის. ევკალიპტის ზეთის მფრინავი ნივთიერებების შესუნთქვით შესაძლებელია დასნებოვნების თავიდან აცილება თვით ეპიდემიის დროსაც კი.

**უკუქმედება:** არსებობს ინდივიდუალური შეუთავსებლობა მისი კომპონენტების მიმართ და ერთ წლამდე ასაკი. მართალია გვერდითი მოვლენები იშვიათია, თუმცა პირველად მისი მიღებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

**ევკომია - *Eucommia ulmoides* Oliver**  
**ოჯ. ევკომიასებრნი - Fam. Eucommiaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 20-30 მ სიმაღლის ხეა, კარგად განვითარებული უხვად დატოტვილი ვარჯით; ქერქი მოყავისფრო-ნაცრისფერია, სიგრძივი ღარებით. ფოთლები მორიგეობითია, კვერცხისებრი ან ელიფსური, მახვილი, კიდეხერხებილა. მცენარე ორსახლიანია, ყვავილი ერთსქესიანია, ანემოფილური, აქტინომორფული, უყვავილსაფრო, განლაგებულია წინა წლის ყლორტებზე. მამრობით ყვავილებში 4-10 მოწითალო-ყავისფერი მტვრიანებია, მდედრობითში – ბუტკო ზედა ერთბუდიანი ნასკვით. ნაყოფი უხსნადი, შებრტყელებული, ფრთისებრი, ერთთესლიანი კაკალია; თესლი ლანცეტაა, თხელი, მაგარი ქერქით. ყვ. IV-V; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ცენტრალურ და დასავლეთ ჩინეთში, იქვეა კულტივირებული 1000 წლის წინათ; ამჟამად მისი სამრეწველო პლანტაციები უმთავრესად ჩინეთშია თავმოყრილი, ნაკლებად – დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ჩრდ. ამერიკაში; აგრეთვე სამხრეთ კავკასიაში, უზბეკეთსა და თურქმენეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ადრე გაზაფხულზე შეგროვილი ქერქი და ტოტები წარმოადგენს. ევკომიის ყველა ნაწილის რძისებრი წვენი შეიცავს გუტას, რომლისგანაც მიიღება გუტაპერჩი, იგი კაუჩუკის

ანალოგიურია და წარმოადგენს იზოპრენის წარმოებულს. აღინიშნება სხვა ორგანული შენაერთები, ფისები, გლიკოზიდი აუკუბინი, ტანიები, ქლოროგენული მჟავები – კოფეინის და ქინაქინის მჟავების დეჰსიდები.

ეკკომიის სამკურნალო თვისებები ცნობილი იყო ჩინურ და ტიბეტურ მედიცინაში ახალი ერის დასაწყისიდან. მოტეხილობებისას ადებდნენ დანაყილ ცხელ წყალში დაორთქლილ ქერქს, გუტაპერჩის შემცველობიდან გამომდინარე გაციებული - მჭიდროდ ერტყმოდა დაზიანებულ სახსრებს და ახელს უწყობდა შეხორცებას; ამავდროულად მოტეხილობის შეზრდის დასაჩქარებლად შინაგანად აძლევდნენ ქერქის ნაყენს. გარდა ამისა ნაყენს იყენებდნენ როგორც მატონიზირებელ საშუალებას, ნიკრისის ქარების საწინააღმდეგოდ, თირკმელების, ღვიძლის, ელენთის დაავადებებისას, ჭრილობების შესახორცებლად.

გალენური პრეპარატები, რომლებიც ეკკომიის ქერქიდანაა მიღებული ხასიათდება ჰიპოტენზური თვისებებით. მოქმედებით მიეკუთვნება სპაზმოლიტური სამკურნალო საშუალებების ჯგუფს, რომელიც ასუსტებს მუსკულატურის სისხლძარღვებს, ბრონქებსა და მუცლის ორგანოებს. პრეპარატები 1951 წლიდან ნებადართულია ჰიპერტონიული დაავადებების სხვადასხვა სტადიების სამკურნალოდ; არ იწვევს გვერდით მოვლენებს; მცირე დოზით აღავზნებს, დიდით კი თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას. სამედიცინო წარმოება ეკკომიის ქერქისაგან უშვებს ნაყენებსა და თხევად ექსტრაქტებს.

სამედიცინო პრაქტიკაში ეკკომიის ქერქის პრეპარატებს უნიშნავენ თირკმელების ფუნქციის დარღვევის, ლუმბაგოს, ასთენიის, მაღალი არტერიული წნევის დროს.

**უკუქმედება:** არ არის გამოვლენილი.

**ეკალიჭი - *Smilax medica* Schlect.**  
**ოჯ. ეკალიჭისებრნი - Fam. Smilacaceae**



**მორფოლოგია:** ხვიარა მერქნოვანი ლიანაა, ულვაშების საშუალებით ეჭიდება ხეებს და აღწევს 30-40 მ სიმაღლეს. ფესურა მსხვილია, მოკლე, მრავალრიცხოვანი, თითქმის ცილინდრული 2მ-მდე სიგრძის უმეტესად დაუტოტავი ფესვებით. მცენარე ორსახლიანია; ფოთლები მოგრძო კვერცხისებრია, ტყავისებრი, კიდემთლიანი, რკალისებრ დაძარღვული; ყვავილები მოყვითალო-მწვანეა, 6 წვერიანი ყვავილსაფრით, შეკრებილია ქოლგისებრ ყვავილედებად. ნაყოფი წითელი კენკრაა, სამბუდიანი, თითოეულ ბუდეში 1-3 თესლით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად ტროპიკულ ამერიკაში (გონდურასი, გვატემალა, სალვადორი) იზრდება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფესურა (*Sarsaparillae radix*) წარმოადგენს; აგროვებენ დაჭაობებულ, დატბორილ ადგილებში; შეგროვილ ფესურებს რეცხავენ გამძინარე წყალში, აშრობენ მზეზე. მოქმედი ნივთიერებებია: სტეროიდული საპონინები, გლიკოზიდები, სახამებელი, ფისები, სიტო-სტერინი, ნაპოვნია ეთერზეთები კვალის სახით.

ხასიათდება ოფლმდენი და შარდმდენი მოქმედებით. ადრე ითვლებოდა საუკეთესო საშუალებად ვენერიული დაავადების – ათაშანვის, რევმატიზმისა და ნიკრისის ქარების საწინააღმდეგოდ.

გამოიყენებოდა სისხლის გამწმენდ საშუალებადაც. უკანასკნელ ხანს ჩაის სახით კანის დაავადებების (ფსორიაზის) სამკურნალოდ იხმარება. ექიმების მიერ ბოლო დროს უგულვებელყოფილია.

**უკუქმედება:** საპონინების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე ღოზეების გადაჭარბება იწვევს საკვებმომწელებელი ორგანოების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას.

**ეკლის ხე, ცრუაკაცია - *Robinia pseudoacacia* L.  
ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** 20-25 მ სიმაღლის მცენარეა 1 მ-მდე დიამეტრის ხის ტანით. ვარჯი აჟურულია, გადაშლილი, ყლორტებზე განვითარებული ეკლებით. ქერქი სქელია, მონაცრისფრო-მურა შეფერილობის, სიგრძივი ღრმა ნაპრალებით. ფოთლები მორიგეობითია, კენტფრთართული, მწვანე ვერცხლისებრი ელფერით; თითოეული ფოთოლი შედგება 11-15 ცალკეული კვერცხისებრი ფოთოლაკისაგან. ყვავილები წვრილია, ფარვანასებრი, თეთრი, არომატული, შეკრებილია კონებად ან მტკვნებად ფოთლების უბებში. ნაყოფი ბრტყელი ხსნადი პარკია, მუქი მურა, 4-6 მომრგვალო, ბრტყელი, გლუვი თესლით. ყვ. V; ნაყ. VI-VII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. ამჟამად კულტივირებულია მრავალ

ქვეყანაში: აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, პრაქტიკულად მთელ ევროპასა და კავკასიაში. რუსეთში თესვები XIX ს-ის დასაწყისში იქნა შეტანილი, 1859 წელს რუსეთის პერიოდულ გამოცემებში იბეჭდება პირველი სტატიები მცენარის სამკურნალო მნიშვნელობაზე. მას შემდეგ რუსეთში აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ.

**სამკურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ყვავილები, ფოთლები და ახალგაზრდა ყლორტების ქერქი. ყვავილები შეიცავს ტანიინებს, გლიკოზიდ რობლენინსა და ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ჰელიოტროპინი, მეთილანტრანილატი, სალიცილმჟავას რთული ეთერები; ფოთლები – ფლავონოიდებსა და გლიკოზიდებს (აკაცეტინი, აკაცინინი, რობინინი); ქერქში აღინიშნება ტოქსიკური ალკალოიდი რობინინი, ტანიინები, ცხიმოვანი ზეთები, ფიტოსტერინი და სტიგმასტერინი. მცენარის ყველა ნაწილი შეიცავს პექტინებსა და ლორწოს, რომლებიც ნორმალური მეტაბოლიზმის პროდუქტს წარმოადგენს, ასრულებს მნიშვნელოვან როლს უჯრედების დაყოფასა და ახალი უჯრედების ზრდაში.

ეკლის ხის პრეპარატები ხასიათდება სპაზმოლიტური, შარდმდენი, სიცხისდამწვევი, ჰიპოტენზური, ნალველმდენი, ამოსახველებელი და სუსტი სასაქმებელი მოქმედებით. თანამედროვე მედიცინის რეკომენდაციით მიიღება შარდის ბუშტის, თირკმელების, თირკმელკენჭოვანი და შარდკენჭოვანი დაავადებების, ტრომბოფლებიტიის, რადიკულიტიის, მიოზიტიის, ოსტეოხონდროზის, რევმატიზმის, ნევრალგიის, გაციებებისა და ჭრილობების დროს.

ხალხური მედიცინა აქტიურად იყენებს რიგი დაავადებების სამკურნალოდ; კერძოდ, ყვავილების ნახარშს ხმარობენ საშვილოსნოს მიომასა და საკვერცხეების ანთებისას; უნაყოფობისას – ყვავილების სპირტიან ნაყენს იყენებენ; ყვავილების წყლიან ნაყენს – ქრონიკული დიარეის, კუჭის დაავადებებისა და მეტეორიზმის, ხველებისა და გაციების სამკურნალოდ, სიცხის დამწვევად; რეკომენდებულია ინსულტის გადატანის შემდეგ, აგრეთვე მაღალი წნევის შემთხვევაში, ახდენს



მის ნორმალიზებას. გარეგანად ყვავილების სპირტიანი ნაყენი გამოიყენება დასაზღვრად ოსტეოხონდროზის, რადიკულიტის, სახსრების ტკივილებისა და ვენების ვარიკოზული გაფართოებისას.

**უკუქმედება:** მცენარის სხვადასხვა ნაწილში არსებული ტოქსიკური ნივთიერებების შემცველობის გამო, გამოყენებისას ზუსტად უნდა იქნეს დაცული დოზა და მიღების წესები.

**ელეუტერაკოკი**  
**Eleutherococcus senticosus (Rupr. et Maxim.) Maxim.**  
**ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae**



**მორფოლოგია:** 2,5 – 5-6 მ სიმაღლის ბუჩქია, მრავალრიცხოვანი ღეროებით; ყლორტები სწორია, ბაცი ნაცრისფერი ქერქით, დაფარულია ხშირი, ირიბად ქვევით მიმართული ეკლებით. ფესვისეული სისტემა ძლიერ დატოტვილი ფესურითა და დამატებითი ფესვებითა წარმოდგენილი; კარგად განვითარებულ ინდივიდებში მათი საერთო სიგრძე 30 მ აღწევს. ფოთლები გრძელყუნწიანია, თათისებრგანკვეთილი, ფოთოლაკები უკუოვალურია ან ელიფსური, სოლისებრი ფუძით, ორმაგად დაკბილული, ძარღვებზე შებუსული. ყვავილები გრძელ საყვავილე ყუნწებზე ბურთისებრ ქოლგებადაა შეკრებილი; მტვრიანიანი (მამრობითი) და ორსქესიანი ყვავილები მკრთალი იისფერია, ხოლო ბუტკოიანი (მდედრობითი) – მოყვითალო. ნაყოფები

სფერულია, უმთავრესად 5-თესლიანი, შავი, პრიალა, შეკრებილია ქოლგისებრ ნაყოფედად. ყვ. VI-VII; ნაყ. X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში (ზღვისპირეთში, ხაბაროვსკის მხარის სამხრეთით, ამურის ოლქის სამხრეთ-აღმოსავლეთით და სამხრეთ სახალინზე); იზრდება კედრნარ-ფართოფოთლოვან და ფართოფოთლოვან ტყეებში (მუხნარების გამოკლებით), ველობებზე და მთის ფერდობებზე. ნედლეულის დამზადების ძირითადი რაიონებია: ზღვისპირეთი და ხაბაროვსკის მხარის სამხრეთი ნაწილი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ფესურა ფესვებითურთ (Radix et rhizoma Eleutherococcis). მათში აღმოჩენილია ლიგნინისა და სხვა ფენოლური გლიკოზიდები, პექტინოვანი ნივთიერებები, ფისები, გუმფისი, ანთოციანური შენაერთები, ეთერზეთები, ვიტამინი C, ოლეინის მჟავა და სხვა.

მიგან მზადდება თხევადი ექსტრაქტი, რომელიც უნშენის პრეპარატების მსგავსი მოქმედებით ხასიათდება. ახდენს ადამიანის ფიზიკური და გონებრივი შრომისუნარიანობის სტიმულირებას, ამალღებს ორგანიზმის წინააღმდეგობას არასასურველი გარემო შემოქმედებისაგან, მოქმედებს როგორც საერთო გამაჯანსაღებელი საშუალება მძიმე დაავადებებისა და ოპერაციების გადატანისას; აქვეითებს სისხლში გლუკოზის შემცველობას. ნაყენი ფართოდ გამოიყენება ნევრასტენიის, ნევროზების, გადაღლილობის, მძიმე დაავადებების შემდგომ პერიოდში. ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ადაპტოგენური და ნალველმდენი მოქმედებით, აქვეითებს სისხლში ქოლესტერინის შემცველობას, ხელს უშლის სისხლძარღვებში ბალთების განვითარებას, ეფექტურია სტრესების დროს, სასიცოცხლო ძალების ასამალღებლად, ხელს უწყობს ორგანიზმის ადაპტაციას არასასურველი პირობებისადმი. წარმოადგენს ანტიოქსიდანტს.

ხალხურ მედიცინაში მიღებულია მისი გამოყენება შაქრიანი დიაბეტის, ათეროსკლეროზის, ნალვლის ბუშტისა და სიმსივნური დაავადებების დროს. ფართოდ გამოიყენება ჰომეოპათიაში.

**უკუქმედება:** არ არის მიზამშეწონილი პრეპარატის მიღება ღლის მეორე ნახევარში, შეიძლება გამოიწვიოს ალგზნებადობა, ცუდი ძილი. ასევე სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული სიცხის დროს, ვინაიდან ადაპტოგენებმა შეიძლება მოახდინოს სხეულის ტემპერატურის ამაღლების პროვოცირება.

უკუმჩვენებელია მაღალი არტერიალური წნევის, უძილობის, არითმიის, მიოკარდიული ინფარქტის, ინსულტის, პანკრეატიტის, მაღალი სიცხის, ნერვული სისტემის ალგზნების, ფეხმძიმობისა და ლაქტაციის, ინფექციური და სომატური დაავადებების გამწვავებისა და ბავშვობის ასაკში.

**ერვა, „ბოლ-პალა“ - *Aerva lanata* (L.) Iuss. ex Schult.**  
**ოჯ. ჯიჯილაყასებრნი - Fam. Amaranthaceae**



**მორფოლოგია:** ორწლოვანი 140 სმ-მდე სიმაღლის ბალახოვანი მცენარეა, მთავარდერმა ფესვით. ღერო მწვანეა, ძლიერ დატოტვილი, სწორმდგომი, ან გართხმული. ფოთლები მორიგეობითაა, მოკლემწვანე, ელიფსური ან თითქმის მომრგვალო ფორმის, კიდეშლიანი, შებუსუსული, 2 სმ სიგრძისა და 1,5 სმ სიგანის. ყვავილი ხუთწევრიანია, წვრილი, მარტივი, კრემისფერი ან მოთეთრო-მწვანე ყვავილსაფრითა და ორი თანაყვავილით, შეკრებილია მრავალრიცხოვან თავთავისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მრგვალია, კოლოფისებრი, მცირე ზომის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აფრიკის მრავალ ქვეყანაში, საუდის არაბეთში,

ინდოეთში, ინდონეზიაში, პაპუა-ახალ გვინეასა და ავსტრალიაში. 1980-იანი წლებიდან ინტროდუცირებულია საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში (აჭარა, ქობულეთი).

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია ბალახი. მისი ნაყენი ხასიათდება დიურეზული და ანტისეპტიკური მოქმედებით.

შეიცავს ინდოლურ ალკალოიდებს – ერვინს, მეთილერვინს, ერვოზიდს, ერვოლანინს, ფერულოილამიდებს, ფენოლურ მჟავებს, ფლავონოიდებს: აცილგლიკოზიდებს, ტილიროზიდს, კუმაროლ-ტილიროზიდს, ერვოთრინს, ნარცისინს, ტრიტერპენოიდებს, პექტინოვან ნივთიერებებს, ლუპეოლის წარმოებულებსა და ოლეინის მჟავებს.

გამოიყენება როგორც ჰიპოტენზური და დიურეზული საშუალება შარდსადინარი სისტემის (პიელონეფრიტი, ცისტეიტი, ურეთრიტი, შარდკენჭოვანი დაავადებები, ნიკრისის ქარები, სპონდილოზი) დაავადებებისას.

ბალახი დიდი რაოდენობით კალიუმის ნიტრატს შეიცავს, რის გამოც ერვას კალიუმის დამზოგავ დიურეზულ საშუალებად მიიჩნევენ.

**უაუქმელება:** უკუმაჩვენებელია - ჰიპერმგრძობელობა, ოსტეოპოროზი, ჰიპოპარატირეოზი, თირკმლის ოსტეოდისტროფია, საბავშვო ასაკი. გვერდითი მოვლენებია – ალერგიული რეაქციები, გულისრევა.

**ეჩინოპანაქსი - Echinopanax elatum Nakai**  
**ოჯ. არალიასებრნი - Fam. Araliaceae**



**მორფოლოგია:** 1 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, მკრთალი ნაცრისფერი ქერქით, ეკლებიანი. ფესურა მერქნისებრია, ცილინდრული, სქელი - გრძელი, მცირერიცხოვანი წვრილი ფესვებით. ღეროები სწორმდგომია, ხშირი ნემსისებრი ეკლებით, სუსტად დატოტვილი. ფოთლები მორიგეობითაა, გრძელყუნწიანი, მომრგვალო, გულისებრი ფუძით, 5-7 ნაკვთიანი, კიდეებზე იშვიათი წამწამებით, ზედა მხარეს მუქი მწვანე და პრიალაა, ქვედაზე - მქრქალი; ფოთლებისა და ყვავილის ყუნწები, აგრეთვე ყვავილედის ღერძი ეკლიანია. ყვავილები მომწვანოა, 5-წევრიანი, წვრილი, შეკრებილია ქოლგისებრ მტევნებად; ნაყოფი ზორცოვანია, ორი კურკით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ბუნებრივად გავრცელებულია შორეულ აღმოსავლეთში, აგრეთვე ზღვისპირა მხარის სამხრეთ ნაწილში. იზრდება ნოტიო ადგილებში, უმთავრესად ნაძვნარებში, იშვიათად მთის ნაშალებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ფესურა ფესვებითურთ (Radix et rhizome Echinopanax); გროვდება გაზაფხულზე ან შემოდგომით. შეიცავს ალკალოიდებს, ეთერზეთებსა და გლიკოზიდებს კვალის სახით. უძველესი დროიდან ცნობილია როგორც მატონიზირებელი საშუალება. მისი პრეპარატები ახდენენ მასტიმულირებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე. ამცირებს სისხლში

შაქრის რაოდენობას, გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის საწყის სტადიაში; მცირე დოზებით – ამალღებს, დიდი დოზებით დაბლა წევს არტერიალურ წნევას, მნიშვნელოვნად აღიდებს დიურეზს.

ეზინოპანაქსის ნაყენს უნიშნავენ ფიზიკური და ნერვული გადაღლილობის, დაბალი შრომისუნარიანობის, იმპოტენციის, გულის უკმარისობის, ჰიპოტონიის, დეპრესიული და ასთენიური მდგომარეობის, შაქრის დიაბეტის I სტადიის, სქესობრივი უძლურების, გულის უკმარისობის, ასთენოდეპრესიისა და ასტენოპოზონდრიული მდგომარეობის დროს.

**უაუქმედება:** უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიის, ორსულობის, ათეროსკლეროზის, ძილის დარღვევის, ეპილეპსიის, საკვებმომწელებელი სისტემის პათოლოგიების დროს.

**ვანილი - *Vanilla planifolia* Andr.**  
**ოჯ. ჯადვარისებრნი - Fam. Orchidaceae**



**მორფოლოგია:** ლიანაა, ძლიერ გრძელი, ხეებზე მაღლა მცოცავი ბალახოვანი ღეროთი, რომელიც მრავალრიცხოვან საჰაერო ფესვებს ინვითარებს. ფოთლები წვნიანია, მოგრძო-ელიფსური, რკალისებრი დაძარღვით. ყვავილები მტკვნებადაა შეკრებილი, მოყვითალო-მწვანეა; ყვავილსაფარი 5 მოგრძო ფოთლიანია, მეექვსე კი წარმოქმნის ტუჩს, რომელიც მილადაა დახვეული; შეიცავს ერთ მტვრიანასა და ბუტკოს, რაც ართულებს

დამტვერვას, რომელიც სამშობლოში განსაკუთრებული პეპლების საშუალებით წარმოებს, კულტურაში კი ხელოვნურ დამტვერვას მიმართავენ; ნასკვი ქვედაა, წარმოქმნის გრძელ, ვიწრო ნაყოფს. ნაყოფი წვნიანი კოლოფია; აგროვებენ მოუმწიფარს, რომელსაც ხანგრძლივი დროის მანძილზე ამწიფებენ, შემდეგ ხდება მათი ფერმენტაცია და ბოლოს გაშრობა. გასაყიდი საქონელი დანაოჭებული, მუქი მურა ფერის, გრძელი და ვიწრო კოლოფებია (აქედან სახელწოდება “ვანილის ჯონები”) ძლიერ სასიამოვნო არომატით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ვანილი მექსიკისა და ცენტრალური ამერიკის ტროპიკული ტყეების ლიანაა; კულტივირებულია მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში: მადაგასკარი, ზანზიბარი, იავა, შრი-ლანკა, მასკარენიის კუნძული და სხვ.

აცტეკებმა ვანილის გემოვნებითი და სამკურნალო თვისებები ახალი ქვეყნის აღმოჩენამდე დიდი ხნით ადრე გამოიყენეს. ქრისტოფორ კოლუმბი და მისი თანამებრძოლები ის პირველი ევროპელები იყვნენ, რომლებმაც ღირსეულად შეაფასეს იგი; 1502 წ. თანამედროვე ნიკარაგუას ტერიტორიაზე აბორიგენებმა შოკოლადითა და ვანილით სავსე თასი მიართვეს კოლუმბს მადლიერებისა და პატივისცემის ნიშნად. ბუნებრივია, ამერიკაში ესპანელების პირველი მოგზაურობის შემდგომ ვანილი ჩამოიტანეს ჯერ ესპანეთში, მოგვიანებით გავრცელდა იტალიასა და ავსტრიაში; ევროპის დიდი ნაწილი ამ მცენარეს გაეცნო XIX ს-ის დასაწყისში. სადღეისოდ კულტივირებულია მრავალ ტროპიკულ ქვეყანაში, ხოლო ყველაზე მსხვილწარმოებლად ითვლება მადაგასკარი, ინდონეზია, ჩინეთი, მექსიკა, აშშ (ფლორიდა) და ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის რიგი სხვა ქვეყნები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ვანილის ხარისხის კრიტერიუმებს შორის პირველი ადგილი უკავია ნაყოფების (ჭოტი) სიგრძეს, რაც უფრო გრძელია, მით უფრო ძვირფასია. საუკეთესოდ ითვლება მექსიკური ვანილი, მას მოჰყვება ბურბონისა და ცეილონის. ნაყოფებს აგროვებენ მოუმწიფებელს მხოლოდ ხელით; ახლად შეგროვილი ნაყოფი უსუნოა, სურნელი

წარმოიქმნება სპეციფიური დამუშავების შემდეგ. ახლად შეგროვილი ნაყოფი შეიცავს უსუნო გლიკოზიდს – გლუკოვანილინს, მხოლოდ ფერმენტაციისას იხლინება გლუკოზად და თავისუფალ ალდეჰიდ – ვანილინად, რომლისთვისაცაა დამახასიათებელი ძლიერ სასიამოვნო არომატი. ვანილის ეთერზეთები შეიცავს ანისის სპირტსა და ალდეჰიდს, დარიჩინის ეთერებსა და სხვა სურნელოვან ნივთიერებებს, რომლებიც ვანილს მეტად სასიამოვნო სუნს აძლევს.

ყველა დროში ვანილი ითვლებოდა ყველაზე ძვირფას საწებლად. დიდი მნიშვნელობა აქვს კვებით მრეწველობაში, სადაც მას ხშირად ცვლიან უფრო იაფი, ნაკლებად სასიამოვნო სურნელის მქონე სინთეტიკური ვანილინით. მას უმატებენ შოკოლადებსა და სხვა კაკაოს შემცველ პროდუქტებს, ბისკვიტებს, ნაყენებს, კრემებს, კანფეტებს, ალკოჰოლურ მრეწველობაში - ლიქიორებს.

ვანილი და მასში შემავალი ეთერზეთები ფართოდ გამოიყენება არომატიზაციაში და მასაჟისთვის სალონებში, სამკურნალო პრეპარატების წარმოებაში, წამლების არომატიზაციისთვის; შედის გალენური პრეპარატების შემადგენლობაში. ნატურალური ვანილი ძლიერი აფროდიზიაკია, მას იყენებენ პოტენციის ასამაღლებლად, როგორც მამაკაცებში, ასევე ქალებში. მარგებელია სტრესებისა და დეპრესიის შემთხვევაში, ამაღლებს შრომისუნარიანობას, აუმჯობესებს მადას, აწესრიგებს საკვებმომწოდებელი სისტემის მოქმედებას, ეხმარება უძილობისას, ანეიტრალებს ალკოჰოლის მრავალ მავნე მოქმედებას ადამიანის ორგანიზმზე, ახდენს სისხლში შაქრის დონის სტაბილიზირებას, ხსნის წინამენსტრუალურ სინდრომის ტკივილებს, ხელს უწყობს რელაქსაციას, ხსნის გალიზიანებას და აუმჯობესებს გუნება-განწყობილებას.

ხალხურ მედიცინაში ვანილი და მისი ეთერზეთები გამოიყენება უძილობის, ნერვული სისტემის მოშლის, მეტეორიზმის, ანემიის, კოლიტის, შაქრიანი დიაბეტის, რევმატიზმის, კლიმაქტერიული დარღვევებისას; ხელს უწყობს საკვების მონელების ნორმალიზებას. ვანილი გამოიყენება კოსმეტოლოგიაში, მისი ეთერზეთები ამცირებს კანის გალიზიანებასა და ანთებას, იწვევს



მის დარბილებას და ელასტიურობას.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ინდივიდუალური შეუთავსებლობის შემთხვევაში, ფეხშიძე ქალებისა და პატარა ბავშვებისათვის.

**ვარდის ხე ბრაზილიური – *Aniba rosaeodora* Ducke**  
**ოჯ. დაფნისებრნი - Fam. Lauraceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები კვერცხისებრია, ტყავისებრი. ყვავილები ვარდისფერია, უბისეულ მცირე ყვავილებიან მტევნებად შეკრებილი. ნაყოფი სფეროსებრი, წითელი შეფერილობის კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ბრაზილიის, პერუს, კოლუმბიის, ეკვადორისა და საფრანგეთის გვინეის ტყეებში. მერქნისადმი მაღალმა მოთხოვნილებამ გამოიწვია ბუნებაში მისი მნიშვნელოვანი შემცირება. ამჟამად ვარდის ხიდან ზეთის გამოძევა მხოლოდ ბრაზილიაში წარმოებს; მიეკუთვნება ძვირად ღირებულ ეთერზეთების რიცხვს, რაც იმიტია განპირობებული, რომ ნელეულის მოპოვება და წარმოება მდინარე ამაზონის შენაკადების ირგვლივ ძნელად მისაღწეობ ტროპიკებში წარმოებს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ეთერზეთები

მიიღება ვარდის ხის დაქუცმაცებული მერქნიდან ორთქლით გამოხდის მეთოდით; უფერული ან ბაცი ყვითელი ფერის სითხეა, აქვს ტყისა და ყვავილების ნარევის არომატი შროშანას სუსტი სურნელით, ოდნავ მოტკბო და სასიამოვნო. მის შემადგენლობაშია: ცინეოლი, დიპენტენი, გერანიოლი, ლიმონენი, ნეროლი, ლინალოლი, სესკვიტერპენები და სხვა კომპონენტები.

ხასიათდება ვირუსების საწინააღმდეგო, დამამშვიდებელი, ანტიდეპრესიული, ანტიისეპტიკური, გამაუმტკივნეული, მატონიზირებელი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო მოქმედებით. კარგ ეფექტს იძლევა ასთმური ხასიათის, ძლიერი მახრჩობელა და ქრონიკული ხველების დროს.

დერმატოლოგიაში იყენებენ – დერმატიტების, დერმატოზის, ნეიროდერმიტის, მშრალი ეგზემის, ალერგიული რეაქციების დროს; ხელს უწყობს ლიმფებისა და სისხლის გაწმენდას, ააქტიურებს იმუნური სისტემის მოქმედებას, შველის ქრონიკულ დაღლილობას; აფროდიზიაკია, არსებობს აზრი, რომ უფრო მეტად ემოციაურია, ვიდრე ფიზიოლოგიური მოქმედების; ხსნის გალიზიანებას, სტრესს, უძლურების განცდას; შველის დეპრესიას, აღადგენს ძალებს, აცოცხლებს ემოციებს და აკეთილშობილებს სულს, რითიც განსხვავდება სხვა ეთერზეთებისაგან.

ხასიათდება რა ვირუსების საწინააღმდეგო და ანტიბაქტერიული მოქმედებით, რეკომენდებულია გრიპისა და გაციებებისას ინჰალაციის სახით, მათ შორის ბავშვებში. ინჰალაცია და სახლის არომატიზაცია ხელს უწყობს არტერიული წნევის დაქვეითებას, აძლიერებს კონცენტრაციას, ასტიმულირებს ტვინის მოქმედებას, ანელებს თავის ტკივილებს, აუმჯობესებს საერთო განწყობას და ხსნის დაღლილობას.

ზეთს იყენებენ კოსმეტიკურ საშუალებებში გალიზიანებული და მგრძობიარე კანის, ფერიმჭამელების, გამონაყარისა და ჭრილობების დასამუშავებლად. ლინოლოლის მაღალი შემცველობიდან (80%) გამომდინარე ზეთი იხმარება კოსმეტიკურ პრეპარატებში ნაოჭების საწინააღმდეგოდ, ატენიანებს, ამშვიდებს და ახდენს კანის რეგენერაციას, ასწორებს ნაოჭებს, უბრუნებს კანს ელასტიურობას, სიმკვრივეს. მისი ანტიისეპტიკური და

ანტიბაქტერიული მოქმედება დადებით ეფექტს ახდენს არა მხოლოდ მშრალ კანზე, არამედ ცხიმოვანზეც. ზეთით მასაჟი ხელს უწყობს ორგანიზმიდან ტოქსიკური ნივთიერებების გამოდევნას, ამავდროულად ახდენს დამამშვიდებელ და გამამაგრებელ ეფექტს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფენმძიმე ქალებისათვის (პირველი 3 თვე); ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**ვარდისფერი კატარანტუსი**  
**Catharanthus roseus (L) C. Don.**  
**ოჯ. ქენდრისებრნი – Fam. Apocynaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მარადმწვანე ნახევრადბუჩქია, სწორმდგომი ან გართხმული, ცილინდრული, შიშველი (ზოგიერთ ფორმაში სხვადასხვა შებუსვით), 30-60 სმ სიმაღლის ღეროთი. ფესვი მთავარღერძაა; ფოთლები მოპირისპირედაა განწყობილი, მოკლეყუნწიანია, მოგრძო, პრიალა, მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან – ზოგჯერ შებუსული, კარგად გამოხატული დაძარღვით; ყვავილები 2-4 ერთადაა შეკრებილი, გვირგვინი 5 ფურცლიანია; შეფერილობის მიხედვით არჩევენ რამდენიმე ფორმას: ვარდისფერი, თეთრი და თეთრი - ვარდისფერი ლაქებით. ნაყოფი – ნამგლისებრი, მუქი ყავისფერი ოროთოლურაა, 5 სმ სიგრძის, მომწიფებისას იშლება და თესლი ცვივა. თესლი შავია, მოგრძო-ოვალური. ყვ. V-VIII; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული ორივე ნახევარსფეროს ტროპიკებსა და სუბტროპიკულ ქვეყნებში, უფრო ფართოდ დასავლეთ აზიაში. საქართველოს ტენიან სუბტროპიკებში კულტივირებულია როგორც ერთწლოვანი მცენარე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს წარმოადგენს ყვავილობისას შეგროვილი მიწისზედა ნაწილები – ბალახი (*Herba Cataranthi*), რომელიც შეიცავს 65 დასახელების ალკალოიდებს, მათ შორის 7 – ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით (ვინბლასტინი, ვინკრისტინი, ლეიროზინი, ლეიროზიდინი, როზიდინი, ვიროზინი და პერკვინი). ალკალოიდი ვინბლასტინი ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო აქტივობით. ავთვისებიან წარმონაქმნებზე მათი მოქმედების მექანიზმი აიხსნება უნარით მოახდინოს უჯრედების მიტოზის ბლოკირება მეტაფაზის სტადიაში, რითიც გამოწვეულია მისი დამთრგუნველი მოქმედება ლეიკოპოეზზე (ერთროპოეზსა და ჰემოგლობინის შემცველობაზე ის არსებითად არ მოქმედებს).

ვინბლასტინს უნიშნავენ ლიმფოგრანულემატოზის გენერალიზებული ფორმების, ლიმფო და რეტიკულო-სარკომის, ქრონიკული მიელოზის, განსაკუთრებით მყარი ფორმებისა და სხვა ქიმიოთერაპევტიული საშუალებებისადმი და სხივური თერაპიისას. პრეპარატი ეფექტურია, მაგრამ მისით გამოწვეული რემისიები არ არის ხანგრძლივი და საჭიროებს დიდი ხნით მკურნალობას ან სიმსივნის საწინააღმდეგო სხვა პრეპარატებთან შეთავსებას.

**უკუქმედება:** ვინბლასტინით მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სტაციონარში. პრეპარატის მიღებისას შესაძლებელია აღინიშნოს საერთო სისუსტე, მადის დაკარგვა, გულის რევა, პირღებინება, მუცლის ტკივილები, სიყვითლე, ალბუმინურია, სტომატიტები, ალერგიული რეაქციები, დეპრესია, ალოპეცია, ფლებიტიები.

**ვეფხვისტყავა, სანსევიერა – Sansevieria trifasciata Prain.**  
**ოჯ. აგავასებრნი - Fam. Agavaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა მხოზავი ფესურებითა და ფესვთანური როზეტისეული ფოთლებით, რომლებიც იზრდება ვერტიკალურად ზევით, 70-120 სმ-მდე სიმაღლისა და 5-10 სმ სიგანის, ბრტყელი, გლუვი, ლანცეტა ფორმის, მახვილწვერიანი, ხეშეში, მწვანე, მუქი და ბაცი განივი ზოლებით მოფენილი. ყვავილები წვრილია, მომწვანო-მოყვითალო შეფერილობის, შეკრებილია სწორმდგომ მტკენისებრ ყვავილელებად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია დასავლეთ აფრიკის ტროპიკებში ნიგერიიდან კონგომდე, სადაც წარმოქმნის ხშირ რაყებს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული საოთახო კულტურაა, გამოიყენება საოფისე შენობებისა და სხვა საზოგადოებრივი ადგილების გასამწვანებლად. მიიჩნევა, რომ ასუფთავებს ჰაერს და აძლიერებს იმუნიტეტს, ხელს უწყობს სახლში სიმყუდროვისა და სიმშვიდის დამყარებას, ანვითარებს ინტუიციასა და შრომისუნარიანობას; ოჯახური დამოკიდებულებიდან დევნის ეგოიზმს, უხეშობას, სიცვიეს, ადამიანებს ანიჭებს სითბოსა და ურთიერთპატივისცემას. აფრიკელი სახალხო მეურნალები ასეული წლების მანძილზე სამკურნალოდ იყენებდნენ. ფოთლების თბილ წვეწვს აწვეთებენ

ყურში ანთების საწინააღმდეგოდ და ტკივილების გასაყურებლად; მისით მკურნალობდნენ გაციებებს, ოტიტს; დამწვარი მცენარის ბოლი ხსნის თავის ტკივილებს. ფოთლების ნახარშით მკურნალობენ პარაზიტულ დაავადებებს, მათ შორის მუნს, ხსნის ქავილს. ნედლი დასრესილი ფოთლები ან მისი წვენი იხმარება ძნელად შესახორცებელი წყლულების, ჭრილობებისა და კანის დაავადებებისას.

მცენარის მიწისქვეშა ნაწილები ითვლება მასტიმულირებელ და მატონიზირებელ საშუალებად, მძიმე დაავადებების გადატანისა და საერთო სისუსტისას გამოიყენება ძალების აღსადგენად და ორგანიზმის გასაძლიერებლად.

**უაუქმედება:** არ არის დადგენილი.

**ვნების ყვავილი, პასიფლორა - *Passiflora coerulea* L.**

**ოჯ. ვნების ყვავილისებრნი - Fam. Passifloraceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, 6-9 მ-მდე სიგრძის ბალახოვანი ლიანაა, ცილინდრული, გლუვი, ღრუ, მომრგვალო, შეფოთილი, ძირთან გამერქნებული ღეროთი. საყრდენის გარეშე მცენარე ვართხმულია. ფესურა ჰორიზონტალურია, რამდენიმე მეტრი სიგრძის, რომლის მძინარე კვირტებიდან ვითარდება მიწისზედა შეფოთილი და მიწისქვეშა ყლორტები. ფოთოლთგანლაგება მორიგეობითია; ფოთოლი მარტივია, ფართო ელიფსური, გრძელყუნწა, თითქმის ნახევრამდე ღრმადაა სამად გაყოფილი, სუსტად შებუსუსი, ტყავისებრი, ზედა მხარეზე

მწვანეა, ქვედაზე – მონაცრისფრო, კიდეებზე წვრილხერხებილა. ფოთლის უბებში წარმოიქმნება ულვაშები, რომლის საშუალებითაც მცენარე საყრდენს ემაგრება. ყვავილი ფრიად ორიგინალურია, რთული, მარტოული, ორსქესიანი, 5-7 სმ დიამეტრის, გრძელყუნწა; ჯამი 5 ფოთლიანია, ლანცეტა, ტყავისებრი, მოთეთრო-მურა, ეკლიანი გამონაზარდებით; გვირგვინი მოგრძოა, 5 თავისუფალი ფურცლით, მკრთალი ლილისფერი; მტვრიანა – 5, გრძელ მილადაა შეზრდილი; ნასკვი ზედაა, ერთბუდიაანი, 3 სვეტით. გვირგვინსა და მტვრიანებს შუა განლაგებულია მრავალრიცხოვანი, მურა-იისფერი, ძაფისებრი წამონაზარდების რამდენიმე რიგი, რომელიც ფოჩისებრ გვირგვინს წარმოქმნის, რის გამოც მცენარე ძლიერ დეკორატიულია. ნაყოფი კენკრისებრია, წვნიანი, ოვალური, მომწიფებისას - მოყვითალო-ნარინჯისფერი (სამშობლოში საკვებად იყენებენ). თესლი შავია, გლუვი ზედაპირით. ყვ. VII-IX; ნაყ. X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ტროპიკული ბრაზილია; ბუნებრივი გავრცელების მეორადი არეალია ჩრდ. ამერიკის სუბტროპიკული რაიონები, აგრეთვე ბერძენის კუნძულები. კულტივირებულია თბილი კლიმატის ქვეყნებში, აზიისა და ავსტრალიის კონტინენტებზე, პოლინეზიაში. საქართველოს სუბტროპიკებში პირველად სოხუმში იქნა შეტანილი 1840-50-იან წლებში, როგორც დეკორატიული მცენარე; შემდეგ ქობულეთის სამკურნალო მცენარეთა საცდელ სადგურში შეიქმნა მცირე სამრეწველო პლანტაცია. მიუხედავად იმისა რომ, მცენარე ამერიკის ცხელი ოლქებისთვისაა დამახასიათებელი, აქ შავი ზღვის სანაპიროზე კარგადაა აკლიმატიზირებული, ადვილად იზამთრებს, ხოლო მიწისზედა ნაწილი ყოველწლიურად ვითარდება და ასწრებს სავეგეტაციო პერიოდში ნაყოფებისა და სრულყოფილი თესლების მოცემას.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს მწვანე ყლორტები (*Herba Passiflorae*) წარმოადგენს, რომელსაც სავეგეტაციო პერიოდში რამდენჯერმე აგროვებენ: კოკრიანობის, ყვავილობისა და ნაყოფმსხმოიარობის საწყის ფაზებში. ბალახი შეიცავს 0,04% ალკალოიდებს, მათ შორის

უმთავრეს ინდოლის წარმოებულები – გარმანი და ნორგარმანი წარმოადგენს. აღმოჩენილია აგრეთვე ციანოგენური გლიკოზიდები, კუმარინები და ქინონები. ნაყოფის წვენი მდიდარია ასკორბინის მჟავით.

ვნების ყვავილი გამოიყენება როგორც ოფიცინალურ, ასევე ტრადიციულ მედიცინაში. მცენარის პრეპარატები დამამშვიდებლად მოქმედებს ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე; არსებობს მონაცემები მისი დადებითი მოქმედებისა ეპილეპსიის, ნევრალგიის, გულის ნევროზის, ასთმის, თეთრი ცხელების საწინააღმდეგოდ. სამედიცინო გამოყენებისათვის 1960 წელს დაშვებულ იქნა ვნების ყვავილის თხევადი ექსტრაქტი, რომელიც წარმოადგენს მუქ ყავისფერ სპირტოვან გამონაწველს; მიიღება მაღალი არტერიული წნევის, ნერვიული აშლილობის, უძილობის დროს, ხსნის რევმატიულ ტკივილებსა და კრუნჩხვებს, აწესრიგებს ჰორმონალურ ბალანსს, გულის მუშაობას. ნელლი ბალახი გამოიყენება ჰომეოპათიაში.

**ზაუქმედება:** პრეპარატის გამოყენება უკუმარვენებელია კუჭ-ნაწლავის ტრაქტის დაავადებების (ქრონიკული გასტრიტი, წყლულები და ა.შ.), არითმიისა და სტენოკარდიის დროს.



**ვნების ყვავილი, მარაკუია – *Passiflora edulis* Roland.**  
**ოჯ. ვნების ყვავილისებრნი - Fam. Passifloraceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 9 მ-მდე სიგრძის ლიანაა, გრძელი ჰორიზონტალური ფესურითა და მოკლე ფესვით. ღერო გლუვია, მცოცავი, ძირში ოდნავ გამერქნებული, საყრდენის გარეშე გართხმული. ფოთლები ღრმადაა სამადდაყოფილი, 18 სმ სიგრძის და 20 სმ სიგანისაა. ყვავილი ორსქესიანია, ორმაგი ყვავილსაფრით, 9 სმ დიამეტრის, ორიგინალური ფორმის და შეფერილობის: ნაზი-ლილისფერი ან იისფერი. ნაყოფი საკვებად ვარგისი არომატული, წვნიანი, ტკბილი კენკრაა, 10 სმ სიგრძისა და 5 სმ დიამეტრის, მომწვანო-ყვითელი, წითელი და მეწამული ფერის, სიმწიფისას ცვივა. თესლი შავია და ყავისფერი, კვერცხისებრი, ბადისებრი მოხატულობის, 5 მმ სიგრძისა და 3-4 მმ სიგანის.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკაა - ბრაზილია; ამჟამად კულტივირებულია ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის ქვეყნებში: პარაგვაი, ეკვადორი, ბრაზილია, არგენტინა, ჰაიტი, იზრაელი, ინდოეთი, შრი-ლანკასა და ახალ ზელანდიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** საკვებად გამოიყენება მხოლოდ მწიფე ნელლი ნაყოფი. მეწამული ფერის ნაყოფების ნაირსახეობა განსხვავებით მწვანესაგან, გამოირჩევა უფრო მცირე ზომით, მაგრამ მეტი სიტკბოთი, არომატით და

გემოთი, რის გამოც მწვანე ნაყოფებს იყენებენ უმთავრესად წვენების დასამზადებლად, ხოლო წითელსა და მეწამულს – ტკბილი რბილობის გამო საკვებად.

ნაყოფები ხასიათდება დამამშვიდებელი მოქმედებით, აქვეითებს არტერიალურ წნევას, არეგულირებს სისხლში შაქრის დონეს. შეიცავს საკმაოდ დიდი რაოდენობის ნახშირწყლებს (შაქარსა და უჯრედის), ცილებს, ანტიოქსიდანტებს, ვიტამინებს (A, C, E, B ჯგუფის) და მინერალებს (Ca, K, Fe, Mg, P, Zn).

წარმოადგენს იმუნიტეტის გამაძლიერებელ საშუალებას, იყენებენ კიბოს დაავადებებისა და სისხლძარღვების კედლების გასამაგვრებლად. ხალხური მეურნალები ნაყოფს მიიჩნევენ კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მარეგულირებელ და შარდსასქესო სისტემის მომწესრიგებელ საშუალებად, ძველი დროიდანვეა ცნობილი მისი დადებითი მოქმედება თირკმელებზე, ღვიძლსა და შარდსასქესო სისტემაზე მთლიანად; ხასიათდება რბილი შარდმდენი ანტინფექციური მოქმედებით, განსაკუთრებით ეფექტურია შარდსადინარი გზების სხვადასხვა სახის ინფექციებისას, ხელს უწყობს არტერიალური წნევის ნორმალიზებას, ასთმის სიმპტომების შემსუბუქებას, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების, მიგრენისა და თავის ტკივილის პროფილაქტიკას, აუმჯობესებს კანის მდგომარეობას, ამაგრებს კბილებსა და ძვლებს, აჩქარებს ორგანიზმის უჯრედების რეგენერაციის პროცესებს. დადგინდა ასევე, რომ მარაკუიას ნაყოფი შეიცავს ელემენტ სეროტონინს, რომელიც ცნობილია დამამშვიდებელი და საკმაოდ ძლიერი მოქმედებით ადამიანის ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, რის გამოც მისი საკვებად გამოყენება ხელს უწყობს ნერვოზების, ნერვული დაძაბულობისა და სხვა სტრესული სიმპტომებიდან თავის დაღწევას და რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი დროისათვის, არის პროფილაქტიკური და სამკურნალო საშუალება ქრონიკული უძილობისას.

თესლებს ხმარობენ ნერვული დაძაბულობის მოსახსნელად, ხოლო ფოთლები საუკეთესო მკურნალია თავისა და სახსრების ტკივილებისას.

**უკუქმედება:** ინდივიდუალური შეუთავსებლობა, ხილის გადამეტებულმა მიღებამ შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები.

**ზაფრანა - *Crocus sativus* L.**  
**ოჯ. ზამბახისებრნი - Fam. Iridaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, კულტურული 15-20 სმ სიმაღლის ტუბეროლქოვანი ბალახოვანი მცენარეა, თითქმის სფერული, ძირში შებრტყელებული 2,5 სმ სიგანის, ბაცი-მურა, მშრალი ქერქლებით შემოვლებული ტუბეროლქით. ფოთლები ყვავილებთან ერთად ან გადაყვავილების შემდეგ ვითარდება, ფორმით - ვიწრო ხაზურია, მუქი მწვანე, პრიალა, ორი თეთრი ზოლითა და ბაცი შუა ნაკვით, 15-20 სმ სიგრძისა და 0,2-0,3 სმ სიგანის, 6-9 ცალი. საყვავილე ისარი მარტოულია, იშვიათად – 2; ყვავილი 1-2, სურნელოვანი, ორსქესიანი; ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, იისფერი ან ლილისფერი, მუქი ძარღვებით, სწორი, ძაბრისებრი, ფურცლებშეზრდილი, 6 გადანაღუნითა და გრძელი ცილინდრული მილით, რომელიც ნახევრად ნიადაგშია; ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია, წვრილი, თითქმის სფერული თესლით. ყვ. IX-X. იშვიათად თესლმსხმოიარობს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მიეკუთვნება უძველეს მცენარეთა რიცხვს. სამშობლო აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვეთია

(საბერძნეთი, კრიტი, სმირნა). ველურად არ გვხვდება. წინაპარ ფორმებად ხმელთაშუაზღვეთის აღმოსავლეთის ოლქებში მოზარდ სახეობებს (*Crocus cartwrightianus* Herbert და *C.pallasi* Gold.) მიიჩნევენ. კულტურაში ცნობილია ახ.წ.ალ-მდე 2000 წლით ადრე წინა აზიის (სირია, პალესტინა და სხვ.) მრავალ ხალხში, სადაც გამოიყენებოდა მედიცინაში, სანელებლად, მიცვალებულების ბალზამირებისათვის. ჯვაროსნული ომების შემდგომ მისი კულტურა ვრცელდება სამხრეთ და ცენტრალურ ევროპაში; განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ინდოეთში, პაკისტანში, ჩინეთსა და სამხრეთ ევროპაში. ასევე უძველესი დროიდანაა კულტივირებული აზერბაიჯანში, აფშერონის ნახევარკუნძულზე, სადაც ირანიდან იქნა შეტანილი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სანელებელი და სამკურნალო ნედლეულია დინგი (*Flores Croci*, *Stigmata Croci*), რომელსაც გაშლილი ყვავილებიდან დილის 10-11 საათზე აგროვებენ; აშრობენ სპეციალურ საშრობებში 45-50° ტემპერატურაზე. დამზადება შრომატევადია, 1 კგ ნედლეულის მისაღებად 200000 დინგია საჭირო. კაშკაშა ნარინჯისფერ-წითელი დინგი ხასიათდება ძლიერი სუნითა და გემოთი. შეიცავს კროცინს - გლიკოზიდური ხასიათის ყვითელ საღებავ ნივთიერებას, რომელიც იხსნება წყალსა და სპირტში. იხმარება კვებით მრეწველობაში.

უძველესი დროიდანვე მას იყენებდნენ არა მხოლოდ კულინარიაში; გამოთვლილია, რომ შედის აღმოსავლეთ მედიცინის 300-ზე მეტ რეცეპტში. სადღეისოდ რჩება აქტუალურად რიგი დაავადებების სამკურნალოდ - თვალის, გინეკოლოგიურის, შედის სხვადასხვა სამკურნალო საფენების შემადგენლობაში; ხოლო არომათერაპიაში ზაფრანის ეთერზეთები გამოიყენება სასუნთქი ორგანოების სამკურნალოდ, ძილის პრობლემების დროს.

ხასიათდება ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, კრუნჩხვების საწინააღმდეგო, ანტიკარცენოგენული და ანტიმუტაგენური მოქმედებით. მცირე რაოდენობით აუმიჯობებს კანის ფერსა და მდგომარეობას, აძლიერებს მადას და ხელს უწყობს საკვებმომწელებელი სისტემის მუშაობის გაუმჯობესებას,

ასუფთავენს თირკმელებსა და შარდის ბუშტს, ხსნის ნაბახუსევის სინდრომს. სასარგებლოა თირკმელების, გულ-სისხლძარღვთა, სასუნთქი და ნერვული სისტემის, ხველებისა და ყვიანახველის დროს.

*Crocus sativus* - ის ანალოგიურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქართველოში ბუნებრივად მოზარდი, ხმელთაშუაზღვეთურ-კავკასიურ-მცირე აზიური სახეობა -სოსანი ზაფრანა (*C.speciosus* Bieb. ).



სოსანი ზაფრანა (***Crocus speciosus***)

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ჰიპერტონიის, შაქრის დიაბეტის, გულ-სისხლძარღვთა სისტემის ზოგიერთი დაავადებისა და ფეხმძიმობისას (შეიძლება მოახდინოს ნაადრევი მშობიარობის პროვოცირება).

**ზეთისხილი, ზეთის ხე - *Olea europaea* L.**  
**ოჯ. ზეთისხილისებრი - Fam. Oleaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 5-6 მ სიმაღლის ხეა ირიბი ტანით. ფოთლები მოპირისპირეა, ვიწროლანცეტა, მახვილი ან ბლაგვი, კიდეშლიანი, 5-10 სმ სიგრძისა და 1-2 სმ სიგანის, ტყავისებრი, ქვედა მხრიდან - მონაცრისფრო-ვერცხლისფერი. ყვავილედ - მრავალყვავილიანი მტევანი ან საგველაა, განწყობილია გასული წლის, იშვიათად მიმდინარე წლის ყლორტების უბეებში; ყვავილები 3-5 მმ სიგრძისაა, ორსქესიანი ან ცალსქესიანები, სურნელოვანი. ჯამი აპკისებრია, ზარისებრი, გვირგვინი მოთეთრო ან მომწვანოა, 4 გადაღუნული ნაკვითით. ნაყოფი - შავი ან მუქი-იისფერი კურკაა ხორცოვანი ნაყოფსაფრითა და სქელქერქიანი კურკით. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გელურად არ გვხვდება. კულტურაში შეტანილია შორეულ წარსულში ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, საიდანაც გავრცელდა მთელ ხმელთაშუაზღვეთში; მოჰყავდათ ძველ ეგვიპტეშიც. ასევე დიდი ხნით ადრე ახ.წ.აღ.- მღე იქნა დანერგილი კავკასიასა და ყირიმში. სადღეისოდ ფართოდაა კულტივირებული ყველა იმ ქვეყანაში, სადაც შესაძლებელია მისი მოშენება (სამხრეთ და ჩრდ. ამერიკა, ესპანეთი, იტალია, პორტუგალია, საბერძნეთი, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები, აფრიკა, ინდოეთი, ავსტრალია, აზერბაიჯანი), საერთო ფართობი 7 მილიონ ჰა აღემატება, ხოლო ნაყოფის მოსავლიანობა 8,5 მილიონ ტონას შეადგენს. ზეთისხილისაგან მიღებული

ძირითადი პროდუქტი ზეთია, მსოფლიოს საერთო მოსავლის 90% მასზე მოდის.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ზეთოვანი და ხეხილოვანი კულტურაა. ნაყოფებს საკვებად იყენებენ დამარილებული და წნილის სახით (წინასწარ სცილდება ოლეუროპინი). სრულად მომწიფებული ნაყოფების სუსტი დაწნეხვით მიიღება მსოფლიოში საუკეთესო მცენარეული ზეთი – პროვანსალი, რომელიც გამოიყენება სალათებში და მედიცინაში. უფრო ძლიერი დაწნეხვით მიიღება ასევე საკვები ზეთისხილის ზეთი, რომელიც საკონსერვო წარმოებაში იხმარება. უხეში ცხელი დაწნეხვით კი ღებულობენ შესანიშნავ ტექნიკურ “ხის” ზეთს. წვნიანი ნაყოფსაფარი შეიცავს 75,3 მგ% წყალს, 1 მგ% ცილებს, 15,3 მგ% ცხიმებს, 0,8 მგ% ნახშირწყლებს, 3,3 მგ% უჯრედის, ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, E, K, ქოლინი), მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Cu, Se, Zn); თესლები - 12 მგ%-მდე ტექნიკურ ზეთებს. ნაყოფების რბილობში აღინიშნება მწარე გლიკოზიდი ოლეუროპინი (2-10 მგ%).

ქართულ ხალხურ მედიცინაში იხმარებოდა ზეთისხილის ზეთი თირკმელებისა და თეძოს ტკივილის დროს დასაზღვრად. ფოთლებს ხმარობდნენ აბაზანებისათვის, უმთავრესად სწორი ნაწლავის დაზიანების ან გამოვარდნის შემთხვევაში. ძმარში მოხარშულ ფოთოლს სთავაზობდნენ პირში დასაგუბებლად ცუდი სუნის მოშორების მიზნით; ზეთი შედიოდა გარეგანად დასაზღვი სხვადასხვა მალამოს შემადგენლობაშიც.

ხალხურ მედიცინაში ფოთლების ნაყენს იყენებენ ქოშინის, ჰიპერტონიისა და შარდმდენ საშუალებად.

ოფიცინალურ მედიცინაში ზეთი გამოიყენება სხვადასხვა სამკურნალო პრეპარატების დასამზადებლად; უნიშნავენ საკვებმომწიფებელი სისტემის, ნაღველკენჭოვანი დაავადებების, მხედველობის დარღვევის, ართრიტის, ნიკრისის ქარების, ოსტეოხონდროზის, ქალის სასქესო ფუნქციების დარღვევების, ჭრილობების, ნაკაწრების, დამწვრობების დროს. მათში შემავალი ანტიოქსიდანტები, უჯერი ცხიმოვანი მჟავები ხელს უწყობს

სისხლში ქოლესტერინის დონის ნორმაში შენარჩუნებას, ნაყოფის ჩასახვას; ხელს უშლის ათეროსკლეროზის, ინფარქტის, ინსულტის და გულ-სისხლძარღვთა სხვა დაავადებების განვითარებას, აბრკოლებს ნაადრევ სიბერეს და წარმოადგენს საუკეთესო პოფილაქტიკურ საშუალებას ონკოლოგიური დაავადებებისას.

**უაუქმელება:** ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მითითებულია, რომ მისი გადაჭარბებით ჭამა ცუდად მოქმედებს მხედველობაზე და იწვევს თავის ტკივილს.

დიეტოლოგების მტკიცებით ზეთს საერთოდ არ გააჩნია უკუჩვენებები; ამავდროულად მისი ნაღველმდენი მოქმედებიდან გამომდინარე მიიჩნევენ, რომ ხშირი მიღება უკუმაჩვენებელია ქოლესტიტის დროს.

**ზეთის პალმა - *Elaeis guineensis* Jacq.**  
**ოჯ. პალმისებრნი - Fam. Arecaceae (Palmae)**



**მორფოლოგია:** 10-20 მ-მდე სიმაღლის ხეა; პალმის ვარჯს წარმოქმნის ძლიერ მსხვილი ფრთისებრი ფოთლები. ფოთლების ყუნწები დაფარულია მსხვილი მურა ფერის ქაცვებით; ყუნწის ფუძეები დიდხანს რჩება ხის ტანზე, ძველ ხეებს ისინი თანდათანობით ცვივა. ყვავილობს სიცოცხლის მე-4-8 წელს, სრულად მოსავალს იძლევა 10-12 წლიდან და მისი უხვი მსხმოიარობა 50 წლამდე გრძელდება. ხეზე ვითარდება 3-10,



იშვიათად მეტი ნაყოფმსხმოიარე ყვავილელები, რომლებიც სხვადასხვა დროს წარმოიქმნება და მოსავალს ჩვეულებრივ იღებენ წელიწადში 4-ჯერ. მდებარეობითი და მამრობითი ყვავილელები ცალ-ცალკეა განწყობილი; მამრობითი ყვავილელები ვერტიკალურად ზევით, მდებარეობითი – კვერცხისებრი ტაროს სახით ქვევითაა დახრილი; მდებარეობითი ყვავილები დამტკვერვის შემდეგ ძლიერ იზრდება; მომწიფებისას ნაყოფი მომრგვალო ფორმისაა 70 სმ სიგრძის და 50 სმ დიამეტრის. ნაყოფი კურკაა, მოწითალო-ნარინჯისფერი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება დასავლეთ ეკვატორული აფრიკის ზღვისპირა ტყეებში; კულტივირებულია იქვე. დიდი რაოდენობის ზეთი მზადდება ნიგერიაში, განაში, გვინეაში, კონგოსა და სიერა-ლეონეში. კულტურა გადატანილია აღმოსავლეთ აფრიკაშიც, ინდონეზიაში, კუნძულ სუმატრასა და იავაზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თანანაყოფედის რბილობი ნარინჯისფერია, შეიცავს 22-70% ცხიმოვან ზეთებს, რომელიც მიიღება პრესის ან გამოხარშვის გზით, მონარინჯისფრო-ყვითელი შეფერილობისაა, ოთახის ტემპერატურაზე მყარდება; მდიდარია კაროტინოიდებით, ჭარბობს პალმიტინის მჟავის ტრიგლიცერიდები. გამოიყენება მხოლოდ ტექნიკური (დასაზეთად, საპნებისა და სანთლების წარმოებაში) მიზნებისათვის. თესვები 30%-მდე ცხიმოვან ზეთებს შეიცავს, რომელშიც ტრიოლენის გარდა შედის ტრისტეარინი, ტრიმირისტინი, ტირლაურინი და ტრიგლიცერიდები კაპრონის, კაპრინოვისა და კაპრილოვის მჟავები. იხმარება საკვებად, მისგან მიიღება მარგარინიც. ასევე გამოიყენება სამკურნალო მაღამოების ფუძედ.

ცხიმოვანი (ზეთოვანი) პალმიდან მიიღება ტკბილი წვენი; 1 პალმა დღე-ღამის განმავლობაში საშუალოდ იძლევა 4 ლ-ს, ხოლო მთელი სეზონის განმავლობაში 240 ლ წვენს, რომლის დუღილის შედეგად ლებულობენ ღვინოს.

**უკუქმედება:** დაუდგენელია.

**ზეფირანტუსი – Zephyranthus rosea Lindl.**  
**ოჯ. ამარილისებრნი - Fam. Amaryllidaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბოლქვოვანი მცენარეა ვიწრო ნახური, მუქი მწვანე ფოთლებით. ყვავილობს მსხვილი, ნახივარდისფერი ყვავილებით, რომლებიც 2 დღეს ცოცხლობს, მათ მაგივრად კი ახლები წარმოიქმნება. მრავლდება დედისეულ ბოლქვზე წარმოქმნილი შვილეული ბოლქვაკებით,

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო – ცენტრალური ამერიკაა. ფართოდაა კულტივირებული ტროპიკულ და სუბტროპიკულ ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მაღალ დეკორატიულობასთან ერთად სამკურნალო მნიშვნელობითაც გამოირჩევა. სამკურნალო საშუალებას ბოლქვები წარმოადგენს. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება აბსცესებისა და ღვიძლის დაავადებისას. ჩინურ მედიცინაში მთელ მცენარეს იყენებენ კრუნჩხვებისა და ჰეპატიტის სამკურნალოდ. რიგ ქვეყნებში ამ გვარის სხვა სახეობები კიბოს, ტუბერკულოზისა და შაქრიანი დიაბეტის საწინააღმდეგოდ გამოიყენება. ფართოდ იხმარება ჰომეოპათიაში.

**უაუქმედება:** არ არის გარკვეული.

**ზღვის ხახვი – *Drimia maritima* (L.) Stearn  
(syn. *Urginea maritima* (L.) Bauer)  
ოჯ. სატაცურისებრნი - Fam. Asparagaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი ბოლქვოვანი 40-50 სმ-მდე სიმაღლის ერთლებნიანი მცენარეა. ბოლქვი ხორცოვანია, მსხლისებრი ან უსწორო სფეროსებრი, 2 კგ-მდე წონის, დაფარულია მშრალი მოწითალო ან მოთეთრო ფერის ქერქლებით. ფოთლები ფესვთანურია, მუქი მწვანე, ლევა ელფერით, პრიალა, გლუვი, კვერცხისებრ-ლანცეტა, 30-60 (80) სმ სიგრძისა და 5-12 სმ სიგანის, ვითარდება გაზაფხულზე, ყვავილობის დაწყებამდე ამთავრებს ვეგეტაციას და ხმება, რის შემდეგაც (VII-VIII) ვითარდება 1 მ-მდე სიმაღლის უფოთლო საყვავილე ღერო, რომელიც ბოლოვდება მსხვილი მტევნისებრი, 40-50 სმ სიგრძის ყვავილედით, ყვავილები ნ-წვერიანია, თეთრი ფერის. ნაყოფი კოლოფია 5-12 შავი ან მოშავო-ყავისფერი თესვლებით, მწიფდება IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებია, იზრდება პორტუგალიიდან სირიამდე, კანარის კუნძულებზე და ჩრდილოეთ აფრიკაში. ფართოდაა კულტივირებული მრავალ ქვეყანაში დეკორატიული და სამკურნალო მიზნებისათვის, მათ შორის დასავლეთ საქართველოში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მისი სამკურნალო მნიშვნელობა ძველი ეგვიპტელებისთვისაც იყო ცნობილი, რასაც

ადასტურებს ებერსის პაპირუსები. ხალხურ და მეცნიერულ მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საგულე და შარღმდენი საშუალებაა. სამკურნალო ნედლეულს ბოლქვები წარმოადგენს, რომელიც გულის გლიკოზიდების მიღების წყაროა. ძირითადი გლიკოზიდია სცილარენი, პროსცილლარიდინი, გლუკოსცილარენი, სცილიფეოზიდი, გლუკოსცილიფეოზიდი, სცილიკრიპტოზიდი, სცილიციანოზიდი და სხვ.

ზღვის ხახვის გლიკოზიდები ქიმიური შემადგენლობით განსხვავდება გულის სხვა გლიკოზიდებისაგან, თუმცა მოქმედებით სათითურას პრეპარატების მსგავსია, კარგად შეიწოვება, მაგრამ სხვებისაგან განსხვავებით უფრო მეტად აძლიერებს დიურეზს, რასაც უკავშირებენ უშუალოდ თირკმელების პარენქიმაზე მოქმედებას. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ბრონქიტის, წყალმანკის, II-III ხარისხის სისხლის მოძრაობის უკმარისობის, განსაკუთრებით შეშუპებების დროს.

**უაუქმედება:** უკუმჩვენებელია თირკმელების დაავადებები, ვინაიდან ზღვის ხახვის პრეპარატები იწვევს თირკმლის პარენქიმის გაღიზიანებას.

### **ზღმარტლი - *Mespilus germanica* L.**

**ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის (5-6 მ-მდე) ხეა ან ბუჩქი. ყლორტები ქეჩისებრშებუსულია; ფოთლები ლანცეტაა, წაწვეტებული ან ბლავვი, 5-14 სმ სიგრძისა და 2,5-7 სმ სიგანის,

კიდემთლიანი, ზოგჯერ ხერხებილა, მუქი მწვანე, ქვედა მხრიდან ძარღვების გასწვრივ და ყუნწებზე უხვად შებუსული. ყვავილები მოკლე ყლორტების ბოლოებშია განლაგებული, მარტოულია, 3-5 სმ დიამეტრის; გვირგვინის ფოთოლაკები თეთრია, სამტვრეები წითელი. ნაყოფი ვაშლისმაგვარი კურკაა, სხვადასხვა ფორმის, შებრტყელებული სფეროსებრიდან მსხლისებრამდე; მურა ან მოწითალო-მურა, ყავისფერი რბილობითა და 4-5 კურკით, უკავია ნაყოფის დიდი ნაწილი. ყვ. IV; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:**  
ხმელთაშუაზღვეთურმთიანეთის, საერთო კავკასიური რელიქტური სახეობაა. ბუნებრივად იზრდება კავკასიაში, ყირიმში, კოპეტდაღში, მცირე აზიაში. საქართველოში ყველგანაა გავრცელებული ჯავახეთის გარდა. იზრდება მთის ქვედა და შუა სარტყლის ქვეტყეში, ტყის პირებსა და ბუჩქნარებს შორის.

კულტურაში ახ.წ.აღ.-მდე 1000 წლის წინათ იქნა შეტანილი სამხრეთ კავკასიასა და წინა აზიის ქვეყნებში, საიდანაც გავრცელდა ძველ საბერძნეთში (ძვ.წ.აღ.-ის IV ს-ში თეოფრასტეს მოჰყავს ზღმარტლის ყველაზე გავრცელებული სამი ჯიში). სადღეისოდ კულტურა მცირეაა გავრცელებული, მოჰყავთ საფრანგეთის სამხრეთში, იტალიაში, თურქეთსა და აღმ. აფრიკის ქვეყნებში. კულტივირებულია საქართველოშიც. ზრდასრული ხეებიდან გროვდება 60-80 კგ ნაყოფი.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხეხილოვანი მცენარეა. საკვებად გამოიყენება სრულად მომწიფებული ნაყოფები, რომელიც შეიცავს: 17,3 მგ% შაქრებს, 0,2-0,9 მგ% ორგანულ მჟავებსა და მათ წარმოებულებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ტრიტერპენოიდებს, ფენოლკარბოლმჟავებს, კაროტინსა და 16 მგ% ვიტამინ C - ს. თესლში გვხვდება ცხიმოვანი ზეთები, არომატული ნივთიერებები, ლორწო, ფიტონციდები.

ხასიათდება სიმსივნისა და ანთების საწინააღმდეგო, ანტისაფლარათო, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით. გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების, ღიარის, ღიზენტერიის, თირკმლის დაავადებების, ბუასილის დროს.

**უაუქმედება:** კუჭის წვენი მალალი მჟავიანობა.

**თამბაქო - *Nicotiana tabacum* L.**  
**ოჯ. ბალღყურბენასებრნი – Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, მთავარლერძა ფესვთა სისტემით, რომელიც უხვად იტოტება და ფუნჯა ფესვს ემსგავსება; ღერო სწორმდგომია, ცილინდრული, მსხვილი, 3 მ-მდე სიმაღლის; ფოთოლი კიდემთლიანია, დიდი ზომის, 10-50 სმ სიგრძისა და 8-30 სმ-მდე სიგანის, მოყვანილობით ოვალური, გულისებრი და ოვალურ-კვერცხისებრი, მჯდომარე ან ყუნწიანი, ერთ მცენარეზე მათი რაოდენობა 12-დან 50-მდეა. ყვავილეთი მრავალყვავილიანი საგველაა, გაშლილი ფორმის – ფარისებრი, რადიალური ან კონუსური; ყვავილი ორსქესიანია, ყუნწიანი, გვირგვინის მილი გრძელი ძაბრისებრი ფორმისაა, თეთრი; გადანაღუნე ვარდისფერია ან მოწითალო-ვარდისფერი, 5 წაწვეტილი ნაკვით. ნაყოფი ოვალური ან კვერცხისებრი ფორმის მრავალთესლიანი კოლოფია, რომელიც ორი საგდულით იხსნება. თესლი წვრილია, ოვალური, ღია მიხაკისფერი; თითო კოლოფში 4000-მდე თესლია, ხოლო 1 გრამი 10-15 ათასს მოიცავს. შესაფერის პირობებში შენახული თესლი გაღივების უნარს 5-6 წლის მანძილზე ინარჩუნებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (პერუ, ბოლივია, არგენტინა), საიდანაც თანდათან გავრცელდა ჯერ ცენტრალურ, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთ ამერიკაში. ევროპისათვის ცნობილი გახდა ესპანელი მოგზაურის

კოლუმბის პირველი ექსპედიციის შემდეგ; 1492 წელს ანტილიის კუნძულებზე, კერძოდ კუბაზე ესპანელებმა შენიშნეს, რომ ადგილობრივი მოსახლეობა თამბაქოს გახვეულ ფოთლებს ეწეოდა და მას “ტაბაგოს” უწოდებდა. ტაბაგო ნიშნავს ორად გაყოფილ მილს, რომლის საშუალებითაც ისუნთქავდნენ თამბაქოს ბოლს. სამხრეთ ამერიკაში თამბაქოს მასობრივად ეწეოდნენ გრძელი სიგარების სახით, შემდეგ ეს ჩვეულება ესპანელებმა და პორტუგალიელებმა გადაიღეს და ევროპაში გაავრცელეს. მექსიკასა და ჩრდილო ამერიკაში ინდიელები თამბაქოს ჩიბუხით ეწეოდნენ. თამბაქოს თესლი ევროპაში პირველად ესპანელებმა შემოიტანეს 1519 წელს. 1560 წელს საფრანგეთის ელჩმა პორტუგალიაში ჟან ნიკომ (პროფესიით ექიმმა) თამბაქოს ფოთოლში აღმოაჩინა უფერული ცხიმისმაგვარი სითხე, რომელსაც მისი სახელი “ნიკოტინი” უწოდეს; საფრანგეთიდან თამბაქო გავრცელდა ევროპის სხვა ქვეყნებში. დასაწყისში ევროპის ყველა სახელმწიფოში თამბაქოს წვევა სასტიკად იყო აკრძალული. მკაცრად ისჯებოდა როგორც გამყიდველი, ასევე მომხმარებელიც (ჭრიდნენ თითებს, ცხვირს, შოლტავდნენ), მაგრამ მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა, ის მაინც სწრაფად ვრცელდებოდა და მალე სახელმწიფოების შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცა. რუსეთში თამბაქოს თავისუფალ მოხმარებას ნება პეტრე პირველმა დართო, რომელიც თამბაქოს ინგლისში ყოფნისას გაეცნო. მანვე შემოიღო აქციზი და ააშენა პირველი ფაბრიკა უკრაინაში (ახტიკაში).

საქართველოში თამბაქო XVII ს-ის დამლევსა და XVIII ს-ის დასაწყისში იქნა შემოტანილი. ვახუშტი “საქართველოს გეოგრაფიაში” ბორჩალოს აღწერისას სხვა კულტურებთან ერთად თამბაქოსაც მოიხსენიებს. მეთამბაქოობის გავრცელებას ჩვენში ხელი მოჰკიდეს დანტერესებულმა კერძო პირებმა, 1850 წლიდან კი კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ. მე-19 ს-ის დამლევისათვის მეთამბაქოობა უკვე საკმაოდ მყარ საფუძველზე იდგა. საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში თამბაქო მოჰყავდათ აფხაზეთსა და აჭარაში, სამეგრელოში, გურიაში, კახეთში, ქვემო ქართლში. შემდგომში სამრეწველო

მეთამბაქოობამ მყარად მოიკიდა ფეხი ერთის მხრივ, აფხაზეთსა და აჭარაში და, მეორეს მხრივ ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებში. ამ მეტად განსხვავებულ კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში თამბაქოს ხარისხი სხვადასხვაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თამბაქოს ფიზიოლოგიური და გემოვნებითი სიმაგრე, გემოვნების სისრულე, სურნელება, არომატი, სიმწარე, წვის უნარი და სხვ. უშუალოდ დამოკიდებულია ფოთლის ქიმიურ შემადგენლობაზე. ფოთოლი შეიცავს წყალს, არაორგანულ და ორგანულ ნაერთებს, ცხიმებს, ფისებს, არომატულ და მთრიმლავ ნივთიერებებს, ცილებს, ნაერთების სახით მინერალურ მარილებს, ტუტეებს, მძიმე მეტალებს – რკინას, მანგანუმს, ორგანულ მჟავებს: ვაშლის, ლიმონის, მჟაუნის, ძმრის, პექტინებსა და ალკალოიდ - ნიკოტინს. ნიკოტინი, რომელიც გვხვდება თამბაქოში ყველაზე კარგადაა შესწავლილი. წმინდა სახით გამოყოფილი იყო 1828 წელს, მანამდე კი მხოლოდ ის იცოდნენ, რომ თამბაქოს შემადგენლობაში იყო ნივთიერება “თამბაქოს ზეთი”, რომელიც მოკლე დროში კლავს სულიერ არსებას. დამტკიცებულია, რომ სუფთა სახით მიღებული ნიკოტინის 1-2 წვეთი კლავს ძალს. ადამიანის სხეულში ნიკოტინი გრამის ერთი მეოთხედმეტედი რაოდენობით იწვევს მძიმე სასიათის დარღვევებს, ხოლო ზოგჯერ სასუნთქი და საჭმლის მომწელებელი ორგანოების დამბლის შედეგად – სიკვდილსაც.

**სამკურნალო მნიშვნელობა:** სამედიცინო პრაქტიკაში თამბაქოს ნედლეული გამოიყენება ნიკოტინის მჟავის ან PP ვიტამინის სამრეწველო მასშტაბით მისაღებად, რომელიც ადამიანისათვის აუცილებელი ფიზიოლოგიური მნიშვნელობისაა, ვინაიდან შედის იმ ფერმენტების შემადგენლობაში, რომლებიც მონაწილეობენ ჟანგვით პროცესებში. მისი ნაკლებობა კი იწვევს მადის დაკარგვას, ტკივილებს კუჭის არეში, პირღებინებას, ფაღარათს, საერთო სისუსტეს. მძიმე შემთხვევებში ვითარდება პელაგრას დაავადება, რომლის თანმდევიცაა დარღვევები ცენტრალური ნერვული სისტემის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტისა და კანის საფარის.

გარდა ამისა ნიკოტინის მჟავას უნიშნავენ ათეროსკლეროზის,



გულ-სისხლძარღვთა სისტემის სხვა დაავადებების, სასუნთქი და საკვებმომწოდებელი ორგანოების, კანის, თვალის, ნერვული სისტემის დაავადებებისას, აგრეთვე შაქრიანი დიაბეტის დროს.

**უკუქმედება:** ნიკოტინის მოქმედებით ირღვევა ტვინის ფუნქციები. თავის ტვინის სისხლგამტარი ძარღვები ვიწროვდება, რაც აუარესებს ტვინის კვებას, ამიტომ მწვევლებს უმცირდებით ყურადღება და მეხსიერება, ხშირად ტკივათ თავი, ეხვევათ თავბრუ, აწუხებთ უძილობა და საერთოდ აკლდებათ შრომისუნარიანობა. თამბაქო განსაკუთრებით ცუდად მოქმედებს გულის მუშაობაზე, იგი აზიანებს გულის სისხლგამტარ ძარღვებს, რომლებიც გულის კუნთს კვებავს. პაპიროსის მწვევლები მეტწილად ავადდებიან გულის სპაზმით (შევიწროებით), სკლეროზით, სიმსივნური წარმონაქმნებით.

ნიკოტინის მოქმედებით ზიანდება სასუნთქი ორგანოები და ვითარდება სასუნთქი გზების ანთება; პაპიროსის მწვევის ფილტვები ადვილად ავადდება ტუბერკულოზით; ხდება კატარის, წყლულოვან დაავადებათა ჩამოყალიბება. თამბაქოს ბოლი უარყოფით გავლენას ახდენს მხედველობაზე, სუსტი მხედველობის მქონეს სრულიად უკარგავს თვალის ჩინს.

თუ თამბაქოს წვეის დროს ნიკოტინის უარყოფითი მოქმედება მყისიერად არ აჩნდება ორგანიზმს, მიზეზი ისაა, რომ თამბაქოში არსებული ნიკოტინის მთელი რაოდენობიდან შედარებით მცირე ნაწილი (15-16%-მდე) აღწევს ორგანიზმამდე, დანარჩენი კი წვის გამო იშლება და ჰაერში ორთქლდება ან გამოუყენებელი რჩება მოუწვეველ ნაწილში, გარდა ამისა თვით ორგანიზმიც თანდათან ეჩვევა ამ შხამს.

მოზარდები თამბაქოს ჩუმად ეწევიან, ამიტომ სწრაფად ისუნთქავენ ბოლს, ასეთ დროს კი თამბაქოს კვამლში მავნე ნივთიერებები უფრო მეტია. ყველაზე მეტ შხამს ადამიანი სიგარეტის ბოლომდე მოწევით ჩაისუნთქავს. როგორც გამოკვლევები აჩვენებს, ადამიანები, რომლებიც მოწევას ადრეული ასაკიდან იწყებენ (ასეთი კი მწვევლთა საკმაოდ დიდი პროცენტია), 20-25 წლით უფრო ადრე იღუპებიან, ვიდრე ისინი, ვისაც არასოდეს მოუწევია.

**სტატისტიკური მონაცემები:** აღსანიშნავია, რომ თამბაქოს

მავნებლობის შესახებ კაცობრიობამ მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან წლებში შეიტყო. მანამდე კი ექიმებსაც არ ეპარებოდათ ეჭვი, რომ იგი სრულიად უვნებელი იყო. მოგვიანებით მდგომარეობა შეიცვალა. აშშ-ს სახელმწიფო ჯანდაცვის მთავარმა ექიმმა 1964 წლის 11 იანვარს გამოსცა 387 გვერდიანი ნაშრომი მოწვევით გამოწვეული დაავადებების შესახებ. სწორედ ამის შემდეგ ჯანდაცვის სამინისტრომ აუცილებელი გახდა გაფრთხილება: “ჯანდაცვის სამინისტრო გაფრთხილებთ, მოწვევა მავნებელია თქვენი ჯანმრთელობისათვის!”, რომელიც ამერიკაში გაყიდული ყველა სიგარეტის კოლოფს ეწერა.

მილიონობით ადამიანი გულგრილად უყურებს იმ ჭეშმარიტებას, რომ თამბაქო შხამია ორგანიზმისათვის. “თამბაქო საოცრად გავრცელებული მომაკვდინებელი იარაღია” – ასეთი განაჩენი გამოუტანა თამბაქოს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ. იშვიათად ხდება, რომ სხვადასხვა ქვეყნისა და სხვადასხვა სპეციალობის მეცნიერები ასეთი ერთსულოვანი ყოფილიყვნენ რაიმე მავნე ჩვევის შეფასებაში. უკანასკნელ ათწლეულში სიგარეტის ყოველწლიური მოხმარება განვითარებულ ქვეყნებში შემცირდა 1,4 %-ით, ხოლო განვითარებად ქვეყნებში (რომელსაც ჩვენც მივკუთვნებით) გაიზარდა 1,7 %. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მსოფლიოში საშუალო ასაკის სამი გარდაცვლილი მამაკაციდან ერთი სიგარეტის წვევის მსხვერპლია, ხოლო ქალებში რვა გარდაცვლილიდან – ერთი. ახალი მონაცემებით შტატებში წლიურად 434000 ადამიანის სიკვდილის გამოწვევი მიზეზი მოწვევაა. სადღეისოდ აშშ-ში და ევროპულ მრავალ ქვეყანაში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში მოწვევა აკრძალულია. მსგავსი კანონი საქართველოშიც იქნა მიღებული, მისი აღსრულება კი თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული.

**თეთრძარღვიანი მარანტა – *Maranta leuconeura* E. Morrion**  
**ოჯ. მარანტიცებრნი - Fam Marantaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მარადმწვანე ბალახოვანი მცენარეა 30 სმ-მდე სიმაღლის სწორმდგომი ან გართხმული ყლორტებითა და ტუბერიისებრი ფესვებით. ფოთლები ნაირგვარია: ხაზურ-ლანცეტა, მოგრძო-ელიფსური, მომრგვალო-ოვალური, მწვანე ან სხვადასხვაფერად შეფერილი, ვარირებს თეთრიდან მუქ მწვანემდე ან თითქმის შავამდე, ფოთლის ზედა მხარეს მთავარი ძარღვის გასწვრივ გამოირჩევა მუქი მწვანე სავერდოვანი ლაქები. ფოთლები საინტერსო თვისებით ხასიათდება, გარემო პირობებთან დამოკიდებულებით იცვლის მიმართულებას, ხელსაყრელ პირობებში ჰორიზონტალურად, ხოლო სხვადასხვა უარყოფითი ფაქტორების (სუსტი განათება, წყლის უკმარისობა და ა.შ.) მოქმედების შედეგად ერთმანეთთან ჩახუტებული ვერტიკალურადაა მიმართული; აქედანაა მისი ხალხური სახელი “მავედრებელი ბალახი”. ყვავილი წვრილია, უსახური.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ბრაზილიის ტენიან ტროპიკულ ტყეებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლოვან-დეკორატიული ოთახის მცენარეა, კულტივირებულია თბილ ორანჟერებში.

ტუბერი შეიცავს სახამებელსა და ცელულოზას; გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში როგორც ორგანიზმის გამამდიერებელი

და დიეტური საშუალება; მისგან ნასშირწყლების ცვლის დარღვევით დაავადებული ბავშვებისათვის აწარმოებენ დიეტურ საკვებს. ამზადებენ მარანტის ფქვილს, განკუთვნილს შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

მიიჩნევენ, რომ სახლში მოაქვს სიმშვიდე, შთანთქავს აგრესიას, აცილებს უსიმოვნებასა და ჩხუბს, შველის უძილობას, ამშვიდებს ადამიანს.

**უკუქმედება:** არ აღინიშნება.

**თეთრი სანდალოზი - Santalum album L.  
ოჯ. სანდალოზისებრნი - Fam. Santalaceae**



**მორფოლოგია:** ეთერზეთების შემცველი, პატარა ზომის, მარადმწვანე ხეა ხშირი ვარჯითა და წვრილი ყვავილებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ითვლება სამხრეთ აზიის ტროპიკული რაიონები. ბუნებრივად იზრდება და ამავდროულად კულტივირებულია ინდოეთსა და ინდონეზიის ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ეთერზეთები მიიღება ვარჯისა და ფესვების ქერქის გადამუშავებით. ზეთის რაოდენობა დამოკიდებულია ადგილმდებარეობაზე, რაც უფრო მაღლა იზრდება ზღვის დონიდან, მით უფრო მდიდარია მცენარე ზეთით. სანდალოზის ზეთი ეს არის პროლუქტი, რომელიც 4000 წელს ითვლის. მოიხსენიება სანსკრიტზე დაწერილ უძველეს

ტექსტებში. ინდოეთში მას ხმარობდნენ რელიგიური რიტუალების დროს, შედიოდა მოსაწვევი სანთლების შემადგენლობაში, რომელსაც იყენებდნენ მოსადუნებლად და მედიტაციურ მდგომარეობაში გადასასვლელად. ეგვიპტეში იხმარებოდა ბალზამირებისათვის. გარდა ამისა ძველი ცივილიზაციის ყველა მკურნალისათვის ცნობილი იყო მისი სამკურნალო თვისებები.

სანდალოზის ზეთის 90% -ს შეადგენს კომპონენტი სანტალოლი, აგრეთვე ტერესანტალოლი, სანტალენი, სანტალონი, სანტენი, სანტენონი. კონსისტენციით არის მკვრივი, ბლანტი, მოყვითალო შეფერილობის, ბალახოვანი არომატის.

სადღეისოდ სანდალოზის ხის ეთერზეთების გამოყენება ნაირგვარია. მას იყენებენ ადამიანების სამკურნალოდ, ალკოჰოლური სასმელების არომატიზაციისათვის, პარფიუმერიასა და კოსმეტოლოგიურ წარმოებაში, აგრეთვე რეპელენტის სახით - მწერების ნაკბენის საწინააღმდეგოდ, ხსნის ტკივილებს, წვას, ჩაქცევებს.

სანდალოზის ზეთი ხასიათდება მკვეთრად გამოხატული ანტისეპტიკური, ბაქტერიციდული, ანთების საწინააღმდეგო თვისებებით. იწვევს ზველების საწინააღმდეგო და ამოსახველებელ მოქმედებას, ეფექტურია ბრონქიტის, ანგინის, რინიტის და სხვა დაავადებებისას, რომლებიც მშრალი ზველების ფონზე მიმდინარეობს. სასარგებლოა შარდსასქესო სისტემის, ცისტიტების, ურეთრიტისა და ვაგინიტების სამკურნალოდ. რეგულარული გამოყენება აწესრიგებს მენსტრუალურ ციკლს, ხელს უწყობს მამაკაცებში პოტენციის ამაღლებას და ქალებში სექსუალური სურვილის გაძლიერებას, ითვლება თავისებურ ეროტიკულ სტიმულიატორად.

მისი განსაკუთრებული თვისებებიდან გამომდინარე, სანდალოზის ზეთს მედიტაციის მთავარ ზეთად მიიჩნევენ. ის აღუნებს და ამშვიდებს ადამიანს სტრესულ სიტუაციებში, ხსნის სევდის სინდრომს, თავის ტკივილებს და უძილობას; ამავროულად აძლიერებს ორგანიზმის ძალებსა და ამაღლებს ტონუსს. ითვლება, რომ სანდალოზის ზეთი ადამიანებში ანვითარებს შემოქმედებით საწყისს, ტალანტს, პიროვნულ სრულფასოვნებას.

კოსმეტოლოგიაში უძველესი დროიდან გამოიყენებოდა; კერძოდ ფერისმკვამელებისა და გამონაყრების საწინააღმდეგოდ, ხელს უწყობს ეპიდერმისის უჯრედების რეგენერაციას, მის დამშვიდებას. სიმწიფის ასაკში ეფექტურია გაახალგაზრდავების, ბადისებრი ნაოჭების გასასწორებლად, მოდუნებული კანის გასაცოცხლებლად; ამავე დროს შესანიშნავი დამატენიანებელი საშუალებაა.

**უკუშემდება:** უკუმაჩვენებელია ფეხშიძე ქალებისა და თირკმელების ქრონიკული დაავადებებისას.

**თირკმლის ჩაი - *Orthosiphon stamineus* Benth.**  
**ოჯ. ტუჩოსანნი - Fam. Labiateae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-40 სმ სიმაღლის მცენარეა, კულტურაში მოჰყავთ როგორც ერთწლოვანი. ღეროები ოთხწახნაგოვანია, დატოტვილი, ფუძესთან გამერქნებული, მუქი იისფერი; ფოთლები მოპირისპირეა, მოგრძო კვერცხისებრი ან რომბული, შუბისებრი ფუძითა და წაწვეტებული წვეროებით. ყვავილები მონოსიმეტრიულია, რამდენიმე ერთად შეკრებილია მოპირისპირე ნახევარგოლებად, რომლებიც ღეროს წვერზე წვეტილ მტევნისებრ ყვავილედს წარმოქმნის. ჯამი ზარისებრია, ორტუჩა; გვირგვინი ორტუჩაა, ფუძესთან მილისებრი, მკრთალი იისფერი. ნაყოფი შედგება 1-4 კაკლუჭისაგან, რომლებიც უსწორო კვერცხისებრია დაღარული ზედაპირით. ყვ. VII-VIII; კულტურის პირობებში იშვიათად ნაყოფმსხმოიარობს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ტროპიკული სამხრეთ-აღმოსავლეთია; განსაკუთრებით ფართოდაა წარმოდგენილი ინდონეზიაში (კუნძულ იავასა და სუმატრაზე), აგრეთვე ბირმაში, ფილიპინებსა და ჩრდილო-აღმოსავლეთ ავსტრალიაში, სადაც მარადმწვანე ბუჩქების სახით იზრდება.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულია გამშრალი წვეროსეული შეფოთლილი ყლორტები. ფოთლებიდან გამოყოფილია მწარე გლიკოზიდი – ორთოსიფონინი, რომელიც მოგვიანებით იდენტიფიცირებული იქნა როგორც მეზონიოზიტი, აღინიშნება ასევე ტრიტერპენული საპონინები, მთრიმლაკე ნივთიერებები, ცხიმოვანი ზეთები, ეთერზეთები, ორგანული მჟავები: ღვინის, ლიმონის, ფენოლკარბონული და როზმარინის.

ხასიათდება გამონატული დიურეზული მოქმედებით. ხელს უწყობს ადამიანის ორგანიზმიდან შარდოვანას, შარდის მჟავასა და ქლორიდების გაძლიერებულ გამოყოფას, ამცირებს კუჭის წვენის სეკრეციას, აძლიერებს ნაღვლის გამოყოფას, რის გამოც ფართო გამოყენება ჰპოვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში თირკმლის მწვავე და ქრონიკული დაავადებებისას; განსაკუთრებით ხშირად უნიშნავენ ცისტიტის, ქოლეცისტიტის, ნაღვლის ბუშტში და თირკმელებში ქვების შემთხვევაში. თირკმლის ჩაის ნაყენის გამოყენება ეფექტურია გულ-სისხლძარღვთა დაავადებებისას.

**უკუქმედება:** ხანგრძლივი გამოყენება გვერდით მოვლენებს არ იწვევს.

**თუთა - *Morus alba* L**  
**ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae**



**მორფოლოგია:** ხეა 20 მ-მდე სიმაღლის, ბურთისებრი ხშირი ვარჯით. ფოთოლი კვერცხისებრია, ახალგაზრდა ყლორტებზე მთლიანი ან თითქმის მთლიანი, ხოლო ასაკოვნებზე - ნაკეთულიანი ან ამოკვეთილი, კიდეებზე დაკბილულ-ხერხებილა. ყვავილები ორსახლიანია, ფოთლების უბებში მოკლე თავთავებად ან თავაკებად შეკრებილი. ყვავილსაფარი ოთხფოთოლაკიანია; მამრობითში - 4 მტვრიანაა, დაყვავილების შემდეგ მთლიანად სცივია; მდედრობით ყვავილებში - ორდინგიანი ერთი ბუტკოა, დაყვავილების შემდეგ სქელდება და წვნიანდება. ნაყოფი შედგება რამდენიმე ერთთესლიანი კაკლისაგან, თითოეული მათგანი მოთავსებულია ხორცოვან გადიდებულ ყვავილსაფარში და შეკრებილია ცრუ კენკრის მსგავსად, თეთრია ან მეწამული. ყვ. IV; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ აღმოსავლეთ ჩინეთი ითვლება, სადაც თუთა კულტივირებული იყო უკვე ცივილიზაციის გარიჟრაჟზე. ჩინეთიდან კულტურა გავრცელდა შუა აზიაში, ავღანეთში, ჩრდ. ინდოეთში, პაკისტანში, ირანში, უფრო მოგვიანებით სამხრეთ კავკასიაში. დაახლოებით VI ს-ში ჩნდება საქართველოში, სადაც ყველა რეგიონშია გაშენებული, გვხვდება ასევე გავლურებული სახით უმთავრესად ჭალის ტყეებში; ევროპაში ცნობილია XII ს-დან, ამერიკაში - არაუგვიანეს XVI ს-ისა. რუსეთში XVII ს-დან ვრცელდება ჯერ მოსკოვში, სადაც ვერ



შეეგუა მის კლიმატს, იქიდან კი გადმონაცვლა ჩრდ. კავკასიაში და ქვემო ვოლგისპირეთში.

სადღეისოდ ამრავლებენ მრავალ ქვეყანაში, სადაც შესაბამისი კლიმატური პირობებია. ადვილად ველურდება. ყველაზე დიდი ფართობები უკავია იმ ქვეყნებში, რომლებიც ცნობილია ნატურალური აბრეშუმის მსხვილი წარმოებით: ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, შუა აზიის რესპუბლიკებში, აზერბაიჯანში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მრავალმხრივი გამოყენებით ხასიათდება. ნაყოფი საჭმელად გამოიყენება სხვადასხვა სახით; თუთის დაფქვილ ნაყოფებს უმატებენ ფქვილს კეკერის საცხობად. ნედლი ნაყოფები იხმარება მურაბების, თათარას, სიროფების, ბეკმესის (ხელოვნური თაფლი), სასმელების - ღვინო, ძმარი, არყის დასამზადებლად. ნაყოფების გამოწურვის შემდეგ დარჩენილ ნარჩენებს ყავის შემცველად იყენებენ. მერქანი იხმარება სამეურნეო წარმოებაში, მუსიკალური ინსტრუმენტების, ჭურჭლის, ზარდახშების, სხვადასხვა სუვენირების დასამზადებლად. ადრე ერთწლოვანი ტოტებისაგან ღებულობდნენ ბოჭკოს - უხეში ქსოვილების საწარმოებლად. ფოთლებით ყვითლად იღებებოდა ქსოვილები. ფოთლები უმთავრესად გამოიყენება თუთის აბრეშუმსვევია მატლების საკვებად, რის გამოც თუთის ხე - სამრეწველო მეაბრეშუმეობის საფუძველია. დეკორატიულია, ირგვება პარკებსა და გზის პირებზე.

ნედლი ნაყოფი ტკბილია, შეიცავს 85 მგ% წყალს, 8,1 მგ% ნახშირწყლებს, რომელიც ძირითადად მონოსაზარიდებითაა წარმოდგენილი, 1,44 მგ% ცილებს, 0,4 მგ% ცხიმებს, 1,7 მგ% უჯრედისს, 0,7 მგ% ნაცარს, 1,5 მგ% აზოტოვან ნივთიერებებს, 0,1 მგ% ფოსფოროვან მჟავას, ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub> ან PP, B<sub>5</sub>, B<sub>9</sub>, C, E, K, ქოლინს), მაკროელემენტების (K, Ca, Mg, Na, P) და მიკროელემენტების (Fe, Mn, Cu, Zn, Se) მინერალურ მარილებს. აღსანიშნავია, რომ კალიუმის შემცველობით ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია კენროვან მცენარეთა შორის.

ქართულ ხალხურ მედიცინაში ფესვების ქერქით სხვა მცენარეებთან ნარევი ავზნეს მკურნალობდნენ. ფოთლების ნახარშს ღვიძლის ტკივილების, დიაბეტის, ყელის წყლულების,

მაღარიისა და ჭრილობების შესახორცებლად იყენებდნენ. ნაყოფი ხასიათდება შარდმდენი, ოფლმდენი, ნაღველმდენი, ბაქტერიციდული, ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. წარმატებით გამოიყენება თირკმლისმიერი და გულისმიერი შეშუპების, ნაღველმდენი გზების დისკინეზიის, ანთებითი პროცესების დროს. მარგებელია გულის მანკისა და მიოკარდიოდისტროფიისას; ამცირებს ტკივილებს გულის არეში, ხსნის ქოშინს, აუმჯობესებს გულის რითმს. იხმარება კუჭ-ნაწლავის აშლილობის დროსაც; უმწიფარი ნელლი ნაყოფები - ფალარათის, ხოლო მწიფე ნაყოფი, პირიქით ხასიათდება რა სასაქმებელი ეფექტით ყაბზობისას გამოიყენება.

ნაყოფის წვეწვსა და ნაყენს იყენებენ გამოსავლებ საშუალებად ყელისა და პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისას, მათ შორის სტომატიტის.



### ხართუთა


**P.S.** კულტურაში ცნობილია სხვა სახეობაც - ხართუთა (*Morus nigra* L.). მისი მოშავო-იისფერი ნაყოფედი თეთრ თუთაზე ბევრად

გემრიელია; ფოთლები, განსხვავებით წინა სახეობისაგან უფრო მკვრივი და ხეშეშია, რის გამოც ნაკლებად გამოიყენება აბრეშუმხვევი მატლების საკვებად. ამავე დროს მეტად მომთხოვნია ტენისადმი, ნაკლებ ყინვაგამძლეა, რის გამოც კულტივირებულია როგორც ხეხილოვანი და დეკორატიული მცენარე თბილი კლიმატის ქვეყნებში. საქართველოში მცირე მასშტაბით აშენებენ ბალებში; ზოგჯერ ველურდება და გვხვდება ჭალის ტყეებში.

**უკუქმედება:** ძველ ქართულ სამედიცინო ხელნაწერებში მითითებულია, რომ მისი დიდი რაოდენობით მიღება “სტომაქს აწყენს, თავსა აატკივებს, კაცსა მუცელში გახსნის, მაგრამ კაცსა ყელსა დაულობს”.

არ შეიძლება მისი მიღება შაქრიანი დიაბეტის დროს; სიფრთხილე მართებთ ჰიპერტონიით დაავადებულებსაც, იწვევს რა სისხლის წნევის აწევას.

**იაპონური აუკუბა ან ოქროს ხე – *Aucuba japonica* Thub.  
ოჯ. გარიაცისებრნი - Fam. Garryaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქი ან მცირე ზომის 5 მ-მდე სიმაღლის ხეა, ტოტები სქელია, შიშველი, მწვანე. ფოთლები მოპირისპირეა, ყუნწიანი, ოვალურიდან ლანცეტისებრამდე, 20 სმ სიგრძისა და 6 სმ სიგანის, პრიალა, ორივე მხრიდან მწვანე, მსხვილხერხებილა, შიშველი, მახვილი წვერით. კულტივირებულ ფორმებში ფოთოლი დაფარულია სხვადასხვა სიდიდის, ფორმისა

და ფერის, უმთავრესად კაშკაშა ყვითელი, კრემისფერი, ბაცი მწვანე, თეთრი ლაქებითა და წერტილებით; ყვავილობს წვრილი უსახური ყვავილებით, ნაყოფი მომრგვალო-ელიფსურია, წითელი შეფერილობის, თესლი წვრილია, მრავალრიცხოვანი. ყვ. II-IV; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სუბტროპიკულ ტენიან ტყეებში აღმოსავლეთ ჰიმალაიზე, ჩრდილოეთ მიანმაზე, კონტინენტალურ ჩინეთში, კუნძულ ტაივანზე, კორეის ნახევარკუნძულზე, იაპონიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მაღალდეკორატიული მცენარეა. სამედიცინო პრაქტიკაში გამოიყენება ფოთლები და ნაყოფები. ფოთლებში აქტიურად მოქმედი ნივთიერებებიდან აღმოჩენილია აუკუბინი და აუკუბიგენინი, სხვა ნივთიერებებიდან აღინიშნება ორგანული მჟავები.

იაპონიის ხალხურ მედიცინაში ვიწრო დანიშნულებით გამოიყენება. დაქუცმაცებულ ფოთლებს იღებენ დამწვრობით დაზიანებულ ადგილებზე, აგრეთვე სხვადასხვა სახის სიმსივნეებზე, ჭრილობებზე, სისხლჩაქცევებზე, მოყინულ ნაკვთებზე; მისგან ამზადებენ კუჭის მოქმედების სტიმულირების საშუალებასაც.

**უაუქმედება:** დაუღვენელია.

იაპონური ზღმარტლი, ლოქვა  
*Eriobotrya japonica* Thub.  
ოჯ. ვარდისებრნი - Fam. Rosaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 6 მ სიმაღლის ხეა, ტოტებით მცირედ დატოტვილი. ყლორტები, ყვავილელები და ფოთლები ქვედა მხრიდან ქეჩისებრ შებუსუსულია ჟღალი ბეწვით. ფოთოლი ლანცეტაა, 25 სმ-მდე სიგრძისა და 7-8 სმ სიგანის, ხეშეში, ზემოდან - მუქი მწვანე, ჩაზნექილი ძარღვებით, ხერხებილა კიდეებით, მოკლე ყუნწიანი. ყვავილედი - წვეროსეული საგველაა; ყვავილები 1,5 სმ დიამეტრისაა, არომატული, გვირგვინის ფოთოლაკები თეთრი ან კრემისფერია. ნაყოფი - ცრუ ნაყოფი ვაშლია 3-10 სმ დიამეტრის, ნარინჯისფერი ან ყვითელი, წვნიანი, წვერზე შემორჩენილი ჯამით, 2-3 მსხვილი თესლით. ყვ. V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ცენტრალურ ჩინეთში. კულტურაში შეტანილია 1000 წლის წინათ ჩინეთსა და იაპონიაში, ევროპაში – XVIII ს-ში. განსაკუთრებით ფართოდაა კულტივირებული იაპონიაში, სადაც წელიწადში 10 ათას ტონა ნაყოფს ღებულობენ. მოჰყავთ აზიაში, აფრიკაში, აშშ-ის სამხრეთით, ლათინურ ამერიკასა და ავსტრალიაში. აგრეთვე სამხრეთ ყირიმსა და დასავლეთ ამიერკავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი ხეხილოვანი და დეკორატიული მცენარეა. ნაყოფი სასიამოვნო გემოსია, მომჟავო-მოტკბო, ვაშლის, გარგარისა და მარწყვის

მსგავსი არომატით; ნაყოფს იყენებენ ნედლი სახით, ამზადებენ ჯემს, ჟელეს, წველებისაგან - არომატულ სასმელებს, ხოლო თესლებიდან - ყავის სუროგატს. ფართოდ გამოიყენება დეკორატიულ ნარგაობებში ღია და დახურულ გრუნტში.

შეიცავს 6-8,6 მგ% ნახშირწყლებს, 0,2 მგ% ორგანულ მჟავებს, 0,43 მგ% ცილებს, 2 მგ% ვიტამინ C - ს, აგრეთვე პროვიტამინ A და B ჯგუფის ვიტამინებს ( B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>), ტრიტერპენოიდებს, ფენოლკარბოლმჟავებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, მაკროელემენტებს (K, Ca, Mg, Na, P), მიკროელემენტებს (Fe, Mn, Cu, Zn, Se). თესლში აღინიშნება - ცხიმოვანი ზეთები, არომატული ნივთიერებები, ლორწო, ფიტონციდები.

ხასიათდება სიმსივნის საწინააღმდეგო, ანთისაფაღარათო, ანთების საწინააღმდეგო, სისხლდენის შემაჩერებელი მოქმედებით. მედიცინაში გამოიყენება ავთვისებიანი სიმსივნეების, დიარეის, დიზენტერიის, თირკმელების დაავადებების, ბუასილის დროს.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია კუჭ-ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, კუჭქვეშა ჯირკვლის ანთებითი პროცესები და მაღალი მჟავიანობის გასტრიტი.

**იაპონური სოფორა - *Sophora japonica* L.**  
**ოჯ. პარკოსანნი – Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** 20 მ-მდე სიმაღლის მძლავრი ხეა, ხშირი სფერული ფორმის ვარჯით. ქერქი მუქი ნაცრისფერია,

ასალგაზრდა ტოტები – მომწვანო ფერისაა და გლუვი. ფოთლები საკმაოდ მსხვილია, საშუალოდ – 20 სმ-მდე სიგრძის, ფრთისებრი. უსწორო ყვავილები მოყვითალო-თეთრია. ნაყოფი – პარკია, მწვანე, შემდგომში მუქი წითელი ფერის ხდება. ყვავილობს ზაფხულის მეორე ნახევარში, ნაყოფმსხმოიარობს სექტემბერში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩინეთ-იაპონიაში. ფართოდაა კულტივირებული მსოფლიოს მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოში როგორც ფიტომედიკალური და დეკორატიული მცენარე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხასიათდება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების საოცრად მდიდარი შემადგენლობით. მნიშვნელოვანი ვიტამინებისა და მიკროელემენტების გარდა დიდი რაოდენობით შეიცავს რუტინს, რომელიც გულ-სისხლძარღვთა დაავადებების “შეგობრად” ითვლება. ლაბორატორიული გამოკვლევებით დადგენილია, რომ ყვავილები შეიცავს 30 % რუტინს, სხვა ნაწილები – 17%. როგორც ცნობილია, რუტინი ხასიათდება უნიკალური უნარით სისხლძარღვების კედლებზე ხელსაყრელი მოქმედებით; ის ამაგრებს მათ, ახდენს ელასტიურს, ასუფთავებს ორგანული დანალექებიდან, არიდებს ვენებში სისხლის შედეგას, შესაბამისად ინფარქტს, ინსულტს, ტრომბების წარმოქმნას. გარდა ამისა სისხლში ახდენს ქოლესტერინისა და შაქრის შემცირებას, კურნავს ანემიას, მსუბუქად აცილებს ჰიპერტონიას და აფერხებს განგრენის განვითარებას სისხლძარღვების დაცობის ფონზე. მცენარე ხასიათდება დამამშვიდებელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით, ხსნის ქავილისა და გაღიზიანების სინდრომს. მასში შემავალი რიგი ნივთიერებებიდან გამოდინარე, კურნავს ისეთ დაავადებებს, როგორიცაა რევმატიზმი, სისხლჩაქცევები, ტრომბოფლებიტი, სხივური დაავადებები, ავიტამინოზი, სტენოკარდია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი, ტიფი და ა.შ. იოდის მაღალი შემცველობა სასიკეთოდ მოქმედებს ფარისებრი ჯირკვლების მდგომარეობაზე.

**უპოქმედება:** უკუჩვენებები არ არის დადგენილი. მცენარიდან

მიღებული პრეპარატები არატოქსიკურია. იშვიათ შემთხვევებში შესაძლებელია ალერგიული რეაქციები სოფორას ცალკეულ კომპონენტებზე.

**იაპონური ცხრატყავა – *Lonicera japonica* L.  
ოჯ. ცხრატყავასებრნი - Fam. Caprifoliaceae**



**მორფოლოგია:** 7,5 მ-მდე სიმაღლის ლიანაა, მისი ხვიარა ღეროები წლების მანძილზე მერქნიანდება და მუქ-იისფერს ღებულობს. ფოთლები ოვალურია, პრიალა, ბაცი-მწვანე ფერის, დაფარულია ნაზი ბუსუსებით. ყვავილები წარმოიქმნება ახალგაზრდა ყლორტებზე, თეთრი შეფერილობისაა, სურნელოვანი, 3-4 სმ დიამეტრის. ყვავილობს ივნისიდან აგვისტომდე, იშვიათად – ოქტომბრამდე. ნაყოფი წითელი კენკრაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია აღმ. აზიაში; იზრდება იაპონიაში, კორეაში, სამხრეთ-აღმოსავლეთ ჩინეთსა და ტაივანზე. დეკორატიულობიდან გამომდინარე წარმატებითაა ინტროდუცირებული ტროპიკული და სუბტროპიკული კლიმატის სხვა ქვეყნებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალოდ ასეული წლების წინ გამოიყენებოდა. ჯერ კიდევ პლინიუსი იყენებდა მის ექსტრაქტს ღვინოსთან ნარევში ელენთის დაავადებებისას. ევროპაში იყენებენ შარდის გამოყოფის დარღვევის, მშობიარობის, ბრონქიალური ასთმის დროს. ჩინური



მედიცინის ცნობარში, რომელიც 699 წლით თარიღდება, აღინიშნება მისი სამკურნალო თვისებები. დღევანდლამდე წარმოადგენს ჩინურ მედიცინაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამკურნალო საშუალებას.

სამკურნალო თვისებები ფართოა. ჩინეთში მისი საშუალებით ახდენდნენ ორგანიზმიდან ე.წ. “ცეცხლოვანი შხამების” გამოდევნას. კუჭის აშლილობისას იყენებდნენ მოხალულ კოკრებს, ნაყოფებს - როგორც შემკვრელ, შარდმდენ, სიცხის დამწვევ, სპაზმოლიტურ, ამოსახველებელ, გულისამრევ და ანთების საწინააღმდეგო საშუალებას. რეკომენდებულია მაღალი წნევის დროს. სხვა ბალახებთან ნარევში ხმარობენ რევმატიული არტორიტიის სამკურნალოდ, სისხლძარღვების გასამაგრებლად; შველის სკლეროზს, ჰიპერტონიას, მალარიას, სისხლნაკლებობას. მისით მკურნალობენ გაციებებს, საკვებით მოწამლვას, ეგზემას, ფსორიას, ტროფიკულ წყლულს. იყენებენ თმის ზრდისა და მის გასამაგრებლად.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ყვავილები, ტოტები, ქერქი და ნაყოფები, როგორც შარდმდენი, შემკვრელი, ანთების, ხველების, სისხლნაკლებობის, წყალმანკის (ტოტები და ქერქი), ასთმის, სპაზმური კოლიტიის (ღერო და ფოთლები), ანგინისა და კონიუნქტივის (ფოთლები), სახსრების დაავადებების საწინააღმდეგოდ. აძლიერებს კუჭის წვენი სეკრეციას, არის ტკივილგამაყუჩებელი; იხმარება სიმსუქნისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევებისას.

**უკუქმედება:** სახლის პირობებში მკურნალობის დაწყებამდე მიმართეთ ექიმს.

**იაპონური ზურმა - *Diospyros kaki* Thunb.**  
**ოჯ. აბანოზისებრნი - Fam. Ebenaceae**



**მორფოლოგია:** ფოთოლმცვენი 12 მ სიმაღლის ხეა. ფოთლები მორიგეობითია, ოვალური, 7-16 სმ სიგრძისა და 4-8 სმ სიგანის, ტყავისებრი, პრიალა, ქვემოდან შებუსუსული. ყვავილები მიმდინარე წლის ყლორტებზეა განლაგებული, უბისეულია, ერთ და ორსქესიანი; მამრობითი - მცირერიცხოვან კონებადაა შეკრებილი, მდედრობითი და ორსქესიანები - მარტოულია. გვირგვინი მოყვითალო-თეთრია; მამრობითი ყვავილები - ქოთნისებრია, მდედრობითი და ორსქესიანები - ფართო ზარისებრი. ნაყოფი 12 სმ - მდე დიამეტრის ნარინჯისფერი კენკრაა, 8-10 თესლით. ნაყოფის რბილობი პასტის მაგარია, ნარინჯისფერი ან ყავისფერი. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ჩინეთში, სადაც კულტურაში იქნა შეტანილი ჩვენს ერამდე დიდი ხნით ადრე. სავარაუდოდ წარმოიშვა ახლოს მდგომი სახეობის (*D. sinensis* L.) შეჯვარებით სხვა სახეობებთან. დიდი ხნის წინათაა შეტანილი იაპონიაშიც, სადაც ფართოდ გავრცელდა. ევროპაში მისი გამოზრდა დაიწყო XVIII ს-ის ბოლოდან, მაგრამ ფართოდ გავრცელება ვერ ჰპოვა მწკლარტე გემოს გამო. აშშ-ში ფართოდ გავრცელდა XIX ს-ში მას შემდეგ, რაც ჩინეთიდან შეტანილ იქნა მრავალრიცხოვანი საუკეთესო ჯიშები.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი სუბტროპიკული ხეხილოვანი კულტურაა. მათ შორის, საკვები,

გემოვნებითი, სამკურნალო და დიეტური თვისებებით ციტრუსების შემდეგ მეორე ადგილი უკავია. ნაყოფები გამოიყენება ნედლი, გაყინული და მშრალი სახით საკვებად, საკონდიტრო მრეწველობაში, ხოლო მერქანი სხვადასხვა ნაკეთობების დასამზადებლად.

ნაყოფები შეიცავს 10-25 მგ% შაქრებს (უმთავრესად გლუკოზას და ფრუქტოზას), პექტინოვან ნივთიერებებს, ცხიმებს, ვიტამინ C-ს, ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ვაშლის); გამოყოფილია 10-მდე კაროტინოიდი, 0,29 მგ% ტანინები, 0,33-1,18 მგ% ცილები, 1,16-1,61 მგ% პროტეინი, 0,31-0,85 მგ% ცხიმები, 0,61-0,72 მგ% ნაცრები, მდიდარია მიკრო და მაკროელემენტებით, მინერალური ნივთიერებებით, შეიცავს 0,07-0,33 მგ% მანგანუმს, 0,7-3,8 მგ% რკინას, 0,22-0,82 მგ% კალიუმს. ნედლ, მწიფე ნაყოფებისაგან დამზადებულ წვენიში აღინიშნება 20 მგ% სპირტი, 0,3 მგ% ქლორეტანი, 0,6 მგ% გლიკოზიდები, 0,11 მგ% ფლავონოიდები, 2,42 მგ% კეტოშაქრები, 0,38 მგ% ალდეჰიდშაქრები, 0,13 მგ% ცხიმზეთები, 39,8 მგ% იოდი, 0,06 მგ% ორგანული მჟავები, 30,2 მგ% C ვიტამინი, 15,72 მგ% მშრალი ნარჩენები.

ხასიათდება ბაქტერიციდული თვისებებით ნაწლავების ჩხირების, ოქროსფერი სტაფილოკოკის და სხვ. მიმართ.

სამედიცინო პრაქტიკაში იხმარება კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას; მწიფე ნაყოფებისაგან ამზადებენ პრეპარატებს, რომლებსაც იყენებენ ტიროტოქსიკოზის მსუბუქი და საშუალო ფორმების სამკურნალოდ. გარეგანად – მწიფე ნაყოფების რბილობი გამოიყენება ფურუნკულების სამკურნალოდ.

მშრალი ფოთლების ფხვნილი ევექტურია სისხლდენის შესაჩერებლად, აქვეითებს წნევას, ხასიათდება დიურეზული და კურარესმსგავსი მოქმედებით.



**კავკასიური ხურმა**

**P.S.** საკმაოდ ფართოდაა კულტივირებული ხურმის სხვა სახეობაც - კავკასიური ანუ ჩვეულებრივი ხურმა (**Diospyros lotus L.**), რომელიც გავრცელებულია კავკასიაში, სმელთაშუაზღვეთში, შუა და მცირე აზიაში. მომწიფებული წვრილი (8-16 მმ დიამეტრის) მუქი მურა ან მოლურჯო-შავი, ნაფიფქიანი ნაყოფები საკვებად გამოიყენება ნედლი და ჩირის სახით. მშრალი ნაყოფები შეიცავს 40 მგ%-მდე შაქრებს; ფოთლებში შემოდგომით აღინიშნება 3200 მგ% ვიტამინი C, რომლისგანაც ამზადებენ ვიტამინირებულ ჩაის. კავკასიაში ეს სახეობა ითვლება აღმოსავლეთ ხურმის ძირითად საძირედ.

**უკუქმედება:** ტანინების მსგავსი ნივთიერებების შემცველობის გამო მოუმწიფებელი ნაყოფები იწვევს კუჭის წვასა და ტკივილს, განსაკუთრებით არასასურველია ეროზიული გასტრიტების, კუჭის წყლულოვანი დაავადებებისას. უკუმაჩვენებელია ასევე ასაკოვნების შეკრულობების, ბუასილის, შაქრიანი დიაბეტის დროს. ხურმის ჭამის შემდეგ წყლისა და რძის დაყოლება დაუშვებელია.

ინდური დილენია, სპილოს ვაშლი –  
**Dillenia indica L.**  
ოჯ. დილენიასებრნი - Fam. Dilleniaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30 მ-მდე სიმაღლის ხეა, გადაშლილი მომრგვალებული ვარჯით, ნარინჯისფერ-ყავისფერი ან მოწითალო ხის ტანითა და დამახასიათებელი მუქი ფოთლებით, რომლებიც მჭიდროდაა განწყობილი ტოტების ბოლოებზე. ყვავილი მარტოულია 15-20 სმ დიამეტრის, არომატული, გვირგვინის თეთრი ფურცლები გარშემორტყმულია მრავალრიცხოვანი (500-მდე) მტკრიანების ყვითელი ბურთით, რომელიც დაგვირგვინებულია 14-20 გრძელი, ბრტყელი, თეთრი, გვირგვინის ფურცლების მსგავსი ვარსკვლავისებრ გადაშლილი სვეტებით. ინდური დილენის ყვავილები მცენარეულ სამეფოში ითვლება ყველაზე ლამაზ და გამორჩეულად. მეტად თავისებურია ნაყოფის აგებულებაც, შედგება რამდენიმე ნაყოფის ფოთლისაგან, რომელიც გარშემორტყმულია გაფარჩხული ხორცოვანი ჯამის ფოთოლაკებით, სფერული ფორმისაა, 8-10 სმ-მდე დიამეტრის, მოგვაგონებს მსხვილ ვაშლს.

დილენის ნაყოფები ვრცელდება წყლით (მცენარეები ჩვეულებრივ მდინარეთა ნაპირებზე და ტროპიკულ წყალვარდნილებთან იზრდება), მიწაზე მოხვედრის შემდეგ თესლი დივდება ნაყოფის შიგნით, აღმონაცენი ხეთქავს ნაყოფის კედლებს და გარეთ გამოდის.

ითვლება, რომ დილენიის ნაყოფებს სპილოები მიირთმევენ, რომლებიც თავის მხრივ ხელს უწყობენ მათ გავრცელებას, შესაძლებელია, ამიტომაც უწოდებენ მათ “სპილოს ვაშლს”.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ფართოდაა გავრცელებული აზიის ტროპიკულ რეგიონებში, აფრიკაში, მადაგასკარსა და ავსტრალიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მომწვანო-ყვითელი შეფერილობის სქელკანიანი ნაყოფები ადგილობრივი მოსახლეობის გამორჩეული და დელიკატური ხილია. შეიცავს მრავალ ვიტამინსა და მინერალურ მარილებს. მოუმწიფებელი ნაყოფებისაგან ამზადებენ წნილსა და ადგილობრივ კერძებს, ხოლო მწიფე, გემრიელი და არომატული ნაყოფები გამოიყენება ხილის სახით, ამზადებენ გამაგრილებელ სასმელებს, ჯემს, ჟელეს, ღესერტებს.

**უკუქმედება:** არ გააჩნია.

**ინდური ვარდის ხე – *Amyris balsamifera* L.**

**ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის სურნელოვანი ხეა, უხვად დატოტვილი, რთული ფოთლებითა და თეთრი ყვავილებით.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია კუნძულ ჰაიტზე. ამჟამად კულტივირებულია მსოფლიოს ყველა ტროპიკულ ზონაში, იამაიკაზე, სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ადგილობრივი მოსახლეობა მას “სანთლის ხესაც” უწოდებს, მერქანში ზეთების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, რის გამოც იწვის სანთლის მსგავსად. ხასიათდება ანტისეპტიკური, ბალზამური და სედატური მოქმედებით. არომატული ზეთი მიიღება მერქნიდან და ტოტებიდან, არის ბაცი ყვითელი, ოდნავ ბლანტი სითხე მერქნის სუნით. შეიცავს კარიოფილენს, კადინენსა და კადინოლს.

წარმოადგენს სანდალოზის ხის იაფ შემცველს პარფიუმერიასა და კოსმეტიკაში. გამოიყენება საპნის წარმოებაში, ხშირად უმატებენ სასმელებს არომატიზაციისათვის.

**უკუქმედება:** არ არის მითითებული.

**ინდური ლემა – *Datura innoxia* Mill.**  
**ოჯ. ძალღყურძენასებრნი - Fam. Solanaceae**



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი 60-150 სმ სიმაღლის ბუჩქისებრი ბალახოვანი მცენარეა მთავარლერმა ფესვთა სისტემით. ღერო და ფოთლები დაფარულია მოკლე, რბილი ნაცრისფერი ბუსუსებით. ფოთლები მორიგეობითია, გრძელყუნწიანი, კიდემთლიანი, ელიფსური, ფრთისებრი დაძარღვით, ლეგა-მომწვანო ფერის. ყვავილები მარტოულია, მსხვილი, 20 სმ-მდე სიგრძის, განწყობილია ღეროს განშტოებებში, გვირგვინი თეთრია, მილისებრ-ძაბრისებრი, ჯამი მწვანეა, გაბუმტული, ხუთკბილა.

ნაყოფი სფერული კოლოფია, ლეგა მწვანე, სიმწიფისას მურა შეფერილობის, 3-6 სმ დიამეტრის, ნემსისებრი ეკლებით უხვად მოფენილი. თესლი უკუთირკმლისებრია, ნაცრისფერი, 5 მმ სიგრძის. ყვ. VII-X; ნაყ. VIII-XI.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში. ინტროდუცირებულია აფრიკაში, აზიაში, ავსტრალიასა და ევროპაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მცენარის ყველა ნაწილი დაზიანებისას გამოჰყოფს არაქისის მყარლი ზეთის მაგვარ სუნს. შეიცავს ალკალოიდებს: სკოპოლამინს, ჰიოსციამინს, ნორჰიოსციამინს, ტიგლოიდინს, მეტელოიდინს, ატროპინს, ტროპინსა და ფსევდოტროპინებს. ძირითადი ალკალოიდი სკოპოლამინია, რომლის შემცველობა სხვადასხვა ორგანოში განსხვავებულია, ფოთლებში - 0,005-0,16%, ღეროებში - 0,04-0,122%, ფესვებში - 0,08%, ყვავილებში - 0,34%, ნაყოფებში - 0,38-9,41%, თესლებში - 0,77%.

სკოპოლამინი ხასიათდება გამოკვეთილი სპაზმოლიტური მოქმედებით, ვეგეტატიურ ნერვულ სისტემაზე მოქმედების მიხედვით მსგავსია ალკალოიდების ამავე ჯგუფის - ატროპინისა და ჰიოსციამინის.

სამკურნალო ნედლეული თესლებია (*Semen Daturae innoxiae*); იზმარება სკოპოლამინის ჰიდრობრომიდის მისაღებად. მედიცინაში გამოიყენება ფსიქიატრიაში - როგორც დამამშვიდებელი, ნევროლოგიაში - პარკინსონის, დამბლის დაავადებებისას; ქირურგიაში - ძილის მომგვრელ და ტკივილგამაყუჩებელ საშუალებად, აგრეთვე ზღვისა და ჰაერის დაავადებებისას გულის რევმის საწინააღმდეგოდ.

**უაუქმედება:** მთელი მცენარე ჰალუცინოგენურია, შეიცავს შხამებს საშიშ ზღვრამდე, მისი შემთხვევითი მიღება შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს ადამიანისა და ცხოველებისათვის.



**ინდური ლოტოსი - *Nelumbo nucifera* Gaertn.**  
**ოჯ. ლოტოსისებრნი – Fam. Nelumbonaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი წყლის მცენარეა დაკორძებული ფესურით. მიეკუთვნება ტროპიკულ რელიქტურ სახეობას. ფოთოლი ორგვარია: მცურავი, გრძელლეროიანი, ფარისებრი ფორმის, შუაში ჩაზნექილი, სანთლისებრი ნაფიფქით დაფარული; მეორე ტიპის ფოთლები წყალზე ამალლებულია, სწორმდგომი ყუნწებით, ძაბრისებრი ფორმის, მცურავ ფოთლებზე დიდი, 59-70 სმ დიამეტრის. ყვავილები მსხვილია, 25-30 სმ დიამეტრის, წყლის ზემოთ აღმართული გრძელი ღეროებით, ყვავილობის დასაწყისში კაშკაშა ვარდისფერია, დაყვავილებისას – თეთრი, ნაზი სასიამოვნო არომატის. ნაყოფი კოლოფია, თესლი ტყის თხილის ზომისაა, მაგარი, მომწიფებისას წყლის ფსკერზე ეშვება, გაღივების უნარს დიდხანს ინარჩუნებს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია აზიის ტროპიკულ და ზომიერ რეგიონებში, მათ შორის ვიეტნამში, ინდოეთში, ინდონეზიაში, ირანში, კორეაში, მიანმეში, პაპუა-ახალ გვინეაში, ტაილანდში, ფილიპინებზე, შრი-ლანკაში, იაპონიაში, ავსტრალიაში, რუსეთში - შორეულ აღმოსავლეთში, აზერბაიჯანში - კასპიის ზღვის სანაპიროზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მთელი მცენარე საკვებად გამოიყენება. მისი ფესვი იაპონიის, ტაივანისა და ჩინური სამზარეულოს დელიკატესად ითვლება; იხმარება სალათებისა და სხვადასხვა კერძების დასამზადებლად, შემწვარი და ჩაშუშული სახით.

მიუხედავად იმისა, რომ ლოტოსი იზრდება სიღნაღს, ჭუჭყიან წყალსატევებში, მას სისუფთავის სიმბოლოდ მიიჩნევენ. ამიტომ ითვლება, რომ მის ყველა ნაწილს ძალუძს ორგანიზმის გასუფთავება შხამების, შლაკებისა და ცუდი დაავადებებისაგან.

მედიცინაში გამოყენებულია თესლები და ფოთლები. მათში აღინიშნება შემდეგი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები: ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები, წყალი, ნაცარი, გაჯერებული მჟავები, ვიტამინები (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>), მაკროელემენტები (Ca, Mg, Na, K, P), მიკროელემენტები (Fe, Zn, Cu, Mn), ალკალოიდები. ჩინური ტრადიციული მედიცინის თანახმად ლოტოსის თესლი შემდეგი თვისებებით ხასიათდება: “ტკბილი”, “შემკვრელი”, “ნეიტრალური”. მოქმედებს გულის მერიდიანებზე, თირკმელებსა და ელენთაზე; გულს ენერგიით კვებავს, ამშვიდებს ნერვებს. ფოთლების თვისებები: “მწარე”, ოდნავ “ტკბილი”, “ნეიტრალური”, მოქმედებს თესლის მსგავსად იგივე მერიდიანებზე. თესლების ნახარშს იყენებენ აჩქარებული გულისცემის, გაღიზიანებისა და უძილობის, თირკმელებისა და ელენთის უკმარისობის, ღიარის დროს.

ფოთლები გამოიყენება ციებ-ცხელების, გაღიზიანების, მაღალი ოფლიანობის, კუჭის აშლილობის, თავბრუსხვევის, ჰიპერტონიის შემთხვევაში; აჩერებს შარდსადინარებიდან, ცხვირიდან სისხლდენებს.

**უაქმედება:** უაღრესად მნიშვნელოვანია პრეპარატის დოზების ზუსტი დაცვა. მცენარეში შემავალი ალკალოიდი – ნელუმბინი იწვევს თავბრუსხვევას, პირღებინებას, გულისცემის აჩქარებას, გადაჭარბებული დოზა კი ლეტალურ აღსასრულს. გამოირიცხულია თესლების მიღება ყაბზობისას.

**იპეკო, იპეკაკუანა - *Cephaelis ipecacuanha* Willd.  
ოჯ. ენდროსებრნი - Fam. Rubiaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 30-40 სმ-მდე სიმაღლის მარადმწვანე ნახევრადბუჩქოვანი მცენარეა, გრძელი, წვრილი, მურა ნაცრისფერი შეფერილობის გლუვი ფესურით; შედგება წვრილი ღეროებისაგან, რომლებზეც განვითარებულია რამდენიმე წყვილი მოპირისპირედ განწყობილი, მარადმწვანე, ფართო ლანცეტა ფოთლები. წვერზე ვითარდება ყვავილედ – თავაკი, წვრილი, თეთრი, მილისებრი ყვავილებით. ნაყოფი სორცოვანი კურკაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად ბრაზილიაში იზრდება, მდ. ამაზონის ზედა შენაკადებთან; იმდენად დიდია ამ მცენარეზე მოთხოვნილება, რომ სამრეწველო პლანტაციები გაშენებულია ინდოეთში, ინდონეზიასა და ტანგანიკზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ფესვები წარმოადგენს, რომელიც შეიცავს ალკალოიდების ჯგამს, მათგან ძირითადია: ემეტინი და ცეფაელინი; აღინიშნება ირიდოიდები, ტრიტერპენული საბონინები და გლიკოზიდი იპეკაკუანი.

საუკეთესო ამოსახველებელი საშუალებაა, დიდი დოზები (0,5გ და მეტი) იწვევს გულის რევას. პრეპარატი Emetinum hydrochloridum იხმარება როგორც სპეციფიური საშუალება ამებური დიზენტერიის საწინააღმდეგოდ. ალკალოიდი ემეტინი, რომელსაც მცენარე შეიცავს ძლიერმოქმედი ტოქსიკური

ნივთიერებაა, ხასიათდება მკვეთრად გამოხატული მოქმედებით პარაზიტების წინააღმდეგ, რითიც აიხსნება მისი ეფექტურობა კუჭ-ნაწლავის აშლილობისა და ჰელმინტოზების დროს. ფესვიდან მიღებული სიროფი მაღალ დოზებში იწვევს პირღებინებას, ამიტომ თუ ამ პრეპარატს მოწამლვის შემთხვევაში მაშინვე მიიღებთ, შესამისგან განთავისუფლებით ნაწლავებში მოხვედრამდე.

გამოყენება: ჰელმინტები, კუჭ-ნაწლავის აშლილობები, მოწამლვა; პარაზიტების, გულისრევისა და პირღებინების საწინააღმდეგო საშუალებაა. ჰომეოპათიაში იყენებენ ბრონქებიდან ლორწოვანი ნახველის ამოსაღებად, კუჭ-ნაწლავის ინფექციების, ფალარათის, ციებ-ცხელების, ტიფისა და პარატიფის შემთხვევაში.

უკუქმედება: პრეპარატის მაღალი დოზები იწვევს კანის, თვალებისა და სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსის გაღიზიანებას, პირღებინებას.

**კანიტო (ვარსკვლავის ვაშლი, რძის მკერდი, ოქროს ხე)  
– Chrysophyllum cainito L.  
ოჯ. საპოტასებრნი - Fam. Sapotaceae**



**მორფოლოგია:** 20 მ-მდე სიმაღლის ხეა ლამაზი გადაშლილი ვარჯით, ხის ქერქი რძის წვეწვს შეიცავს. ფოთლები 16 სმ-მდე სიგრძისაა, მორიგეობითი, ტყავისებრი, ოვალური, მოკლე წვეტით, კიდემთლიანი, ზედა მხარეს პრიალა მწვანე, ქვემოდან - მოწითალო-ყავისფერი. მზის სხივებზე ფოთლები ოქროსფერია,

აქედანაა მისი დამატებითი სახელწოდება - “ოქროს ხე”. ყვავილები მცირე ზომისაა, 5-30-ის რაოდენობით ფოთლისეულ უბებში ყვავილედებადაა შეკრებილი, გვირგვინი მილისებრია, 5-ნაკვთიანი, მომწვანო-მოყვითალო ან ბაცი იისფერი. ნაყოფი მსხვილია, მომრგვალო ან კვერცხისებრი 10 სმ-მდე დიამეტრის, პრიალა, მწვანე ან მოყავისფრო-იისფერი ქერქითა და ტკბილი თეთრი რბილობით, შეიცავს 8 თესლს, რომლებიც სათესლე ბუდეებში სხედან, განივ განაჭერზე წარმოქმნის დამახასიათებელ ვარსკვლავისებრ ნახატს.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ ცენტრალურ ამერიკას მიიჩნევენ, თუმცა ბოტანიკოსთა აზრი არაერთგვაროვანია. იზრდება სამხრეთ მექსიკაში, პანამაში, არგენტინაში, პერუში, გვატემალაში, კარიბის კუნძულებზე, იამაიკასა და ფილიპინებზე. როგორც დეკორატიულ მცენარეს ამრავლებენ დას. აფრიკის ტერიტორიაზე, ზანზიბარსა და ინდოეთის თბილ რაიონებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფის სქელი ქერქი მთელი მასის 30% მოიცავს, შეიცავს მწარე ნივთიერებას რძე-წვეწვს (ლატექსს). ნაყოფი მდიდარია რკინით, კალციუმით, ფოსფორით, ასკორბინის მჟავით, მცენარეული ცილებითა და ამინომჟავებით.

საკვებად ხილის სახით გამოიყენება მხოლოდ ნაყოფის რბილობი, მისგან ამზადებენ წვენებს, დესერტებს, ჟელესა და სხვ.

ხალხურ მედიცინაში მწიფე ნაყოფებს იყენებენ სხვადასხვა დაავადებებისას; შველის ლარინგიტსა და გაციებას, შაქრიან დიაბეტს; ქერქისა და ფოთლების ნახარში ამოსახველებელი ეფექტით ხასიათდება; დაქუცმაცებული თესლები – მატონიზირებელი მოქმედებისაა; ნაყოფის მშრალი ლატექსი ძლიერი ჭიისმდენი საშუალებაა; მიიღება სიცხის დამწვევ, შარდმდენ საშუალებად და დიზენტერიის სამკურნალოდ. მოუძწიფებელი ნაყოფები კუჭის აშლილობისას გამოიყენება.

**უკუქმედება:** არ აღინიშნება.

**კაიპუტის ხე, თეთრი ჩაის ხე – *Melaleuca cajuputi* Powell.  
ოჯ. მირტიცებრნი - Fam. Myrtaceae**



**მორფოლოგია:** 30 მ-მდე სიმაღლის უხვად შეფოთილი მარადმწვანე ხეა; ხის ტანი დაფარულია თეთრი ქერქით, რომელიც ადვილად სცილდება. ფოთლები მოგრძო ლანცეტაა, გლუვი, მუქი მწვანე, ხეშეში. ყვავილები თეთრია, წვრილი, ჯგუფ-ჯგუფადაა შეკრებილი მტევნისებრ ყვავილეებად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ინდონეზიაში, მალაიზიაში, ფილიპინებზე, ვიეტნამში, იავაზე, ავსტრალიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღმოსავლეთში ტრადიციულად კაიპუტის ფოთლების ნახარში ჩაის სახით პოპულარულია გაციების, თავისა და კბილის ტკივილების, ციებ-ცხელების, რევმატიზმის და კანის სხვადასხვა დაავადებებისას.

ნედლი ფოთლებიდან და ყლორტებიდან დისტილირების მეთოდით მიიღება კაიპუტის არომატული ზეთი; ეთერზეთები მოყვითალო-მწვანე შეფერილობისაა ქაფურის არომატით, ევკალიპტის ეთერზეთებთან შედარებით გამოირჩევა ხილის მსუბუქი ნოტიო. შეიცავს ცინეოლს (14-65%), ტერპენოლს, ტერპენილაცეტატს, პინენს, ნეროლიდოლს.

დასავლურ მედიცინაში ზეთი გამოიყენება როგორც გამათბობელი და პულსის ამაჩქარებელი საშუალება, აგრეთვე იხმარება

ლარინგიტის, ბრონქიტის, ცისტიტის, რევმატიზმისა და მუცლის ჭიების საწინააღმდეგოდ.

ხასიათდება გამაუმტკივნეული, მიკრობების საწინააღმდეგო, ანტისპაზმური, ანტისეპტიკური, შარდმდენი, ქარმდენი, ამოსახველველი, ჭრილობების შემახორცებელი, ინსექტიციდური, მატონიზირებელი მოქმედებით.

შინაურ პირობებში იყენებენ მწერების ნაკენების, ართრიტის, სახსრების ტკივილისა და რევმატიზმის საწინააღმდეგოდ. სასარგებლოა შარდ-სასქესო და სასუნთქი სისტემების ინფექციისას.

ფარმაცევტულ წარმოებაში იხმარება როგორც ანტისეპტიკი და ამოსახველველი საშუალება. იყენებენ პარფიუმერიაში და კოსმეტიკაში, კვებით მრეწველობაში უალკოჰოლო სასმელების დასამზადებლად.

**უკუქმედება:** არატოქსიკურია, მაგრამ მაღალი კონცენტრაცია იწვევს კანის გაღიზიანებას.

**კაკაოს ან შოკოლადის ხე - *Theobroma cacao* L.  
ოჯ. სტერკულიასებრნი - Fam. Sterculiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 10-15 მ სიმაღლის ხეა, წარმოქმნის ქვეტყეს ტროპიკულ ტყეებში. ფოთოლი მსხვილია, კიდემთლიანი. ყვავილები წვრილია, ვარდისფერი, ვითარდება კონებად ვარჯის ზედაპირზე, ხშირად თვით ფუძესა და ქვედა მსხვილ ტოტებზე. ეს

მოვლენა დამახასიათებელია ტროპიკული ტყეების სხვა მცენარეებისათვისაც და წარმოადგენს ბიოლოგიურ შემგუებლობას პეპლების დამტვერვისათვის, ვინაიდან პეპლები დაბლა ფრენენ და არ შეუძლიათ ხის წვერამდე ასვლა, მაგრამ ყველა ყვავილის დამტვირინება არ ხდება და ხეზე ვითარდება მხოლოდ 20-50-მდე ნაყოფი. მსხმოიარობს მე-3-4 წლიდან, მაგრამ ყველაზე დიდ მოსავალს მე-8-10 წელს იძლევა. ნაყოფი მსხვილია, მოგრძო, 15-25 სმ სიგრძის, წვნიანი, სქელი ქერქით, ყვითელი ან მოწითალო-ყვითელი შეფერილობის. ქერქების დარბილების მიზნით შეგროვილ ნაყოფებს აწყობენ ჯგუფებად, შემდეგ ხსნიან და იღებენ თესლებს. 5 ბუდეში 50-60 თესლია განვითარებული, შემოხვეულია ვარდისფერი მომჟავო-მოტკბო რბილობით, რომელიც ადვილობრივი მოსახლეობის მიერ საკვებად გამოიყენება. 1 ხე 1-4 კგ-მდე თესლს იძლევა. ჯგუფურად ბადებში ინახავენ ვენტილაციისათვის, რის შემდეგაც თესლი იისფერ-ყავისფერ შეფერილობას ღებულობს, ხასიათდება ნაზი მოტკბო-ცხიმოვანი გემოთი და სასიამოვნო არომატით. ამის შემდეგ თესლებს სწრაფად აშრობენ; მშრალი და ახალი თესლები მოთეთრო შეფერილობისაა, მომწარო გემოთი და უსუნო. მათი ხარისხი დამოკიდებულია სწორ დამუშავებაზე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება;** ესპანელებმა სამხრეთ და ცენტრალური ამერიკის დაპყრობისას აღმოაჩინეს, რომ ტროპიკული ტყეების აბორიგენები - ინდიელები ფართოდ იყენებდნენ უცხო მცენარის თესლებს, რომლებსაც “კაკაუატლს” უწოდებდნენ (აქედან სახელწოდება “კაკაო”). მოხალულ თესლებს ასუფთავებდნენ ქერქოვანი გარსისაგან, ხარშავდნენ წყალთან ერთად, სრესავდნენ, უმატებდნენ სიმინდის ფქვილს, არომატიზაციისათვის ვანილს და თქვიფავდნენ, გაციებულ მასას მიირთმევდნენ. ეს იყო ღარიბი მოსახლეობის ყოველდღიური საკვები და მას უწოდებდნენ “ჩუკოლატლს” (სიტყვებიდან: ჩუკო-ქაფი, ატლ-წყალი). აქედან ევროპული სახელწოდება “შოკოლადი”. აღნიშნული პროდუქტი ძალიან მოეწონათ ევროპელებს და პირველ ხანებში ჩამოჰქონდათ ინდიელების მიერ დამზადებული სახით. კაკაოსა და შოკოლადის პოპულარობა გამოხატულია კ. ლინეს მიერ მოცემულ ბოტანიკურ



სახელწოდებაში “Theobroma”- რაც ბერძნულად ნიშნავს Theos – ღმერთი და bromia – საკვები.

ვინაიდან მოთხოვნილება შოკოლადზე მეტისმეტად დიდი იყო, დაიწყო მისი პლანტაციების გაშენება ჯერ სამხრეთ ამერიკაში, განსაკუთრებით ბრაზილიაში, ეკვადორში, კოლუმბიაში, შემდგომ ტროპიკულ დასავლეთ აფრიკაში, ნიგერიაში, ოქროს ნაპირებზე, გვინეის ყურის ირგვლივ მდებარე ოლქებში, კოტ-დივუარში, მალაიზიაში, კუნძულ შრილანკასა და ინდონეზიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** თესლი შეიცავს 45-55% ცხიმოვან ზეთებს, ცილოვან ნივთიერებებს, 1-2% თეობრომინს. მათ სრესენ მანქანებით და ახდენენ ცხელ დაწნეხვას კაკაოს ცხიმის მისაღებად. ცხელ ზეთს ფილტრავენ და ასხამენ ფორმებში, სადაც ოთახის ტემპერატურაზე ხდება მათი შესქელება. დარჩენილ კოპტონს ფქვავენ და იყენებენ როგორც კაკაოს ფხვნილს. შოკოლადის დასამზადებლად კაკაოს ფხვნილს უმატებენ კაკაოს ცხიმს, შაქარს, ვანილს, ზოგჯერ რძესა და სხვა ინგრედიენტებს და მასას ასხამენ ფორმებში.

კაკაოს ცხიმი წარმოადგენს ბაცი ყვითელი შეფერილობის ნაჭრებს, სასიამოვნო სუნით. ლღვება 30-34<sup>0</sup> - ზე, ანუ ადამიანის სხეულის ტემპერატურაზე უფრო დაბლა, რის გამოც გამოიყენება მედიცინაში 1710 წლიდან. შედის ყველა ფარმაცოპიაში. წვრილად დაჭრილი ცხიმი ირევა სამკურნალო საშუალებებთან და ადვილად ფორმირდება ბურთულაებად, ჯოხებად, სუპპოზიტორებად და სხვ. პრეპარატი თეობრომინი იხმარება როგორც დიურეზული საშუალება.

ნაყოფები დიდი რაოდენობით შეიცავს ბუნებრივ ანტიოქსიდანტურ ნივთიერებას – პოლიფენოლებს, რომელიც ამუხრუჭებს დაბერებას, აუმიჯობს კანის, თმების, ფრჩხილების მდგომარეობას, ამალღებს ორგანიზმის წინააღმდეგობის უნარს ინფექციური და ვირუსული დაავადებებისადმი. ნელლი ნაყოფები მდიდარია ბუნებრივი ანტიდეპრესანტებით – ტრიპტოფანით, ანანდამიდომით, ფენილეთილამინით, აგრეთვე მაგნიუმით, რომელიც ხელს უწყობს სისხლში სეროტონინის მაღალი დონის შენარჩუნებას. ამგვარად კაკაო მარგებელია ცუდი განწყობის, შეშფოთების, მოუსვენრობის,

დაბალი აქტიურობისა და ჩქარი დაღლილობისას. განსაკუთრებით სჭირდებათ ცივ და ღარიბ რეგიონებში მაცხოვრებლებს, ადამიანებს მძიმე დავადებებით, ფეხმძიმე ქალებს და ბავშვებს.

**უკუშემდება:** შეიძლება გამოიწვიოს ალერგიული რეაქციები; უკუმაჩვენებელია შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის.

**კალანპოე – *Kalanchoe pinnata* (Lam.) Pers.  
(*Bryophyllum pinnatum* (Lam.) Kurs)  
ოჯ. მსუქანასებრნი – Fam. Crassulaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, სუკულენტური, მარადმწვანე ბალახოვანი 50-60 სმ-მდე სიმაღლის, მოკლედ დატოტვილი ფესვიანი მცენარეა, სწორმდგომი, ქვედა ნაწილში თითქმის ცილინდრული, ზედა ნაწილში - მომრგვალო-ოთხწახნაგოვანი ღეროთი. ფოთლები მოპირისპირედაა განწყობილი, მოკლეყუნწიანია, ხორცოვანი, სქელი, დაღარულ-დაკბილული, ბაცი მწვანე, მოწითალო ელფერით, ხშირად წითელი არშიით, ქვედა - მარტივი, ელიფსური ან კვერცხისებრია, ზედა - რთული, სამნაკვთიანი ან ფრთისებრი, 3-5 მოგრძო, უკუკვერცხისებრი ფოთოლაკითა და მოკლე ყუნწით. ყვავილი ორსქესიანია, ოთხწევრიანი, საგველა ყვავილედად შეკრებილი; ჯამი ტყავისებრია, ბაცი მწვანე, შეზრდილფოთლიანი, ზარისებრი,

ფართო სამკუთხა კბილებით; გვირგვინი ფურცლებშეზრდილია, მოწითალო, წაგრძელებული კბილებითა და მოგრძო კვერცხისებრი მილით. ნაყოფი ფოთლურაა, მრავალი წვრილი შავი ფერის თესლით.

ყვავილობს ზამთარში, იშვიათად და არარეგულარულად. მცენარისათვის დამახასიათებელია ფოთლების კიდეებზე ჩეკია კვირტების წარმოქმნა, რომლებიდანაც ახალი ინდივიდები ვითარდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ტროპიკულ აფრიკაში, მადაგასკარზე, მწვანე კონცხის, კომორისა და რეუნიონის კუნძულებზე. ნატურალიზებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიის ტროპიკებში, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში, ავსტრალიაში, ჰავაის, ბერძუნისა და ბაჰამის კუნძულებზე.

ფართოდ გავრცელებული ოთახისა და საორანჟერეო კულტურაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალოდ გამოყენებულია ნელი, ლეგა-მწვანე შეფოთლილი ყლორტები (*Cornus Kalanchoea recens*), რომლისგანაც წვენს ღებულობენ. წვენი ყვითელი შეფერილობისაა, ნარინჯისფერი ელფერი და არომატით. სტერილიზებულია, ინახავენ არა უმეტეს 100<sup>0</sup> ტემპერატურაზე. შენახვის ვადა 1 წელია.

მიწისზედა ნაწილები (ფოთლები და ღეროები) შეიცავს პოლისახარიდებს (1,2 %), მთრიმლაგ ნივთიერებებს (0,032%), ნაცარს (1,4%), ფლავონოიდებს (კვერცეტინს, კემპფეროლს), ორგანულ მჟავებს (ვაშლის, მჟაუნას, ლიმონის, იზოლიმონის, ძმრის, და სხვ.), ფერმენტებს, მაკრო და მიკროელემენტებს (Fe, Mg, Cu, Al, Ca, Mn), ვიტამინებს - C, P და სხვა ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს.

კალანჰოეს წვენი ხასიათდება ანტიესპტიკური, ანთების საწინააღმდეგო, სისხლშემამჩერებელი, ჭრილობების შემახორცებელი და მატონიზირებელი მოქმედებით; ხელს უწყობს დამწვრობის დროს სწრაფ შეხორცებას, ქსოვილების აღდგენას, პათოგენური მიკროორგანიზმების განადგურებას, წარმოადგენს ადამიანის ქსოვილების რეგენერაციის ძლიერ სტიმულიატორს. მის

საფუძველზე მომზადებული წამლები გამოიყენება გაციების, სხვადასხვა სახის წყლულების, ჭრილობების, დამწვრობების, აბსცესის, ფურუნკულოზის, ოსტეომიელიტების, ვარიკოზის, კანის ნახეთქების, საშვილოსნოს ყელის ეროზიის, პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ანთების, ყურების, ყელისა და ღრძილების დაავადებებისას. კალანჰოეს წვენი შედის აგრეთვე მალამოებისა და სხვა კოსმეტიკურ საშუალებებში, რომლებიც კანის მოვლისთვისაა განკუთვნილი.

მედიცინაში მისი პრეპარატები გამოიყენება ქირურგიაში, სტომატოლოგიაში, გინეკოლოგიაში, ოტოლარინგოლოგიასა და ოფთალმოლოგიაში, კოსმეტოლოგიაში.

ხალხურ მედიცინაში წვენი და მალამო იხმარება გარეგანი სახით ძნელად შესახორცებელი ჭრილობების, დამწვრობების, ნაწოლების, ტროფიკული წყლულების დროს; გამოიყენება სტომატოლოგიასა და გინეკოლოგიურ პრაქტიკაში. გარდა ამისა წვენს შინაგანად ღებულობენ ხველების, კუჭისა და თირკმელების ანთებითი პროცესების დროს, აწვეთებენ ცხვირში სურდოსა და ჰაიმორითის სამკურნალოდ.

**უკუქმდება:** უკუმაჩვენებლია ფეხმძიმობა, გლომერულონეფრიტი, სახსრებისა და ღვიძლის დაავადებების (განსაკუთრებით ჰეპატიტი და ღვიძლის ციროზი) და რევმატიზმი, ინდივიდუალური შეუთავსებლობა.

**კალიზია, ოქროს უღვაში – *Calisia fragrans* (Lindl.) Woods.  
ოჯ. კომელინასებრნი - Fam. Commelinaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა ორი ტიპის ყლორტებით, ერთი – სწორმდგომია, ხორცოვანი, 70-80 სმ-დან 2 მ-მდე სიმაღლის, ნორმალურად განვითარებული ფოთლებით, რომლებიც სიმინდის ფოთლებს მოგვაგონებს, სიგრძით 20-30 სმ, სიგანით 5-6 სმ-ია, მეორეა – ჰორიზონტალური, ღიანისებრი გამონაზარდები, მუხლმორისებრი ყლორტები – ე.წ. უღვაშები, რომლებიც ბოლოვდება ახალგაზრდა ფოთლისეული როზეტით, რითიც მრავლდება. ყვავილობს საკმაოდ იშვიათად, ყვავილები წვრილია, ნაზი და სასიამოვნო არომატის, შეკრებილია მუხლმორისებში კონებად.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ისტორიული სამშობლო ცენტრალური (მექსიკა) და სამხრეთ ამერიკის ტროპიკული და სუბტროპიკული ოლქებია. კულტივირებულია მრავალ ქვეყანაში ოთახის კულტურის სახით.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** მნიშვნელოვანი სამკურნალო მცენარეა. სამკურნალოდ მცენარის ის ყლორტები ანუ უღვაშები გამოიყენება, რომელსაც არა ნაკლებ 7 მუხლმორისი გააჩნია.

უძლიერესი ბიოგენური სტიმულიატორია, მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, მინერალებითა და ვიტამინებით, შეიცავს კაროტინოიდებს, ფლავონოიდებს (კვერცეტინსა და კემპფეროლს), სტეროიდებს

(ბეტასიტოსტეროლს), პექტინებს, კატეხინებს, მორიმლაკ ნივთიერებებს (ტანიდებს), ნიკოტინის მჟავას. მდიდარია ისეთი მნიშვნელოვანი მიკროელემენტებით, როგორცაა: K, Ca, V, Mg, Fe, Co, Ni, Cu, Zn, Gl, Br, Str. To, Ur.

ხალხურ მედიცინაში კალიზიას პრეპარატებს ხშირად ოჯახურ ფენშენს უწოდებენ; ითვლება, რომ მის საფუძველზე დამზადებული წამლები წარმატებით ხსნის სხვადასხვა ლოკალიზაციის ტკივილებს, აღმოფხვრის ქავილს, ახორცებს ჭრილობებს, კურნავს კუჭ-ნაწლავის, ნაღვლის ბუშტის, ელენთის, ფილტვების, კიბოსა და ალერგიულ დაავადებებს. თუმცა ხალხური მკურნალები პაციენტებს იქვე აფრთხილებენ, რომ პანაცეად არ უნდა იქნეს მიღებული აღნიშნული მცენარე.

აშშ-ში და კანადაში ჩატარებული გამოკვლევებით მეცნიერებმა დაადგინეს, რომ კალიზია შეიცავს ისეთ აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც ხელეწიფება მოახდინოს კიბოს უჯრედების განვითარების დამუხრუჭება; ანალოგიური გამოკვლევები ჩატარდა რუსეთში ირკუტსკის სამედიცინო ინსტიტუტში 1980-იან წლებში. მრავალრიცხოვანი ცდების შედეგად დადგინდა, რომ მცენარე ნამდვილად გამოირჩევა მრავალმხრივი სამკურნალო თვისებებით, ამზადებენ ნაყენებს, ნახარშებსა და მალამოებს.

ამგვარად, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მაღალი შემცველობიდან გამომდინარე, კალიზიას შესწევს უნარი გაუმკლავდეს სხვადასხვა სახის ინფექციებს, ასტიმულიროს ნივთიერებათა ცვლის პროცესები, გაამაგროს სისხლძარღვების სისტემა და იმუნიტეტი, ხელი შეუწყოს ორგანიზმიდან შლაკების გამოყოფას; ამავდროულად გამოირჩევა ტკივილგამაყუჩებელი, ჭრილობების შემახორცებელი და სიმსივნეების საწინააღმდეგო მოქმედებით; მას იყენებენ შაქრიანი დიაბეტის, ლეიკოზის, ქრონიკული პანკრეატიტის, ოსტეოზონდროზის, ქალური დაავადებების სამკურნალოდ, კუჭქვეშა ჯირკვლის ფუნქციის აღსადგენად, ელენთის, ნაღვლის ბუშტისა და ნაღველსადინარი გზების, კუჭის, წვრილი ნაწლავების, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მჟავურ-ტუტოვანი შემადგენლობის ნორმალიზაციისათვის, ნახველის დაშლისათვის, ჰიპერსეკრეციის დასაქვეითებლად;

გარეგანი გამოყენება იძლევა ტროფიკული წყლებების შეხორცების ეფექტს, ამშვიდებს სხვადასხვა სახის ტკივილებს, მათ შორის ღრმა სიდამწვრისას, ახორცებს მათ, კურნავს მოყინულ კიდურებს და კანის მთელ რიგ დაავადებებს.

სადღეისოდ სულ უფრო მეტად იზრდება მეცნიერული მედიცინის ყურადღება ამ მცენარისადმი.

**უკუქმედება:** ახალი მონაცემებით კალიზიის გამოყენება უკუმაჩვენებელია თირკმელების დაავადებებისა და პროსტატის ადენომის დროს. ნაყენებისა და ნახარშების გადაჭარბებული მიღება იწვევს ხმის ჩახლენვას, რომლის აღდგენა გართულებულია.

**კამელა – *Camellia sinensis* (L.) Kuntze**  
**ოჯ. ჩაისებრნი - Fam. Theaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქია ან მცირე ზომის 8-10 მ-მდე სიმაღლის ხე. ფოთლები მოკლე ყუნწიანია, ოვალური ან ფართოელიფსური ფორმის, შიშველი, ტყავისებრი, კიდეხერხებილია, მუქი მწვანე შეფერილობის. ყვავილები მსხვილია, მარტოული, განწყობილია ტოტების ბოლოებზე ან უბებში. ნაყოფი მომრგვალო ან ოვალური, მობრტყო სხნადი კოლოფია. ყვავილობს ნოემბრიდან მაისამდე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის (ინდონეზიით)

ტროპიკული და სუბტროპიკული რაიონების მთიან ტყეებში; ამჟამად ფართოდაა კულტივირებული ჩინეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ინდონეზიაში, შრი-ლანკაში, აფრიკაში (კენია და ნატალუ), სამხრეთ ამერიკაში, სამხრეთ ინგლისში, პორტუგალიაში, სიცილიაში, დასავლეთ საფრანგეთში და დასავლეთ საქართველოში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გამოირჩევა დეკორატიული და საკვები მნიშვნელობით. ფოთლებიდან რთული დამუშავების შედეგად მიიღება ცნობილი მშრალი ჩაის ფხვნილი, რომლისგანაც ჩაის სასმელს ამზადებენ. ჩაის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მთრიმლაკი ნივთიერებები, კოფეინი და ეთერზეთები; მათზეა დამოკიდებული კამელიის ჩაის გემო, ფერი, არომატი და სამკურნალო თვისებები.

ფოთლები შეიცავს მთრიმლაკ ნივთიერებებს, ფისებს, ნუკლეოპროტეინებს, რკინას და მანგანუმს, მთრიმლაკ ნივთიერებებს, ალკალოიდებს – 3% კოფეინს, თეოფილინს, თეობრომინს, ქსანთინს, ადენინს, ჰიპოქსანთინს, პარაქსანთინს, მეთილქსანთინს, იზატინს, ფლავონოიდებს – კემპფეროლს, კვერცეტინს, კვერცენტრინს, იზოკვერცეტრინს, რუტინს, კუმარინებს, ასკორბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს, ეთერზეთებს. ღეროში, ფესვებსა და თესვებში აღინიშნება სტეროიდული საპონინები, თესვებში – ცხიმზეთები, სახამებელი, სტერინები, ცილები.

ჩაის დამამზადებელ ფაბრიკებში დამუშავებისას გამოყოფილი კამელიის ჩაის მტკერი, ფოთლებისა და ტოტების ნაწილი გამოიყენება ალკალოიდების – კოფეინისა და თეოფილინის მისაღებად, რომლებიც მნიშვნელოვანი სამკურნალო საშუალებებია. კოფეინი იწვევს აღმგზნებ და მატონიზირებელ მოქმედებას ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, აუმჯობესებს გონებრივ და ფიზიკურ მდგომარეობას, არის შარდმდენი, მიგრენის ტკივილების მომხსნელი საშუალება. თეოფილინი იხმარება კორონარული სისხლძარღვების გასაფართოებლად, სისხლის მიმოქცევის დარღვევებისას. ჩაის ალკალოიდები შედის პრეპარატ ეუფილინის, დიურეტიკისა და სხვ. შემადგენლობაში.



თესლიდან ღებულობენ უმაღლესი ხარისხის ეთერზეთებს, გამოიყენება საპარფიუმერიო წარმოებაში.

ჩინურ ტრადიციულ მედიცინაში ფოთლები იხმარება ჭრილობების შესახორცებლად, გემატომების, კუჭის აშლილობის, დიზენტერიის, გადაღლილობის, მალარიის, ტოქსიკური ანემიის, სიმსივნეებისა და ეპილეპსიის დროს. ყვავილები ხასიათდება შემკვრელი, ანტიჰემორაგული და მატონიზირებელი მოქმედებით. ნახარში მიიღება სისხლიანი ხველებისა და სხვა სისხლდენებისას. ფესვები საუკეთესო საშუალებაა სისხლიანი ფალარათის დროს.

**უკუშქმედება:** მცენარე მცირედ ტოქსიკურია.

### **კარდამონი - *Elettaria cardamomum* White et Maton**

**ოჯ. ჯანჯაფილისებრნი – Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი 3-4 მ სიმაღლის ტროპიკული ბალახოვანი მცენარეა მხოხავი ფესვებითა და მსხვილი ფესურით; ინვიტარებს 2 ღეროს, ერთი ვეგეტატიურია, ფოთლისეული, მეორე - მხოხავი, გენერატიული. ფოთლები ფართო ლანცეტაა, გრძელი (60 სმ). ყვავილი მარტივ ყვავილსაფრიაანია, შუბისებრი, ბაცი მწვანე ფურცლებით, შეკრებილია მცირე ზომის მტევნისებრ ყვავილედად. ნაყოფი კოლოფია, დაფარულია ტყავისებრი მწვანე ფერის ქერქით, მათი გასკდომის თავიდან ასაცილებლად აგროვებენ მოუმწიფარ კოლოფებს; მშრალი კოლოფები ჩალისფერ-ყვითელი შეფერილობისაა, 1-2 სმ სიგრძის, ერთბუდიანი, მტვრევალი, უგემო და უსუნო, შეიცავს მრავალრიცხოვან თესლებს; თესლი 5 მმ

სიგრძისა და 3 მმ სიგანისაა, კუთხოვანი, დანაოჭებული, მურა, არომატული, სასიამოვნო მწკავე გემოთი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლოდ შრი-ლანკასა და სამხრეთ ინდოეთის მარადმწვანე მთიანი ტყეები ითვლება. დღემდე ეს ტერიტორიებია კულტურის წარმოების ძირითადი ცენტრები. ასე მაგ.: მხოლოდ ინდოეთი ახდენს ამ სანელების ექსპორტს მსოფლიოს 60 ქვეყანაში. ინდოეთის გარდა კულტივირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ლაოსში, ახალ გვინეაში, გვატემალაში, კამბოჯაში, ტანზანიაში, ცენტრალურ ამერიკაში, სალვადორსა და ვიეტნამში.

მისი მომხმარებელი უმთავრესად არაბული ქვეყნებია, იქ ყავას კარდამონს უმატებენ. ზოგჯერ მას აქუცმაცებენ, უმატებენ შაქარს და ხარშავენ, როგორც ამბობენ უგემრიელესი სასმელია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ტრადიციული, ერთ-ერთი უძვირფასესი ინდური სანელებელია.

კარდამონის სამკურნალოდ გამოყენება ახალ ერაძღე მეზუთე საუკუნიდან იწყება. სამკურნალო ნედლეულს თესლები წარმოადგენს. შეიცავს 4-8% ეთერზეთებს, რომლის შემადგენლობაშია ლიმონენი, ტერპინოლი, ბორნეოლი, მათი რთული ეთერები და ცინეოლი, აღინიშნება მინერალური მარილები (K, Fe, Ca, Na, P, Mg), სახამებელი, ნიაცინი, ვიტამინები A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>. ნაყოფებს ინახავენ ხელშეუხებლად (თესლებს არ აცილებენ კოლოფებს).

ძველ დროში მას პანაცეად მიიჩნევდნენ ყველა ავადმყოფობისაგან. ტრადიციულ ინდურ მედიცინაში იყენებდნენ სიმსუქნისა და კანის დაავადებების საწინააღმდეგოდ. ტრადიციულ ჩინურ მედიცინაში მიიჩნევენ პირველხარისხოვან საშუალებად ნაწლავური დაავადებებისა, მხედველობის გასაუმჯობესებლად, იმუნიტეტისა და ნერვული სისტემის გასაძლიერებლად.

გამოიყენება რევმატიზმის, ეპილეპსიის, დამბლის, გულის დაავადებების სამკურნალოდ და როგორც ქარმდენი, მადის აღმგზნები და შარდმდენი საშუალება, აგრეთვე წამლების გემოსა და სუნის გასაუმჯობესებლად.

ჩვენს დროში მსოფლიო მედიცინის თანასაზოგადოების მიერ

კარდამონი რეკომენდებულია მაღალი ტემპერატურის (როგორც ანტისეპტიკი), ლარინგიტის, ბრონქიტის და პნევმონიის სამკურნალოდ. ამავდროულად მისი საშუალებით შესაძლებელია ბრონქებისა და ფილტვების ეფექტური გასუფთავება, რისთვისაც კარდამონი უნდა დაემატოს შემწვარ ხილს. არტერიალური წნევის რეგულირებისა და გულის კუნთის გამაგრებისათვის რეკომენდებულია კარდამონის ექსტრაქტი. ასევე ითვლება, რომ ეს სანელებელი ნატურალური წარმოშობის ეფექტური აფროდიზიაკია, რომლის წყალობითაც მამაკაცებში არსებითად უმჯობესდება პოტენცია. მარგებელია ნერვოზებისა და სტრესების დროს. როგორც უძველესი სამედიცინო ძეგლი ჯანმრთელობის შესახებ – აიურ-ვედა ამტკიცებს, რომ კარდამონის მიღებით მოიპოვებთ სიმშვიდეს, სიმსუბუქეს და ბედნიერებას, აქტიურობას და ტვინის სისხარტეს.

ამჟამად არომათერაპიაში მეტად პოპულარულია კარდამონის ზეთი, იყენებენ კუჭის სპაზმოლიტურ, გამამხნეველ და გასათბობ საშუალებად. აუზჯობესებს პერიფერიულ სისხლძარღვებში სისხლის მიმოქცევას (ცივი კიდურები). ხველების დროს ურჩევნ ინჰალაციების სახით გამოყენებას.

**უკუქმედება:** ჭარბი გამოყენება იწვევს სექსუალური მიზიდულობის დაქვეითებას. სიფრთხილე მართებთ კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლულით დაავადებულებებს.

**კერატი, კერობი - *Ceratonia siliqua* L.**  
**ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე, 10 მ-მდე სიმაღლის ხეა ფართო ვარჯითა და მოგრეხილი ტოტებით. ყვავილები წვრილია, შეკრებილია მტევნებად; ნაყოფი პარკია – ჭოტი, 10-25 სმ სიგრძის, 2-4 სმ სიგანისა და 0,5-1 სმ სისქის, პრილა, მუქი ყავისფერი, ნაყოფის რბილობი წვნიანი და ტკბილია, გარეგანად პურის ნაჭერს მოგვაგონებს, რის გამოც ცნობილია “იოანეს პურის” სახელითაც. შეიცავს თესლებს, რომლებიც ერთი საოცარი თვისებით გამოირჩევა, თითოეული მათგანი 200 მგ წონისაა, მყარია, მოშავო-მოყავისფრო შეფერილობის. ყვავილობს თებერვლის ბოლოს, ნაყოფმსხმოიარობს მაისში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო პალესტინაა, გავრცელებულია ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში: ეგვიპტეში, ესპანეთში, იტალიაში, კვიპროსზე და სხვ. ძველ საბერძნეთში მას ეგვიპტურ ლეღვს უწოდებდნენ.

თესლებს ძველ დროში წონის ერთეულად იყენებდნენ იუველირები და აფთიაქარები, ცნობილი სახელით “კარატი”, რომელიც წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან keration – ასე უწოდებდნენ კერატის ხის თესლებს (როგორც ცნობილია ერთი კარატი 200 მგ-ის ტოლია). თვით ბიბლიაშიც მოიხსენიება კერატის ხე, თითქოსდა იოანე ნათლისმცემელი უდაბნოში ყოფნისას მისი ნაყოფებით იკვებებოდა. ძველი ეგვიპტელები შაქრის შემცველად

იყენებდნენ; მუხამედის არმიაში კი მისი ნაყოფები გარკვეული დროის მანძილზე ძირითად საკვებს წარმოადგენდა.

მცენარეზე არ აღინიშნება მავნებლები და დაავადებები, რის გამოც ბევრ ქვეყანაში "სალრმთო მცენარედ" მიიჩნევა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კერატის ნაყოფები მიეკუთვნება ნატურალურ და ჯანმრთელ პროდუქტებს. ნედლი ნაყოფი მწკლარტე გემოსია, რის გამოც ახლად მოკრეფილი საკვებად გამოუსადეგარია; აგროვებენ მოუმწიფებლებს და განალაგებენ მიწაზე, რის შემდეგაც მზის სხივების გავლენით მწიფდება და ხდება ძალიან ტკბილი და გემრიელი. იზრაელში მონალული ნაყოფიდან ამზადებენ ფხვნილს, რომელიც გემოვნებით კაკაოს მსგავსია, იყენებენ საკონდიტრო წარმოებაში, მის საფუძველზე კეთდება კანფეტები, ტკბილი ფილები და ბუტერბროდისათვის სპეციალური ტკბილი პასტები; კაკაოსი და შოკოლადის ნატურალური ანალოგია.

ნაყოფები შეიცავს 80% ცილებს, შაქრებს, სასარგებლო ვიტამინებს (A, B, B<sub>1</sub>, B<sub>3</sub>, D), მინერალურ ნივთიერებებს - ფოსფორს, კალიუმს, მაგნიუმს, რკინას, სპილენძს, ნიკელს, ბარიუმს, ნახშირწყლებს..

ნაყოფებისაგან ამზადებენ ყავას (კარობს), მურაბას, შოკოლადს, სასარგებლო შაქარს, სიროფებსა და სპირტს. კვიპროსზე მისი რქისაგან დამზადებულ სიროფს უწოდებენ "კვიპროსის ვიაგრას", ხასიათდება სასწაულთმოქმედი თვისებებით, ღებულობენ ჭამამდე 20 წუთით ადრე. კერობს სთავაზობენ დიაბეტით დაავადებულებსა და ჭარბწონიანებს.

**უკუქმედება:** არ გააჩნია.

**კიგელია, ძეხვის ხე - *Kigelia pinnata* (= *K. africana*)  
ოჯ. ბიგნონიასებრნი - Fam. Bignoniaceae**



**მორფოლოგია:** ლამაზი ფოთოლმცვენი ხეა, 12 მ-მდე სიმაღლისა და 9 მ-მდე გარშემოწირული ხშირი ვარჯით. ფოთლები გვაღვების დროს ცვივა, წვიმების სეზონის დადგომისას კი კვლავ ინვითარებს ნორჩ მწვანე ყლორტებს. ყვავილები, ფოთლებისაგან განსხვავებით, წლის მშრალ სეზონზე წარმოიქმნება; დღისით მოსვენების სტადიაშია, საღამოს დადგომისთანავე კი იშლება მსხვილ მეწამულ ყვავილებად და მთელი ღამის განმავლობაში საოცარი სილამაზით გამოირჩევა. მხოლოდ ერთი ღამე გრძელდება მათი ყვავილობა და დამტკვერიანება, დღლით უმრავლესი მათგანი ცვივა, რჩება ის ნაწილი, რომლისგანაც წარმოიქმნება ნაყოფები. ამ პროცესს კი სულ რამდენიმე დღე სჭირდება. ყვავილები უსიამოვნო სუნით გამოირჩევა, მაგრამ იზიდავს ბუნებრივ დამამტკვერიანებლებს: ნექტრის ჩიტებსა და პატარა ღამურებს. მცენარემ ძეხვის ხის სახელწოდება მიიღო ნაყოფებიდან გამომდინარე, რომლებიც ძეხვის მსგავსია, 60 სმ-მდე სიგრძისა და 20 სმ-მდე სიგანის, გრძელყუნწიანი, ჩამოკიდებული, მაგარი კანით და მრავალრიცხოვანი თესლით, რომელიც ძლიერ შხამიანია. თესლების მისაღებად ნაყოფს 2-3 თვის განმავლობაში კარგად აშრობენ, შემდეგ კი ხერხით ან ცულით ამტვერვენ.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** მონოტიპური გვარია

ტროპიკულ აფრიკაში ერთადერთი სახეობით. იზრდება აფრიკის ეკვატორულ ნაწილში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფის ქერქიდან ამზადებენ განსაკუთრებული მოქმედების ალკოჰოლურ სასმელს. მათში არსებული ფერმენტები ხელს უწყობს დუდილის პროცესს. საკვებად გამოსაყენებლად ნაყოფებს ამრობენ, ხრაკავენ, ახდენენ ფერმენტაციას.

ნედლი ნაყოფები შხამიანია; ხასიათდება ანტიბაქტერიული და ძლიერ გამოხატული სასაქმებელი მოქმედებით. მისი ექსტრაქტები აფრიკულ ხალხურ მედიცინაში გამოიყენება დიზენტერიის, მალარიის, დიაბეტის, ბუასილის, პნევმონიისა და კბილის ტკივილების სამკურნალოდ; კურნავენ რევმატიზმს, რადიკულიტს, გველის ნაკბენებს. დამწვარი ნაყოფების ფერფლით მკურნალობენ ეგზემას, ფსორიაზს, კიბოსა და კეთრსაც კი. ზოგიერთ ტომში კიგელიის ნაყოფებს, როგორც ძირითად ინგრედიენტს, იყენებენ ვენერიული (ათაშანგი) და წყლულოვანი დაავადებების სამკურნალოდ.

სამრეწველო წარმოებაში ამზადებენ შამპუნებს, მაღამოებს, კრემებს და სახის კანის დამატენიანებლებს.

ნაყოფების ნახარში მშვენიერი წითელი საღებავია და მისით აფრიკელი მეომრები ბრძოლის წინ სახეს იღებავდნენ.

აღსანიშნავია, რომ ნაყოფებს სიამოვნებით მიირთმევენ ჰიპოპოტამები, ბაბუნები და ჟირაფები; თესლები თუთიყუშების სასუსნავია, ხოლო ფოთლები და ყვავილები სპილოებისა და ანტილოპების საკვები.

**უკუქმედება:** თესლები მაღალი შხამიანობით გამოირჩევა. გამოყენებისას სიფრთხილის დაცვაა საჭირო.

კივანო, “აფრიკული კიტრი”, “რქიანი ნესვი” –  
*Cucumis metuliferus E.Mey ex Naudin*  
ოჯ. გოგრისებრნი - Fam. Cucurbitaceae



**მორფოლოგია:** ერთწლოვანი ბალახოვანი ლიანაა, 3 მ-მდე სიგრძის წვრილი, მაგარი, ეკლებით დაფარული ყლორტებით. ნაყოფი პატარა ნესვის მსგავსია, ოვალურია, დაფარულია წაწვეტებული, კონუსური ფორმის რბილი ეკლებით; რბილობი ბაცი მწვანეა, ყელესებრი ტექსტურით და დიდი რაოდენობის თეთრი თესლებით, რომლებიც საკვებად ვარგისია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო აფრიკაა. კულტივირებულია ტროპიკული კლიმატის სხვა ქვეყნებში, უმთავრესად სამხრეთ ამერიკაში და ანტალიის კუნძულებზე. მაღალი ნაყოფმსხმოიარობიდან და ნაკლები მოვლიდან გამომდინარე დაიწყო მისი წარმატებული გამოზრდა იზრაელში, დიდ ბრიტანეთში, ახალ ზელანდიაში, იტალიაში, ბულგარეთსა და აშშ-ის ზოგიერთ შტატში. სელექციონერების მიერ სპეციალურად რუსეთის შუა სარტყლისა და სამხრეთი ნაწილისათვის გამოყვანილია ახალი ჯიში “მწვანე დრაკონი”, რომლის მოყვანა უკვე დაწყებულია.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** გემოთი რაღაც საშუალოა ბანანსა და კიტრს შორის, აქვს სასიამოვნო მომჟავო-ტკბილი გემო. მწიფე რბილობს საკვებად გამოყენების გარდა, უმატებენ სალათებს, დესერტებს, კრემებს, ტორტებს.



შეიცავს დიდი რაოდენობის ვიტამინებს (A, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>, B<sub>5</sub>, B<sub>6</sub>, B<sub>9</sub>, C), მაკროელემენტებს – ნატრიუმს, კალციუმს, კალიუმს, ფოსფორსა და მაგნიუმს, აგრეთვე მიკროელემენტებს – რკინას, სპილენძს, თუთიასა და მანგანუმს, ცილებს, ცხიმებს, ნახშირწყლებს, ნაცარს. წარმოადგენს დაბალ კალორიულ პროდუქტს, რის გამოც ხშირად გამოიყენება დიეტურ კვებაში. სასარგებლოა გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებისა და შაქრიანი დიაბეტისას. წებოვან რბილობს გარეგანად ხმარობენ დაჭრილი ადგილებიდან სისხლის შესაჩერებლად და ჩირქოვანი მიკროორგანიზმების ჭრილობაში მოხვედრის ასაცილებლად.

**უკუქმედება:** ეგზოტური ხილის ინდივიდუალური შეუთავსებლობა, სიფრთხილე მართებთ ალერგიული დაავადებისადმი განწყობილ პირებსაც.

**კივი - *Actinidia chinensis* Planch.**  
**ოჯ. აქტინიდიასებრნი - Fam. Actinidiaceae**



**მორფოლოგია:** მსხვილი მერქნოვანი ლიანაა, ღეროები სვიარაა, ქერცლიანი ქერქით, 10-12 მ-მდე სიგრძის. გვხვდება როგორც ბუჩქისებრი, ასევე მიწაზე გართხმული ფორმებიც. ყლორტი მოწითალო-ყავისფერია, პრიალა და ხაოიანი, დაფარულია მრავალრიცხოვანი მოგრძო და წერტილოვანი ჯირკვლებით. ფოთოლგანწყობა მორიგეობითია, ფოთლის ფირფიტა თხელია,

მთლიანი, კვერცხისებრი ან წაწვეტებულ - კვერცხისებრი, ორმაგხერხებილა, ზედა მხარეს – მუქი მწვანე, ოდნავ პრიალა, ქვედა - ჭუჭყისებრ-მწვანე, მქრქალი; ზოგჯერ ფოთლების კიდეებსა და წვერობზე აღინიშნება მეწამული წითელი შეფერილობა. ცალსქესიანი, ორსახლიანი მცენარეა. ყვავილები წვრილ საყვავილე ყუნწებზე სხედან, მოთეთრო-მოვარდისფრო შეფერილობისაა, ხუთწვერიანი, მრავალრიცხოვანი მტკრიანებით. ნაყოფი მოგრძო-ელიფსური, ბლაგვი, მომრგვალო, გლუვი, მწვანე, წვნიანი, მომჟავო-ტკბილი, არომატული და სასიამოვნო გემოს კენკრაა, მრავალრიცხოვანი (65-120-მდე) თესლით. ყვ. VI; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** უძველესი, მესამეული პერიოდის რელიქტია, რომელიც შემორჩა შორეული აღმოსავლეთის ტყეებში, უკავია რა არეალის უკიდურესი ჩრდილოეთის მდებარეობა. მიეკუთვნება სამხრეთ სუბტროპიკულ მცენარეთა რიცხვს; იზრდება აღმოსავლეთ და სამხრეთ - აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში: იაპონიაში, ჩინეთში, კორეაში, ჰიმალაის, ტაილანდის აღმოსავლეთ ნაწილში, კამბოჯაში, ნეპალსა და ბირმაში, სუმატრასა და იავას კუნძულებზე, ტაივანში, რუსეთის შორეულ აღმოსავლეთის ტყეებში.

კულტურაში ყველაზე მეტად ახალ ზელანდიაშია დანერგილი, სადაც პირველად XX ს-ის დასაწყისში ჩინეთიდან იქნა გადატანილი. 1970 - იანი წლებიდან ფართო მასშტაბით მისი მოშენება დაიწყო სხვა ქვეყნებშიც: აშშ (კალიფორნია), იტალია, საფრანგეთი, საბერძნეთი, ესპანეთი, სამხრეთ აფრიკა, იაპონია. აღსანიშნავია, რომ 1990 წლისათვის მთელ მსოფლიოში კივის ნარგაობებს 59 ათასი ჰა ეკავა, მოსავლიანობა 710 ათას ტონას შეადგენდა, ხოლო XX ს-ის ბოლოს მათი ფართობი - 2,5 ჯერ, მოსავლიანობა კი 4-7 - ჯერ გაიზარდა. დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად აჭარაში, კივის ნარგაობები ძირითადად კერძო მოყვარულებისა და მცირე მოცულობის საცდელ ფართობებზეა, იმ დროს, როდესაც მისი სამრეწველო პლანტაციების გაშენება, ქვეყნის ეკონომიკურად გაძლიერების რეალურ წყაროს წარმოადგენს.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კივის ნაყოფი გამოირჩევა ატმისმაგვარი სირბილით, სიტკბოთი და დამახასიათებელი სურნელით. მისგან ამზადებენ მრავალი სახის პროდუქციას, განსაკუთრებით ფართოდ იხმარება კულინარიასა და საკონდიტრო წარმოებაში - სხვადასხვა სახის კერძების, სალათების, კექსების, ტორტების, კრემების, მურაბების, ჟელეებისა და მარმელადის სახით; მზადდება მაღალხარისხოვანი ლიქორი, ღვინო, ნაყენი, ჩირი და სხვ.

ნაყოფები ასკორბინის მჟავის შემცველობით - 0,53-1,43 მგ% უახლოვდება ასკილს და ბევრად აჭარბებს ლიმონს, ფორთოხალსა და შავ მოცხარს. აღინიშნება 10 მგ%-მდე შაქრები, 2,5 მგ% ორგანული მჟავები, პექტინოვანი, მთრიმლავი და საღებავი ნივთიერებები, სახამებელი, ცილები, უჯრედისი, პროვიტამინი A და ვიტამინი P.

კივის ნაყოფები, მათში ვიტამინ C - ს მაღალი შემცველობის გამო, ხასიათდება ძლიერი პროტისტოციდული აქტივობით და გამოიყენება ავიტამინოზის პროფილაქტიკისათვის და სამკურნალოდ, მნიშვნელოვანია ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებისას; შენიშნულია, რომ მისი ნაყენი აუმჯობესებს სტენოკარდიით დაავადებულთა მდგომარეობას. ძვირფასი დიეტური პროდუქტია.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია მაღალი მჟავიანობის, დიარეის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის აშლილობისა და ალერგიული რეაქციების დროს.

**კიტრის ხე ან ბილიმბი – *Averrhoa bilimbi* L.**  
**ოჯ. მჟაველასებრნი - Fam. Oxalidaceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის 4-5 მ სიმაღლის (იშვიათად 9 მ-მდე) ხეა, გამოირჩევა კონუსური ტანიტა და საკმაოდ მეჩხერი ვარჯით. მისი ხეშეში ფოთლები ტოტებზე თანაბრადაა განლაგებული და მთლიანად ფარავს მათ, ღამით იხურება, ქმნის მძინარე ხის ეფექტს, დილით იშლება. ყვავილები განწყობილია უშუალოდ ხის ტანზე, ან უფრო ხნიერ და მაგარ ტოტებზე, წვრილია, შედგება 5 გვირგვინის ფურცლისაგან, სურნელოვანია, მრავალრიცხოვანი. ყვავილობის დასრულებისთანავე ხე იფარება, 4-10 სმ სიგრძის, კიტრის პატარა ნაყოფების მსგავსი - მწვანე ნაყოფებით. მოუმწიფებელი ნაყოფები კაშკაშა მწვანეა, ხრამუნა; მწიფე ნაყოფი მოყვითალო-მომწვანო შეფერილობისაა, წვნიანი რბილობით, მჟავე.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** პირველად აღმოჩენილი იქნა კუნძულ სოკოტრაზე. სადღეისოდ გავრცელებულია ტროპიკულ ქვეყნებში, კერძოდ ეკვადორზე, კოლუმბიაში, ბრაზილიაში, ინდონეზიაში, ფილიპინებზე, ინდოეთსა და სხვ.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი მჟავეა, ფართოდ გამოიყენება კულინარიაში, სხვადასხვა სოუსების, სანელებლების, წნილის, ჟელებების, მურაბებისა და სასმელების დასამზადებლად; წვენს ხშირად სხვადასხვა სამეურნეო მიზნებისათვის იყენებენ, მაგ.; ბუნებრივ მათეთრებლად.

საკვებად გამოსაყენებელ ორგანოში - ნაყოფებში (100გ) აღინიშნება: ცილები 0,61 გ, ფოსფორი 11,1 მგ, კალციუმი 3,4 მგ, რკინა 1,01 მგ, თიამინი 0,010 მგ, რიბოფლავინი 0,026 მგ, კაროტინი 0,035 მგ, ასკორბინის მჟავა 15,5 მგ, ნიაცინი 0,302 მგ.

აფრიკის ხალხი კიტრის ხეს “წმინდა მცენარედ” მიიჩნევს, რის გამოც გამოიყენება მრავალ რიტუალში. გარდა ამისა გამოირჩევა სამკურნალო მნიშვნელობით. კურნავს ხველებას, ღიარის, გამონაყარს და მრავალ სხვას; ფილიპინებზე ბილიმბის ფოთლებს საფენების სახით იყენებენ სიმსივნეებისა და რევმატიზმის შემთხვევაში. ნელი ფოთლები გამოიყენება ვენერიული დაავადებების სამკურნალოდ. ფოთლები ინსექტიციდური თვისებებით ხასიათდება, ხმარობენ შხამიანი მავნებლების საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**კლივია – *Clivia miniata* (Lindl) Regel**  
**ოჯ. ამარილისებრი - Fam. Amaryllidaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი მარადმწვანე უღერო ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა მოკლე ფესურითა და სქელი ხორცოვანი ფესვებით. ფოთლები ელასტიურია, მოხდენილად-მოხრილი, მუქი მწვანე, ლენტისებრი, 45-70 სმ სიგრძისა და 5,5-8 სმ სიგანის ვაგინიანი ფოთლებით, რომლებიც მჭიდროდ ეკვრის

ერთმანეთს, წარმოქმნის რა ცრუ ღეროს. საყვავილე ისარი 20-30 სმ სიმაღლისაა, რომელზედაც 12-26 ცალი ყვავილი მსხვილ, 15-20 სმ დიამეტრის ქოლგისებრ ყვავილედადაა შეკრებილი; ყვავილი - კაშკაშა ნარინჯისფერია, ძირთან მოყვითალო-თეთრი, 6,5-8 სმ დიამეტრის, ყვავილის ყუნწი 3-5 სმ-ია, ყვავილსაფარი მილისებრია, ფართო ზარისებრი, ძირში შეზრდილი, შედგება 6 ფურცლისაგან, განლაგებულია ორ წრედ, 7,3-7,5 სმ სიგრძისა და 2,5-3,3 სმ სიგანისაა. ოთახის პირობებში ყვავილობს თებერვალ-აპრილში, მეორადი ყვავილობა აღინიშნება სექტემბერ-ნოემბერში. ნაყოფი მსხვილი კენკრის მაგვარი კოლოფია ერთეული თესლით, დასაწყისში მუქი მწვანეა, პრიალა, შემდგომ კაშკაშა-წითელი; ნაყოფები განსაკუთრებულ დეკორატიულობას ანიჭებს მცენარეს.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ბუნებრივ პირობებში გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის ტროპიკულ ტყეებში ზღ.დ.-დან 600-800 მ სიმაღლემდე.

კულტურაში შეტანილია 1868 წელს, დეკორატიულობიდან გამომდინარე მას შემდეგ დიდი პოპულარობით სარგებლობს მსოფლიოს მეყვავილეებს შორის. ცნობილი დეკორატიული საოთახო და საორანჟერეო კულტურაა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღნიშნული მცენარე ამ გვარის მეორე სახეობის - მშვენიერი კლივიის (*Clivia nobilis*) მსგავსად გამოიყენება ტრადიციულ მედიცინაში. სამკურნალოდ იხმარება მთელი მცენარე – ფესურა ფესვებითურთ, ფოთლები. ფესურა ზულუსის მაცხოვრებელთა მიერ გამოიყენება ციებ-ცხელების დროს და შხამიანი გველების ნაკბენებით გამოწვეული ტკივილების შესამსუბუქებლად. მთელი მცენარე კი მშობიარობის დასაჩქარებლად იხმარება.

ფესურა ტოქსიკურია, მასში არსებული რიგი ალკალოიდებიდან ყველაზე ცნობილია - ლიკორინი, რომელიც ამარილისებრთა ოჯახის მრავალი წარმომადგენლისთვისაა დამახასიათებელი. მცირე დოზებში ლიკორინი იწვევს ნერწყვის გამოყოფას, გულის რევას და დიარეის, დიდ დოზებში დამბლას და კოლაფსს.

**უაუქმედება:** შხამიანობიდან გამომდინარე, ხმარებისას საჭიროებს სიფრთხილეს; არ არის რეკომენდებული პრეპარატების ხანგრძლივი გამოყენება.

**კოდიეუმი, კროტონი – *Codiaeum variegatum* (L.) A. Iuss.  
(syn. *Croton variegatum* L.)  
ოჯ. რბიანასებრნი - Fam. Euphorbiaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 3 მ-მდე სიმაღლის ბუჩქია, ოთახის პირობებში 35-70 სმ აღწევს. ფოთლები ტყავისებრია, ხეშეში, დანაკვთული, ხაზურ-ლანცეტა ფორმის; ამასთან შეიძლება იყოს ტალღისებრი, სწორი, სპირალურად დახვეული, ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, მწვანე, შავი ან ყავისფერი შეფერილობის. ყვავილები წვრილია, მოყვითალო-თეთრი, შეკრებილია მტევნისებრ ფაშარ ყვავილელებად. ნაყოფი წვრილი, სფერული კურკაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ინდოეთში, წყნარი ოკეანის კუნძულებზე, მალაიზიის არქიპელაგზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფრიად დეკორატიული ოთახის მცენარეა. გამოიყენება როგორც ძლიერი სასაქმებელი საშუალება.

**უკუქმედება:** მცენარე შხამიანია!

**კოკა, კოკაინის ბუჩქი - *Erythroxylon coca* Lam.**  
**ოჯ. ერთოროქსილონისებრნი - Fam. Erythroxylaceae**



**მორფოლოგია:** უხვად შეფოთლილი, მარადმწვანე, 2-3 მ სიმაღლის ბუჩქია. ღეროები მოწითალო-მურა შეფერილობისაა, ნორჩი ყლორტები – მწვანეა. ფოთლები მორიგეობითია, ფართოელიფსური, კიდემთლიანი, მოკლეყუნწიანი, წაწვეტებული, ბაცი მწვანე, 5-10 სმ სიგრძისა და 3-4 სმ სიგანის. ყვავილი წვრილია, ნაირსვეტოვანი, განლაგებულია მოკლე ღეროებზე მცირე ჯგუფებად. გვირგვინი მოთეთრო-მოყვითალო ან თეთრი შეფერილობისაა, ხუთფურცლიანი. ნაყოფი ერთ თესლიანი ოვალური ფორმის კურკაა, კაშკაშა წითელი.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** კოკას ბუჩქის სამშობლო სამხრეთ ამერიკის ტროპიკული მთიანი ტყეებია: პერუ, ბოლივია და ანდების აღმოსავლეთი ფერდობები, მაგრამ კელურად დღეს აღარ გვხვდება და ოდიოგანვე აქ კულტივირებულია ინდიელების მიერ. XIX ს-ის ბოლოს პლანტაციები გაშენდა კუნძულ იავასა და შრი-ლანკაზე, ინდოეთში, მოგვიანებით კი აფრიკაში იქნა კულტივირებული. ევროპაში კოკას ფოთლების შეტანა დაიწყო XVIII ს-ის ბოლოს, მატონიზირებელი მოქმედების ნაყენის მოსამზადებლად.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ესპანელებმა XVI ს-ში გაიგეს კოკას ფოთლების არაჩვეულებრივი თვისებები,



გაირკვა, რომ ინდიელები დასრესილ ფოთლებს ურევდნენ სხვადასხვა მცენარის ნაცარს და ამზადებდნენ პატარა ზომის გუნდებს, რომლებსაც საღებავად იყენებდნენ, რაც იწვევდა მატონიზირებელ მოქმედებას, ენერჯის მატებას, შიმშილისა და წყურვილის გრძობის დაქვეითებას; ხმარობდნენ ხანგრძლივი მოგზაურობების, ომების, ვერცხლის საბადოებში მუშაობისას და სხვ.

კოკას ფოთლები შეიცავს ალკალოიდებს, რომელთა საერთო ჯამი 0,5-1,5% შეადგენს. ძირითადს აქ კოკაინი წარმოადგენს, მიეკუთვნება ტროპანული ალკალოიდების ჯგუფს. ბიოსინთეზური პროცესების შედეგად, რომელიც კოკას ფოთლებში მიმდინარეობს, ტროპანი გარდაიქმნება შენაერთად, რომელსაც ეკგონინომს უწოდებენ, წარმოადგენს სხვადასხვა კოკაინების მიღების საფუძველს.

გამოიყენება ადგილობრივი ანესტეზიისათვის ქირურგიაში, აგრეთვე პირის ღრუს, ხახის, ცხვირის, თვალის რქოვანასა და კონიუნქტივის ოპერაციებში. კოკაინის ჰიდროქლორიდის ხსნარი იხმარება სტომატოლოგიურ პრაქტიკაში. კოკაინს შესწევს უნარი მოახდინოს ნერვული დაბოლოებების პარალიზება, ტკივილების გაყუჩება. სისხლში მოხვედრისას იწვევს ეიფორიას, მოქმედებს აღმგზნებელ ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ხოლო განმეორებითი მიღება იწვევს მისადმი ძლიერ დამოკიდებულებას. სადღეისოდ კოკაინს ხშირად ცვლიან სინთეტიკური საშუალებებით.

**უკუქმედება:** კოკაინი, რომელიც კოკას შემადგენლობაში შედის, ძლიერმომქმედი ნარკოტიკია, იწვევს მისადმი მყარ დამოკიდებულებას. სიმპტომებია: ტახიკარდია, არტერიული წნევის აწევა, ქოშინი, ოფლიანობა, თვალის გუგის გაფართოება, ეიფორია, რაც გადაღის დეპრესიაში; ღოზების გადაჭარბებას მოსდევს ჰალუცინაციები, ფსიხოზები, ორგანიზმის მოწამლვა, ტვინის რღვევა და სიკვდილი.

დამოუკიდებლად კოკაინის მიღება კანონით აკრძალულია!

**კომიფორა, მირა – *Commiphora myrrha* (Nees) Engl.  
(syn. *Balsamea myrrha*)  
ოჯ. ბურზერასებრნი - Fam. Burseraceae**



**მორფოლოგია:** მცირე ზომის ხეა, ტოტები, რომლებზეც ფოთლებია განვითარებული ეკლებითაა მოფენილი; ფოთლები სამნაკეთიანია, ზოგჯერ მხოლოდ შუა ფოთოლი ვითარდება. ყვავილი მოწითალო ვარდისფერია. ნაყოფი კურკაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ჩრდილო-აღმოსავლეთ აფრიკაში, წითელი ზღვისა და ინდოეთის ოკეანის ნაპირებზე, არაბეთსა და მოსაზღვრე კუნძულებზე (სოკატრა და სხვ.).

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხის ქერქიდან გამოიყოფა არომატული ფისი, ცნობილია მირას სახელით, რომელსაც აღმოსავლეთის ქვეყნების მაცხოვრებლები ათასეული წლების მანძილზე ძვირფას განძეულს უთანაბრებდნენ, იყენებენ რელიგიურ რიტუალებში, მიიჩნევენ ჯანმრთელობისა და მუდმივი ახალგაზრდობის სიმბოლოდ.

არსებობს მონაცემები, რომ ძველ ჩინეთში რევმატიზმის, სახსრების ტკივილების, ჭრილობების შესახორცებლად, სისხლის მიმოქცევისა და შშობიარობის სტიმულირებისათვის გამოიყენებოდა. ფოთლებიდან და ქერქიდან მიიღება მაღალი ხარისხის სურნელოვანი ეთერზეთები, რომლებიც ფართოდ გამოიყენება მედიცინასა და პარფიუმერიაში. ნაყოფებისაგან ამზადებენ ღვინოს,

მიიჩნევენ “ჯანმრთელობის ელექსირად”.

ეთერ ზეთები ხასიათდება ანტისეპტიკური, ამოსახველებელი, შემკვრელი, ანტიკატარალური, იმუნური სისტემის მასტიმულირებელი მოქმედებით. იხმარება შაქრიანი დიაბეტის, თრომბოფლებიტის, ართროზის, კუჭის წყლულის, ბრონქიტის, გაციების, ანგინის დროს. განსაკუთრებით კარგად ინკურნება ისეთი დაავადებები, როგორცაა ალერგია, სისხლის დაავადებები, ჰაიმორიტი, ტუბერკულოზი.

ფოთლების ნახარშს ხმარობენ გაციების, ინფექციური მონონუკლეოზის, ციებ-ცხელების საწინააღმდეგოდ.

**უკუქმედება:** ფეხმძიმობისას მისი მიღება სახიფათოა, ახდენს საშვილოსნოს სტიმულირებას.

**კორდილინა - *Cordyline australis* (Forst.) Hook.**

**ოჯ. სატაცურისებრნი - Fam. Asparagaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ბუჩქები ან ხეებია 2-12 მ სიმაღლის. ფოთლები ჩვეულებრივ მახვილისებრია, ყუნწიანი, მწვანე, 40-90 სმ სიგრძისა და 3-7 სმ სიგანის, მრავალრიცხოვანი პარალელური დაძარღვით. ყვავილები

მოთეთრო-კრემისფერია, სურნელოვანი, 1 სმ-მდე დიამეტრის, ექვს ფურცლიანი, შეკრებილია მსხვილ, ხშირ, წვეროსეულ 50-100 სმ სიგრძის საგველასებრ ყვავილელებად. ნაყოფი თეთრი კენკრაა, 5-7 მმ დიამეტრის.

გარეგანად პალმას მოგვაგონებს, რის გამოც მას ზოგჯერ უწოდებენ “კორნუელის პალმას”, “ტობეას პალმას” ან “კუნძულ მენის პალმას”. ჯეიმს კუკმა მას “კომბოსტოს ხე” უწოდა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია უმთავრესად ტროპიკულ აზიაში, მალაიზიის არქიპელაგის კუნძულებზე, პოლინეზიაში, ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში. ვინაიდან ადვილად იტანს ყინვებს, ფართოდაა დანერგილი ევროპასა და აშშ-ის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე დეკორატიული მიზნებისათვის

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კორდილინა ფასდება ბოჭკოს მაღალი შემცველობის გამო. ფესვები და ვარჯი წარმოადგენს თოკების დასაწნავ ნედლეულს; ფოთლები იხმარება ქსოვილების წარმოებაში, მისგან აგრეთვე ამზადებენ ჯაგრისებს, ჭილოფებს, ნაქსოვ ნაწარმს. ნორჩი ფოთლები საკვებად ვარგისია. მცენარის წვენი ხასიათდება ინფექციებისადმი საწინააღმდეგო მოქმედებით. კორდილინა გამოირჩევა ნახშირწყლების მაღალი შემცველობით და მოხარშვის შემდეგ საკვებად ვარგისია. ასეული წლების მანძილზე მაორის მოსახლეობის კვების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა აჩვენა მისი საკვებად გამოყენება ოტაგოს ნახევარკუნძულზე, აღმოჩენილი იქნა 7 მ სიგანის ორმოები – კორდილინას გადასამუშავებელი ღუმელების ნარჩენები; მოსახლეობა ნორჩ ხეებს ღუმელებში დაბრაწვის შემდეგ, ორი დღის მანძილზე ამრობდა მზეზე, ამ სახით მათი შენახვა წლების მანძილზე იყო შესაძლებელი.

1860 წლიდან საოთახო კულტურად გამოიყენება, ოთახის პირობებში 1-3 მ სიმაღლეს აღწევს, ყველაზე ამტან მცენარეთა რიცხვს მიეკუთვნება.

**უკუქმედება:** არ არის დადგენილი.

**კოჭა - *Zingiber officinale* Rosc.**  
**ოჯ. კანჯაფილისებრი - Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა, როული, ძლიერ დატოტვილი ჰორიზონტალური ფესურით, საიდანაც ვითარდება რამდენიმე ღერო. ფოთლები მორიგეობითია, ვაგინიანი, მოგრძო-ლანცეტა ფირფიტითა და ქვედა მხარეს მკვეთრად გამოხატული ცენტრალური დაძარღვით. ზედა ფოთლების ვაგინა 1 მ სიგრძისაა, ფოთლის ფირფიტა 18-20 სმ სიგრძის, ქვედა ფოთლები მოკლე ვაგინიანია. მოყვავილე (გენერატიული) ყლორტები მოკლეა (30 სმ სიმაღლის), წვერზე ივითარებს თავთავისებრ ყვავილედს. ყვავილები სხედან ფართო თანაფოთლების უბეებში. ყვავილსაფარი გვირგვინისებრია, მილისებრი, 3 უსწორო ნაკეთებიანი გადანალუნით; ნაყოფი სამბუდიანი კოლოფია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ტენიან ტროპიკულ ტყეებში. უძველესი დროიდანვე აქვე კულტივირებული. ამრავლებენ აგრეთვე კლიმატთან შესაბამის ადგილებში ამერიკასა და აფრიკაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** კოჭას ფესურა ფართოდ გამოიყენება კვებით მრეწველობაში, საკონდიტრო და ლიქიორ-არყის წარმოებაში.

სამკურნალო ნედლეულს ფესურა წარმოადგენს. შეიცავს 1-2% ეთერზეთებს, მის მთავარ შემადგენელ ნაწილს, ცინეოლის გარდა წარმოადგენს სესკვიტერპენლინგიბერინი (70%), რომლისთვისაც დამახასიათებელია სასიამოვნო სურნელი, აგრეთვე სესკვიტერპენინი-ბიზაბოლენი, ლინალოლი, გერანიოლი და სხვა ტერპენოიდული შენაერთები.

ითვლება, რომ ფესურა ხასიათდება ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით ყელისა და პირის ღრუს დაავადებებისას. ნაყენისა და ნახარშის სახით გამოიყენება კუჭის წყლულის დროს, მადის გასაძლიერებლად და საკვებმომწელებელი სისტემის გასაუმჯობესებლად, მატონიზირებელ საშუალებად, ათეროსკლეროზის, ცხიმოვანი და ქოლესტერინის ცვლის დარღვევების, სისხლძარღვების მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. “კოჭას ჩაის” ნახარში თაფლთან და ლიმონთან ერთად იხმარება გაციებისას. კომპრესების სახით იყენებენ თავისა და ზურგის ტკივილებისა და ქრონიკული რევმატიზმის დროს.

ექსტრაქტი შედის პრეპარატ “ზინაქსინის” შემადგენლობაში, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა სახის ართრიტების დროს.

ეთერზეთები ფართოდ იხმარება არომათერაპიაში ფსიქო-ემოციური დარღვევების, გაციების, საყრდენ-მამოძრავებელი აპარატისა და ვირუსული დაავადებებისას. იხმარება ცხელი ინჰალიაციების, აბაზანების, მასაჟის სახით და შინაგანად.

ნაყენი შედის კუჭისა და მადის გამაძლიერებელ სხვადასხვა წვეთებში.

**უკუქმედება:** ღოზის გადაჭარბებისას გვერდითი ეფექტი ტიპურია: ფადარათი, გულის რევა, პირღებინება, ალერგიული რეაქციები.

**კრინი – *Crinum asiaticum* L.**  
**ოჯ. ამარილისებრნი - Fam. Amaryllidaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი 45-60 სმ სიმაღლის ბოლქოვანი მცენარეა. ბოლქვი მომრგვალოა, 10-14 სმ დიამეტრის, 15-35 სმ სიგრძის ყელით. ფოთლები როზეტისეულია, 20-30 ცალად შეკრებილი, მათრახისებრი, 90-125 სმ სიგრძისა და 7-11 სმ სიგანის, კიდეთლიანი, თხელი. ყვავილები ქოლგისებრ ყვავილედებადაა შეკრებილი, გვირგვინის ფურცლები მომწვანო-თეთრია ან თეთრი, ხაზური 6-10 სმ სიგრძის, ყვავილსაფრის მილი 7-11 სმ სიგრძისაა, მწვანე ნახატიო, მტვრიანები წითელია. ყვავილობს მარტ-ოქტომბერში.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ტროპიკული აზიაა; გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, ინდოეთში, შრი-ლანკაში, კამბოჯაში, ლაოსში, ტაილანდში, ვიეტნამში, ბრუნეაში, ინდონეზიაში, მალაიზიაში, პაპუა-ახალ-გვინეაში, ფილიპინებზე, სინგაპურში, ავსტრალიაში, მარშალის, გუამის, ფიჯის კუნძულებზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ფოთლებში აღმოჩენილი ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებები გამოირჩევა ტკივილგამაყუჩებელი, ანტიბაქტერიული, სიცხისდამწვევი თვისებებით. მცენარის ყველა ნაწილში აღინიშნება აქტიური ნივთიერებები -ლიკორინი და ბაკონინი, რომლებიც ხასიათდება კიბოს საწინააღმდეგო მოქმედებით.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება ფოთლები და ბოლქვები. გარეგანად იხმარება ლუმბაგოს საწინააღმდეგოდ, გართულებული მშობიარობისა და სიყვითლის დროს.

**უაუქმელება:** ბოლქვები შხამიანია, ნელდი სახით შინაგანი დაავადებებისას არ მიიღება.

**კურკუმა, ქურქუმა – *Curcuma aromatica* L.  
ოჯ. ჯანჯაფილისებრნი - Fam. Zingiberaceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ერთლებნიანი ბალახოვანი მცენარეა მორიგეობითი, მარტივი, ოვალური ფოთლებით და ტუბეროვანი, მოყვითალო-მოყავისფრო ფესურით. წვეროსეული კვირტიდან ვითარდება მცენარის მიწისზედა ნაწილი, რომელიც შედგება რამდენიმე გრძელი ფოთლისაგან. საყვავილე ღეროს შუა ნაწილში წარმოქმნილი კაშკაშა წითელი ფერის მილისებრი ყვავილები სამნაკვთიანი გადანაღუნით ხასიათდება.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ინდოეთია, სადაც დღემდე ბუნებრივად გავრცელებული. ამჟამად კულტივირებულია კამბოჯაში, ინდონეზიაში, შრი-ლანკაში, ჩინეთში, იაპონიაში, კუნძულ გაიტსა და მადაგასკარზე.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** აღმოსავლეთ ქვეყნებში სანელებლებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, მათ შორის ერთ-ერთი გამორჩეულია ქურქუმა. სანელებელს წარმოადგენს კარგად გამშრალი და დაქუცმაცებული ფესურა,



რომლისგანაც მიიღება არომატული, მწვავე, კაშკაშა ყვითელი ფერის ფხვნილი. მცირე რაოდენობით იყენებენ სხვადასხვა კერძებში (წვნიანები და სალათები, ხორცისა და კვერცხის კერძები, გარნირები). სასარგებლო და სამკურნალო თვისებები სანელების ქიმიური შემადგენლობითაა განპირობებული, მდიდარია ვიტამინებით (K, C, B. B<sub>2</sub>, B<sub>3</sub>), მიკრო და მაკროელემენტებით, ეთერზეთებით, რომლის შემადგენლობაშია ტერპენები, ანტიოქსიდანტები, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმის გაახალგაზრდაებას, ბლოკავს კიბოს სიმსივნეების განვითარებას; ამ მეტად გემრიელი და სასარგებლო სანელების შეფერილობას განსაზღვრავს მისი მთავარი კომპონენტი საღებავი – კურკუმინი, რომლის მოლეკულები ახდენს ორგანიზმის უჯრედების მემბრანაში შეღწევას და დანერგვას, იწვევს მათ გამაგრებს და ხდის ინფექციებისადმი მდგრადს. კურკუმინის მოქმედებიდან გამომდინარე ორგანიზმში იზრდება ლეიკოციტებისა და უჯრედების საერთო რაოდენობა, რომლებიც ანტისხეულებს წარმოქმნის.

აიურ-ვედას მოძღვრების თანახმად ქურქუმა წმინდავს სხეულს ტოქსინებისაგან, ათბობს და ასუფთავებს სისხლს, ელასტიურს ხდის იოგებსა და სახსრებს.

ამჟამად წარმატებით გამოიყენება შაქრიანი დიაბეტის, თირკმელების, ღვიძლისა და ნაღვლის ბუშტის დაავადებების, წყლულოვანი კოლიტის, ათეროსკლეროზის, მიგრენის, ვიტილიგოს, თვალების ანთების, ანემიის, ასთმის, ჭინჭრის ციების, გაციების, ხველების, ყელის დაავადებების, ღრძილებიდან სისხლდენის სამკურნალოდ.

კურკუმა მეტად სასარგებლოა გულისთვის, სანელების ყოველდღიური გამოყენება ამაგრებს გულის კუნთს. კვებით რაციონში მისი ჩართვა რეკომენდებულია დასუსტებული, ოპერაცია გადატანილი ადამიანებისათვის, ვინაიდან ახდენს იმუნიტეტის გაძლიერებას, მადის გაუმჯობესებას, ამაღლებს ორგანიზმის წინააღმდეგობას სხვადასხვა ინფექციებისადმი.

**უკუქმედება:** უკუმაჩვენებელია ფეხმძიმე ქალებისა და 2 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის, ქრონიკული პიელონეფრიტით დაავადებულთათვის.

კურუპიტა (ქვემეხის, სატყორცნი ან ომის ხე) –  
*Couroupita guianensis* Aubl.  
ოჯ. ლეციტიდასებრნი - Fam. Lecythidaceae



**მორფოლოგია:** მარადმწვანე 30-35 მ-მდე სიმაღლის ხეა მუქი ყავისფერი ქერქით. ფოთლები ლანცეტისებრია, ვითარდება ტოტების ბოლოებზე. ყვავილები სანთლისებრია, მოტკბო არომატის, ნარინჯისფერი, ალისფერი ან ვარდისფერი, იზრდება ხის ტანზე, შეკრებილია გრძელ (1-2 მ სიგრძის) მტევნისებრ ყვავილედად. ნაყოფები დიდი ზომისაა 14-30 სმ-მდე დიამეტრის, მომრგვალო ფორმის, ყავისფერი, ჩამოკიდებულია გრძელ გამერქნებულ საყვავილე ყუნწებზე, მომწიფებისას (რაც 8-9 თვე გრძელდება) მიწაზე ცვივა, დახეთქებისას კი ქუხილის მსგავს (ზარბაზნის გასროლის იდენტურს) ხმას გამოცემს, რაც მოგზაურებში ომის ასოცირებას და შემოფოთებას იწვევს. გამსკდარი ნაყოფებიდან გადმოედინება თეთრი, შეღესმაგვარი რბილობი, მრავალრიცხოვანი (200-300) თესლით, ჰაერთან კონტაქტის შემდეგ ლურჯდება და ცუდ სუნს გამოჰყოფს. ყვ. II-III; ნაყ. X-XI.

**ისტორია და კულტურის გაგრძელება:** ბუნებრივად გავრცელებულია სამხრეთ ამერიკის ჩრდილოეთით, კარიბის აუზის ქვეყნებში და სამხრეთ ინდოეთის ტროპიკებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ინდოელები “წმინდა ხეღ” თვლიან. მიიჩნევენ, რომ ამ ხის ქვეშ გასხვიოსნდა ბუდა.

კურუპიტა ანტისოკოვანი, ანტიბიოტიკური, ანტისეპტიკური და გამაუმტკივებელი მოქმედებით ხასიათდება. ფოთლებს მუცლის ტკივილისა და გაციებისას იყენებენ; ძველ დროში შამანები ხის ნაწილებით მკურნალობდნენ ციებ-ცხელებას, ნორჩი ფოთლებით კბილის ტკივილს ხსნიდნენ, ფოთლის წვეს კანის დაავადებების საწინააღმდეგოდ, ხოლო ნაყოფის რბილობს ღებინფექციისათვის იყენებდნენ.

ყვავილები, საოცრად ნაზი და სასიამოვნო არომატიდან გამომდინარე, ფართოდ გამოიყენება საპარფიუმერო მრეწველობაში.

**უკუქმედება:** შეუსწაველია.

**ლავანდი – *Lavandula officinalis* L.**  
**ოჯ. ტურნოსანნი - Fam. Labiatae (Lamiaceae)**



**მორფოლოგია:** წარმოადგენს ძლიერ პოლიმორფულ და პლასტიურ სახეობას, რომელიც იმყოფება გაძლიერებულ ფორმაწარმოქმნის პროცესში. მრავალწლოვანი ნახევრადბუჩქი, ფუძიდან ძლიერ დატოტვილი ნახევრად მწოლარე ძველი ტოტებითა და სწორმდგომი, ახალგაზრდა ყლორტებით (განსაკუთრებით მოყვავილე). ფოთლები მჯდომარეა, მოგრძო-

ლანცეტა, ლანცეტა ან ხაზური, კიდემთლიანი, ქვედა მხარეს ჩახვეული კიდეებით; ნორჩი ფოთლები ნაცრისფერია, უფრო ხნიერი კი მომწვანო, ქვევიდან შებუსხვილია ჯირკვლოვანი ბეწვებით. ყვავილები შეკრებილია წვეროსეულ, არატიპურ თავთავისებრ ყვავილებად. ჯამი მილისებრია, ხუთკბილიანი, არაერთგვაროვანი კბილებით, მუქი მოლურჯო იისფერი, ხშირადშებუსხვილი, წვრილი ბეწვებით; გვირგვინი მოცისფრო-იისფერია, მილისებრი, ორტუჩა; ზედა ტუჩი უფრო მსხვილია და შედგება ორი, ხოლო ქვედა – სამი ბრტყელი ნაკეთისაგან. ნაყოფი კაკლუჭაა, 4 კაკლიანი. ყვ. VI-VII. ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ლავანდის სამშობლოს ხმელთაშუაზღვეთის ოლქის ევროპული ნაწილი და მიმდებარე რაიონები - უახლესი აღმოსავლეთი, წინა ინდოეთი, მცირე აზიისა და ჩრდ. აფრიკის ტერიტორია წარმოადგენს. არის ტიპური ხმელთაშუაზღვეთის მობინადრე მცენარე, რომლის არეალი გადაჭიმულია კანარის კუნძულებიდან ვიწრო ზოლით ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე და აღმოსავლეთით აღწევს წინა ინდოეთამდე. აქ შედის მთიანი და ამაღლებული ადგილები სამხრეთ საფრანგეთის, ჩრდ. იტალიის, სიცილიის, პორტუგალიის, პირენეის, დალმაციის, კორსიკის, სარდინიის, საბერძნეთის და ზოგიერთი სხვა რაიონი. განსაკუთრებით ფართოდ სამხრეთ საფრანგეთშია გავრცელებული, აქ ალპების სამხრეთ ფერდობებზეა განლაგებული მისი მთავარი მასივები, რომელიც ითვლის რამდენიმე ათეულ ათას ჰექტარს და უძველესი დროიდანვეა ექსპლოატირებული. მისი კულტურის წარმოებაში დანერგვით დაინტერესდნენ დიდ ბრიტანეთში, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნებში, ასევე ამერიკასა და აზიაში.

რუსეთში ლავანდი როგორც სამრეწველო კულტურა მოჰყავთ 1929 წლიდან; მის კულტურაში შეტანას საფუძველი დაედო ნიკიტის ბოტანიკურ ბაღში და სოხუმის მემცენარეობის ინსტიტუტში. თუმცა ინტროდუქციის ადრეულ პერიოდად ითვლება XVII ს-ის დასაწყისი, როდესაც ცდილობდნენ გაეგრძელებინათ ბაღებსა და ბოსტნებში. სადღეისოდ ლავანდის კულტურის ფართობითა და მისი ეთერზეთების წარმოებით ყოფილ საბჭოთა

კავშირის ქვეყნებიდან უპირველესი ადგილი უკავია მოლდოვას. გასული საუკუნის 80-იან წლებში ლავანდის ფართობი უდრიდა 1007 ჰა-ს, ხოლო ყვავილების საერთო მოსავლიანობა შეადგენდა 3113 ტონას.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნამდვილი ლავანდის ეთერზეთების შემადგენლობაში შედის ორგანული შენაერთების განსხვავებული ჯგუფები, მათ შორის მთავარია: ნახშირწყლები, სპირტები, ალდეჰიდები, კეტონები, ეთერები, მჟავები, აზოტ-გოგირდოვანი ნივთიერებები და სხვ. ნელლი ნელლეული შეიცავს 0,1-1% ეთერზეთებს, მშრალი – 1-3% ეთერზეთებსა და 12% ტანინოვან ნივთიერებებს.

ლავანდი, როგორც ძვირფასი არომატული მცენარე, ადამიანის მიერ უძველესი დროიდან გამოიყენებოდა მედიცინასა და ყოფაცხოვრებაში სხვადასხვა დანიშნულებისამებრ. ჯერ კიდევ 2000 წლის წინათ რომაელების მიერ იქნა მიღებული ლავანდის ზეთი, რომელიც არჩენს დამწვრობას, ჩირქოვან ჭრილობებს, ვენერიულ, კუჭისა და სასუნთქი გზების დაავადებებს, რევმატიზმსა და მრავალ სხვას. რაც უფრო მეტად ეცნობოდნენ ამ მცენარეს, მით უფრო ფართოვდებოდა მისი გამოყენების მასშტაბებიც. ლავანდის ზეთის გამოყენება დაიწყო როგორც ანტიტოქსიკური საშუალების, შედის ყოველგვარი არომატული ნარეკებისა და სასუნთქი ფუნქციების შემადგენლობაში. იხმარება ნერვული აშლილობის დასაწყნარებლად.

გამოიყენებოდა ე.წ. ინგლისური მარილის დასამზადებლად, რომელსაც ასუნთქებდნენ გულის წასვლის შემთხვევაში.

მსუბუქი და კვების მრეწველობის განვითარებასთან ერთად ლავანდი ახალ მნიშვნელობას იძენს. XIX ს-ის დასასრულსა და XX ს-ის დასაწყისში ხდება ლავანდის ზეთის ფართო დანერგვა პარფიუმერულ მრეწველობაში, ოდეკოლონიების, სუნამოს, სურნელოვანი წყლიანი ექსტრაქტების, მაღამოებისა და პასტების, საპნის წარმოებაში; გამოიყენება აგრეთვე კერამიკულ მრეწველობაში ძვირფასი ლაქების მისაღებად, სხვადასხვა ფაიფურის დასამზადებლად, იხმარება ლაქებისა და საღებავების გამხსნელად. საკვებ მრეწველობაში იყენებენ სიროფების,

ღვინოების (საფრანგეთი) არომატიზაციისათვის.

**უკუშემდეგა:** არ არის რეკომენდებული ფეხმძიმობის პირველ თვეებში, აბორტის შემდგომ და ინდივიდუალური შეუთავსებლობის შემთხვევაში.

**ლანცეტა თერმოპსისი – *Thermopsis lanceolata* R.Br.**  
**ოჯ. პარკოსანნი -Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარეა თავის უსიამოვნო სუნით, მზონავი, დატოტვილი წვრილი ფესურით. ღერო სწორმდგომია, მარტივი ან დატოტვილი, ბეწვებით შემოსილი. ფოთლები მორიგეობითია, სამწვევრა, მოკლევუნწიანი, ლანცეტა, მონაცრისფრო-მწვანე, მსხვილი თანაფოთოლაკებით. ყვავილი ყვითელია, ფარვანასებრი, მსხვილი, განწყობილია ღეროების ბოლოებზე მტევნისებრ ყვავილედეზად. ნაყოფი – მრავალთესლიანი, ხაზური, წვეტიანი, ბრტყელი პარკია. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება შუა აზიაში, დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირში, შორეულ აღმოსავლეთში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეულს ბალახი და თესლები წარმოადგენს. შეიცავს ალკალოიდებს: თერმოპსინს, გომოტერ-მოპსინს, მეთილციტიზინს, ციტიზინს, პახიკარპინს, ანაგირინს, აგრეთვე – რთულ ეთერებს: თერმოპსილაცინს, საპონინებს, მთრიმლავ ნივთიერებებს, ფისებს,

ლორწოს, ეთერზეთებს კვალის სახით, ასკორბინის მჟავას. თესლებში აღინიშნება ალკალოიდები, უმთავრესად ციტიზინი. მთავარ მომქმედ ნივთიერებებს თერმოპსინი, ციტიზინი და პახიკარპინი წარმოადგენს.

თერმოპსინის ნაწილობრივ წარმოადგენს იპეკოსა და ლობელიას შემცველს. პრეპარატები ძირითადად ხასიათდება ამოსახველბეელი, დიდ ღოზებში - პირღებინების მოქმედებით. ბალახში შემავალი ალკალოიდები სხვადასხვაგვარი მოქმედებით გამოირჩევა, მაგ.: ციტიზინი აღაგზნებს სუნთქვას, ამალღებს სისხლის წნევას, პახიკარპინი - იწვევს ვეგეტატიური ნერვული სისტემის კვანძების შევიწროებას, ამალღებს მუსკულატურის ტონუსს; თერმოპსინი - აღაგზნებს პირღებინების ცენტრს; სხვა ალკალოიდი ანაგირინი ექსპერიმენტში ამჟღავნებს ციტიზინის მსგავს მოქმედებას და ხასიათდება კურარესმაგვარი თვისებებით.

სამედიცინო პრაქტიკაში მისი პრეპარატები (ნაყენი, ფზენილი, მშრალი ექსტრაქტი) გამოიყენება როგორც ამოსახველბეელი საშუალღება სასუნთქი გზების სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესების დროს; ალკალოიდ ციტიზინის ხსნარი იხმარება სუნთქვის აღმგზნებად. პახიკარპინს უნიშნავენ პერიფერიული სისხლძარღვების სპაზმების, ჰიპერტონიული დაავადებებისას. მშრალი მცენარის ფზენილი ხასიათღება ინსექტიციღური თვისებებით, წარმოადღენს კონტაქტური მოქმედების შხამს; არის მონაცემები, რომ ბალახის ნახარში ჭიისმღენ საშუალღებადაც იხმარება.

ხალხურ მედიცინაში გამოიყენება როგორც ამოსახველბეელი საშუალღება ზეღა სასუნთქი გზების კატარის, ფილტვების ანთების, გრიპის, ციებ-ცხეღების, ნაწღავების ათონიის, თავის ტკივიღების დროს და როგორც ჭიისმღენი საშუალღება.

**უკუქმედღება:** პრეპარატების დანიშვნისას სიფრთხიღის დაცვაა საჭირო, ვინაიღან წარმოადღენს ძღიერმომქმედ ნივთიერებებს (სიბ).

**ლაქის ხე – Toxicodendron vernicifluum (Stokes) F. Barclay  
(=Rhus verniciflua Stokes)**

**ოჯ. თუთუბოსებრნი – Fam. Anacardiaceae**



**მორფოლოგია:** 20 მ-მდე სიმაღლის ხეა. ფოთლები კენტფოთართულია 7-9 ფოთოლაკით (ხშირად 11-13). ყვავილები წვრილია მოყვითალო-თეთრი, შეკრებილია საგველა ყვავილეებად. ნაყოფი მოყვითალო - მწვანე კურკაა.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** გავრცელებულია ჩინეთში, კორეაში, იაპონიასა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. კულტივირებულია არეალის ფარგლებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ხის წვენი ტოქსიკურია, იწვევს ალერგიულ კონტაქტურ დერმატიტს, მათ შორის ორთქლთან კონტაქტის დროსაც. დასერვისას ხის ქერქი გამოჰყოფს ნაცრისფერ, სქელ შხამიან წვენს, შეიცავს ნივთიერება ურუშიოლს, ჰაერზე ჟანგბადის მოქმედებით პოლიმერიზაციის შედეგად წარმოიქმნება ფისები, იხსნება სპირტში და სხვა ორგანულ გამხსნელებში; შემდგომი დამუშავებისას მისგან მიიღება ე.წ. “იაპონური შავი ლაქი”. აღსანიშნავია, რომ ერთი ზიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე მიიღება 200 გ-მდე ლაქის წვენი, რის გამოც მეტად ძვირადღირებული ნედლეულია.

ნაყოფები შეიცავს 25% ცხიმებს, მისგან ღებულობენ ე.წ. იაპონურ ცვილს, რომელსაც ფართოდ იყენებენ ტრადიციულ იაპონურ



მედიცინაში. ხის წვენისაგან მიიღება აგრეთვე უნიკალური და ძლიერმდგრადი მელანი.

**უკუქმედება:** გაურკვეველია.

**ლეგა ან ვერცხლისფერი აკაცია (მიმოზა) –  
Acacia dealbata Link.**

**ოჯ. პარკოსანნი - Fam. Leguminosae (Fabaceae)**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე სწრაფმზარდი 10-12 მ-მდე სიმაღლის ხეა გაშლილი ვარჯით. ხის ტანი და ტოტების ქერქი მურა-ლეგა მოყავისფრო შეფერილობისაა, დიდი რაოდენობის ნახეთქებით, საიდანაც ხშირად გუმფისი გადმოდის; ტოტები და ფოთლები ლეგა-მწვანე ნაფიფქითაა მოფენილი. ფოთლები მორიგეობითაა, ორმაგ ფრთისებრ განკვეთილი, 10-20 სმ სიგრძის, პირველი რიგის თითოეული ფოთოლაკი შედგება მეორე რიგის 50 წყვილი მოგრძო ფოთოლაკისაგან. ყვავილი მოყვითალო-ლეგაა, ძალიან წვრილი, სურნელოვანი, 20-30 ცალის რაოდენობით შეკრებილია 4-8 მმ დიამეტრის სფერულ თავაკებად, რომლებიც თავის მხრივ გაერთიანებულია მტეენისებრ ყვავილელებად. ნაყოფი ბრტყელი, მოგრძო-ლანცეტისებრი, ბლავვი, ბაცი ან მოიისფრო-ყავისფერი ჭოტია, ცალკეული ბუდეებით. თესლი მაგარია, მურა, ბრტყელი, ელიფსური.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად გავრცელებულია ავსტრალიის სამხრეთ-აღმოსავლეთით და

კუნძულ ტასმანიაზე. ფართოდ გავრცელდა და დამკვიდრდა სამხრეთ ევროპაში, სამხრეთ აფრიკაში, აშშ-ის დასავლეთ ნაწილში, აზორის კუნძულებსა და მადაგასკარზე. საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში (შავიზღვისპირეთში) 1852 წლიდანაა კულტივირებული.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:**

ხმელთაშუაზღვეთის რაიონების ბალ-პარკების ერთ-ერთი დამამშვენებელი მცენარეა, სადაც დეკორატიული მიზნებისათვის საექსპორტოდაც ამრავლებენ, მოყვავილე ტოტები გააქვთ ჩრდილოეთის ქვეყნებში. ქერქიდან მთრიმლავ ნივთიერებებს (15-20%) ღებულობენ, მერქანს ცელულოზის გადასამუშავებლად იყენებენ.

სამკურნალო ნედლეული ქერქი და გუმფისია, რომელიც შეიცავს პოლისახარიდ არაბინს (76%); ფესვები – მთრიმლავ ნივთიერებებს (15-25%); ყვავილებიდან მიიღება ეთერზეთები (0,9%), რომლის შემადგენლობაშია ნახშირწყლები, ანისულის ალდეჰიდი, პალმიტინის ალდეჰიდი, ანისულის ეთერები, პალმიტინისა და ძმრის მჟავები, მცირე რაოდენობით ფენოლები და სპირტები ამბრის ძლიერი სურნელით.

გუმფისის ხსნარს ოყნის სახით შინაგანად იყენებენ როგორც შემომდარსავ საშუალებას კუჭ-ნაწლავის ტრაქტის ანთებისა და წყლულოვანი დაავადებებისას გამაღიზიანებელი მოქმედების შესამცირებლად და სხვა სამკურნალო საშუალებების შეწოვის მიზნით.

გუმფისს, როგორც ემულგატორს ხმარობენ ზეთოვან ემულსიებში. ზეთი ხასიათდება ანტიინფლემატორული, მატონიზირებელი, შემკვრელი და ანთების საწინააღმდეგო მოქმედებით. განსაკუთრებით შეუცვლელია ცხიმოვანი და მგრძობიარე კანისათვის, ახალისებს და აცოცხლებს, ღიდხანს უნარჩუნებს ახალგაზრდობას, ასწორებს ნაოჭებს, უბრუნებს სიმკვრივეს; ამავდროულად არის ჭრილობების შემახორცველი და კანის საფარის აღმდგენი საშუალება.

არომათერაპიაში მისი ზეთი იხმარება სიმშვიდის მოსაპოვებლად და ძილისმომგვრელად.

**უაუქმდება:** დაუდგენელია.

**ლეღვი - *Ficus carica* L.**  
**ოჯ. თუთისებრნი - Fam. Moraceae**



**მორფოლოგია:** ბუჩქია ან დაბალი ტანის ხე, სქელი, სუსტად დატოტვილი ტოტებით. ფოთლები მომრგვალოა, მსხვილი, 3-7 ნაკვთიანი, იშვიათად მთელი, 15 სმ - მდე სიგრძისა და 12 სმ-მდე სიგანის, ზედა მხარეს - მუქი მწვანე, უხეშ-ხორკლიანი, ქვედაზე - ლეგა-მწვანე, ბუსუსიანი, გრძელი სქელი ყუნწებით. ერთსქესიანი მცენარეა, ყვავილები შეკრებილია მსხლისებრი ფორმის, ორიგინალურ ხორცოვან, დაბუშტულ, შიგნიდან ღრუ ყვავილებად, ეს უკანასკნელი წარმოადგენს გაფართოებულ ხორცოვან ღრუ ღერძს, სადაც ყვავილები შიგნითა მხარის კელლებზეა განლაგებული, ხოლო გარედან მწერების შესასვლელი ხვრელი აქვს დარჩენილი. მამრობითი ინდივიდების ყვავილელებში მხოლოდ მამრობითი ყვავილები ვითარდება, შედგება 3-წევრიანი ყვავილსაფრისა და 3 მტვრიანისაგან; აქ მდედრობითი ყვავილები მართალია წარმოდგენილია, მაგრამ არ ფუნქციონირებს; მდედრობითი ინდივიდების ყვავილელებში პირიქით, მამრობითი ყვავილებია რედუცირებული ქერქლებამდე, ვითარდება მხოლოდ მდედრობითი, რომელიც შედგება 5-წევრიანი ყვავილსაფრისა და ნასკვისაგან. ნაყოფი - ერთთესლიანი წვრილი კაკალია, ჩაფლულია ნაყოფედის გადაზრდილ ყვითელი ან მოშავო იისფერი შეფერილობის ქსოვილში, მომწიფებისას აღწევს 8 სმ სიგრძესა და 5 სმ დიამეტრს, იწონის 32 - 77 გ. ყვ. IV-V; ნაყ. VIII-IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად იზრდება ხმელთაშუაზღვეთის ქვეყნებში, მცირე და შუა აზიაში, კავკასიაში,

ახლო და შუა აღმოსავლეთში. კულტურაში უძველესი დროიდან შეტანილი არაბეთში, საიდანაც გავრცელდა მთელ წინა აზიასა და ეგვიპტეში. ახ.წ.აღ.-მდე IX-VIII საუკუნეებში კულტურული ლელვი ჩნდება ძველ საბერძნეთში, შემდეგ კი მეზობელ ქვეყნებში. ამერიკაში XVI ს-ში იქნა შეტანილი. სამრეწველო პლანტაციები სადღეისოდ ცნობილია თურქეთში, ალჟირში, ტუნისში, საბერძნეთში, იტალიაში, ესპანეთში, პორტუგალიაში, შუა აზიაში, ყირიმში, უკრაინის სამხრეთით, მოლდოვასა და კავკასიაში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ლელვის კვებითი ღირებულება საკმაოდ მაღალია. მიიღება ნედლი სახით, ამზადებენ ჩირს, მურაბას, კომპოტს, ჯემს, ხილფაფას, ღვინოს.

ნაყოფი შეიცავს 40 მგ%-მდე შაქრებს, უმთავრესად ფრუქტოზას და გლუკოზას, 5 მგ% პექტინოვან ნივთიერებებს, 1 მგ%-მდე ორგანულ მჟავებს (ლიმონის, ძმრის, ბორის), ცილებს, ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, კაროტინს), მიკროელემენტებს: 1000 მგ% კალიუმს, რომელიც არეგულირებს გულის მოქმედებას, 220 მგ% კალციუმს, 115 მგ% მაგნიუმს, 263 მგ% ფოსფორს, 43 მგ% რკინას; აღმოჩენილია აგრეთვე კუმარინები - ტრომბის წარმოქმნის შემაფერხებელი ნივთიერებები.

ნაყოფი სამკურნალო მნიშვნელობითაც გამოირჩევა. ხალხურ მედიცინაში გამოიყენება სისხლის შემადგენლობის გასაუმჯობესებლად, ხორხის, ტრაქეისა და ბრონქების ანთების, თირკმელების, შარდსადინარი გზებისა და შარდკენჭოვანი დაავადებების დროს. შეუცვლელია გულ-სისხლძარღვთა დაავადებების (ტახიკარდია, გულ-მკერდის ტკივილების) სამკურნალოდ; ჯერ კიდევ ავიცენა მიუთითებდა, რომ “ლელვი მარგებელია გულ-სისხლძარღვთა ყველანაირი დაავადებების, ბრონქიალური ასთმისა და გულისცემისას”.

ხასიათდება მსუბუქი სასაქმებელი, შარდმდენი, ოფლმდენი, საჭმლის მონელების გამაუმჯობესებელი, ფიბრინოლიტური, ჭრილობის შემახორცებელი და ამოსახველებელი მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ანემიის, სისხლძარღვთა თრომბის, ანგინის, ხმის დაკარგვის, მშრალი ვენოზური დაავადებისა და ხველების დროს. ლელვის შემადგენლობაში ახლადაა აღმოჩენილი

ნივთიერება - ფიცინი, რომელიც სისხლძარღვებს ასუფთავებს ბალთებისაგან და მათ ელასტიურს ხდის. ასაკოვანი ადამიანებისათვის კი ახალგაზრდობის ნამდვილი ელექსირია.

**უკუქმედება:** კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მწვავე ანთებითი პროცესები, ენტერიტები, შაქრიანი დიაბეტი, ნიკრისის ქარები, სიმსუქნე; გამშრალი ნაყოფები, სიტკბოდან გამომდინარე მავნებელია ღვიძლისა და ელენთის სიმსივნის დროს.

**ლიმონი - Citrus limon (L.) Burm.**  
**ოჯ. ტეგანისებრნი - Fam. Rutaceae**



**მორფოლოგია:** მარადმწვანე ხეა 5 მ-მდე სიმაღლის, უმრავლეს შემთხვევაში ეკლიანი. ახალგაზრდა ყლორტები მოწითალო-იისფერი შეფერილობისაა. ფოთლები მოგრძო-კვერცხისებრია ან ლანცეტა, ლიმონის სუნით. ყვავილი მარტოულია ან მცირე მტკვნებად შეკრებილი, უბისეული. ფოთოლაკები შიგნიდან ოდნავ მეწამულია. ნაყოფი ელიფსურია, წვერზე საწოვარისებრი გამონაზარდით; ქერქი ყვითელია, რბილობს ძნელად სცილდება. რბილობი მომწვანო-ყვითელია, მჟავე. თესლი ერთ ჩანასახიანია. ყვ. IV-V; ნაყ. IX-X.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ველურად არ გვხვდება. სავარაუდოდ კულტურაში შეტანილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ან სამხრეთ აზიაში. პირველად მოიხსენიება XII ს-ში, ინდოეთისა და პაკისტანის ტერიტორიაზე, საიდანაც არაბების მიერ ვრცელდება ჩრდილოეთ აფრიკაში, ესპანეთსა და იტალიაში.

ამჟამად,

კულტივირებულია უმთავრესად ევროპის სუბტროპიკულ ქვეყნებში, ჩრდ. ამერიკასა და აზიაში. ლიმონის კულტურა განსაკუთრებით განვითარებულია იტალიაში, მეორე და მესამე ადგილებზეა აშშ, ინდოეთი. კავკასიის შავზღვისპირეთში XVIII ს-დან მოჰყავთ, არასამრეწველო მასშტაბებით. საქართველოში უმთავრესად წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში (ძირითადად აჭარასა და აფხაზეთში).

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფები გამოიყენება ჩაისთან ერთად, კულინარიაში, წველებისა და გამახალისებელი სასმელების დასამზადებლად, ლიქიორ-არყის წარმოებაში.

ნაყოფები შეიცავს 2,1-3,8 მგ% შაქრებს, 4,1-5,9 მგ% ორგანულ მჟავებს, 90 მგ % ვიტამინებს (C, B<sub>1</sub>, B<sub>2</sub>, A, D), ფიტონციდებს, კალიუმისა და სპილენძის მარილებს, ეთეროვან ზეთებს; ლიმონის წვენი შეიცავს ლიმონის მჟავას, შაქრებს, ვიტამინებს (C, A, B, D); რბილობი შეადგენს ნაყოფის წონის 60 %, მასში აღმოჩენილია პექტინოვანი ნივთიერებები, კალიუმის, სპილენძის მარილები და სხვა მიკროელემენტები; ნაყოფის ქერქში გვხვდება: P ვიტამინი, ფლავონური გლიკოზიდები, კუმარინები და სიტოსტეროლი; ფოთლებში აღინიშნება: 55-88 მგ% ვიტამინი C. ქერქიდან, ყვავილებიდან, ფოთლებიდან და ყლორტებიდანღებულობენ ეთერზეთებს, რომელიც გამოიყენება საკვებ, პარფიუმერულ და ფარმაცევტულ მრეწველობაში.

ხალხურ მედიცინაში იხმარება ავიტამინოზის, ანგინის, ნიკრისის ქარების, კანისა და კუჭ-ნაწლავის დაავადებებისას.

ხასიათდება მასტიმულირებელი, ზოგადმატონიზირებელი, სიცხისდამწვევი, პირღებინების საწინააღმდეგო ფარმაკოლოგიური მოქმედებით.

მედიცინაში გამოიყენება ცხელების, ნივთიერებათა ცვლის დარღვევის, დაბალი სიმჟავით მიმდინარე გასტრიტის, ნიკრისის ქარების, შარდკენჭოვანი დაავადებების, ანგინის, დიფტერიის, ფარინგიტის, ანემიის დროს.

ლიმონის წვენს იყენებენ მარილების დალექვის, მათ შორის შარდმჟავა მარილების (ნიკრისის ქარები), შეშუპების, წყალმანკის,

ბუასილის, ტუბერკულოზის, რევმატიზმის, რადიკულიტის,

ჰიპაციდური გასტრიტის დროს. გარეგანად შეიძლება გამოყენებულ იქნეს კანის სოკოვანი დაავადებების, ქავილის, ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოსაშორებლად.

**უკუშმედება:** კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული, ეროზიული და ჰიპერაციდური გასტრიტი, კუჭის წვენის მომატებული მჟავიანობა, მწვავე და ქრონიკული პანკრეატიტი.

**ლიმონურა ჩინური – *Schisandra chinensis* (Turcz.) Baill.**  
**ოჯ. ლიმონურასებრნი – Fam. Schisandraceae**



**მორფოლოგია:** მრავალწლოვანი, მერქნოვანი ფოთოლმცვენი ლიანა, ძლიერი მონოპოლიალური დატოტვილი ღეროებით, რომლებიც 10-15 მ სიგრძის და 1-2 სმ სიგანისაა. ღეროები უმრავლეს შემთხვევაში ვითარდება სიმპოლიალური კანაფისებრი მუქი ყავისფერი ფესურიდან, რომლებიც რადიალურად ვრცელდება დედისეული ლიანის ფესვის ყელიდან 10-15 სმ სიღრმით. ფესურებს გააჩნია დამატებითი ფესვები, ქერქლისებრი ფოთლები და მრავალრიცხოვანი მეჭვებები, აღწევს 10-20 მ სიგრძესა და 0,5-1 სმ დიამეტრს. ნორჩი ვეგეტატიური ყლორტები ზრდის პროცესში ასრულებენ მარცხნივ მიმართულ მოძრაობებს და ეხვევიან ხეებს ან ბუჩქების ღეროებს საათის ისრის მოძრაობის

მიმართულებით და ერთ სავეგეტაციო პერიოდში აღწევს 1-1,5 მ სიმაღლეს. ნორჩი ყლორტების ქერქი პრიალაა, მოწითალო-მოყავისფრო, დაფარულია იშვიათი, მომრგვალო ქერქლით; ასაკოვანი ღეროების ქერქი მოწითალო-მოყავისფროა, ხეშეში. ფოთლები მორიგეობითია, ყუნწიანი, ოდნავ ხორცოვანი, ზედა ნაწილი მწვანეა, შიშველი, ქვემოდან – მონაცრისფრო, ძარღვებზე სუსტად შებუსული. მცენარე ერთსახლიანია, ყვავილები ერთსქესიანი. ყვავილები 1,5 სმ დიამეტრისაა, არომატული, თეთრი, ყვავილობის ბოლოს ვარდისფერდება, შეკრებილია 3-5 ცალად ერთწლოვან ყლორტებზე ფოთლების უბეებში. გადაყვავილების შემდეგ წარმოიქმნება მრავალრიცხოვანი კენკრის მტევნისებრი ნაკრები, რომელიც წითელია, წვნიანი. თესლი მომრგვალო თირკმლისებრია, გლუვი, პრიალა, მოყვითალო-ძურა ფერის. ყვ. V-VI; ნაყ. IX.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩინეთია. ბუნებრივად გავრცელებულია ჩინეთში, იაპონიაში, კორეაში, ზღვისპირა და ხაბაროვსკის მხარეებში, შერეულ წიწვოვან-ფართოფოთლოვან ტყეებში.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ნაყოფი საკვებად გამოიყენება; ამზადებენ კისელს, ჯემს, გამავრილებელ სასმელებს, საკონდიტრო წარმოებაში - კანფეტების სატენს. ფოთლებისა და ქერქისგან - ჩაის, რომელიც ლიმონის სასიამოვნო არომატით გამოირჩევა და ცინგის საწინააღმდეგო მოქმედებით ხასიათდება.

ნაყოფის წვენი შეიცავს შაქრებს (1,5%-მდე), ორგანულ მჟავებს (8,5 -20%) – უმთავრესად ლიმონის (11%), ვაშლის (7-8%), ღვინის (0,8%); ვიტამინებს - ასკორბინის მჟავას, თიამინს, რიბოფლავინს. თესლებში აღინიშნება მატონიზირებელი ნივთიერება სხიზანდრინი და სხიზანდროლი - 0,012%-მდე, ტიკოფეროლი (0,03) და ცხიმოვანი ზეთები (34 %-მდე). მცენარის ყველა ნაწილი, მათ შორის ყველაზე მეტ ეთერზეთებს ქერქი შეიცავს (2,6-3,2%), რომელიც გამოირჩევა ნაზი, სასიამოვნო - ლიმონის არომატით. ქერქის ეთერზეთები – გამჭვირვალე ოქროსფერ-ყვითელი სითხეა ლიმონის სუნით. ეთერზეთების შემადგენლობაში შედის სესკვიტერპენული ნახშირწყლები (30%-მდე), ალდეჰიდები



და კეტონები (20%-მდე); ცხიმზეთების შემცველობაში აღინიშნება: a-ლინოლენის (20%-მდე), ლინოლენის (35%), ოლეინის (34%) და 4%-მდე სხვა მჟავები.

ლიმონურას მომქმედი ნივთიერებები წარმოადგენს დამამშვიდებელი პრეპარატების ფიზიოლოგიურ ანტაგონისტს, თრგუნავს ცენტრალურ ნერვულ სისტემას (მათ შორის ბარბიტურანტებს, ტრანკვილიზატორებს, ეპილეპსიის საწინააღმდეგო, სედატურ საშუალებებს, ნეიროლეპტიკებს); აძლიერებს ფსიქოსტიმულატორებისა და ანალეპტიკების (მათ შორის კოფეინის, ქაფურის, ფენამინის) მოქმედებას.

სამკურნალო ნედლეულს ნაყოფები (*Fructus Schisandrae*) და თესლები (*Semen Schisandrae*) წარმოადგენს, რომლებიც ხასიათდება ადაპტოგენური, საერთომატონიზირებელი და ფსიქომასტიმულირებელი მოქმედებით.

ლიმონურას პრეპარატები ნაჩვენებია ასთენიური სინდრომის, ჰიპოტონური ტიპის ვეგეტოსისხლდარღვევის დისტონიის, სომატური და ინფექციური დაავადებების შემდგომ რეკონვალესცენციის პერიოდში; მას უნიშნავენ გადაღლილობის, შრომისუნარიანობის დაქვეითების და მაღალი ნერვულ-ფსიქიკური და ფიზიკური გადატვირთებისას. შედის კომპლექსური თერაპიის შემადგენლობაში ნევრასტენიის ფონზე სასქესო ფუნქციების დარღვევისას.

**უკუქმედება:** გვერდითი მოვლენებიდან აღინიშნება ალერგიული რეაქციები, ტაზიკარდია, ძილის დარღვევა, თავის ტკივილები, არტერიული წნევის ამაღლება. აქედან დაკავშირებით უკუმაჩვენებელია გულის მოქმედების დარღვევის, არტერიული ჰიპერტონიის, ეპილეპსიის, ადგზნების, ძილის დარღვევის, მწვავე ინფექციური და ლეიდილის ქრონიკული დაავადების, პრეპარატების კომბონენტების მიმართ ჰიპერმგრძნობელობის დროს, ფენხმიძობისა და ლაქტაციის პერიოდში, აგრეთვე 12 წლამდე ბავშვებისათვის.

**ლიქვიდამბარი, ამბრის ხე**  
**Liquidambar styraciflua L.**  
**ოჯ. ჰამამელისებრნი - Fam. Hamamelidaceae**



**მორფოლოგია:** სუბტროპიკული ფოთოლმცვენი 15 მ-მდე სიმაღლის ხეა; ფოთლები თათისებრ დანაკვეთლია, ხერხებილა კიდეებით, გრძელყუნწიანი. ყვავილები წვრილია, შეკრებილია თავაკისებრ ყვავილელებად. ნაყოფი მშრალი, ბურთისებრი ჩხვლეტია თავაკია.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** ბუნებრივად იზრდება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების სუბტროპიკულ სარტყელში. კულტივირებულია როგორც დეკორატიული მცენარე კავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე და მცირე აზიაში. სახელწოდება ლიქვიდამბარი წარმოიქმნა არაბული ორი სიტყვიდან: liquidus – თხევადი და ambar – ქარვა.

**სამეურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** სამკურნალო ნედლეული არომატული ბალზამი – სტირაქსი პათოლოგიური წარმონაქმენია; მცენარე მას გამოიმუშავებს ქერქის დაზიანებისას. გასუფთავებული ბალზამი მურა-ნაცრისფერი, სქელი, მწვბავი სითხეა, სპილენძის კონსისტენციის სასიამოვნო სუნით, წარმოადგენს ფისისა და ეთერზეთების ნარევს. ფესვები შეიცავს ფისოვან სპირტებს, რომლებიც ნაწილობრივ დაკავშირებულია დარიჩინის მჟავასთან. ეთერზეთოვანი ფრაქცია შეიცავს ეთილის ეთერებს, ფენილპროპილისა და დარიჩინის სპირტებს დარიჩინის მჟავით, ვანილინს.

სამკურნალო თვისებებით ხასიათდება ხის ქერქი და ფისები – სტირაქსი. ახასიათებთ ძლიერი ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი, გამოიჩინება ანტიისესტიკური მოქმედებითაც.

აღმოსავლურ ხალხურ მედიცინაში ლიქვიდამბრის მალამო სახელწოდებით “ლევანტიური სტირაქსი” გარეგანად როგორც ანტიისესტიკური საშუალება გამოიყენება ჭრილობებისა და კანის დაავადებების (მუნის, მღიერების, პიოდერმიის) სამკურნალოდ. ხის ქერქის ფხვნილს ხმარობენ დიზენტერიის დროს, ამოსახველებელ საშუალებად ტუბერკულოზით დაავადებისას, გამოიყენება საინჰალაციოდაც.

პოპულარულია პარფიუმერიულ მრეწველობაში, ამზადებენ საკმეველსა და სუნამოებს.

**უპოქმედება:** არ იწვევს გვერდით ეფექტებს.

### **ლობელია – *Lobelia inflata* L.**

**ოჯ. ლობელიასებრნი - Fam. Lobeliaceae**



**მორფოლოგია:** ბალახოვანი მცენარეა 50 სმ-მდე სიმაღლის, სწორმდგომი, წახნაგოვანი, დატოტვილი მოწითალო ღეროთი; ფოთლები მორიგეობითია, მოგრძო-კვერცხისებრი, პრიალა, დაძარღვეული. წვრილი ორტუჩა ყვავილები მოკლემუნწიანია, ცისფერი ან ლურჯი ფერის, დიდ მტევნისებრ ყვავილელებად შეკრებილი. ნაყოფი ორბუდიანი ბუშტიანობის კოლოფია წვრილი კვერცხისებრი მურა თესლებით. ყვ. VI-VII; ნაყ. VIII.

**ისტორია და კულტურის გავრცელება:** სამშობლო ჩრდილოეთ ამერიკაა. სადღეისოდ კულტივირებულია შუა და აღმოსავლეთ ევროპაში, რუსეთში, უკრაინაში.

**სამკურნეო მნიშვნელობა და გამოყენება:** ყურადღებას იპყრობს დეკორატიული და სამკურნალო მნიშვნელობით.

სამკურნალო ნედლეულია ფოთლები, ყვავილები, თესვები. მათგან გამოყოფილია ნივთიერებები: ლობელია, ლობინინი, ნორლობელანინი, ნორლობლანიდინი, ლობელანინი, ლობელანიდინი და ა.შ.

როგორც სამკურნალო საშუალება გამოიყენება კოლაპსის საშიშროების, ნარკოტიკული მოწამლების, ასთმის, ყივანაზველის, ხველების, მზის დარტყმისა და მძიმე ინფექციური დაავადებებისას; კუჭქვეშა ჯირკვლების ფუნქციის სტიმულირებისათვის, გულის მწვავე უკმარისობის, სისხლძარღვების ტონუსის ასამაღლებლად, წნევის დაქვეითების, სისხლის დიდი რაოდენობით დაკარგვის შემთხვევაში. მას აგრეთვე იყენებენ ახალდაბადებულ ბავშვებში ასფიქსიის მოსახსნელად, სუნთქვის აღსადგენად და სტიმულირებისთვის.

ოფიცინალურ მედიცინაში მიღებულია პრეპარატი ლობესილი, რომელიც ხელს უწყობს თამბაქოს წვევის გადაჩვევას. ბალახს იყენებენ ასტმის საწინააღმდეგო სიგარეტებში.

ტრადიციული ფიტოთერაპევტები ლობელიას თვლიან ერთ-ერთ ყველაზე მომქმედ და სასარგებლო ბალახად პლანეტაზე და იყენებენ მრავალ ბალახოვან ფორმულაში. ლობელია ადაპტოგენია ან “მოაზროვნე” ბალახი, ანუ მას გადააქვს სხვა ბალახების სასარგებლო ფიტოქიმიური ნივთიერებები თავის ნივთიერებებთან ერთად ადამიანის სხეულის იმ წერტილებში, რომლებიც მკურნალობას საჭიროებენ. მცენარე ეფექტურია ორგანიზმიდან ტოქსინების გამოსადგენად.

**უკუქმედება:** შხამიანი მცენარეა, დიდ დოზებში იწვევს სუნთქვის პარალიზებას, პირღებინებას, კუჭის ტკივილებს, ფალარათს, გუგების შევიწროებას. უკუმაჩვენებელია მაღალი წნევისადმი მიდრეკილი ადამიანებისათვის.

## მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი

### ნაწილი I

- 1 აბუსალათინი - 35
- 2 აბრეშუმის ან მატყლის ხე - 38
- 3 აგავა - 39
- 4 ავოკადო - 42
- 5 აზიმინა, ბანანის ხე - 44
- 6 აჟგონი ან ინდური კვლიავი - 46
- 7 ალექსანდრიული დაფნა, ტამანუ - 48
- 8 ალოე - 50
- 9 ალოკაზია, ტარო - 53
- 10 ალპინია, ნამდვილი გალანგა - 55
- 11 ამერიკული კატალპა - 56
- 12 ამორფოფალუსი - 57
- 13 ანაკარდიუმი ან ინდური კაკალი - 59
- 14 ანანასი - 61
- 15 ანისული - 63
- 16 ანისულის ხე - 65
- 17 ანონა, არაჟანის ვაშლი - 67
- 18 არალია მანჯურისის - 68
- 19 არაქისი ან მიწის თხილი - 70
- 20 ასპიდისტრა - 73
- 21 არღავანი, იუდას ხე - 74
- 22 არწივის ან აგარის ხე - 75
- 23 აფრიკული აბანოზი ან აფრიკული შავი ხე - 78
- 24 აღმოსავლური ბიოტა - 80
- 25 ბადიანი, ვარსკვლავისებრი ანისი - 82
- 26 ბაიას ხე ან მიხაკის წიწაკა - 83
- 27 ბამბის ბუჩქი ამერიკული - 85
- 28 ბამბის ან მატყლის ხეები - 87
- 29 ბანანი - 89
- 30 ბანიანი, ბენგალიური ფიკუსი - 93
- 31 ბალზამის სოჭი - 96
- 32 ბაობაბი - 98
- 33 ბაროსმა - 101

- 34 ბაყმის ხე, შავი სანდალოზი - 103
- 35 ბაჰარი - 104
- 36 ბერგამოტი - 106
- 37 ბილვა, ბაელი - 108
- 38 ბრაზილირი ყურძნის ხე, ჯაბუტიკაბა - 110
- 39 ბრაზილიური ჰევეა, კაუჩუკის ხე - 112
- 40 ბრინჯი - 115
- 41 ბროწეული - 117
- 42 ბუჩქისებრი გომფოკარპუსი - 119
- 43 გელზემია - 120
- 44 გინკგო - 122
- 45 გლედიჩია - 124
- 46 გლიცინია, ცის ვაზი - 126
- 47 გრეიფრუტი - 127
- 48 გრძელნაყოფა ჯუთი - 129
- 49 გუიავა - 130
- 50 გუარანა - 132
- 51 გუტაპერჩის ხე - 134
- 52 დანამასტაკი - 135
- 53 დარიჩინის ხე ჩინური - 137
- 54 დარიჩინის ხე ცეილონის - 138
- 55 დასავლური ტუია - 140
- 56 დაფნა - 142
- 57 დედოფლის ყვავილი - 144
- 58 დევის ხე, დრაკონის ხე - 146
- 59 დიდყვავილა მაგნოლია - 148
- 60 დიბროა - 149
- 61 ღურიო - 151
- 62 ღურღუნა - 153
- 63 ევგენოლის რეჰანი - 155
- 64 ევკალიპტები - 157
- 65 ევკომია - 162
- 66 ეკალიფი - 164
- 67 ეკლის ხე, ცრუაკაცია - 165
- 68 ელეუტერაკოკი - 167

- 69 ერვა, “პოლ-პალა” - 169
- 70 ეხინოპანაქსი - 171
- 71 ვანილი - 172
- 72 ვარდის ხე ბრაზილიური - 175
- 73 ვარდისფერი კატარანტუსი - 177
- 74 ვეფხისტყავა, სანსევიერა - 179
- 75 ვნების ყვავილი, პასიფლორა - 180
- 76 ვნების ყვავილი, მარაკუია - 183
- 77 ზაფრანა - 185
- 78 ზეთისხილი, ზეთის ხე - 188
- 79 ზეთის პალმა - 190
- 80 ზეფირანტუსი - 192
- 81 ზღვის ხახვი - 193
- 82 ზღმარტლი - 194
- 83 თამბაქო - 196
- 84 თეთრძარღვიანი მარანტა - 201
- 85 თეთრი სანდალოზი - 202
- 86 თირკმლის ჩაი - 204
- 87 თუთა - 206
- 88 იაპონური აუკუბა, ოქროს ხე - 209
- 89 იაპონური ზღმარტლი, ლოქვა - 211
- 90 იაპონური სოფორა - 212
- 91 იაპონური ცხრატყავა - 214
- 92 იაპონური ხურმა - 216
- 93 ინდური დილენია, სპილოს ვაშლი - 219
- 94 ინდური ვარდის ხე - 220
- 95 ინდური ლემა - 221
- 96 ინდური ლოტოსი - 223
- 97 იპეკო, იპეკაკუანა - 225
- 98 კაინიტო, ვარსკვლავის ვაშლი - 226
- 99 კაიპუტის ხე, თეთრი ჩაის ხე - 228
- 100 კაკაოს ან შოკოლადის ხე - 229
- 101 კალანძოე - 232
- 102 კალიზია - 235
- 103 კამელია - 237

- 104 კარდამონი - 239
- 105 კერატი, კერობი - 242
- 106 კიგელია, ძეხვის ხე - 244
- 107 კივანო, აფრიკული კიტრი - 246
- 108 კივი - 247
- 109 კიტრის ხე, ბილიმბი - 250
- 110 კლივია - 251
- 111 კოდიეუმი, კროტონი - 253
- 112 კოკა, კოკაინის ბუჩქი - 254
- 113 კომიფორა, მირა - 256
- 114 კორდილინა - 257
- 115 კოჭა - 259
- 116 კრინი - 261
- 117 კურკუმა, ქურქუმა - 262
- 118 კურუპიტა, ქვემეხის ხე - 264
- 119 ლავანდი - 265
- 120 ლანცეტა თერმოპსისი - 268
- 121 ლაქის ხე - 270
- 122 ლეგა ან ვერცხლისფერი აკაცია - 271
- 123 ლელვი - 273
- 124 ლიმონი - 275
- 125 ლიმონურა ჩინური - 277
- 126 ლიქვიდამბარი, ამბრის ხე - 280
- 127 ლობელია - 281



მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი

ნაწილი I

1. *Abies balsamea* - 96
2. *Acacia dealbata* - 271
3. *Actinidia chinensis* - 247
4. *Adansonia digitata* - 98
5. *Aegle marmelos* - 108
6. *Aerva lanata* - 169
7. *Agathosma betulina* - 101
8. *Agave americana* - 39
9. *Alocasia odora* - 53
10. *Aloe arborescens* - 50
11. *Alpinia galanga* - 55
12. *Amorphophallus konjak* - 57
13. *Amyris balsamifera* - 220
14. *Anabasis aphylla* - 153
15. *Anacardium occidentale* - 59
16. *Ananas sativus* - 61
17. *Aniba rosaeodora* - 175
18. *Anisum vulgare* - 63
19. *Annona muricata* - 67
20. *Aquilaria malaccensis* - 75
21. *Arachis hipogaea* - 70
22. *Aralia elata* - 68
23. *Asimina triloba* - 44
24. *Aspidistra elatior* - 73
25. *Aucuba japonica* - 209
26. *Averrhoa bilimbi* - 250
27. *Bombax ceiba* - 38
28. *C. zeylanicum* – 138

29. *Calisia fragrans* - 235
30. *Callophyllum inophyllum* - 48
31. *Camellia sinensis* - 237
32. *Carum ajowan* - 46
33. *Catala bignonioides* - 56
34. *Catharanthus roseus* - 177
35. *Ceiba pentandra* - 87
36. *Cephaelis ipecacuanha* - 225
37. *Ceratonia siliqua* - 242
38. *Cercis siliquastrum* - 74
39. *Chrysophyllum cainito* - 226
40. *Cinnamomum cassia* - 137
41. *Citrus bergamia* - 106
42. *Citrus limon* - 275
43. *Citrus paradisi* - 127
44. *Clivia miniata* - 251
45. *Codiaeum variegatum* - 253
46. *Commiphora myrrha* - 256
47. *Corchorus olitorius* - 129
48. *Cordyline australis* - 257
49. *Couroupita guianensis* - 264
50. *Crinum asiaticum* - 261
51. *Crocus sativus* - 185
52. *Cucumis metuliferus* - 246
53. *Curcuma aromatica* - 262
54. *Dalbergia melanoxylon* - 78
55. *Datura innoxia* - 221
56. *Dichroa febrifuga* - 149
57. *Dillenia indica* - 219
58. *Diospyros kaki* - 216
59. *Dracaena draco* - 146
60. *Drimia maritima* - 193

61. *Durio zibethinus* - 151
62. *Echinopanax elatum* - 171
63. *Elaeis guineensis* - 190
64. *Elettaria cardamomum* - 239
65. *Eleutherococcus senticosus* - 167
66. *Elythroxyton coca* - 254
67. *Eriobotrya japonica* - 211
68. *Eucalyptus* L. - 157
69. *Eucommia ulmoides* - 162
70. *Ficus benghalensis* - 93
71. *Ficus carica* - 273
72. *Gelsemium sempervirens* - 120
73. *Ginkgo biloba* - 122
74. *Gleditschia triacanthos* - 124
75. *Gomphocarpus fruticosus* - 119
76. *Gossypium hirsutum* - 85
77. *Haematoxylon campechianum* - 103
78. *Hevea brasiliensis* - 112
79. *Illicium verum* - 82
80. *Kalanchoe pinnata* - 232
81. *Kigelia pinnata* - 244
82. *Laurus nobilis* - 142
83. *Lavandula officinalis* - 265
84. *Liquidambar styraciflua* - 280
85. *Lobelia inflata* - 281
86. *Lonicera japonica* - 214
87. *Magnolia grandiflora* - 148
88. *Maranta leuconeura* - 201
89. *Melaleuca cajuputi* - 228
90. *Mespilus germanica* - 194
91. *Morus alba* - 206
92. *Musa x paradisiaca* – 89

93. *Nelumbo nucifera* – 223
94. *Nicotiana tabacum* - 196
95. *Ocimum gratissimum* - 155
96. *Olea europaea* - 188
97. *Orthosiphon stamineus* - 204
98. *Oryza sativa* - 115
99. *Palaquium gutta* - 134
100. *Passiflora coerulea* - 180
101. *Passiflora edulis* - 183
102. *Paulinia cupana* - 132
103. *Persea americana* - 42
104. *Pimenta dioica* - 104
105. *Pimenta racemosa* - 83
106. *Pistacia lentiscus* - 135
107. *Platycladus orientalis* - 80
108. *Plinia cauliflora* - 110
109. *Psidium guajava* - 130
110. *Punica granatum* - 117
111. *Ricinus communis* - 35
112. *Robinia pseudoacacia* - 165
113. *Sansevieria trifasciata* - 179
114. *Santalum album* - 202
115. *Sassafras officinale* - 65
116. *Schisandra chinensis* - 277
117. *Smilax medica* - 164
118. *Sophora japonica* - 212
119. *Theobroma cacao* - 229
120. *Thermopsis lanceolata* – 268

121. *Toxicodendron vernicifluum* - 270
122. *Tropaelum majus* - 144
123. *Tuja occidentalis* - 140
124. *Vanilla planifolia* - 172
125. *Wisteria chinensis* - 126
126. *Zepharanthus rosea* - 192
127. *Zingiber officinale* – 259

## გამოყენებული ლიტერატურა

- აპოლონოს როდოსელი. არგონავტიკა. თბილისი, 1975.
- არნოლდ ვილანოველი სალერნოს ჯანმრთელობის კოდექსი (თარგმანი, ნარკვევი, შენიშვნები აკაკი გელოვანის). თბილისი, 1989.
- ბიძინაშვილი რ., ცხადაძე ნ., ხაიკაშვილი ხ. თბილისის მიდამოების სამკურნალო მცენარეები. თბილისი, 2010.
- ბიძინაშვილი რ. სამკურნალო მცენარეები (წარსული, აწმყო და მომავალი). თბილისი, 2011.
- ბიძინაშვილი რ. საკვები და ხილ-კენკროვანი კულტურების სამკურნალო მნიშვნელობა. თბილისი, 2013.
- დავით ბაგრატიონი იადიგარ დაუდი. თბილისი, 1985.
- იაკობაშვილი ნ. ეთეროვანი ზეთების წარმოების ტექნოლოგია. თბილისი, 1959.
- იოანე ბაგრატიონი საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი. თბილისი, 1986.
- კერესელიძე ჯ. ამერიკული მსხვილნაყოფა შტომის (*Oxycoccus macrocarpus* Pers.) ინტროდუქცია და მისი კულტივირების შესაძლებლობები კოლხეთის დაბლობზე. თბილისი, 2001.
- კომარნიცკი ნ., კულდრიაშოვი ლ., ურანოვი ა. მცენარეთა სისტემატიკა. მთარგმნელები ა. მიქელაძე, ი. მიქელაძე. თბილისი, 1973.
- მაყაშვილი ა. ბოტანიკური ლექსიკონი. თბილისი, 1961.
- მაყაშვილი ზ. მცენარეთა სახელდება. თბილისი, 1996.
- ოდიშარია თ., საბახტარიშვილი შ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები და ფიტოთერაპიული რეცეპტურა. თბილისი, 1993.
- ორფიკული არგონავტიკა. ძველბერძნულიდან თარგმნა და გამოკვლევა დაურთო ნათელა მელაშვილმა. თბილისი, 1977.
- პაპუნძი ვ. კივი (*Actinidia*). ბათუმი, 1998.
- სალუქვაძე ს. წამალთმცოდნეობა ძველ საქართველოში და მისი შემდგომი განვითარების გზები უძველესი დროიდან XX საუკუნემდე. თბილისი, 1987.
- საქართველოს მცენარეების სარკვევი, ტ. I-II, თბილისი, 1964-1969.

- სურმანიძე რ. მცირე კარაბადინი, II ნაწ., “აჭარა”, ბათუმი, 1991.  
ფანასკერტელი-ციციშვილი ზ. სამკურნალო წიგნი “კარაბადინი”.  
თბილისი, 1978.
- შენგელია ზ. სამკურნალო მცენარეთა კულტურა საქართველოში.  
თბილისი, 1983.
- შენგელია მ. უძველესი კოლხურ-იბერიული მედიცინა. თბილისი,  
1979.
- ჩხაიძე გ. სუბტროპიკული კულტურები, ნაწ. მესამე. თბილისი,  
1996.
- წუწუნავა ნ. საქართველოს სამკურნალო მცენარეები, II გამოც.  
თბილისი, 1966.
- ხარებავა მ. სუბტროპიკული რაიონები და სუბტროპიკული  
კულტურები სსრ კავშირში. თბილისი, 1951.
- ხიდაშელი შ., პაპუნიძე ვ. საქართველოს ტყის სამკურნალო  
მცენარეები. ბათუმი, 1985.
- ჯაფარიძე ა. ტექნიკური კულტურები. თბილისი, 1979.
- ჯიჯვიშვილი ზ. მასალები ქართული მედიცინის ისტორიისათვის  
1819- 1860. თბილისი, 1974.
- Алешкина Я.А., Бурмистров Ф.Л., Кирьянов А.П. Кендырь  
коноплевый. М., 1953.
- Атлас ареалов и ресурсов лекарственных растений СССР, М.,  
1976.
- Бережной И.М., Капцинель М.А., Нестеренко Г.А.  
Субтропические культуры. М., 1951.
- Буюкли М. Лаванда и ее культура в СССР. Кишинев, 1969.
- Вехов В.Н., Губанов И.А., Лебедева Е.Ф. Культурные растения  
СССР. М., 1978.
- Возделывание лекарственных растений. М., 1954.
- Вульф Е.В., Малеева О.Ф. Мировые ресурсы полезных растений.  
Л., 1969.
- Гаммерман А.Ф., Г.Н.Кадаев, М.Д. Щупинская, А.А. Яценко-  
Хмелевский. Лекарственные растения (растения целители).  
М., 1976.
- Гаммерман А.Ф., Юркевич И.Д. Лекарственные растения.  
Минск, 1965.

- Герасименко И.И., Либизов Н.И., Никольская Б.С., Сацыперов Ф.А. Дурман индейский. М., 1953.
- Гранникова Т.А. Краткое руководство по гомеотерапии. Л., 1956.
- Дарабан В. Готовые лекарственные средства. Киев, 1976.
- Долгова А.А., Ладыгина Е.Я. Руководство к практическим занятиям по фармакогнозии. М., 1977.
- Землинский С.Е. Лекарственные растения СССР. М., 1951.
- Ибрагимов Ф. И., Ибрагимова В.С. Основные лекарственные средства Китайской медицины. М., 1960.
- Игнатъев А.Н. Овощные растения земного шара. Минск, 1966.
- Йорданов Д., Николов П., Бойчинов А. Фитотерапия. София, 1970.
- Йирасек В., Стары Ф. Лекарственные растения. Артия, Прага, 1982.
- Карпович В.Н., Беспалова Е.И. Фармакогнозия. М., 1977.
- Кибальчич П.Н. Камелия эвгенольная. М., 1954.
- Ковалева И.Г. Лечение растениями. М., 1972.
- Кортиков В.Н., Кортиков А. В. Энциклопедия. Лекарственные растения. М., 1998.
- Кошечев А.К. Дикорастущие съедобные растения в нашем питании. М., 1981.
- Ладынина Е.А, Морозова Р.С. Фитотерапия. Л., 1987.
- Липин Л., Белов А. Глиняные книги. Л., 1956.
- Мазнев Н. Энциклопедия лекарственных растений. М., 2003.
- Машковский М.Д. Лекарственные средства. М., 1967.
- Муравьева Д.А., Гаммерман А.Ф. Тропические и субтропические лекарственные растения. М., 1974.
- Муравьева Д.А. Фармакогнозия. М., 1978.
- Полная энциклопедия народной медицины. Т. I-III. М., 2001.
- Пряноароматические растения в быту. Минск, 1976.
- Растительные ресурсы СССР. Цветковые растения, их химический состав, использование. Т. 1-6. Л. 1985 – 1990.
- Роллов А.Х. Дикорастущие растения Кавказа, их распространение, свойства и применения. Тифлиси, 1908.



- Салернский Кодекс Здоровья. Написанный в четырнадцатом столетии философом и врачом Арнольдом из Вилановы. М., 1970.
- Сало В.М. Зеленые друзья человека. М., 1975.
- Священник Александр Жуков. Божий лекарь. М., 2008.
- Современная фитотерапия. София, 1988.
- Справочник по лекарственным растениям. М., 1990.
- Струевъ К.А. Схема распределения лекарственных растений въ порядке естественно-ботанической системы. М., 1912.
- Токин Б. П. Губители микробов – Фитонциды. М., 1960.
- Токин Б. П. Целебные яды растений. Повесть о фитонцидах. Л., 1974.
- Тропические и субтропические растения. Краткие итоги интродукции в оранжерею Главного ботанического сада. Ответственный редактор Н. В. Цицин. М., 1961.
- Турова А.Д. Лекарственные растения СССР и их применение. М., 1967.
- Турова А.Д. , Сапожникова Э.Н. Лекарственные растения СССР и их применение. II Изд. М., 1982.
- Удалова Р.А., Вьюгина Н. Г. В мире кактусов. М., 1983.
- Шестаев А. К., Лиренко Ы.Г. Женшень и другие лекарственные растения. Минск, 1977.
- Шретер А.И. Муравьева Д.А., Поскалн Д.А., Ефимова Ф.В. Лекарственная флора Кавказа. М., 1979.
- Цкитишвили Г. Субтропические технические культуры. Тбилиси, 1956.
- Энциклопедический словарь лекарственных, эфиромасличных и ядовитых растений. М., 1951.
- Эристави К. Д., Гелбахиани П. Г., Саакашвили М. Г., Гелашвили А.П. Медицина Грузии. Книга 1. Тбилиси, 1967.
- Эфиромасличные культуры. Под редакцией к.т.н. А.М. Смолякова и к.с-х. н. А.Т. Ксендза. М., 1976.
- Яшвили А.О. Народная медицина въ Закавказскомъ краѣ. Тифлисъ, 1904.
- [med-otzyv.ru/travnik/](http://med-otzyv.ru/travnik/);
- [hnb.com.ua/articles/](http://hnb.com.ua/articles/);
- [yourlifestyle.ru/polza/](http://yourlifestyle.ru/polza/);

Ast 752.ru /poleznii-sovet.php;  
ru.wikipedia.org /wiki/ ;  
hnb.com.ua;  
onwomen.rumissfit.ru/food/soy;  
www.medicinalplants.ru;  
healt.wild-mistress.ru;  
www.bestgardener.ru; vk.com;  
hnb.com.ua/articles/s-zdorovie;  
nelechim.ru /index.php;  
www.rastenia-lecarstvennie.ru;  
www.gippokrat.by;  
woman.delfi.ua; svoistva.ru;  
www.likfoods.ru;  
mir-yagod.ru;  
rabotex.ru;  
kaplaninternational.com;  
inflora.ru;  
http://www.travoved.ru;  
hnb.Com.ua.Reflerat.Az.  
Wikipedia.org.medn.ru.  
Wikipedia.com.  
Academia.ru.  
Vazony.com.forum.aromati.ru.  
Aurdorov.ru.Pantopedia.ru.  
Globinmed.com.  
http://greens-avenue.ru/encyclopedia/  
www/indianspices.ru/  
http://www.exotic.plts.de/Semena/Shrubs/  
http://herbalogia.ru/library

# შინაარსი

## ნაწილი I

წინათქმა .....	3
ფარმაკოგნოზიის ისტორიის მოკლე მიმოხილვა .....	7
ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების ძირითადი ადგილსამყოფლები .....	25
მონაცემები ტროპიკულ და სუბტროპიკულ მცენარეებზე, “ანი-დან ელ-ამდე”. .....	35
მცენარეების ქართულ სახელწოდებათა საძიებელი .....	283
მცენარეების ლათინურ სახელწოდებათა საძიებელი .....	287
გამოყენებული ლიტერატურა .....	292


ტროპიკული ყვავილები



ნუბენტესი



ანთურიუმი



რაფლენია



ამორფოფალუსი



სტრელიცია



ორქიდეა



კალა



ზიგოკატუსი



დროზერა



სტრონილოდონი



ჯუნგლები



როზა ბიძინაშვილი

ტროპიკული და სუბტროპიკული მცენარეების  
სამკურნალო მნიშვნელობა

**Roza Bidzinashvili**

**Medical Importance of Tropical  
and Subtropical Plants**